საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

პედაგოგიური ფაკულტეტი

პედაგოგიკის დეპარტამენტი

ნინო ჭოხონელიძე

მარია მონტესორის პედაგოგიკური იდეები და თანამედროვეობა

სამეცნიერო ხელმძღვანელი

პროფესორი იმერი ბასილაძე

ქუთაისი

2017

ნაშრომის ზოგადი დახასიათება

თემის აქტუალურობა. თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარეობს ელვისებური ცვლილებები სოციალურ, ეკონომიკურ, პოლიტიკურ და კულტურულ სფეროში. საზოგადოებრივი ცხოვრების დემოკრატიზაციის და ჰუმანიზაციის მიმართულებით ძირეული გარდაქმნები ახალ ამოცანებს აყენებს ჩვენი ქვეყნის განათლების წინაშე. ამ სფეროში საქართველოს სახელმწიფოებრივი პოლიტიკის ძირითად პრინციპს წარმოადგენს განათლების ჰუმანიზაცია და პიროვნების თავისუფალი განვითარება, განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს სოციალურად აქტიური, შემოქმედებითი პიროვნების აღზრდა, რომელიც იზიარებს დემოკრატიულ იდეალებს, არის დამოუკიდებელი და პასუხისმგებლობის გრძნობით აღჭურვილი.

ამ საკითხთან დაკავშირებით მნიშვნელოვნად გაიზარდა ქართულ პედაგოგიკურ აზროვნებაში მკვლევართა ინტერესი, ჯერ კიდევ XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში. კერძოდ, დაიწყო ახალი პედაგოგიკური იდეებისადმი ინტერესებისა და დამოკიდებულების გამოხატვა იმ მოღვაწეთა შემოქმედებითი მემკვიდრეობისადმი, რომლებმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს კარდინალური ცვლილებების ეპოქის პედაგოგიკის თეორიისა და პრაქტიკის განვითარებაში. ქართულ პედაგოგიკურ ჟურნალებში იბეჭდება ჯ. დიუის, გ. კერშენშტეინერის და მ. მონტესორის პედაგოგიკური იდეები სწავლებისა და აღზრდის საკითხებთან დაკავშირებით. მიგვაჩნია, რომ მათი იდეები თეორიული და პრაქტიკული თვალსაზრისით თანხვედრილია როგორც იმ ეპოქასთან, ასევე საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროს თანამედროვე ტენდენციებთან.

თანამედროვე პედაგოგთა გარკვეული ნაწილი არ იზიარებს და არ ითვალისწინებს ისტორიულ გამოცდილებას და მათი პრაქტიკაში რეალიზების კომპონენტებს, რაც, ჩვენი აზრით, სწავლებისა და განათლების სერიოზულ ხარვეზს წარმოადგენს. მაგრამ აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ ზემოთქმული არ ეხება XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში საქართველოში გავრცელებულ ახალ პედაგოგიკურ იდეებს. მითუმეტეს, ამ

შეხედულებებმა კვლავ მოიპოვა განსაკუთრებული პოპულარობა მეოცე საუკუნის ბოლოს და ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისში.

ამ მხრივ ჩვენი დაინტერესება გამოიწვია მ. მონტესორის პედაგოგიკურმა კონცეფციამ. მარია მონტესორი არის რეფორმატორული-პედაგოგიკური მოძრაობის გამოჩენილი წარმომადგენელი, ცნობილი იტალიელი პედაგოგი, ექიმი და საზოგადო მოღვაწე. მისი პედაგოგიკური იდეები, ჩვენი აზრით, XX ს-ის პირველი ნახევრის უცხოურ განათლებაში, არა მარტო შესამჩნევი, არამედ განსაკუთრებული მოვლენაა. აქედან გამომდინარე, ვფიქრობთ, აქტუალური გახდა მონტესორის კონცეფციის როლისა და მნიშვნელობის განსაზღვრის პრობლემა, არა მარტო თანამედროვე უცხოური პედაგოგიკის თეორიისა და პრაქტიკის განვითარებაში, არამედ ქართულ პედაგოგიკურ აზროვნებაში. ვფიქრობთ, მონტესორის პედაგოგიკური მოძღვრების კიდევ უფრო სრულ გამოკვლევას შეუძლია მრავალფეროვანი გახადოს ქართული პედაგოგიკური აზროვნება, ცოდნითა და გამოცდილებით გაამდიდროს აღზრდისა და სწავლების პრობლემების გადაჭრის საკითხები, რომელიც დაგროვდა მ. მონტესორისთან დაკავშირებით მსოფლიო მეცნიერებასა და პრაქტიკაში.

ხაზგასმით გვინდა აღვნიშნოთ, რომ 1910-იანი წლებიდან თანამედროვეობამდე სამეცნიერო და მეთოდურ გამოცემებში ხშირად გამოიყენება ტერმინი „მონტესორის სისტემა", თუმცა, საკითხი იმის შესახებ, მონტესორის იდეები წარმოადგენს ერთიან სისტემას, თუ ემპირიული მეთოდების ეკლექტიკური ნაკრებია, ჩვენი შეხედულებით, აქამდე გადაუჭრელია, რადგან ის აქტიურად ითხოვს უფრო დაწვრილებით ანალიზს.

ჩვენთვის ცნობილია, რომ სხვადასხვა ისტორიულ პერიოდებში მონტესორის პედაგოგიკის შესახებ არსებობდა განსხვავებული მოსაზრებები, დაწყებული უპირობო დადებითიდან, მკვეთრად უარყოფითამდე. ჩამოყალიბდა, აგრეთვე, მთელი რიგი მყარი შტამპები, რომლებსაც არა აქვს რეალური საფუძველი. კრიტიკული შენიშვნები საჭიროებს დაწვრილებით ანალიზს და ობიექტურ შეფასებებს. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია გავიგოთ, როგორ ვითარდებოდა და მდიდრდებოდა იტალიელი პედაგოგის

შეხედულებები. რაც საშუალებას მოგვცემს, უკეთესად გავიაზროთ თანამედროვეების კრიტიკული შენიშვნები მონტესორის კონცეფციის მისამართით.

1910-20-იან წლებში მონტესორის ადრეული ნაშრომებიდან მთელ მსოფლიოში განსაკუთრებით ცნობილი იყო საბავშვო ბაღების თეორია და პრაქტიკა, რომელიც პედაგოგიურ წრეებში მწვავე დისკუსიის საგანი გახდა. იყო ცდები იტალიელი პედაგოგის იდეების თეორიული ანალიზისა და მათი პრაქტიკული რეალიზაციისა. გამოითქვა მთელი რიგი კრიტიკული შენიშვნები. ამასთან ერთად, იმავე პერიოდში ჯერ კიდევ არ იყო მონტესორის მიერ დასრულებული მთლიანი პედაგოგიური სისტემის თეორიული დამუშავება. რიგი მისი ძირითადი შრომებისა შეიქმნა 1930-იანი წლების ბოლოსა და 1940-იან წლებში. აქედან გამომდინარე, ვფიქრობთ, მონტესორის გვიანდელი იდეების ანალიზი შეუძლებელი იყო. რადგან 1980-იანი წლების ბოლომდე მონტესორის იდეების უმრავლესობა ჩვენს ქვეყანაში მოთხოვნადი არ იყო, შედარებით ცნობილი გახლდათ სენსორული აღზრდა მონტესორის მიხედვით. მისი იდეები საქართველოში გააზრებულ და გამოყენებულ იქნა რუსეთის გავლენით. მე-20 საუკუნის 10-30-იან წლებში სამეცნიერო ჟურნალებში გამოჩნდა გამოკვლევები და პუბლიკაციები (ნ. სირბილაძე, ი. ფაუსეკი, ექ. ტაუბმანი, რ. ნიკოლაძე), ხოლო ამავე საუკუნის 80-იანი წლებიდან დაიბეჭდა რამდენიმე სტატია, რომლებიც, ჩვენი აზრით, ზოგადი ხასიათის მატარებელია (გ. ჭანიშვილი, დ. გურგენიძე, ნ. სამხარაძე). განსაკუთრებით პოპულარული გახდა მონტესორის შეხედულებები ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისში. გამოქვეყნდა რამდენიმე ნაშრომი (ჯ. ჯინჯიხაძე, მ. მელიქიშვილი, ი. ბასილაძე, ნ. ქობულაძე, ს. გორგოძე, ნ. გუდსმითი და სხვა), რომლებიც ეძღვნებოდა მონტესორის კონცეფციის ცალკეულ თეორიულ და პრაქტიკულ ასპექტებს. მათში ხაზგასმით არის აღნიშნული მონტესორის სისტემის სერიოზული უპირატესობა სხვა პედაგოგ-რეფორმატორთა იდეებთან შედარებით, რადგან ზემოთ დასახელებული ავტორები ფიქრობენ, რომ მას გააჩნია სკოლამდელთა აღზრდისა და სწავლების საფუძვლიანად დამუშავებული შინაარსი, მეთოდები და საშუალებები, მაგრამ აქვე აღნიშნავენ მის უარყოფით მხარეებსაც, რომელზედაც ვისაუბრებთ დისერტაციაში.

კვლევის პრობლემას წარმოადგენს მონტესორის პედაგოგიური იდეები და მათი კავშირი თანამედროვეობასთან. კერძოდ, როგორ აისახება მარია მონტესორის იდეების გავლენა თანამედროვე განათლების თეორიასა და პრაქტიკაში.

კვლევის მიზანია მარია მონტესორის პედაგოგიკური კონცეფციის კვლევა, კავშირი თანამედროვე საგანმანათლებლო სივრცესთან და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება.

კვლევის ობიექტი - მარია მონტესორის პედაგოგიკური სისტემა, მისი ფილოსოფიური, ფსიქოლოგიური და პედაგოგიური შეხედულებების კვლევა და მისი კავშირი თანამედროვეობასთან.

კვლევის საგანი - მარია მონტესორის პედაგოგიკური იდეებიდან გამომდინარე თანამედროვე საგანმანათლებლო სისტემისთვის შესატყვისი მიდგომების გამოყოფა. მონტესორის პედაგოგიკური კონცეფციის გამოკვლევა. ძირითადი პრინციპების, მონტესორი-კლასების და გაკვეთილის სახეების, მონტესორისეული ასაკობრივი პერიოდიზაცია, მასწავლებლის როლის, სასწავლო მიზნების, საშუალებების და მიღებული შედეგების თანაფარდობების გამოკვლევა და მათი კავშირი თანამედროვეობასთან.

კვლევის მიზანი, კვლევის ობიექტი და კვლევის საგანი განსაზღვრავს შემდეგ ამოცანებს:

1. რას წარმოადგენს მარია მონტესორის პედაგოგიკური სისტემა და მისი განსხვავებების დადგენა ტრადიციულ პედაგოგიკურ მეთოდთან?
2. მონტესორის სწავლების მეთოდის სამი ძირითადი ნაწილის (ბავშვი, გარემო, მასწავლებელი) განსაზღვრა;
3. მონტესორის სწავლების პრინციპების, სენსიტიური პერიოდების და მონტესორისეული ასაკობრივი პერიოდიზაციის განხილვა-ანალიზი;
4. მონტესორის პედაგოგიკური სისტემის ისტორიული მიმოხილვა და მისი ადგილის განსაზღვრა თანამედროვე განათლებაში. დადებითი და კრიტიკული შეფასებების შესწავლა-გაანალიზება;

კვლევის მეთოდოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს ერთიანი კავშირის, პროცესებისა და მოვლენების განვითარების ფილოსოფიურ-პედაგოგიური დებულებები; ისტორიისა და თანამედროვეობის კავშირები, თეორიისა და პრაქტიკის ერთიანობა.

კვლევის მეთოდები. ზოგადსამეცნიერო მეთოდები: ინდუქცია, დედუქცია, ანალიზისა და სინთეზის, კონკრეტიზაციისა და განზოგადების: შედარებითი, სისტემური ანალიზის მეთოდები;

კვლევის მეცნიერული სიახლე:

- სადისერტაციო ნაშრომში შესწავლილი და გაანალიზებულია მარია მონტესორის პედაგოგიკური მემკვიდრეობა.
- შესწავლილია მონტესორის პედაგოგიკური სისტემა, მისი პედაგოგიურ-ფილოსოფიური შეხედულებები. ბავშვის ფსიქიკური განვითარების პროცესი, "ყურადღების პოლარიზაცია" და "ნორმალიზაცია."
- შესწავლილი და დადგენილია მონტესორის სისტემის უპირატესობა ტრადიციულ პედაგოგიურ მიდგომებთან შედარებით.
- განსაზღვრულია მონტესორის სწავლების მეთოდის მნიშვნელობა, რომელსაც გააჩნია სკოლამდელთა აღზრდისა და სწავლების საფუძვლიანად დამუშავებული შინაარსი, მეთოდები და საშუალებები.
- დახასიათებული და გაანალიზებულია მარია მონტესორის პედაგოგიკური კონცეფციის მნიშვნელოვანი ცნებები (ბავშვი, გარემო, მასწავლებელი), განვითარების სენსიტიური პერიოდები, მონტესორისეული ასაკობრივი პერიოდიზაცია; მასწავლებლის როლი; საგაკვეთილო სისტემა, განვითარების ზონები (სენსორული, ენობრივი, მათემატიკური, ყოველდღიური ცხოვრების ანუ პრაქტიკული, კოსმიური); აღზრდის არსი მონტესორის მიხედვით.
- შესწავლილია მონტესორისეული მუსიკალური აღზრდა, „სიჩუმის" გაკვეთილების მნიშვნელობა მუსიკალურ აღზრდაში.
- შესწავლილი და ისტორიულად მიმოხილულია მონტესორის სისტემის გავრცელება ევროპისა და აზიის ქვეყნებში, აშშ-ში, რუსეთსა და საქართველოში.

განხილულია ის წინააღმდეგობები, რომლებიც ახლდა მონტესორის მეთოდის დამკვიდრებას მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში. წარმოდგენილია ქართველ მეცნიერთა და მკვლევართა დამოკიდებულება მონტესორის პედაგოგიკის მისამართით (ნ. სირბილაძე, დ. უზნაძე, გ. ჭანიშვილი, რ. ნიკოლაძე, დ. გურგენიძე, ნ. სამხარაძე, ჯ. ჯინჯიხაძე და სხვა.)

- შესწავლილია მეცნიერთა და მკვლევართა შეფასებები, დადებითი და უარყოფითი ასპექტები, მონტესორის სწავლების მეთოდის გავლენა თანამედროვე საგანმანთლებლო სისტემაზე.

კვლევის თეორიული მნიშვნელობა გამოიხატება იმაში, რომ ქართულ ენაზე არსებულ მეცნიერულ ლიტერატურაში დღემდე სრულყოფილად არ იყო გამოკვლეული მარია მონტესორის პედაგოგიკური სისტემა. არსებულ ხარვეზს ნაწილობრივ ავსებს წარმოდგენილ დისერტაციაში ჩატარებული კვლევა. ვთვლით, მონტესორის იდეების სრულყოფილი შესწავლა და პრაქტიკაში დამკვიდრება ჩვენს ქვეყანაში გაამდიდრებს ქართულ პედაგოგიკას და ხელს შეუწყობს ახალი საინტერესო საგანმანათლებლო სასწავლო მიდგომების და პროგრამების გაჩენას.

კვლევის პრაქტიკული მნიშვნელობა.

- მარია მონტესორის პედაგოგიკური სისტემის გამოყენებამ შეიძლება ხელი შეუწყოს განათლების ჰუმანური ხასიათის და პიროვნების თავისუფალი განვითარების დამკვიდრებას ჩვენს საგანმანათლებლო სივრცეში.
- მიღებული შედეგები შეიძლება გამოყენებული და შემოტანილი იქნას შესაბამისი თემატიკის უფრო ღრმად შესწავლის მიზნით პედაგოგიკის თეორიისა და ისტორიის სასწავლო კურსებში, ასევე პედაგოგიკის სპეცკურსების შემუშავებაში, სამაგისტრო და საბაკალავრო ნამუშევრების მომზადებაში, პედაგოგიური კადრების კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებში.

კვლევის ჰიპოთეზა მდგომარეობს იმაში, რომ თუ საფუძვლიანად იქნება შესწავლილი ცნობილი პედაგოგების მეცნიერული შეხედულებები და მათ მიერ ჩამოყალიბებული თეორიები, თუ ობიექტური შეფასება გაუკეთდება ადრე არსებულ სწავლა-აღზრდის შინაარსს, გამოვლინდება მათი დადებითი და უარყოფითი მხარეები,

მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგმება წარსული კულტურული მემკვიდრეობის გამოვლენაში. ხოლო სწავლებაში არსებული დადებითი მიდგომები შეიძლება გამოყენებულ იქნას თანამედროვე პირობებში საქართველოში განათლების სისტემის განვითარებისა და სრულყოფის მიზნით.

ნაშრომის აპრობაცია და პუბლიკაცია. დისერტაციაში განხილულ საკითხებზე მოხსენებებით გამოვდიოდით საუნივერსიტეტო და საერთაშორისო სამეცნიერო-პედაგოგიურ კონფერენციებზე. ვაქვეყნებდით სამეცნიერო სტატიების სახით. შედეგები სისტემატურად ეცნობოდა აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიური ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს სემინარებისა და კოლოქვიუმების სახით, ხოლო დასრულებული ნაშრომი რეცენზირებულ იქნა აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიკის დეპარტამენტის მიერ.

კვლევის მეთოდოლოგია. დისერტაციაში გამოვიყენეთ კვლევის სხვადასხვა მეთოდოლოგია, კერძოდ, ვისარგებლეთ ისტორიული, შედარებითი, აღწერილობითი, შეფასებითი კვლევებით და სხვ.

კვლევის ეტაპები:

- ლიტერატურის პირველადი დამუშავება, ბიბლიოგრაფიის შედგენა, კვლევის ამოცანის და ჰიპოთეზის ჩამოყალიბება.
- კვლევის პერიოდში გამომავალი შრომების გაცნობა და დამუშავება.
- კვლევის მეთოდების რეალიზაცია.
- კვლევის შედეგად დაგროვებული მასალის პედაგოგიკურ-დიდაქტიკური ანალიზი.
- დისერტაციის გაფორმება.

დასაცავად გამოგვაქვს შემდეგი დებულებები და დასკვნები:

- მარია მონტესორის პედაგოგიკური სისტემის პრინციპების პედაგოგიური ანალიზი;
- მოტესორისეული ბავშვის ასაკობრივი პერიოდიზაციის ანალიზი;
- სწავლების ორგანიზაციის ფორმები მონტესორის პედაგოგიკურ სისტემაში;

- მარია მონტესორის სწავლების მეთოდის პედაგოგიური ანალიზი;
- დიდაქტიკური მასალების გამოყენების მნიშვნელობა მონტესორის პედაგოგიკურ სისტემაში;
- მასწავლებლის როლისა და მნიშვნელობის საკითხისათვის მონტესორის პედაგოგიკურ სისტემაში;
- მუსიკის სწავლების როლი პიროვნების ფორმირებაში;
- აღზრდის მნიშვნელობა მონტესორის პედაგოგიკურ სისტემაში;
- განმავითარებელი გარემოს მნიშვნელობა პიროვნების ფორმირების პროცესში;
- თავისუფლების, დისციპლინის და განვითარების მოთხოვნების ანალიზი მონტესორის მოძღვრებაში;
- მსოფლიო პედაგოგიკური აზროვნების მონტესორის პედაგოგიკურ მოძღვრებასთან დამოკიდებულების ანალიზი ;
- მ. მონტესორის პედაგოგიკური იდეების გავრცელება-განვითარებისათვის საქართველოში;
- საბჭოთა პედაგოგიკური აზროვნების დამოკიდებულების ანალიზი მონტესორის სისტემის მიმართ;
- მონტესორის პედაგოგიკური სისტემის შეფასება და მნიშვნელობა თანამედროვე საგანმანათლებლო სისტემისათვის.

თეორიული კვლევის პროცესში მიღებული იქნა შედეგები:

- დადგინდა, რომ მონტესორის ფილოსოფიური შეხედულებები დაფუძნებულია „კოსმიურ თეორიაზე.“ ამ თეორიის თანახმად, ყველაფერი ამ სამყაროში - მცენარეები, ცხოველები, ადამიანი - არსებობს და მოქმედებს სამყაროს განვითარების კოსმიური გეგმის შესაბამისად.

- შესწავლილი და განზოგადებული იქნა, რომ დებულება სამყაროს განვითარების „კოსმიურ გეგმაზე“ და ადამიანის „კოსმიურ ამოცანაზე“ წარმოადგენს მონტესორის სისტემის მეთოდოლოგიურ დასაბუთებას. იგი მნიშვნელოვან როლს თამაშობს მონტესორის მიერ ბავშვის განვითარების პროცესების გაგებაში და განსაზღვრავს აღზრდის და მისი შინაარსის მთავარ მიზანს 6–დან 12–წლამდე და 12-დან 18 წლამდე ასაკის ბავშვებისათვის.
- დადგინდა, რომ მ. მონტესორის პედაგოგიკურ კონცეფციაში განსკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სწავლების მეთოდს, რომელიც ეფუძნება ბავშვის თვითაღზრდას და თვითგანვითარებას.
- დადგენილი იქნა, რომ მონტესორის დიდაქტიკური მასალა სასწავლო პროცესში ხელს უწყობს სასიამოვნო განმავითარებელი გარემოს შექმნას და შემოქმედებითად განაწყობს აღზრდის ობიექტს.
- შესწავლილმა და გაანალიზებულმა მასალამ შესაძლებლობა მოგვცა დაგვედგინა, რომ თვითკონტრილის შესაძლებლობა ბავშვს თავს აგრძნობინებს თავისუფალ და დამოუკიდებელ პიროვნებად, ხოლო ნდობის ატმოსფეროს შექმნა და ბავშვის პიროვნების პატივისცემა წარმოადგენს მონტესორი - მასწავლებლის ძირითად მოთხოვნას.
- ქართულ პედაგოგიკურ მემკვიდრეობაში კიდევ ერთხელ დაზუსტდა და წარმოჩდა მარია მონტესორის პედაგოგიკური კონცეფციის მნიშვნელოვანი ცნებები (ბავშვი, გარემო, მასწავლებელი), განვითარების სენსიტიური პერიოდები, მონტესორისეული ასაკობრივი პერიოდიზაცია; მასწავლებლის როლი; საგაკვეთილო სისტემა, განვითარების ზონები (სენსორული, ენობრივი, მათემატიკური, ყოველდღიური ცხოვრების ანუ პრაქტიკული, კოსმიური), აღზრდის არსი მონტესორის მოძღვრებაში და ის ძირითადი მახასიათებლები, რომლებიც განასხვავებს მონტესორის სისტემას დანარჩენი პედაგოგიკური კონცეფციებისგან.
- დადგენილია მარია მონტესორის პედაგოგიკურ კონცეფციაში მუსიკის ფენომენი, მისი არსი და დანიშნულება. კერძოდ, „სიჩუმის გაკვეთილების” მნიშვნელობა მუსიკალურ აღზრდაში.

- მონტესორის სისტემის გავრცელების ეტაპები ევროპისა და აზიის ქვეყნებში, აშშ-ში, რუსეთსა და საქართველოში.
- წინააღმდეგობები, რომლებიც ახლდა მონტესორის მეთოდის დამკვიდრებას მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში.
- დადგენილი და გაანალიზებულია ქართველ მეცნიერ-მკვლევართა დამოკიდებულება მონტესორის პედაგოგიკის მისამართით;
- დადგინდა მარია მონტესორის პედაგოგიკური კონცეფციის დადებითი და უარყოფითი ასპექტები და მისი სწავლების მეთოდის გავლენის მნიშვნელობა თანამედროვე საგანმანათლებლო სისტემაზე.

დისერტაციის ძირითადი შედეგები გამოქვეყნებულია
სამეცნიერო ნაშრომებში:

1. მ. მონტესორის პედაგოგიკური კონცეფცია და საქართველო, აწსუ პედაგოგიური ფაკულტეტის VIII სამეცნიერო -მეთოდური კონფერენცია „სწავლებისა და აღზრდის აქტუალური პრობლემები“, 2017წ., გვ.110-113
2. გარემოს მნიშვნელობა აღზრდაში მ. მონტესორის მიხედვით,აწსუ პედაგოგიური ფაკულტეტის VII სამეცნიერო - მეთოდური კონფერენცია „სწავლებისა და აღზრდის აქტუალური პრობლემები“, 2016 წ. გვ.132-35
3. მ. მონტესორი-თავისუფლება და დისციპლინა, აწსუ პედაგოგიური ფაკულტეტის VII სამეცნიერო - მეთოდური კონფერენცია „სწავლებისა და აღზრდის აქტუალური პრობლემები“, 2016 წ., გვ.136-138
4. მ. მონტესორის პედაგოგიური სისტემის ძირითადი პრინციპები, აწსუ პედაგოგიური ფაკულტეტის VI სამეცნიერო - მეთოდური კონფერენცია „სწავლებისა და აღზრდის აქტუალური პრობლემები“, შრომები, 2015 წ., გვ.130-133
5. მ. მონტესორი-ჰუმანისტი და პედაგოგი, აწსუ პედაგოგიური ფაკულტეტის VI სამეცნიერო -მეთოდური კონფერენცია „სწავლებისა და აღზრდის აქტუალური პრობლემები“, შრომები, 2015 წ., გვ. 134-136
6. მ. მონტესორი და მისი პედაგოგიური სისტემა, აწსუ პედაგოგიური ფაკულტეტის V სამეცნიერო-მეთოდური კონფერენცია, „სწავლებისა და აღზრდის აქტუალური პრობლემები“, შრომები, 2014 წ., გვ.128-132

შინაარსი

თავი I

მარია მონტესორის ცხოვრება და პედაგოგიური მოღვაწეობა

§ 1. მ. მონტესორის ცხოვრება და მოღვაწეობა ----------15

§ 2. მონტესორის ფილოსოფიური შეხედულებები ----------20

თავი II

მარია მონტესორის პედაგოგიკის თეორიული და პრაქტიკული საფუძვლები

§ 1. მარია მონტესორის პედაგოგიკური სისტემის პრინციპები ----------23

§ 2. ბავშვის ასაკობრივი პერიოდიზაცია მონტესორის მიხედვით ---------- 29

§ 3 სწავლების ორგანიზაციის ფორმები მონტესორის პედაგოგიკურ სისტემაში ----------37

§ 4 მარია მონტესორის სწავლების მეთოდი ----------40

§ 5. დიდაქტიკური მასალების გამოყენების მნიშვნელობა მონტესორის სისტემაში ----------50

§ 6. მასწავლებლის როლისა და მნიშვნელობის საკითხისათვის მონტესორის პედაგოგიკურ სისტემაში ----------59

§ 7. მუსიკის სწავლების საკითხისათვის მონტესორის პედაგოგიკურ კონცეფციაში ----------70

თავი III

აღზრდის მიზნისა და განვითარების საკითხისათვის მონტესორის პედაგოგიკურ სისტემაში

§ 1. აღზრდის მიზნის საკითხისათვის მონტესორის პედაგოგიკურ სისტემაში ----------84

§ 2. განმავითარებელი გარემოს მნიშვნელობის საკითხისათვის მონტესორის პედაგოგიკურ სისტემაში ----------86

§ 3 თავისუფლება და დისციპლინა მონტესორის პედაგოგიკურ სისტემაში ------91

§ 4. ფსიქიური განვითარების პროცესი მ. მონტესორის მიხედვით, განვითარების მოთხოვნები ----------95

§ 5 „ყურადღების პოლარიზაცია“და „ნორმალიზაცია"----------102

თავი IV

მონტესოსორის პედაგოგიკური სისტემა და თანამედროვეობა

§ 1. მონტესორის პედაგოგიკური იდეების გავრცელება-განვითარების საკითხისათვის ----------107

§ 2. მ. მონტესორის სისტემა მარქსისტული პედაგოგიკის თვალსაზრისით -----131

§3. მონტესორის პედაგოგიკური სისტემის შეფასება და მნიშვნელობა თანამედროვე საგანმანათლებლო სისტემისათვის ----------137

ზოგადი დასკვნები

გამოყენებული ლიტერატურა

დანართი

თავი I

მარია მონტესორის ცხოვრება და პედაგოგიური მოღვაწეობა

§ 1. მ. მონტესორის ცხოვრება და მოღვაწეობა

საუკუნეზე მეტია, რაც მარია მონტესორის სახელი, როგორც ფსიქიატრისა და ფსიქოლოგისა, გამოცდილი ბავშვთა ექიმისა და ფილოსოფოსისა, დაუღალავი მეცნიერ-მკვლევარისა და ახალი ჰუმანური იდეების მგზნებარე მატარებლისა, შეუნელებლად იპყრობს და იზიდავს საზოგადოების ყურადღებას. მას მიეძღვნა მსოფლიოს სხვადასხვა ენაზე ათეულობით წიგნი და ასეულობით სტატია. მონტესორის პედაგოგიკა, რომელიც შემოიჭრა XX საუკუნეში, როგორც „გამონათებულ მნათობთა შორის გამოუცნობი "მეტეორი," აგრძელებს თავის გზას და ქვეყნების უფრო მეტ რაოდენობას იქცევს თავისი გავლენის ქვეშ. ეს იმიტომ ხდება, რომ ასეთი ორგანული შერწყმა მრავალფეროვანი ცოდნისა ადამიანის შესახებ, რომელსაც იძლევა მეცნიერება და ფილოსოფია, რელიგია და ხელოვნება-გაერთიანებულია მონტესორის მიერ ერთიან პედაგოგიურ ანთროპოლოგიად, აღჭურვილია ძალზე დახვეწილი დიდაქტიკური ინსტრუმენტებით. ასეთი რამ მსოფლიო გამოცდილებას არ ახსოვს. მრავალწლიანი დაძაბული შემოქმედებითი მოღვაწეობის შედეგად მონტესორიმ შეძლო შეექმნა ჩამოყალიბებული სისტემა, რომელმაც გაუძლო დროს და გამოცდას.

მ. მონტესორი დაიბადა 1870 წლის 31 აგვისტოს იტალიაში, პატარა პროვინციულ ქალაქ კიარავალეში მკაცრ რელიგიურ ოჯახში. მამა - ალესანდრო მონტესორი იყო სახელმწიფო ჩინოვნიკი - საფინანსო განყოფილების მაღალი თანამდებობის პირი. დედა - რენილდა სტოპანი წარმოშობით იყო სტოპანების უძველესი გვარის წარმომადგენელი. მარია ოჯახში იყო ერთადერთი შვილი და მშობლები ცდილობდნენ მისთვის კარგი განათლება მიეცათ. გოგონას სწავლა ეადვილებოდა. მარია განსაკუთრებით გატაცებული იყო მათემატიკით.ის თეატრშიც კი მათემატიკის წიგნით დადიოდა და სიბნელეში ხსნიდა მაგალითებს. მარიას სურდა შესულიყო ტექნიკურ სკოლაში, რომელშიც მხოლოდ ბიჭები

სწავლობდნენ. მან 12 წლის ასაკში პირველად მოიპოვა წარმატება სისტემურ განათლებაზე და არა მარტო მოხვდა ამ სასწავლებელში, არამედ წარმატებითაც დაამთავრა. 1890 წელს მონტესორიმ, რომელიც იყო რომის უნივერსიტეტის მათემატიკის და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის სტუდენტი, გადაწყვიტა გამხდარიყო ბავშვთა ექიმი. მიუხედავად უამრავი წინააღმდეგობისა, რომელსაც იმდროინდელი იტალიის დისკრიმინაციული გენდერული შეხედულებები წარმოშობდა, მარიამ თავისი გაიტანა. ის ჯერ მიიღეს უნივერსიტეტის თავისუფალ მსმენელად, შემდეგ წარმატებული სწავლისთვის ჩარიცხეს სტუდენტად.

სწავლა ადვილი არ იყო. თანაკურსელ ვაჟებს რომ არ გაებრაზებინათ დაცინვით და კრიტიკული შენიშვნებით, მარიას მორგში მარტო უწევდა მორიგეობა. დიპლომის აღებამდე სავალდებულო იყო მარიას ლექცია წაეკითხა. იმ დღეს მამამისი შემთხვევით მოხვდა უნივერსიტეტში. ნახა, თუ რა ოვაციები გაუმართეს მის შვილს გამოსვლის შემდეგ. მოწმე გახდა მასწავლებელთა და საზოგადოების მხრიდან მისი შვილის აღიარებისა. მან მარიას აპატია გაწეული წინააღმდეგობა და შეურიგდა.

1896 წელს მან დაამთავრა უნივერსიტეტი და გახდა პირველი ქალი იტალიის ისტორიაში მედიცინის დოქტორის ხარისხით. მარია სწავლის პარალელურად მუშაობდა რომის უნივერსიტეტის ფსიქიატრიულ კლინიკაში, სადაც მას მოუწია გონებრივად ჩამორჩენილ ბავშვებთან ურთიერთობა. მონტესორი ყველაფერს აკეთებდა, რომ შეემსუბუქებინა და საინტერესო გაეხადა ამ ბავშვების ცხოვრება. აქ დაიწყო მან სწავლების მეთოდების შემუშავება, რომელიც დღეს ცნობილია მონტესორის თეორიის სახელით.

უნივერსიტეტის დასრულების შემდეგ მონტესორიმ მიიღო ასისტენტის ადგილი სან-ა-ჯიოვანის კლინიკაში და დაიწყო კერძო საექიმო პრაქტიკა. ამასთანავე იყო კარგი ლექტორი. მისი სტატიები იბეჭდებოდა ევროპის სხვადასხვა ქვეყნის ჟურნალებში. ის იბრძოდა ქალთა უფლებების დაცვისთვის.

1897-1898 წლებში ესწრებოდა ლექციებს პედაგოგიკაში და სწავლობდა განათლების თერაპიის ძირითად შრომებს. მ. მონტესორიზე გავლენა იქონია ფრანგი ჟან-პოლ გასპარ იტარისა და ედუარდ სეგენის ნაშრომებმა, რომლებიც თვითონ თარგმნა. სეგენის წიგნებიდან გაიგო, რომ თუ საგანგებო მეთოდიკით ჩავატარებთ მეცადინეობას, „100

იდიოტიდან 25 ნორმალური ადამიანი გახდება“. თავის მეგობარ ჯუზეპე მონტესაროსთან ერთად მუშაობდა რომის ფსიქიატრიულ კლინიკაში. აგრძელებდა მუშაობას გონებაჩამორჩენილ ბავშვებთან. მიაჩნდა, რომ ასეთ ბავშვებთან საჭირო იყო მუშაობა არა საავადმყოფოში, არამედ სკოლაში. ამ პერიოდის მოღვაწეობის შედეგი იყო ის, რომ გონებრივი ჩამორჩენის მქონე 8 წლის მოსწავლეებმა წარმატებით ჩააბარეს გამოცდები წერა-კითხვაში და საშუალოზე მაღალი ქულებიც მიიღეს. მაშინ „მონტესორის სასწაულზე” მთელი იტალია ალაპარაკდა. ხელისუფლებამ შექმნა ორთოფრენიული ინსტიტუტი, რომელსაც გონებაშეზღუდული ბავშვებისთვის მასწავლებლები უნდა მოემზადებინა. 1898 წლიდან 1900 წლამდე ამ ინსტიტუტს თავად მარია მონტესორი ხელმძღვანელობდა.

1901 წელს მარია მონტესორი რომის უნივერსიტეტის ფილოსოფიური ფაკულტეტის სტუდენტი გახდა. ის პარალელურად სწავლობდა ექსპერიმენტულ ფსიქოლოგიას და პედაგოგიურ ანთროპოლოგიას. გახდა ანთროპოლოგიის კათედრის გამგე. მან დაწერა წიგნი სახელწოდებით-„ფსიქოლოგიური ანთროპოლოგია.“ კითხულობდა ლექციებს თემაზე: „ბუნებრივი სწავლება-დაეხმარე და არ განსაჯო.“ ამ პერიოდში დაიცვა სადოქტორო დისერტაცია.

1907 წლის 6 იანვარს იტალიელი მილიონერის ედუარდო ტალამოს მხარდაჭერით რომის გარეუბანში სან-ლორენცოში, გახსნა „ბავშვთა სახლი.“ მას ჰყავდა ღარიბი, უსახლკარო, პედაგოგიურად ხელმიშვებული ბავშვები. თავისი მეთოდებით მონტესორიმ რამდენიმე თვეში სასწაული მოახდინა. ბავშვები გახდნენ დისციპლინირებულნი, მოწესრიგებულნი, რომლებსაც სურდათ სწავლა. ის ბავშვებს ანიჭებდა თავისუფლებას. აკრძალული იყო მხოლოდ ჩხუბი და ხელის შეშლა. თვითონ წყვეტდნენ აქტივობების დაწყების და დამთავრების დროს. არ იყო არც შეფასება, არც ნიშნები და არც ტესტირება. ოთახი ბავშვის ზომის ავეჯით იყო აღჭურვილი. შესაძლებელი იყო მათი სურვილისამებრ გადაადგილება. აღმზრდელის ამოცანას წარმოადგენდა ბავშვის დახმარება საქმიანობის ორგანიზებაში, საკუთარი გზის ძიებაში, შემოქმედებითი პოტენციალის რეალიზაციაში. 1909 წელს მონტესორიმ ჩაატარა პირველი საერთაშორისო სამეცნიერო სემინარი,

რომელსაც დაესწრო ასამდე მასწავლებელი იტალიიდან, საფრანგეთიდან, ესპანეთიდან და ინგლისიდან. დაწერა წიგნი „კვლევითი პედაგოგიური მეთოდი," რომელსაც აქტიურად იყენებდა „ბავშვთა სახლში". წიგნმა მოიპოვა მსოფლიო აღიარება და თარგმნილია მრავალ ენაზე.

მონტესორი აქტიურად მოგზაურობდა ამერიკასა და ევროპაში. ამერიკაში მეორე მოგზაურობის დროს ლექცია წაიკითხა „კარნეგი ჰოლში." ის დააჯილდოეს 2 ოქროს მედლით განათლების სფეროში შეტანილი წვლილისთვის. ევროპაში მონტესორის მეთოდის პოპულარობა დღითიდღე იზრდებოდა. მას იწვევდნენ ესპანეთში, ინგლისში. ვაშინგტონში ტელეფონის შემქმნელის ალექსანდრ ბელის ცოლმა დააარსა მონტესორი-ასოციაცია, რომლის მზრუნველიც გახდა აშშ-ს პრეზიდენტის ვილსონის ქალიშვილი. მონტესორიმ გაიცნო მაჰათმა განდი. მისი პედაგოგიკით დაინტერესდა ლევ ტოლსტოის ქალიშვილი ტატიანა სუხოტინა-ტოლსტაია. მის მოსწავლეებს შორის ბევრი ცნობილი ადამიანი იყო, მათ შორის ერიკ ერიკსონი. მონტესორი მეგობრობდა ზიგმუნდ ფროიდთან, ჟან პიაჟესთან.

1934 წელს ანტიფაშისტური იდეების გამო მონტესორი სამუდამოდ ტოვებს იტალიას. მას მეგობრები ეპატიჟებოდნენ ამერიკაში. მაგრამ მარიას არ სურდა მიჯაჭვული ყოფილიყო რომელიმე ქვეყანაზე. მას თავი მიაჩნდა მსოფლიო ადამიანად. მონტესორი ჯერ ცხოვრობდა ესპანეთში, შემდეგ ჰოლანდიაში. მეორე მსოფლიო ომმა მოუსწრო ინგლისში, საიდანაც გაასახლეს, როგორც მოწინააღმდეგე ქვეყნის მოქალაქე. ამ პერიოდს დაემთხვა მიპატიჟება ინდოეთში თეოსოფიური საზოგადოების მხრიდან. იქ მარიამ შვილთან ერთად გაატარა შვიდი წელი. კითხულობდა ლექციებს მადრასში, კარაჩიში და სხვა ქალაქებში. მოგვიანებით გახსნა თავისი სკოლა კოდაიკანალეში. მონტესორი ფიქრობდა, რომ ამ ქვეყანაში ხალხი სულიერად მზად იყო მისი მეთოდის მისაღებად. სწორედ ამ პერიოდს ეკუთვნის მონტესორის ბავშვის ასაკობრივი პერიოდიზაცია.

მონტესორი მიმართავდა კაცობრიობას, რომ ჩვენ გვაქვს პრობლემა - უფროსები იმყოფებიან ცივილიზაციის ყურადღების ცენტრში. თუ ხელისუფლება გადაიტანს თავის

ხედვას ბავშვზე, ბავშვის სულზე, ჩვენ შევქმნით მშვიდობას მსოფლიოში. განათლება-მშვიდობის იარაღიაო.

ომის შემდეგ მონტესორი დაბრუნდა ევროპაში და დამკვიდრდა ჰოლანდიაში. 1952 წელს თავის ნაშრომში „ბავშვის გონება" შექმნა არა მხოლოდ ახალი მიმართულება პედაგოგიკაში - ბავშვის განვითარება 1-3 წლის ასაკში, არამედ უფროსები აიძულა, ბავშვები სხვა კუთხით დაენახათ. მონტესორი გარდაიცვალა 1952 წლის 6 მაისს ჰოლანდიაში. პირველი მონტესორი-საზოგადოება შეიქმნა ამერიკაში (1915), შემდეგ ჰოლანდიაში(1917), არგენტინაში(1927), შვეიცარიაში (1032), ინგლისში (1933), ინდოეთში (1940)...

მარია მონტესორი 3-ჯერ (1949, 1950, 1951 წლებში) იყო წარდგენილი მშვიდობის ნობელის პრემიაზე. 1988 წელს იუნესკომ მსოფლიოს ოთხ უდიდეს პედაგოგს (ჯ. დიუი, გ. კერშენშტეინი, ა.მაკარენკო) შორის დაასახელა.

იტალიაში ევროს შემოსვლამდე მონტესორის პორტრეტი ამშვენებდა 1000 ლირიან კუპიურას. მონტესორი-სკოლა შეტანილია გინესის რეკორდების წიგნში ყველაზე მრავალრიცხოვნობის გამო. ეს სკოლა მდებარეობს ინდოეთში და იქ სწავლობს 22 ათასი ბავშვი. ეს ფაქტი, რა თქმა უნდა, მონტესორის უზარმაზარი საერთაშორისო აღიარებაა. თუმცა, მისი როგორც უდიდესი პედაგოგის და ჰუმანისტის მნიშვნელობის დასადასტურებლად ისიც კმარა, რომ დღეს მონტესორის პედაგოგიური სისტემის შექმნიდან საუკუნის გასვლის შემდეგაც, მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ათასობით საგანმანათლებლო დაწესებულება ხელმძღვანელობს მისი მეთოდოლოგიით და 21-ე საუკუნეშიც არ კარგავს აქტუალობას.

§ 2. მონტესორის ფილოსოფიური შეხედულებები

მ. მონტესორის პედაგოგიური იდეების ღრმა გააზრება შესაძლებელია მხოლოდ მისი ფილოსოფიური შეხედულებების და მის მიერ ბავშვის განვითარების ბუნების და პროცესების გაგება-ანალიზის საფუძველზე. განვიხილოთ მისი სამეცნიერო მემკვიდრეობის ორივე ეს ასპექტი უფრო დაწვრილებით.

მონტესორის ფილოსოფიური შეხედულებები დაფუძნებულია „კოსმიურ თეორიაზე“, რომელიც წარმოდგენილია მის მიერ რიგ გვიანდელ ნაშრომებში, მათ შორის მოხსენებებში „ადამიანის ადგილი შექმნაში“ (ლონდონი, 1935) და „კოსმიური აღზრდა“ (ინდოეთი, 1945) (30,გვ.6).

„კოსმიური თეორიის“ იდეებმა ასახვა ჰპოვეს მონტესორის მიერ ბავშვის ბუნების და მისი განვითარების კანონების გაგებაში, რომლებიც დაწვრილებით განხილულია მის წიგნებში „კრეატიული ბავშვი“ (30, გვ.6) და „ბავშვები სხვანაირები არიან“ (29, გვ.6). ამ თეორიის თანახმად, ყველაფერი ამ სამყაროში - მცენარეები, ცხოველები, ადამიანი - არსებობს და მოქმედებს სამყაროს განვითარების კოსმიური გეგმის შესაბამისად. „ის (კოსმიური თეორია) აღიარებს ყველაფერში ერთიან გეგმას, რომელზედაც დამოკიდებულნი არიან არა მხოლოდ ცოცხალი არსებების სხვადასხვაგვარი ფორმები, არამედ თავად დედამიწის ევოლუცია.

ცხოვრება ვითარდება კოსმიური გეგმის შესაბამისად და ცხოვრების აზრი მდგომარეობს არა იმაში, რომ მივაღწიოთ სრულყოფილებას პროგრესის უსასრულ გზაზე, არამედ ვიქონიოთ გავლენა გარემომცველ სამყაროზე და მივაღწიოთ მასში გარკვეულ მიზანს (30, გვ.6).

კარგად არის ცნობილი, რომ ბიოსფერო წარმოადგენს დედამიწაზე სიცოცხლის გავრცელების ადგილს, ხმელეთი და წყალი არიან განუყოფელ ერთიანობაში და ურთიერთგავლენაში. ასე, მაგალითად, მონტესორი აღნიშნავს, რომ მარჯანი, ზღვის სხვა უხერხემლოები და ზოგიერთი ერთუჯრედიანები უზრუნველყოფენ ზღვის წყლის სისუფთავეს და ქიმიური შემადგენლობის თანმიმდევრულობას, რომლებიც აუცილებელია

თევზების სიცოცხლისათვის. დროთა განმავლობაში მცენარეების და ცოცხალი არსებების ნაშთი გარდაიქმნება ნავთობად, ქვანახშირად, ცარცად და სხვა მყარ ქანად, რომლებიც ქმნიან დედამიწის ზედაპირს. ჰაერის სისუფთავეს ინარჩუნებენ მრავალრიცხოვანი მცენარეები, განსაკუთრებით, ხეები. მონტესორი ამბობდა, რომ ეკოლოგია არის ახალი მეცნიერება, რომელიც შეისწავლის ამ ურთიერთქმედებებს.

„არც ისე დიდი ხნის წინ ცხოველების ფუნქციებზე დაკვირვებებმა დაადასტურეს, რომ მათი ქცევა, მათი მოღვაწეობის ინდივიდუალური ხერხები გარშემომყოფ სამყაროში მიზნად ისახავენ არა მხოლოდ საკუთარი სიცოცხლის შენარჩუნებას, არამედ, უპირველეს ყოვლისა, სპეციალური პუნქტის შესრულებას დედამიწის შენარჩუნების და ჰარმონიის მხარდაჭერის კომპლექსურ ამოცანაში“ (30, გვ.7). ამრიგად, „ყველა ცოცხალი არსება კვების ან საკვების მოძიების პროცესში ასრულებენ „კოსმიურ“ ამოცანას, რომელიც ხელს უწყობს იმას, რომ ბუნება შენარჩუნდეს სისუფთავის ჰარმონიულ მდგომარეობაში“ (30, გვ.7).

რა ადგილი აქვს ადამიანს სამყაროში? ხომ არ ცხოვრობს კაცობრიობა მხოლოდ თავისი არსებობის შესანარჩუნებლად? „ეს შეუძლებელია“, - დაბეჯითებით პასუხობს მონტესორი, რადგანაც დარწმუნებულია კაცობრიობის უმაღლეს დანიშნულებაში. ადამიანი ასრულებს ბუნებაში „გარდამქმნელ ფუნქციას“ (30, გვ.7) და დედამიწაზე ტოვებს თავისი არსებობის კვალს. ადამიანმა ბევრი გააკეთა დედამიწის გასაუმჯობესებლად და გასალამაზებლად, მონტესორი ტკბება და აღფრთოვანებულია მისი მიღწევებით. მისი აღმშენებლობითი მოღვაწეობის მეშვეობით „ყვავილები უფრო ლამაზი გახდნენ, მცენარეები უფრო ნაყოფიერი, გაუვალი ჯუნგლი ტყედ გადაიქცა, წყალი უფრო თანაბრად გადანაწილდა. ადამიანმა გამოიყენა დედამიწის სიღრმეში მილიონობით წლის განმავლობაში დამალული სასარგებლო წიაღისეულის ენერგია; შეძლო უკვე არსებული ნივთიერებებიდან ახლის სინთეზირება; ააგო საოცარი არქიტექტურული ნაგებობები, გამოიგონა გადაადგილების ისეთი საშუალებები, რომლებიც ეხმარება მას რამოდენიმე საათში გადაკვეთოს კონტინენტები” (30, გვ.7).

„ადამიანის გონება გახდა თითქმის ყოვლისშემძლე. დღეისათვის მან მიაღწია იმას, რომ შესწევს ძალა ენერგიების მოსათვინიერებლად და შეძლო შეღწევა ცხოვრების

ყველაზე იდუმალ წერტილებში. ამიტომ, ნაცვლად იმისა, რომ პარაზიტულად იცხოვროს და მიიღოს გარემოს ყველა სარგებელი, ის არის ყველაზე აქტიური იმ მოქმედი ძალებიდან, რომლებიც განკუთვნილია შეცვალოს და გააუმჯობესოს გარემო“ (30, გვ.7).

მეოცე საუკუნის მიჯნამდე ადამიანი, როგორც მონტესორი მიიჩნევს, ვერ იაზრებდა თავის დანიშნულებას და ასრულებდა თავის კოსმიურ ამოცანას ქვეცნობიერად, როგორც ცხოველები. თუმც, დღესდღეობით მის მიერ შექმნილი „ზებუნება“ შესაძლოა ადვილად გამოვიდეს კონტროლიდან და გამოიწვიოს ძლიერი ეკოლოგიური კატასტროფები. კაცობრიობამ უნდა გაიაზროს საკუთარი კოსმიური ამოცანა, გააცნობიეროს თავისი უნიკალურობა და გაიგოს, რომ „ის ისე მჭიდროდ არის შეკავშირებული, რომ წარმოადგენს ერთიან ორგანიზებულ ენერგიას“ (30, გვ.7). სოციალური არეულობების და ომების საფრთხეების პირისპირ მან უნდა გამოიმუშაოს „უნივერსალური ცნობიერება“ და ეძებოს თანამედროვე პირობებში „ადაპტაციის" გზები და შესაბამისად, შექმნას ერთიანი უნივერსალური ჰარმონიული საზოგადოება“ (30, გვ.7).

დებულება სამყაროს განვითარების „კოსმიურ გეგმაზე“ და ადამიანის „კოსმიურ ამოცანაზე“ წარმოადგენს მონტესორის სისტემის მეთოდოლოგიურ დასაბუთებას. იგი მნიშვნელოვან როლს თამაშობს მონტესორის მიერ ბავშვის განვითარების პროცესების გაგებაში და განსაზღვრავს აღზრდის და მისი შინაარსის მთავარ მიზანს 6–დან 12–წლამდე და 12-დან 18 წლამდე ასაკის ბავშვებისათვის.

დასკვნები

- მრავალწლიანი დაძაბული შემოქმედებითი მოღვაწეობის შედეგად მარია მონტესორიმ შეძლო შეექმნა ჩამოყალიბებული სისტემა, რომელმაც გაუძლო დროს და გამოცდას.
- მონტესორის ფილოსოფიური შეხედულებები დაფუძნებულია „კოსმიურ თეორიაზე“, ამ თეორიის თანახმად, ყველაფერი ამ სამყაროში - მცენარეები, ცხოველები, ადამიანი – არსებობს და მოქმედებს სამყაროს განვითარების კოსმიური გეგმის შესაბამისად.

- დებულება სამყაროს განვითარების „კოსმიურ გეგმაზე“და ადამიანის „კოსმიურ ამოცანაზე“ წარმოადგენს მონტესორის სისტემის მეთოდოლოგიურ დასაბუთებას. იგი მნიშვნელოვან როლს თამაშობს მონტესორის მიერ ბავშვის განვითარების პროცესების გაგებაში და განსაზღვრავს აღზრდის და მისი შინაარსის მთავარ მიზანს 6–დან 12–წლამდე და 12-დან 18 წლამდე ასაკის ბავშვებისათვის.
-

თავი II

მარია მონტესორის პედაგოგიკის თეორიული და პრაქტიკული საფუძვლები

§ 1. მარია მონტესორის პედაგოგიკური სისტემის პრინციპები

თანამედროვე პედაგოგიკაში მიჩნეულია, რომ „მონტესორის სისტემა მეცნიერულად დასაბუთებული, სასტიკად და ზედმიწევნით მოფიქრებული, ცხოვრებაში შემოწმებული, მორწმუნე ხელმძღვანელის ხელში ნამდვილი მეთოდია ბავშვის ფსიქიკური შინაარსისა და ზრდის დაკვირვებისთვის“ (11, გვ.73). ჩვენ მიერ შესწავლილი და გაანალიზებული ლიტერატურიდან გამომდინარე ძალიან მნიშვნელოვანია ის ძირითადი პრინციპები, რომელსაც ეყრდნობა მონტესორის სისტემა. ეს პრინციპებია:

- **ანთროპოლოგიური პრინციპი**

მონტესორის პედაგოგიკა უშუალოდ „ბავშვიდან” მომდინარეობს. მის ცენტრში ბავშვია, რომლის განათლებაც ანთროპოლოგიისა და ფსიქოლოგიის პოზიციებზეა აგებული. პედაგოგიურ სისტემაში განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია ჯერ კიდევ ბავშვის ასაკში ადამიანის დამოკიდებულება თავისუფლებისა და ღირსებისადმი. აღზრდის პროცესის ერთ-ერთი ძირითადი მოთხოვნაა - „პატივისცემა ბავშვის სულიერ თავისუფლებას.“

მონტესორისთვის ადამიანის სულიერი სრულყოფა მჭიდროდ იყო დაკავშირებული ფიზიკურ და ფსიქიკურ განვითარებასთან. იგი მუდმივად უსვამდა ხაზს აღქმის,

შეგრძნების ორგანოების, მამოძრავებელი სისტემის როლს ინტელექტუალურ განვითარებაში.

- **ბავშვის განვითარების თავისუფლების პრინციპი**

აღზრდის სტრუქტურის შეცვლაში მონტესორი გულისხმობდა „თავისუფლების პირობებს“ აღზრდის პროცესში. მიგვაჩნია, რომ სწორედ ამიტომ, ის ტრადიციული საკლასო-საგაკვეთილო სისტემის წინააღმდეგი იყო, მის მიზანს წარმოადგენდა თავისუფალი, დამოუკიდებელი და პასუხისმგებლობის მქონე პიროვნების აღზრდა.

ვფიქრობთ, აქედან გამომდინარეობს მონტესორის მეთოდიკის მთავარი დევიზი: „დამეხმარე, რომ მე თვითონ შევძლო ამის გაკეთება.“იგი მიიჩნევდა, რომ პატარა ბავშვის სწრაფვა დამოუკიდებლობისაკენ უნდა დაფასდეს უფროსების მიერ, რათა დამოუკიდებელი და პასუხისმგებლობის მქონე პიროვნება აღიზარდოს.

ჩვენ მიერ მოკვლეული და გაანალიზებული მასალიდან ჩანს, რომ მონტესორის პედაგოგიკაში თავისუფლებას თავისი საზღვრები აქვს. „ბავშვები იმას არ აკეთებენ, რაც მოესურვებათ.“ პირველ რიგში, ეს არის კოლექტივისა და სხვა ბავშვების მოთხოვნების გათვალისწინება („დასაშვებია ყველაფერი, რაც ხელს არ უშლის სხვებს,“ „ყოველი ნივთი ან საგანი უნდა დააბრუნო თავის ადგილზე.“) და მეორეც - მოიქცე საქმიდან გამომდინარე („არ შეიძლება არაფერი აკეთო,“ „დაწყებული საქმე აუცილებლად ბოლომდე უნდა მიიყვანო“). მონტესორის სისტემაში თავისუფლება ნიშნავს ბავშვის თავისუფლად გადაადგილებას დიდაქტიკურად მომზადებულ გარემოში. ეს არის საქმიანობის დროს ადგილის თავისუფალი არჩევანი, საგნებისა და დიდაქტიკური მასალის არჩევა შემეცნებითი ინტერესების დასაკმაყოფილებლად. თავისუფალი საქმიანობის პირობებში ბავშვი სწავლობს საკუთარი შესაძლებლობების შეფასებას. აცნობიერებს თავის პასუხისმგებლობას გადაწყვეტილების მიღებისას, განიცდის სიხარულის გრძნობას ამ პროცესისა და საქმიანობისგან, რომელიც შინაგანად ხორციელდება და არა გარეგანი განწყობით.

- **ყურადღების კონცენტრაციის პრინციპი**

მონტესორს მიაჩნია, რომ თავისუფალი და დამოუკიდებელი საქმიანობა შეუძლებელია ხანგრძლივი დროის განმავლობაში ყურადღების მობილიზების გარეშე. ბავშვებმა აუცილებლად უნდა მიიყვანონ დაწყებული საქმე ბოლომდე. ყურადღებით უნდა ადევნონ თვალ-ყური მასწავლებლის საქმიანობას, როდესაც ის უჩვენებს დიდაქტიკურ მასალასთან მუშაობის წესებს. უნდა მოისმინონ მასწავლებლის განმარტებები, თუ ეს აუცილებელია. მონტესორი ამას ყურადღების პოლარიზებას უწოდებდა. ეს ფენომენი მან ადრეული ასაკის ბავშვებთან მუშაობისას აღმოაჩინა. მონტესორი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ყურადღების დიდი ხარისხით კონცენტრაცია იწვევს ხელების აქტივობას გონების ხელმძღვანელობით. ბავშვთა „ექსპერიმენტები" დამოუკიდებლად არჩეული საგნის აქტიური კვლევის შედეგია, რომელიც, თავის მხრივ, ააქტიურებს ყურადღებას, ბავშვის სააზროვნო საქმიანობებს და ხელს უწყობს მათ ხანგრძლივ და ეფექტურ გაერთიანებას - პოლარიზაციას. საგანზე შინაგანი კონცენტრაციის წყალობით შესაძლებელი ხდება ბავშვის თვითგანვითარების პროცესის წარმართვა. ამას გარდა, იგი ავითარებს გამძლეობასა და მოთმინებას, რომელიც აუცილებელია ინტელექტუალური საქმიანობისთვის. მონტესორიმ ასევე შეამჩნია, რომ შინაგანი წამქეზებელი - ყურადღების კონცენტრაცია ბავშვისათვის არ არის გადამღლელი, როგორც პედაგოგის მხრიდან შინაგანი ყურადღების კონცენტრაციაა წაქეზება. „რაც უფრო ვითარდება შინაგანი კონცენტრაციის უნარი, მით უფრო ხშირდება მუშაობაში ჩართვა და უფრო მკვეთრი ხდება ახალი ფენომენი - ბავშვების დისციპლინა"- წერდა მონტესორი. შინაგანი დისციპლინა „თავისუფლების მეორე მხარე" ხდება.

- **საგანგებოდ მომზადებული სასწავლო გარემოს პრინციპი**

მონტესორის აზრით, საგანგებოდ მომზადებული გარემოს შექმნისათვის აუცილებლად უნდა იქნას გათვალისწინებული ბავშვის ფიზიკური შესაძლებლობები. ადვილად ხელმისაწვდომ თაროებზე უხვადაა განლაგებული საგულდაგულოდ გააზრებული და მოსწავლეთა ყოველმხრივი განვითარების შემცველი დიდაქტიკური მასალა. მონტესორი-მასალის თვისებები და ხარისხი მაქსიმალურად უწყობს ხელს

ვარჯიშის პროცესში ყურადღების პოლარიზაციას. ამ დროს საკუთარი სურვილით არჩეული საქმიანობის არსში გააზრებული წვდომა მიმდინარეობს.

მონტესორის პედაგოგიკაში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ბავშვისათვის ახალი, რთული ქმედებების სინთეზის პროცესს, რომელიც მას დიდაქტიკური მასალების სავარჯიშოებით მიეწოდება. ამიტომ, არ ასწავლის მონტესორი წერას-წერით, კითხვას-კითხვით, ხატვას-ხატვით. იგი ბავშვს საშუალებას აძლევს, დამოუკიდებლად „ააშენოს ელემენტებიდან ეს რთული ქმედებები, როდესაც მას შესაბამისი სენსიტიური პერიოდი დაუდგება." ბავშვის წერისა და კითხვის სწავლების ირიბი შემზადება იწყება უკვე 3 წლის ასაკიდან და დიდაქტიკური მასალა, უპირველეს ყოვლისა, ემსახურება იმას, რომ უკარნახოს მას „გონებრივი წესრიგი" ბავშვის განვითარების შესატყვისად. პედაგოგი ქმნის და ხელს უწყობს ბავშვსა და განვითარებულ საგნობრივ-სივრცით გარემოს შორის კავშირს. იგი ყურადღებით აკვირდება ბავშვებს. არავითარ შემთხვევაში არ ახვევს თავს დახმარებას, მაგრამ აუცილებლობის შემთხვევაში ეხმარებათ ზუსტად იმდენად, რამდენადაც მათ ეს ესაჭიროებათ. პედაგოგი არ ერევა მათ საქმიანობაში, საშუალებას აძლევს დაუშვან შეცდომები და შემდგომ დამოუკიდებლად გამოასწორონ, რამდენადაც კონტროლის ფუნქცია თავად დიდაქტიკურ მასალაშია ჩადებული.

მიგვაჩნია, რომ ბავშვისათვის მონტესორი-მასალები ეს არის „სამყაროს გასაღები", რომლის მეშვეობითაც მას სისტემაში მოჰყავს თავისი ქაოსური წარმოდგენები სამყაროს შესახებ. მონტესორის სიტყვებით „მასალა... ბავშვისათვის შინაგანი სამუშაოს დამხმარე და ხელმძღვანელი უნდა იყოს, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ბავშვი იზოლირებული არ უნდა იყოს სამყაროსგან. მას ეძლევა „იარაღი", რომლის დახმარებითაც შესაძლებელია დაეუფლოს მთელს სამყაროს და მის კულტურას."

• **სენსიტიურობის პრინციპი**

მონტესორის დიდაქტიკური მასალა თავისი სტრუქტურითა და საგნობრივი ლოგიკით ბავშვის განვითარების სენსიტიურ პერიოდს შეესაბამება. მონტესორიმ გამოყო 6 წლამდე ბავშვის განვითარების 6 ძირითადი სენსიტიური პერიოდი: ლაპარაკის განვითარების, სენსორული, აღქმითი და წესრიგის დამყარების სენსიტიური, უმცირესი

საგნების მოძრაობების და მოქმედებების ათვისებისა და სოციალური განვითარების პერიოდები. ის ვარაუდობდა, რომ ადრეულ ასაკში ბავშვს შეუძლია ინტუიციურად აღიქვას გარემო მთლიანობაში. ბავშვი გაუცნობიერებლად ირჩევს იმას, რაც არსებულ მომენტშია აუცილებელი მისი პიროვნების ფორმირებისთვის სენსიტიურ პერიოდში ყოფნისას.

• **შეზღუდვისა და წესრიგის პრინციპი**

მონტესორი თვლიდა, რომ წესრიგის დარღვევა და მისი აღდგენა - ბავშვის საქმიანობის უძლიერესი მოტივაციაა, რადგან ბავშვს მოსწონს, მის გარშემო არსებულ ნივთებს რომ ხედავდეს ერთსა და იმავე ადგილზე. ის ცდილობს აღადგინოს წესრიგი, თუ დაარღვია. მონტესორი ბავშვის სურვილს წესრიგისადმი აფასებს, როგორც განვითარების უმნიშვნელოვანეს, იდუმალ სენსიტიურ ფაზას. წესრიგის გარდა, მომზადებულ დიდაქტიკურ გარემოში უმნიშვნელოვანესი პრინციპი შეზღუდვაა. ყოველი მასალა და სამუშაოს სახეობა მხოლოდ ერთ ეგზემპლარად უნდა იქნას მიწოდებული, რათა არ შემცირდეს ბავშვის აღქმის ინტენსივობა. დიდაქტიკური მასალის კომპონენტებს შორის ურთიერთობას ბავშვის უკონფლიქტო სოციალური ქცევის ფორმირების დანიშნულებაც აქვს. პრობლემის წარმოქმნისას, როდესაც რამდენიმე ბავშვს სურს ერთსა და იმავე მასალაზე მუშაობა, განმუხტვა ხდება ცივილური გადაწყვეტილებებით.

• **განათლების სისტემაში პედაგოგის განსაკუთრებული ადგილის პრინციპი**

ჩვენი შეხედულებით, მონტესორის პედაგოგიკის განსხვავებულობის ერთი ძირითადი თავისებურება არის სწავლის პროცესში აქტიურობის ცენტრის პედაგოგიდან ბავშვზე გადატანა. ბავშვი არ არის მსმენელი, იგი პასიურად არ აღიქვამს მასწავლებლის ახსნილ მასალას. პირიქით, სწავლობს დამოუკიდებელი „ექსპერიმენტული“ საქმიანობის პროცესში ინდივიდუალური ინტერესებისა და მოთხოვნების შესაბამისად.

ერთი შეხედვით, მასწავლებლის როლი სწავლის პროცესში შეიძლება დაკნინებული მოგვეჩვენოს. სინამდვილეში კი ტრადიციულ პედაგოგიკაში დამკვიდრებული წარმოდგენების საპირისპიროდ „დახმარება, რომელიც მასწავლებელმა უნდა გაუწიოს მოსწავლეს, იმაში მდგომარეობს, რომ წარმოუდგინოს მასალა და უჩვენოს, თუ როგორ

გამოიყენოს იგი და როგორ იმუშაოს მასზე. პედაგოგი ყოველთვის კეთილგანწყობილია და ძალდაუტანებლად ხელმძღვანელობს ბავშვს. ის შუამავლის როლს ასრულებს ბავშვსა და დიდაქტიკურად მომზადებულ გარემოს შორის. ამიტომ, პედაგოგი მუდმივად იმყოფება ბავშვის გვერდით. ყურადღებით აკვირდება მას. აუცილებლობის შემთხვევაში ერთი ნაბიჯით უსწრებს და სთავაზობს დახმარებას. თუ საჭიროა, ერთი ნაბიჯით უკანაც იხევს და საშუალებას აძლევს ბავშვს, ისიამოვნოს დამოუკიდებელი მუშაობით.

ვფიქრობთ, სწავლების ასეთი ორგანიზების მნიშვნელოვანი ეფექტი იმაში მდგომარეობს, რომ ჩვეულებრივი მეცადინეობისგან განსხვავებით, პედაგოგს დროის მართვის დიდი შესაძლებლობები აქვს. ამასთანავე, არ ფერხდება უფრო ნიჭიერი და სწრაფად მოაზროვნე ბავშვების წინსვლა. თითოეული ბავშვი სწავლობს საკუთარი „საგანმანათლებლო მარშრუტით," მისთვის კომფორტული სისწრაფით. ეს საშუალებას იძლევა, არა მხოლოდ სიტყვით, არამედ საქმითაც მაქსიმალურად იქნას დაცული სწავლისადმი **ინდივიდუალური** და **დიფერენცირებული** მიდგომის პრინციპი.

• **სოციალური აღზრდისა და ინტეგრაციის პრინციპი**

მონტესორის პედაგოგიკის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პრინციპია სოციალური აღზრდისა და ინტეგრაციის პრინციპი. ინდივიდუალური მუშაობა და ინდივიდუალური ინტერესი შესაძლებელი ხდება სასწავლო საშუალებების მეშვეობით, რომელიც გათვალისწინებულია ჯგუფში ინდივიდუალური მუშაობისთვის. მონტესორი მიიჩნევდა, რომ ბავშვების ასაკობრივი ნიშნით გაერთიანება არაბუნებრივია და არასაკმარისად პროდუქტიულია ერთობლივი საქმიანობისთვის. შერეული ასაკობრივი ჯგუფები ხელს უწყობს როლური დისტანციების განვითარებას, რაც დადებით გავლენას ახდენს ბავშვების ზნეობრივ აღზრდაზე. მათ უვითარდებათ ურთიერთდახმარების ბუნებრივი სურვილი: უმცროსებს შეუძლიათ დახმარება სთხოვონ უფროსებს. უმცროსები ბაძავენ უფროსებს საქმიანობასა და ქცევაში. ამგვარ ჯგუფებში გაცილებით ბუნებრივად ვითარდება და ფორმირდება სოციალური უნარები. ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ შერეულ ასაკობრივ ჯგუფებში არ არის ბავშვების ერთმანეთთან შედარების აუცილებლობა. ამიტომაც, აქ არასრულფასოვნების კომპლექსის

ფორმირებისა და განვითარების მიზეზები არ არსებობს („მე არ გამომდის, იმიტომ რომ პატარა ვარ, გავიზრდები და ვისწავლი“). ბავშვის შეფასება ხდება საკუთარ წინა მიღწევებთან შედარებით, რაც ჰუმანური პედაგოგიკის მოთხოვნებს სავსებით შეესაბამება.

§ 2. ბავშვის ასაკობრივი პერიოდიზაცია მონტესორის მიხედვით

მარია მონტესორი თავის ნაშრომებში ხაზს უსვამს განსხვავებებს ზრდასრულის და ბავშვის ბუნებას შორის. ამის საფუძველზე ის ამტკიცებს, რომ „ ...არსებობს სიცოცხლის ორი ფორმა, ზრდასრულთა ცხოვრება და ბავშვის ცხოვრება. ორივე ძალიან განსხვავებულია, აშკარად ურთიერთსაწინააღმდეგო“ (30, გვ.8). განსხვავებები, რომლებიც მან გამოყო, შეიძლება წარმოვადგინოთ 3 ჯგუფად:

1. განსხვავებები განვითარების დონის მიხედვით;
2. განსხვავებები „მუშაობის“ ხასიათში;
3. გონების განსაკუთრებული შესაძლებლობები და კანონები, რომლებიც მიესადაგება მხოლოდ ბავშვს.

განსხვავებები ზრდასრულის და ბავშვის განვითარების დონეებს შორის აშკარაა და განისაზღვრება იმით, რომ ზრდასრულები - უკვე დადგენილი და ჩამოყალიბებული ადამიანები არიან, ბავშვები კი - არა. ზრდასრულებს სრულად აქვთ განვითარებული გრძნობის ორგანოები, ნებაყოფლობითი მოძრაობები და მათი კოორდინაცია, ნებელობითი თვისებები. ისინი კარგად იცნობენ სამყაროს და არ ესაჭიროებათ ნივთების შეხება.ბავშვები კი მხოლოდ განავითარებენ მოძრაობების კოორდინაციას, ამიტომ მათ ესაჭიროებათ ბევრი მოძრაობა. ბავშვებს სურთ გაეცნონ გარესამყაროს, მაგრამ მათი გრძნობის ორგანოები ჯერ კიდევ არ არის საკმარისად განვითარებული და ისინი

საჭიროებენ მუდმივად შეეხონ საგნებს. მოზრდილების და ბავშვების სხეულის პროპორციები ასევე განსხვავებულია, შესაბამისად, ბავშვისთვის ბუნებრივია იატაკზე ხოხვა, რათა უფრო ადვილი იყოს მისთვის დიდი თავის დაჭერა და წონასწორობის შენარჩუნება.

ვიდრე განვიხილავთ და გავაანალიზებთ „ბავშვის მუშაობის“ თავისებურებებს ზრდასრულის მუშაობასთან შედარებით, უნდა ავხსნათ, თუ რა იგულისხმება ამ პირველ ტერმინში. მონტესორიმ განაცხადა: „მუშაობა არის საქმიანობა, რომელიც არ არის დაკავშირებული არც სწავლებასთან და არც ზრდასრულის სურვილთან. მუშაობა აახლოებს ბავშვს გარემოსთან” (30, გვ.8). ჩვენ ვვარაუდობთ, რომ მისი გაგებით, „ბავშვის მუშაობა“ წარმოადგენს სპონტანურ შემოქმედებით საქმიანობას რეალურ საგნებთან.

ამგვარად, ზრდასრულის და ბავშვის მუშაობის ხასიათი განსხვავებულია. ორივე მათგანი მოქმედებს გარესამყაროს ობიექტებთან, მაგრამ ზრდასრულის მუშაობის მიზანი მის გარეთაა და ბავშვის კი - თავად მის შიგნით. ზრდასრული შეგნებულად გარდაქმნის გარესამყაროს, რადგან მისი მიზანია ის მიესადაგებოდეს მის საჭიროებებს.

ბავშვი ხშირად მოქმედებს გაუთვითცნობიერებლად, მისი მუშაობა არის ბუნებრივი საჭიროებების განვითარების გამოვლინება და მისი მიზანი - საკუთარი პიროვნების სხვადასხვაგვარი ფუნქციების განვითარება და აგება. თუ ზრდასრულს აინტერესებს მუშაობის შედეგი, რომლის მიღწევისას იგი წყვეტს საქმიანობას, ბავშვისთვის მნიშვნელოვანია თვით მუშაობის პროცესი და იგი იმეორებს ქმედებებს იმდენჯერ, სანამ არ დააკმაყოფილებს მათში შიდა მოთხოვნილებებს. თუ კი ზრდასრული ცდილობს მიაღწიოს შედეგს შრომის მინიმალური დანახარჯებით, ბავშვი იყენებს მაქსიმალურ ენერგიას, ერთი შეხედვით უაზრო აქტიურობაზე: მრავალჯერ რეცხავს სუფთა თეფშებს, ხეხავს უკვე დიდი ხნის გაპრიალებულ მაგიდას, აუთოებს დაუთოებულ სარეცხს და ა.შ. ზრდასრულისგან განსხვავებით, ბავშვი არ იღლება მუშაობით, ეს ზრდის მის ენერგიას. მას არ სჭირდება გამხნევება, არც სასჯელი, იმიტომ, რომ ის იკმაყოფილებს ზრდის მოთხოვნილებას. ბავშვისთვის მთავარია, რომ იმუშაობს, გაიზარდოს და განვითარდეს ან დაიღუპოს.

მონტესორი აღნიშნავს, რომ ბავშვს აქვს სხვა სახის გონება, ვიდრე ზრდასრულს და მას უწოდა „შთანთქმითი აზროვნება“. „შესაძლებელი იყო გვეთქვა, - წერს, - რომ ჩვენ ვიღებთ ცოდნას ჩვენი გონებით, მაშინ, როდესაც ბავშვი შთანთქავს მას თავისი ფსიქიკური ცხოვრებით. ბავშვი თითქოს ქმნის „გონების სხეულს", როდესაც ის უკავშირდება მის გარემოში არსებულ საგნებს. ჩვენ ვუწოდეთ მის გონების ფორმას შთანმთქმელი აზროვნება. ჩვენთვის რთული გასაგებია ბავშვის გონების შესაძლებლობების გაგება, მაგრამ უდაოდ, საუბარია გონების პრივილეგირებულ ფორმაზე“ (30, გვ. 8).

ბავშვი შთანთქავს გამოსახულებებს მის გარემომცველ სამყაროში, რომლებსაც აწვდის მისი გრძნობის ორგანოები ქვეცნობიერად და დაუღალავად. „უბრალოდ, ამ დროს, როდესაც ბავშვი ცხოვრობს, ის სწავლობს მისი რასის ენას“ (30, გვ. 9). მართლაც, ადრეულ ბავშვობაში, ბავშვი ადვილად ეუფლება ნებისმიერ ენას, იღებს ყველა მის გრამატიკულ სტრუქტურას, ინტონაციის თავისებურებებს და ბგერების გამოთქმას, თუ კი მუდმივად არის შესაბამისი ენის გარემოში. არ აქვს მნიშვნელობა, თუ რამდენად რთული შეიძლება აღმოჩნდეს ჩვენთვის, მაგალითად, ჰინდი, ჩინური და იაპონური, ბავშვები უკვე ცხოვრების მეორე წელს გებულობენ და საუბრობენ მათზე.

„რაოდენ მშვენიერი იქნებოდა, - ამბობს მონტესორი - ცოდნას რომ შეეძლოს შეაღწიოს ჩვენს ცნობიერებაში დიდი ძალისხმევის გარეშე, უბრალოდ, იმ პროცესში, როდესაც ჩვენ ვცხოვრობთ, როგორც სუნთქვა და საკვები. თავიდან, ჩვენ ვერაფერს განსაკუთრებულს ვერ შევამჩნევდით, შემდეგ კი ჩვენს ტვინში გაჩნდებოდა მიღებული ცოდნა, როგორც აკიაფებული სანთელი. ჩვენ თანდათანობით ვიგრძნობდით ამ ცოდნას, რომელიც ჩვენ შევიძინეთ ყოველი დაძაბვის გარეშე და რომელიც გახდა ჩვენი საკუთრება“ (30, გვ.9).

ბავშვის აზროვნებას მონტესორი ადარებს ღრუბელს, რომელიც შეიწოვს წყალს. ისევე, როგორც ღრუბელი შეიწოვს ნებისმიერ წყალს - სუფთას ან ბინძურს, გამჭვირვალეს, მღვრიეს ან შეფერადებულს - ბავშვის გონება შთანთქავს გარე სამყაროს გამოსახულებებს და არ დაჰყოფს მათ, როგორც „კარგი“ და „ცუდი“, „სასარგებლო“ და

„უსარგებლო“ და ა.შ. განსაკუთრებულ მნიშვნელობას ამ კონტექსტში იძენს ობიექტური და სოციალური გარემო, რომელიც მოიცავს ბავშვს. ზრდასრულმა უნდა შეუქმნას ბავშვს ისეთი გარემო, რომელშიც მას უნდა შეეძლოს იპოვოს ყველაფერი, რაც საჭირო და სასარგებლოა მისი განვითარებისათვის, მიიღოს მდიდარი და მრავალფეროვანი სენსორული შთაბეჭდილებები, „აითვისოს“ სწორი მეტყველება, ემოციური რეაგირების სოციალურად მისაღები ხერხები, დადებითი სოციალური ქცევის ნიმუშები, ობიექტებთან რაციონალური საქმიანობის ხერხები.

განვითარების პროცესში ბავშვის გონება თანდათან ტრანსფორმირდება ზრდასრულის გონებად. ყალიბდება „საღად მოაზროვნე ადამიანად“, ბავშვი კარგავს აზროვნების უნიკალურ შესაძლებლობას, ბუნებრივად და ძალისხმევის გარეშე აღიქვას ცოდნა გარე სამყაროს შესახებ. „ის ქვეცნობიერად შთანთქავს ყველაფერს და თანდათანობით გადადის შეუგნებლიდან შეგნებული გზაზე, რომელიც აღსავსეა სიხარულით და სიყვარულით. ...ადამიანის ცნობიერება, ჩვენი წარმოდგენით - დიდი მიღწევაა. გახდე ცნობიერი, შეიძინო ადამიანის გონება! მაგრამ ამ შენაძენისათვის ჩვენ ძვირი უნდა გადავიხადოთ , რადგან, როგორც კი ჩვენ შევიძენთ ცნობიერებას, ყოველი ახალი ცოდნა გვიღირს ჩვენ დიდ შრომად და ძალისხმევად“ (30, გვ. 10).

როგორც წინა პარაგრაფებში აღვნიშნეთ, ცნება „სენსიტიური პერიოდები“ არის მონტესორის ერთ-ერთი ძირითადი საკვანძო საკითხი ბავშვის განვითარების პროცესის წარმოდგენაში. ბავშვის განვითარების მგრძნობიარე პერიოდების სრულყოფილი დახასიათება მოცემულია ერთ-ერთ მისი გვიანდელ ნაშრომში - წიგნში „ბავშვობის საიდუმლო“, რომელიც მოგვიანებით ითარგმნა რამდენიმე ენაზე, მათ შორის ინგლისურად და გერმანულად (30, გვ.10). ჰოლანდიელმა მეცნიერმა ჰუგო დე ფრიზმა აღმოაჩინა ცხოველებში მომატებული მგრძნობელობის და მგრძნობიარობის პერიოდები. მონტესორიმ კი, მისი სიტყვებით, შესაძლებელი გახადა იმის დადგენა, როგორიცაა ასეთივე „სენსიტიური პერიოდები“ ბავშვების განვითარებაში და მათი სასარგებლოდ გამოყენება აღზრდის მიზნებისათვის.

საინტერესოა, როგორ ახასიათებს მონტესორი მგრძნობიარე პერიოდებს: „საუბარია განსაკუთრებით მგრძნობიარე პერიოდებზე, რომელიც გვხვდება განვითარებაში, ანუ ცოცხალი არსებების საბავშვო ასაკში...ისინი დროებითია და ემსახურება მხოლოდ იმას, რათა მისცეს ცოცხალ ორგანიზმებს საშუალება, შეიძინონ გარკვეული შესაძლებლობა. როგორც კი ეს მოხდებოდა, შესაბამისი მგრძნობელობა ისევ შემცირდებოდა. ასე ვითარდება ხასიათის თითოეული თვისება რაღაც იმპულსის საფუძველზე და ვიწრო შემოფარგლული დროის პერიოდში. განვითარების ამ ფუძემდებლურ სტადიებზე ზრდასრული ვერანაირად გარედან ვერ ახდენს გავლენას. მაგრამ, თუ ბავშვს არ ჰქონდა შესაძლებლობა ემოქმედა მისი განსაკუთრებული მგრძობიარობის პერიოდების მითითებების შესაბამისად, მან ხელიდან გაუშვა შესაძლებლობა, შეიძინოს ბუნებრივი გზით გარკვეული შესაძლებლობა და ეს შანსი დაკარგულია სამუდამოდ” (30, გვ.11).

ამდენად, მგრძნობიარე პერიოდები ემსახურება იმას, რომ ბავშვს ჰქონდეს შესაძლებლობა, განავითაროს გარკვეული ფუნქციები, რომ შეიძინოს მისთვის აუცილებელი ცოდნა, უნარ-ჩვევები, ქცევა და ასე შემდეგ. ისინი შეუქცევადია, მიუხედავად იმისა, რეალიზებულია თუ არა მისი შიდა პოტენციალი და გამოყენებულია ხელსაყრელი პირობები გარკვეული გონებრივი თვისებების და პროცესების განვითარებისათვის. თუ ჩვენ ვეცდებით განვავითაროთ ბავშვის გარკვეული უნარი შესაბამისი მგრძნობიარე პერიოდის ჩარჩოების მიღმა შედეგი მიიღწევა ბევრად უფრო დიდი შრომის ფასად, ან ვერ იქნება მიღწეული საერთოდ. „მაგრამ, პირიქით, თუ კი მგრძნობელობის პერიოდმა ჩაიარა – წერს მონტესორი - შემდგომი პროგრესის მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ ამრეკლი მოღვაწეობით, ნებისყოფის, შრომისმოყვარეობის და სტრესის ხარჯზე. მოდუნებით კი მუშაობა ხდება რაღაც დამქანცველი“ (29, გვ.12).

მიუხედავად იმისა, რომ ზრდასრულს არ შეუძლია გავლენა მოახდინოს მგრძნობიარე პერიოდის წარმოქმნის დასაწყისზე და ხანგრძლივობის მიმდინარეობაზე გარედან, მან უნდა იცოდეს ამ პერიოდის არსებობის შესახებ; დააკვირდეს და შეამჩნიოს სიმპტომები, რომლებიც დამახასიათებელია ამა თუ იმ პერიოდის ყველაზე ინტენსიური მიმდინარეობისათვის და გამოიყენოს დაკვირვების შედეგები ბავშვის განვითარების

აქტუალური დონის შეფასებისათვის; განჭვრიტოს შესაბამისი მგრძნობიარე პერიოდის დაწყება და მოამზადოს გარემო იმ სწავლების ინსტრუმენტებით, რომლებსაც ბავშვი ობიექტურად საჭიროებს მოცემულ მომენტში.

მგრძნობიარე პერიოდები არის უნივერსალური, ანუ ჩნდება ყველა ბავშვის განვითარების პროცესში მიუხედავად რასის, ეროვნების, სოციალური წარმოშობის, გეოპოლიტიკური და კულტურული განსხვავებების და ასე შემდეგ. ისინი აგრეთვე ინდივიდუალურია, რადგანაც მათი გამოვლენის დრო, ხანგრძლივობა და დინამიკა შეიძლება იყოს სხვადასხვა კონკრეტულ ბავშვებში. მიუხედავად ამისა, არსებობს სხვადასხვა მგრძნობიარე პერიოდის სამაგალითო საშუალო ზღვარი. თითოეული მათგანის მიმდინარეობა ხასიათდება შესაბამისი მგრძნობელობის ნელი დასაწყისით, მაქსიმალური ინტენსივობის ეტაპით და თანდათანობითი, ეტაპობრივი შემცირებით.

მონტესორის მიხედვით, ძირითად **სენსიტიურ** პერიოდებს მიეკუთვნება: ენის (მეტყველების) განვითარების მგრძნობიარე პერიოდი (0 - 6 წელი); წესრიგის აღქმის მგრძნობიარე პერიოდი (0 - 3 წელი); სენსორული განვითარების მგრძნობიარე პერიოდი (0 - დაახლოებით 5.5 წლის); პატარა საგნების აღქმის მგრძნობიარე პერიოდი (1.5 - 2.5 წლის); მოძრაობების და მოქმედებების განვითარების მგრძნობიარე პერიოდი (1 - 4 წელი); სოციალური უნარ - ჩვევების განვითარების მგრძნობიარე პერიოდი (2.5 - 6 წელი).

ასაკობრივი პერიოდიზაცია, რომელსაც ემხრობოდა მ. მონტესორი, განხილულია დ.გ. სოროკოვის მიერ. მან აჩვენა, რომ განვითარების ეს მოდელი ეფუძნება ბავშვთა განვითარების მრავალწლიანი დაკვირვების შედეგებს მათი საქმიანობის, ინტერესების, შემეცნებითი იმპულსების, თავისუფალი გადაადგილების და აქტიურობის პროცესში . მონტესორისთან ბავშვის ასაკობრივი პერიოდიზაცია ასეთია:

- 0-3 წელი - „შთანმთქავი გონება“- საგნობრივ - გრძნობითი ორიენტირება;
- 3-6 წელი - „საკუთარი თავის მშენებელი“ - მეტყველებისადმი სენსიტიურობა, ენის ათვისება, თვალსაჩინო-ხატოვანი აზროვნება;
- 6-9 წელი - „გარე სამყაროს მკვლევარი“ - აბსტრაქტულ მოქმედებათა ათვისება;
- 9-12 წელი - „მეცნიერი“ სკოლის პირველი საფეხურის დასრულება;

- 12 -18 წელი - „სოციალური მუშაკი“ - საგიმნაზიო და უფროსი საფეხური

ბავშვის განვითარების პროცესში მონტესორი გამოყოფს 3 ფაზას: 0-დან 6 წლამდე, 6-დან 12 წლამდე და 12-დან 18 წლამდე.

პირველი ეტაპი (0 - 6) ხასიათთება ბავშვის შემეცნებითი აქტიურობის გლობალური ორიენტაციით გარე სამყაროს გრძნობელობითი წარმოდგენის ფორმირებაზე. „კოსმიური გეგმის“ შესაბამისად ბავშვი „გადაწყვეტს“ თავისი განვითარების შიდა ამოცანას, რომელიც ამ ეტაპზე მდგომარეობს იმაში, რომ შეიქმნას გარემომცველი სამყაროს, საკუთარი თავის და სამყაროში მისი ადგილის ემოციურად შეფერილი სურათი. 0–დან 3 წლამდე ასაკის ბავშვი არის, ასე ვთქვათ, „ემოციური კამერტონი“, მშობლების, ძირითადად დედების ზემგრძნობიარე ემოციების რეზონატორი. მისი შთანმთქავი გონება იკრებს მოზრდილთა აზროვნების ემოციური რეაგირების მეთოდებს იმ მოვლენების მიმართ, რაც ხდება მსოფლიოში. ამ მიზეზით, ყველაზე შესაფერისი გარემო ბავშვის ოპტიმალური განვითარებისათვის არის მშობლების სახლი და მზრუნველობა.

3-დან 6 წლამდე ასაკის ბავშვი არის „საკუთარი თავის მშენებელი.“ ამ ეტაპზე მოდის მისი განვითარების რიგი სენსიტიური პერიოდების მაქსიმალური ინტენსივობის ფაზები - სენსორული, სამოძრაო, სამეტყველო, სოციალური. ყველაზე შესაბამისი პირობები ამ ასაკში ბავშვის განვითარებისთვის არის სპეციალურად მომზადებული გარემო, რომელშიც არსებობს ყველა საჭირო კომპონენტი: სენსორული, სამეტყველო, მათემატიკური მასალები, პრაქტიკული ცხოვრების უნარებისდაუფლების მასალები, ბუნების გაცნობის და, მთავარი: ბავშვებს შეუძლიათ თავისუფლად გადაადგილდნენ და აირჩიონ საქმიანობა.

მეორე ეტაპი (6-12), ბავშვის განვითარების გლობალური ორიენტაცია დაკავშირებულია მის მიერ ადამიანის ადგილის და როლის ძიებასთან ბუნებასა და კულტურაში, ეს იქნება როგორც საკაცობრიო, ასევე საკუთარი ინდივიდუალური როლის ძიება.

ბავშვის გონებაში იქმნება სამყაროს მეტ-ნაკლებად ადეკვატური და გააზრებული სურათი, საკუთარი თავის და სამყაროში საკუთარი ადგილის სურათი. 6-დან 9 წლამდე

ასაკის ბავშვი შემეცნებითი საქმიანობის განხორციელების თავისუფალ პირობებში არის „მკვლევარი“, რომელიც იმ მიზნით, რომ შეიმეცნოს სამყარო, ცდილობს გასცილდეს ადამიანის გრძნობის ორგანოების შესაძლებლობების ფარგლებს ახალი ხელსაწყოების, ექსპერიმენტის და ა. შ. გზით. თანდათანობით ის მიდის იმ დასკვნამდე, რომ არ არის საჭირო ყოველ ჯერზე დაიწყოს რაიმე მოვლენის შესწავლა „ნულიდან“, შეიძლება გამოვიყენოთ მზა ცოდნა, წინა თაობის მიღწევები. ამრიგად, ამ ასაკს შეიძლება ეწოდოს : „ბავშვი –მეცნიერის“ ასაკი.

და ბოლოს, განვითარების მესამე ფაზა (12-18) ხასიათდება ადამიანის გლობალური ორიენტაციით საზოგადოებაში და საკუთარი ადგილის პოვნით. 12-დან 15 წლის ასაკში ახალგაზრდა ადამიანი პოულობს კიდევ ერთ საშუალებას, რათა გაზარდოს მისი შემეცნებითი უნარი და ამ საერთო მიზნისათვის მოიზიდოს ხალხი. იგი ხდება „ორგანიზაციის მონაწილე“. 15-დან 18 წლამდე ასაკის ადამიანი აქტიური „სოციალური მონაწილეა“, რომელსაც შეუძლია იმუშაოს არასრულ განაკვეთზე და თავის თავისუფალ დროს ჩართული იყოს პროფესიულ კოლეჯებში და უნივერსიტეტებში სწავლის პროცესში. ეს არის პროფესიული კარიერის დაწყების ასაკი.

ჩვენ მიერ მოკვლეული მასალების საფუძველზე წარმოგიდგენთ, თუ როგორია მონტესორისეული ასაკობრივი პერიოდიზაციის წყაროები და ეკუთვნის თუ არა ის თვით მონტესორის. როდესაც განიხილავს ბავშვის განვითარების პროცესს, მონტესორი მოიხსენიებს ფსიქოლოგების - შტერნის, ბუჰლერის, ჯონსის და ბიოლოგ ჰესელის ნაშრომებს, რომლებსაც, მისი თქმით, ეკუთვნის ასაკობრივი პერიოდიზაციის იდეა და მისი შემუშავება. ასაკობრივი პერიოდიზაცია იმას ნიშნავს, რომ „ცხოვრების სხვადასხვა პერიოდებში არსებობს სხვადასხვა სახის ფსიქიკა და გონება (30, გვ.130).

ამრიგად, დაბადებიდან 3 წლის განმავლობაში ზრდასრულს არა აქვს პირდაპირი შეხება ბავშვის გონებასთან და არ შეიძლება იქონიოს პირდაპირი ზეგავლენა მასზე. 3-დან 6 წლამდე ასაკის ბავშვი უფრო ექცევა ზრდასრულის გავლენის ქვეშ, მასში ხდება უზარმაზარი ცვლილებები, ასე რომ, 6 წლის ასაკში მას შეუძლია სკოლაში სიარული. 6-დან 12 წლის პერიოდში ბავშვი საკმაოდ მშვიდად იზრდება და ვითარდება

განსაკუთრებული შიდა ცვლილებების გარეშე. გარეგნულად ხდება ზომიერი ცვლილებები, მაგალითად, ბავშვის სარძევე კბილი მუდმივი კბილით იცვლება. 12 - 18 წლის პერიოდი გვახსენებს სკოლამდელ ბავშვობას ინტენსიური ცვლილებებით, რომლებიც მიმდინარეობს მოზარდში. 18 წლის შემდეგ ადამიანი სრულიად ჩამოყალიბებულია, შემდგომ ის მხოლოდ ბერდება, მიიჩნევს მონტესორი.

§ 3 სწავლების ორგანიზაციის ფორმები მონტესორის პედაგოგიკურ სისტემაში

სკოლაში გაკვეთილი არის სასწავლო მუშაობის ორგანიზაციის ძირითადი ფორმა. დავით ლორთქიფანიძის აზრით, გაკვეთილს მრავალი უპირატესობა აქვს სასწავლო მუშაობის მოწყობის ყველა დანარჩენ ფორმასთან შედარებით. „პირველი უპირატესობა მდგომარეობს იმაში, რომ გაკვეთილი, როგორც სწავლების კოლექტიური ფორმა, ემყარება ორგანიზებულობას, წესრიგს, სიზუსტეს, მტკიცე რეჟიმს... მეორე უპირატესობა ისაა, რომ გაკვეთილი იძლევა შესაძლებლობას დროის რაციონალურად გამოყენებისათვის, უმოკლეს ვადაში მეტი სასწავლო ეფექტების მიღწევისათვის... მესამე უპირატესობა ისაა, რომ გაკვეთილი შესაძლებელს ხდის და ხელს უწყობს მასწავლებლის მიერ მეცნიერებათა საფუძვლების თანმიმდევრულ და დასისტემებულ გადაცემას და მოსწავლეთა მიერ გადაცემულის მტკიცედ შეთვისებას, დაუფლებას... მეოთხე უპირატესობა მდგომარეობს იმაში, რომ საკლასო გაკვეთილის სისტემა შესაძლებელს ხდის მოსწავლეთა ყოფაქცევისა და აკადემიური წარმატების დიფერენცირებულად, ინდივიდუალურად და სისტემატურად აღრიცხვა-შეფასების განხორციელებას, რასაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს მოსწავლეთა აკადემიური წარმატების შეუნელებელი ზრდისთვის... მეხუთე უპირატესობა კი არის ის, რომ საკლასო გაკვეთილის სისტემა იძლევა ყველაზე მეტ შესაძლებლობას ფიზიკური აღზრდის მაღალ საფეხურზე დაყენებისათვის, საერთო სანიტარულ-ჰიგიენური პირობების დაცვასა და მოსწავლის პირად ჰიგიენაზე ...მეტი ხელმძღვანელობისა და კონტროლის დაწესებისათვის...” (5, გვ.149-150).

მონტესორის სკოლაში კი გაკვეთილები არ არის ამ სიტყვების პირდაპირი გაგებით. აქ სიტყვაში - გაკვეთილი სულ სხვა შინაარსია ჩადებული. მონტესორის სისტემაში მეცადინეობების სამი სახეობაა წარმოდგენილი:

1. **ინდივიდუალური** - აღმზრდელი სთავაზობს ერთ ან 2-3 მოსწავლეს სასწავლო მასალას, უჩვენებს მისი გამოყენების წესებს. დიდაქტიკურ მასალას გააჩნია განსაკუთრებული თვისებები:

- იზიდავს და ბავშვებს აღუძრავს ინტერესს;
- აქვს განსაზღვრული, თვალში მოსახვედრი თვისებები (სიგრძე, სიფართე...)
- გააჩნია შეცდომების კორექტირების საშუალება - ბავშვი თვითონ ამჩნევს საკუთარ შეცდომებს. მისთვის შეცდომების ახსნა საჭირო არ არის. შემდეგ ის დამოუკიდებლად აგრძელებს მუშაობას, იძენს გამოცდილებას და ცოდნას. ასეთი მეცადინეობის დროს სხვა ბავშვები აღმზრდელს არ მიმართავენ.

2. **ჯგუფური**

მონაწილეობს არა მთლიანი ჯგუფი, არამედ ერთნაირ დონეს მიღწეული ბავშვები. დანარჩენები მეცადინეობენ დამოუკიდებლად.

3. **საერთო**

მეცადინეობს მთელი კლასი. ეს არის მეცადინეობები მუსიკაში, ტანვარჯიშში, ბიოლოგიაში. გაკვეთილები საერთო საგნებში არის შემჭიდროებული და მოკლე. შემდეგ ბავშვები თვითონ წყვეტენ, აინტერესებთ ეს მათ თუ არა და იწყებენ დამოუკიდებლად მეცადინეობას სპეციალური მასალით.

„დღე იწყება საერთო წრით. პედაგოგები მას რეფლექსიურს ეძახიან, რადგან აქ მიმდინარეობს სინამდვილის გააზრების პირველი ცდები. აქ ხდება შეგრძნებებისა და დაკვირვებების გადმოცემა ენის მეშვეობით. გარკვეული აღწერისა და ანალიზის საფუძველზეხდება საკითხების ფორმულირება და პრობლემასთან მიახლოება. წრის შემდეგ ყველა თავისუფალია. თითოეული თვითონ არჩევს რით იქნება დაკავებული:მათემატიკით, მშობლიური ენით, ასტრონომიით, ისტორიით, ზოგი

ქიმიური ან ფიზიკური ცდების დაყენებას ამჯობინებს და ა.შ.” (12, გვ.183). ბავშვებს აქ არ აფასებენ ნიშნით. მთავარია ბავშვის თვითშეფასება.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, მონტესორის სისტემაში არ არის ტრადიციული საკლასო-საგაკვეთილო სისტემა, მაგრამ ამ მეთოდიკაში არსებობს სამსაფეხურიანი გაკვეთილის ცნება. „პირველი არის **ცოდნის** საფეხური, ამ საფეხურზე ბავშვებს მიეწოდებათ ახალი ცოდნა... ცოდნის განმტკიცება ხდება მეორე საფეხურზე, რომელსაც ჰქვია **გამოცდილების საფეხური.** ეს არის ყველაზე მნიშვნელოვანი და ხანგრძლივი საფეხური, რადგან სწორედ აქ მიმდინარეობს სწავლების პროცესი... მესამე კი არის **გადაცემული ცოდნისა და მათი შეთვისების შემოწმება.** ამ საფეხურზე ახალი ცნებები და შესაბამისი ტერმინები პასიური მდგომარეობიდან გადადიან აქტიურში. მასწავლებელი უჩვენებს საგანს და ეკითხება: რა არის ეს? როგორია ეს? ბავშვი ეუბნება, უჩვენებს კიდეც. ის აქტიურია” (13, გვ. 183).

მონტესორი სკოლაში კლასები არის შერეული ასაკის მიხედვით: 6 -9 წ.წ. ან 9 -12 წ.წ. და არის აგრეთვე გიმნაზიის პერიოდი 12-18 წ.წ. შემდგომ კლასში გადასვლა განისაზღვრება ბავშვის მოთხოვნილებებით და შესაძლებლობებით. ურთიერთდახმარება უფროს ბავშვებს საშუალებას აძლევს, იყვნენ პასუხისმგებლიანები, ხოლო პატარები - თავდაჯერებულები. არ არსებობს შური. უფროსების მიბაძვა უმცროსებს წარმატებისკენ უბიძგებთ. ასეთ კლასებში არ არის ზუსტი მიზანი მთელი სასწავლო წლისთვის. ყველაფერი გაწერილია 3 წლით. ყველა მოსწავლე მისთვის შესაფერის ტემპში მუშაობს. არ არსებობს არავითარი ძალდატანება.

დაწყებით სკოლაში (6-12) ისწავლებოდა მთელი რიგი საგნები. მათ შორის მშობლიური და უცხო ენები, მათემატიკა, აგრეთვე ისტორია, გეოლოგიის საფუძვლები, გეოგრაფია, რომელიც გაერთიანებული იყო „კოსმიურ აღზრდაში.”

ჩვენი შეხედულებით, საინტერესოა **მეთოდები,** რომელსაც იყენებდა მონტესორი სწავლებისა და აღზრდის პროცესში. უპირველესად უნდა გამოვყოთ ყველაზე მნიშვნელოვანი - „თავისუფალი საქმიანობა“ და „მომზადებული გარემო.“ სკოლამდელ ასაკში (0-6) მნიშვნელოვანი იყო მასწავლებლის მხრიდან ბავშვების თვალ-ყურის დევნება და საჭირო მომენტში დახმარების გაწევა. დახმარებაში იგულისხმებოდა დიდაქტიკურ

მასალასთან მუშაობის წესების ჩვენება. მუშაობის შემდეგ მასალის თავის ადგილზე დაბრუნების ჩვევის გამომუშავება. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მეთოდი იყო ზოგადიდან კონკრეტულისკენ, მთლიანიდან დეტალებამდე. ბავშვები იღებდნენ სამყაროზე ინფორმაციას მთლიანად, ხოლო შემდეგ კი ხდებოდა კონკრეტული სასწავლო მასალის დიფერენციაცია. დეტალი განიხილებოდა როგორც ერთი მთლიანის ნაწილი. გამოიყენებოდა აგრეთვე კლასიფიკაცია წერა-კითხვის, მათემატიკის, ზოოლოგიის სწავლებისას სენსორული მასალის საშუალებით. მნიშვნელოვანი იყო წარმოსახვის გაღვივება ბავშვებში. ზოგიერთ საგანში იყენებდნენ ფრონტალურ სწავლებას.

§ 4 მარია მონტესორის სწავლების მეთოდი

როგორ არის აგებული მ. მონტესორის სისტემა? როგორც თვითონ ამბობდა, თითოეულ ბავშვში ის ცდილობდა დაენახა ადამიანი, მას არ უნდოდა არაფერი ესწავლებინა მათთვის, თვითონ ბავშვები მიხსნიან საკუთარ ბუნებასო. მონტესორის სწავლების მეთოდი შედგება სამი ძირითადი ნაწილისაგან:

- ბავშვი
- განმავითარებელი გარემო
- მასწავლებელი



დევიზი არის: „დამეხმარე, რომ ეს თვითონ გავაკეთო”.

მასწავლებელი: დამკვირვებელი, გარემოს ორგანიზატორი, შუამავალი, აღმზრდელი

ძირითადი პრინციპი: ინდივიდუალური მიდგომა, დავალებების დამოუკიდებლად შესრულება.

მონტესორიმ თავის პედაგოგიურ საქმიანობას საფუძვლად დაუდო დიდი პრაქტიკული გამოცდილება და ექსპერიმენტული მასალა. მან თავის მეთოდიკას უწოდა თვითგანვითარების სისტემა დიდაქტიკურად მომზადებულ გარემოში. ბავშვის ქცევაზე დაკვირვებამ მონტესორის საშუალება მისცა, აღმოეჩინა „ყურადღების პოლარიზაციის ფენომენი, სწორედ აქედან აკეთებს ის დასკვნას ბავშვის თავისუფალი განვითარების და საგანგებოდ შექმნილ გარემოში მისი მუშაობის ფორმების და ხერხების შესახებ.

კლინიკაში ბავშვთა ექიმად მუშაობის დროს მარიამ ყურადღება მიაქცია გონებრივად ჩამორჩენი ბავშვებს, რომლებიც უმიზნოდ დაეხეტებოდნენ და არაფერი აინტერესებდათ. მონტესორი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ამ ბავშვებს თავის დროზე არ ჰქონდათ განვითარებისთვის სტიმული. მონტესორის აზრით, განათლების მისაღებად საკმარისია ისეთი განმავითარებელი გარემოს შექმნა, სადაც დიდაქტიკურ მასალას აირჩევდა არა მასწავლებელი, არამედ თვითონ ბავშვი და თვითონვე განსაზღვრავდა ამ მასალასთან მუშაობის დროს, გააკონტროლებდა თავის შეცდომებს.

მონტესორის სისტემა გამოყენებულ იქნა მის მიერვე დაარსებულ „ბავშვთა სახლში,“ რომელიც გაიხსნა რომში 1907 წელს. აღნიშნულ დაწესებულებაში უმეტესად 5-7 წლის ბავშვებს ღებულობდნენ. ჩქარა იგი სხვებისთვისაც მისაბაძი, მისაღები და მისაწვდომი გახდა. მარია მონტესორი თვლიდა, რომ „იმისათვის რომ აღვზარდოთ ბავშვი-უნდა ვიცოდეთ მისი ბუნება; იმისათვის რომ მისი ბუნება შევისწავლოთ, უნდა ვაკვირდებოდეთ მას; ხოლო იმისათვის რომ ვაკვირდებოდეთ-უნდა მივცეთ მას თავისუფლება.“

მონტესორის მიერ შექმნილ თვითაღზრდისა და თვითგანვითარების უნიკალურ სისტემაში არ არის სწავლების ერთიანი მოთხოვნები და პროგრამები. თითოეული ბავშვი მუშაობს საკუთარი ტემპით. მოსწავლე უამრავი აქტივობიდან თვითონ ირჩევს სასურველ

საქმიანობას, სახელმძღვანელო საშუალებებს. ბავშვი თვითონ ასწავლის საკუთარ თავს. ამ მეთოდში მნიშვნელოვანია სწავლის ინდივიდუალური არჩევანი და არა ჯგუფური გაკვეთილები. ასეთი მიდგომა ხელს უწყობს აღმოჩენით სწავლას. აღმზრდელის ამოცანაა, დაეხმაროს ბავშვს მისი საქმიანობის ორგანიზაციაში, საკუთარი გზის ძიებაში, შემოქმედებითი პოტენციალის რეალიზაციაში. „დამეხმარე, რომ თვითონ შევძლო ამის გაკეთება“-ამ სიტყვებში ირეკლება მონტესორის პედაგოგიური სისტემის არსი.

მონტესორის მეთოდიკა ეყრდნობა შემდეგ დებულებებს:

- ბავშვი აქტიურია, უფროსის როლი სწავლებაში მეორეხარისხოვანია; ის არის დამხმარე და არა ხელმძღვანელი.
- ბავშვი საკუთარი თავის მასწავლებელია; მას აქვს მოქმედებების და არჩევანის სრული თავისუფლება.
- ბავშვები სწავლაში ერთმანეთს ეხმარებიან. რადგან ჯგუფებში სხვადასხვა ასაკის ბავშვები მეცადინეობენ, უფროსები ხდებიან უმცროსების მასწავლებლები. ამასთან, ისინი ეჩვევიან სხვაზე ზრუნვას.
- ბავშვები იღებენ დამოუკიდებელ გადაწყვეტილებებს.
- მეცადინეობები მიმდინარეობს სპეციალურად მომზადებულ გარემოში.
- მთავარია ბავშვი დავაინტერესოთ, განვითარებით თვითონ განვითარდება-ეს არის მოქმედებების, აზროვნების, გრძნობების, თავისუფლების შედეგი.
- ბავშვი ხდება ისეთი, როგორიც არის ბუნებით, თუ არ მივდივართ ბუნების საწინააღმდეგოდ.

მონტესორი მიიჩნევდა, რომ მისი წარმატების საიდუმლო მოსწავლეების დაკვირვებასა და მათთვის ბუნებრივი განვითარების ხელშეწყობაში მდგომარეობდა. ბავშვებს აქვთ უზარმაზარი შინაგანი მოთხოვნილება, გაიცნონ და დაიპყრონ სამყარო თავის გარშემო. ყველა ბავშვს აქვს სურვილი, ყველაფერს შეეხონ, შეიგრძნონ, გაუსინჯონ გემო. რადგან გზა ინტელექტუალურ განვითარებამდე მიდის არა აბსტრაქციის გავლით, არამედ გრძნობების ორგანოებით. შეიგრძნონ და შეიმეცნონ ხდება ერთი მთლიანი. ამ

მეთოდის მიხედვით არ უნდა დავაჩქაროთ ბავშვის განვითარება, მაგრამ მნიშვნელოვანია არ გავუშვათ საჭირო მომენტი, რათა ბავშვმა არ დაკარგოს მეცადინეობებისადმი ინტერესი.

ფიზიკური გარემო მონტესორის სისტემის მნიშვნელოვანი ელემენტია. მის გარეშე მას ფუნქციონირება არ შეუძლია, როგორც სისტემას. მომზადებული გარემო საშუალებას აძლევს ბავშვს, ნაბიჯ-ნაბიჯ განვითარდეს უფროსის პირდაპირი ჩარევის გარეშე. ფიზიკურ გარემოს აქვს წყობის ზუსტი ლოგიკა. მონტესორი აქცენტს აკეთებს იმაზე, რომ სპეციალურად მომზადებული გარემო წარმოადგენს სასწავლო სახელმძღვანელოს. გარემო იყოფა ხუთ ზონად:

1. **ყოველდღიური ცხოვრების (პრაქტიკული) ზონა** - სავარჯიშოები, რომელთა დახმარებით ბავშვი სწავლობს, თვალი მიადევნოს საკუთარ თავს და საკუთარ საგნებს. იმას რაც სჭირდება ყოველდღიურ ცხოვრებაში. ის სწავლობს საკუთარი თავის მომსახურებას და სხვების დახმარებას (საკვების მომზადება, რეცხვა, ფეხსაცმლის გაწმენდა და სხვა). ბავშვებს ასწავლიან ღილების სწორად შეკვრას, ფეხსაცმელში თასმის გაყრას, ბოსტნეულის გარეცხვასა და დაჭრას. ბავშვებს ხშირად ესმით, რომ „შენ უკვე დიდი ხარ და შეგიძლია ეს დავალება დამოუკიდებლად შეასრულო".

2. **სენსორული ზონა** - მიმართულია გრძნობის ორგანოების განვითარებაზე. ამისათვის მონტესორიმ დაამუშავა სპეციალური დიდაქტიკური მასალები, რომელთა მიზანია ისე განავითაროს ბავშვის გრძნობათა ორგანოები - მხედველობა, სმენა, შეხება, გემო, ყნოსვა, გაერკვეს საგანთა წონაში, განასხვაოს საგნები წონის მიხედვით, რომ ერთმა არ დაჩრდილოს მეორე. იმისათვის, რომ მიღწეულ იქნეს ცალკეულ ორგანოთა მაქსიმალური განვითარება, მაგალითად, აღქმაში ვარჯიშის დროს, მონტესორი მიმართავს ერთი ორგანოს გამოთიშვას ყველა დანარჩენისგან. როცა უნდა მაქსიმალურად მიაღწიოს გემოს აღქმას, გამოთიშავს მხედველობას და ა.შ. ამ ზონაში ხდება ბავშვის მომზადება მათემატიკურ ზონაში შესასვლელად.

3. **მათემატიკური ზონა** - ეს ზონა შეიცავს ყველა აუცილებელ სპეციალურ მასალას თვლის, ციფრების, შეკრება-გამოკლების, გამრავლება-გაყოფის შესასწავლად. დაეუფლოს

რიგობით თვლას, მიიღოს კონკრეტული ცოდნა რაოდენობისა და სიმბოლოს კავშირის შესახებ.

4. **მშობლიური (ენობრივი) ენის ზონა** - განკუთვნილია ენობრივი მასალის - ლექსიკური ფონდის გასამდიდრებლად: ამ ზონაში ბავშვი სპეციალური სათამაშო ასოების ხელით შემოწმებისა ან დაყრილი ფქვილის თხელ ფენაზე თითით წერის დროს ეცნობა ასო-ბგერებს, სწავლობას მათ მოხაზულობას,სიტყვების შედგენილობას მოძრავი ანბანის საშუალებით.აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ბავშვები სწავლობდნენ ჯერ წერას და შემდეგ კითხვას. მონტესორი თვლიდა საკუთარი პრაქტიკული გამოცდილებიდან, რომ წერა და კითხვა, ეს ორი პროცესი მიმდინარეობდა არა ერთდროულად, წერა ყოველთვის უსწრებს კითხვასო. ის არ თვლიდა, რომ კითხვა იყო ბგერების მექანიკური წარმოთქმა, რომელსაც შეესაბამებოდა დაწერილი ან დაბეჭდილი ასო-ბგერები. თუ მათი მნიშვნელობა ბავშვებისათვის გაუგებარი იყო. ნამდვილად ბავშვი კითხულობს მაშინ, თუ ესმის დაბეჭდილი სიტყვის არსი. ამიტომ საჭიროა ჯერ მოვისმინოთ, ხოლო შემდეგ გავიაზროთ და ამის მერე დავწეროთო. საკუთარი აზრის წარმოთქმა ადვილია, ვიდრე სხვისი აზრების გაგება. ამიტომ ლექციის მოსმენა უფრო ძნელია, ვიდრე მისი წაკითხვა - ასე მიაჩნდა მონტესორის. კიდევ ერთი განსხვავება წერა-კითხვას შორის არის ის, რომ წერაში ერთვება წვრილი მოტორიკა. 3-4 წლის ბავშვები იმყოფებიან განვითარების სენსიტიურ და პირველადი მოტორული სიახლეების დაუფლების პერიოდში, რომელიც საჭიროა წერისათვის. კითხვა კი არის რთული ინტელექტუალური პროცესი. კიდევ ერთი თავისებურება არის ის. რომ ბავშვები ჯერ სწავლობენ ხელით ნაწერ ასოებს და არა დაბეჭდილს. მონტესორი თვლიდა მრგვალ მოძრაობებს უფრო ბუნებრივად ბავშვის ხელისთვის. მარიამ გადაწყვიტა ესწავლებია ასოები მთლიანად და არა მისი ცალკეული ელემენტები, როგორც ეს ხდებოდა ტრადიციულ სკოლებში. მონტესორიმ საფუძვლიანად გააანალიზა წერის პროცესი და გამოყო რამდენიმე უნარი, რომელსაც იყენებს ადამიანი წერის დროს. პირველი არის მოტორული და მეორე-ინტელექტუალური. ინტელექტუალურს მიაკუთვნებს მოწესრიგებულ აზროვნებას და ლოგიკას: სიტყვების მარაგს, რომელიც საკმარისია საკუთარი მოსაზრებების წარმოსათქმელად და

სიმბოლოების ამოცნობა, რომლებიც შეესაბამება ბგერებს. მოტორულ უნარებს მიაკუთვნებს ნატიფი მოტორიკის თავისუფალ მოძრაობას, ხელში კალმის დაჭერას სამი თითით, შესაძლებლობას თვალის და ხელის კოორდინაციისას, ხაზის გასმას ქაღალდზე ხელის აუღებლად. სამი თითით კალმის დაჭერაზე მუშაობა ხორციელდებოდა სენსორული მასალით. მონტესორის ასეთი მიდგომის საფუძველი გახდა კლოდ ბერნარის გამოცდილება, რომელიც მუშაობდა შეზღუდული შესაძლებლობების პირებთან, აგრეთვე ცნობილი ფრანგი ფსიქიატრის ედუარდ სეგენის ნაშრომები და ექიმი-ოფთალმოლოგის ჟან გასპარ იტარის ექსპერიმენტული კვლევები.

5. **კოსმოსის (კოსმიური) ზონა** - ამ ზონაში ბავშვი ეცნობა გარესამყაროს და ადამიანის როლს ამ სამყაროში. ეუფლება ბოტანიკის, ზოოლოგიის, ანატომიის, გეოგრაფიის, ფიზიკის, ასტრონომიის საფუძვლებს. ბავშვის წინაშე იშლება სამყაროს სრული სურათი. ის იწყებს მისი მთლიანობის გაცნობიერებას და საკუთარი თავის, როგორც ამ მნიშვნელოვანი სივრცის ნაწილის აღქმას.

რა სახით უნდა იყოს მოწყობილი ასეთი საგანგებო გარემო? მონტესორი მოითხოვდა ბავშვების არა მარტო ფსიქოლოგიურ, არამედ ანთროპოლოგიურ შესწავლასაც, რისთვისაც დაამზადებინა სპეციალური ხელსაწყოები და მოახდინა „საბავშვო ბაღის“ მოდერნიზება. გადააკეთა მისი ინტერიერი. დადგა ბავშვისათვის მოსახერხებელი ავეჯი, რომელთა გადაადგილება ადვილად შეიძლებოდა. კარადები, სადაც სასწავლო მასალა ინახებოდა, იყო დაბალი. მრავალწლიანი დაკვირვების შედეგად მონტესორი აკეთებს დასკვნას იმის შესახებ, რომ რომ არსებობს დიდაქტიკური მასალების სრულიად განსაზღვრული რაოდენობა, რაც სრულიად საკმარისია ბავშვის განვითარებისთვის. ძირითადი მოთხოვნა არის ის, რომ ამ გარემოში იყოს ამგვარი მხოლოდ ერთი ნიმუში. ეს არის მასალები ყოველდღიური ცხოვრებისათვის საჭირო უნარ-ჩვევათა გამომუშავებისათვის, სპეციალური მასალები სენსომოტორიკის, მეტყველების, წერა-კითხვის და მათემატიკური აზროვნების ჩამოყალიბების სფეროდან. მასალების დიდი ნაწილი ემსახურება თვითშეგნებისა და მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებას. მომზადებული გარემო ითვალისწინებს ბავშვის მოტორულ მოთხოვნილებებს. ის თითქოსდა უბიძგებს

ბავშვს სპონტანური მოქმედებებისკენ, რომლებიც ავითარებენ, სრულყოფენ მოძრაობის კოორდინაციას და ყურადღების კონცენტრაციას. ყველა დიდაქტიკურ მასალას აქვს ორი მიზანი - პირდაპირი და ირიბი. თითქოსდა რა არის იმაზე ადვილი, ბავშვმა აიღოს ლანგარი წყლით სავსე პატარა დოქებით და გადაიტანოს თავის სამუშო მაგიდაზე. მაგრამ სწორედ ამ რამდენიმე ნაბიჯშია ფოკუსირებული მოძრაობის და ყურადღების განვითარება და მიმართულია პერსპექტივაზე. მნიშვნელოვანია ის წესები, რომელთა დაცვაც აუცილებელია მასალის გამოყენების დროს: პირველ რიგში ეს არის მასალის განლაგება ბავშვებისათვის მისაწვდომად. ამორჩეულ მასალას ბავშვი აბრუნებს და აკურატულად აწყობს ნოხზე ან მაგიდაზე განსაზღვრული თანმიმდევრობით; მასალასთან მუშაობა უნდა რთულდებოდეს თანდათანობით; თუ ბავშვი ამთავრებს ვარჯიშს, ის აბრუნებს მასალას თავის ადგილზე და მხოლოდ ამის შემდეგ ირჩევს ახალ მასალას; თუ ბავშვის მიერ ამორჩეული მასალა დაკავებულია, ის იცდის, აკვირდება მეორე ბავშვს (დაკვირვება შემეცნების ერთ-ერთი საშუალებაა) ან ირჩევს სხვა მასალას. ჩვეულებრივ, გაკვეთილები გრძელდება საათნახევრის განმავლობაში და მიმართულია გრძნობის ყველა ორგანოს განვითარებისკენ. ამისათვის გამოიყენება სხვადასხვა სენსორული მასალები. მაგალითად, ხაოიანი ასოები და განსაკუთრებულად ხმაურიანი კოლოფები. სწორედ ასეთი ორიგინალური ნაკეთობები იძლევა იმის საშუალებას, რომ ბავშვს შეექმნას რაც შეიძლება ფართო წარმოდგენა საგნების სიდიდის, მოცულობის, ფერის და წონის შესახებ. ამ სისტემაში ხაზგასმულია ერთი რამ, რითაც ხელმძღვანელობენ: „გინდა ერთად მუშაობა- შეუთანხმდი შენს მეგობარს“ და „როდესაც გიჭირს - ითხოვე დახმარება და იყავი მადლიერი“.

როგორც აღვნიშნეთ, მონტესორის სისტემაში მასწავლებლის როლს წარმოადგენს გარემოს კონტროლი და ბავშვის სწავლის წარმართვა პირდაპირი ჩარევის გარეშე. მასწავლებელი აკვირდება ბავშვს, რომელიც იზრდება თავისუფალ გარემოში. მასწავლებელმა უნდა უსმინოს ბავშვს და არა ბავშვმა მასწავლებელს. მასწავლებელი პირდაპირი ჩარევის გარეშე უნდა ცდილობდეს ხელი შეუწყოს კარგს და არ წაახალისოს ცუდი ქცევა.- „მასწავლებელი ხდება ბავშვის (განსაკუთრებით სუსტის) ნებისყოფის ძალა,

მოქმედებისკენ მისი წამბიძგებელი. საჭიროა მოსწავლემ თავიდანვე იგრძნოს მასწავლებლის ძალა, რომლისთვისაც წინააღმდეგობის გაწევა შეუძლებელია… ავტორიტეტი რომ მოიპოვოს, საჭიროა მასწავლებელი იყოს ლამაზი, ენერგიული, სახეგამომეტყველი, მჭერმეტყველი. სრულყოფილება არტისტული ოსტატობის შესწავლით მიიღწევა. მასწავლებლისთვის ეს აუცილებელია. ხმა უნდა იყოს სუფთა და მელოდიური. წარმოთქმა მკვეთრი... თქვენმა ხმამ მოსწავლეები უნდა მოხიბლოს. ჩვენ ვსაუბრობთ ცოტას, მაგრამ ძალზე მკვეთრად და არტისტულად. ადამიანის ხმის მუსიკასაც აღმზრდელობითი ძალა აქვს ... მასწავლებლის ყოველი სიტყვის თანმდევი ჟესტი ძალზე ემოციური, გამომეტყველებითი უნდა იყოს. განკარგულების გაცემა - ხელების პირდაპირი სწრაფი მოძრაობით. ახსნა - ნელი, წრიული ჟესტებით, მზერა და მიმიკა მოსწავლეზე ძალზე ძლიერად მოქმედებს. მზერა ამხნევებს და უბიძგებს მას ახალი მიღწევებისკენ. ბავშვისაგან სწორი პასუხის მოსმენისგან მასწავლებელმა ნათლად უნდა გამოხატოს თავისი გრძნობა. ბავშვის ყურადღება სუსტია, გამეორებისას დაშვებულმა შეცდომამ შეიძლება დააბნიოს. პირველივე სწორი პასუხის გამო ბავშვი უნდა შევაქოთ. შექება ადვილად ამახსოვრდებათ და დიდხანს გაჰყვებათ. მასწავლებლის სახე ცოცხალი, ემოციური უნდა იყოს. კლასში რომ რამე ხდება, სახის გამომეტყველება არ უნდა შეიცვალოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ბავშვები საგანგებოდ დაიწყებენ მასწავლებლის პროვოცირებას" (20, გვ.307-308). მარია მონტესორის მიაჩნდა, რომ „ბავშვების აღზრდას ვიწყებთ წარმატებულ შრომაში ხელის შემშლელი ფსიქოლოგიური ნაკლის (ხშირად მათი ცუდი ხასიათის გამოვლინებად მივიჩნევთ) გამოსწორებით. უპირველესად ვქმნით დამჯერობის გარემოს. პატარებს რომ საკუთარ თავზე, სხეულზე წარმოდგენა მივცეთ, ვამეორებინებთ ჩვენს სიტყვებს, მოქმედებებს. თავიანთი მოვალეობების გასაგებად ვქმნით განსაკუთრებულ გარემოს, რომელშიც მას შეუძლია თავისი კარგი თვისებების წარმოჩენა" (21, გვ. 308).

მ. მონტესორის აზრით, ძალიან მნიშვნელოვანია მშობლის ფუნქცია, რომელსაც დიდი პასუხისმგებლობა აკისრია. ისინი სკოლასთან აქტიურად თანამშრომლობდნენ. მათი მოვალეობა იყო, რომ ბავშვებს სკოლაში არ დაეგვიანათ; სუფთა, მოწესრიგებული

მისულიყვნენ. ყველა მშობელი ვალდებული იყო, კვირაში ერთხელ სკოლის დირექტორთან მოეკითხა შვილის ამბავი. მარია თავადაც დადიოდა ბავშვების ოჯახებში. თუ მშობელი თანამშრომლობაზე არ დათანხმდებოდა, მის შვილს სკოლიდან რიცხავდნენ მანამ, სანამ მშობელი თანამშრომლობის სურვილს არ გამოთქვამდა. ძალიან საყურადღებოა მცნებები მშობლებისთვის, რომელიც მონტესორიმ შეიმუშავა. ეს არის უბრალო წესები, რომლებიც ეხმარება ბავშვებს ფიზიკურ და სულიერ სრულყოფაში. ესენია:

- ბავშვები იმას სწავლობენ, რაც მათ გარშემოა.
- თუ ბავშვს ხშირად აკრიტიკებენ, გაკიცხვას სწავლობს.
- თუ ბავშვს ხშირად აქებენ, სწავლობს დაფასებას.
- თუ ბავშვს მტრობას უჩვენებენ - სწავლობს ბრძოლას;
- თუ ბავშვთან პატიოსნად იქცევიან - სწავლობს სამართლიანობას;
- თუ ბავშვს ხშირად დასცინიან - ის ხდება გაუბედავი;
- თუ ბავშვი უსაფრთხოების შეგრძნებით ცხოვრობს - სწავლობს რწმენას;
- თუ ბავშვს ხშირად არცხვენენ - ის თავის დადანაშაულებას სწავლობს;
- თუ ბავშვს ხშირად ამართლებენ - სწავლობს საკუთარ თავთან სწორ დამოკიდებულებას;
- თუ ბავშვთან ხშირად შემწყნარებლურნი არიან - სწავლობს, იყოს მომთმენი.
- თუ ბავშვს ახალისებენ - თავდაჯერებულობას იძენს.
- თუ ბავშვი მეგობრულ ატმოსფეროში იზრდება და თავს გრძნობს საჭიროდ - ის ცდილობს ამ სამყაროში სიყვარულის პოვნას.
- ნუ ილაპარაკებთ ცუდად ბავშვზე - ნურც მისი თანდასწარებით, ნურც მის გარეშე.
- კონცენტრირება მოახდინეთ ბავშვში კარგის განვითარებაზე და ცუდისთვის მასში ადგილი აღარ დარჩება.
- ყოველთვის მოუსმინეთ და უპასუხეთ ბავშვს, რომელიც მოგმართავთ.
- პატივი ეცით ბავშვს, რომელმაც შეცდომა დაუშვა და იგი მალევე ან ცოტა მოგვიანებით შეძლებს შეცდომის გამოსწორებას.

- მზად იყავით დაეხმაროთ ბავშვს, რომელიც ძიებაშია და შეეცადეთ, შეუმჩნეველი იყოთ იმ ბავშვისთვის, რომელმაც უკვე ყველაფერი იპოვა.
- დაეხმარეთ ბავშვს აითვისოს ის, რაც ადრე ვერ შეძლო. გააკეთეთ ეს მზრუნველობით, თავშეკავებულობით, სიმშვიდით და სიყვარულით.
- ბავშვთან ურთიერთობისას ყოველთვის საუკეთესო მანერებით იმოქმედეთ. შესთავაზეთ მას ყველაფერი საუკეთესო, რაც თქვენშია.

მონტესორის პედაგოგიური ლიტერატურის ანალიზმა, მისი პედაგოგიკური კონცეფციის გაცნობამ შესაძლებლობა მოგვცა, შევადაროთ ერთმანეთს ტრადიციული პედაგოგიკური მეთოდი და მონტესორის სწავლების მეთოდი.

მონტესორი პედაგოგიკა	**ტრადიციული პედაგოგიური მიდგომა**
ერთ-ერთი მთავარი კომპონენტი მონტესორი - კლასების არის სპეციალურად მომზადებული გარემო ბავშვის თავისუფალი და დამოუკიდებელი მუშაობისთვის. ყველაფერი, რაც არის კლასში, გაკეთებულია ბავშვისთვის.	კლასში არ არის გარემო, რომელიც ხელს უწყობს ბავშვს, იმუშაოს დამოუკიდებლად. ყველა მასალა ინახება დამოუკიდებლად და ბავშვებს არ შეუძლიათ თავიანთი სურვილით გამოიყენონ.
ბავშვი - საკუთარი სწავლების აქტიური მონაწილეა, მასწავლებელს კლასში არ უჭირავს „მკაცრი" პოზიცია. ის არ არის წამყვანი, ხელმძღვანელი.	პედაგოგი კლასში არის სასწავლო პროცესის წარმმართველი, ხელმძღვანელი, ხოლო ბავშვი არის სასწავლო პროცესის პასიური მონაწილე.
მიმდინარეობს ბავშვის შინაგანი დისციპლინის განვითარება.	მასწავლებელი არის მთავარი ფიგურა დისციპლინის დამყარებაში.
მეცადინეობები, ინდივიდუალური და ჯგუფური მიმდინარეობს თითოეული ბავშვის ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინებით.	განმავითარებელი მეცადინეობები, მიესადაგება მოზარდის სწავლების სტილს.
მეცადინეობები მიმდინარეობს შერეულ ასაკობრივ ჯგუფებში	მეცადინეობები მიმდინარეობს მხოლოდ ერთიდაიმავე ასაკის ბავშვებთან.
ბავშვები მონტესორი - ჯგუფებში სწავლობენ,	მეცადინეობების ძირითად ნაწილს ატარებს

თანამშრომლობენ და ეხმარებიან ერთმანეთს.	მასწავლებელი, მოსწავლეთა ურთიერთობა ისჯება.
ბავშვი თვითონ ირჩევს სამუშაოს საკუთარი ინტერესებიდან და შესაძლებლობებიდან გამომდინარე.	ტრადიციულ სკოლებში არის მეცადინეობების ცხრილი, რომელიც შეესაბამება სასწავლო გეგმას,
ბავშვი აგებს ცოდნას მონტესორი-მასალის და პედაგოგის დახმარებით, რომელიც მათ წარმოუდგენს სასწავლო მასალას.	პედაგოგი უყალიბებს ცოდნას ბავშვს.
ბავშვი დამოუკიდებლად ირჩევს, რაზე უნდა მუშაობა და მეცადინეობს იმდენი ხანი, რამდენიც დასჭირდება.	ბავშვები მეცადინეობაზე შეზღუდული არიან დროში და დავალებებიც წინასწარაა შერჩეული.
ბავშვს აქვს არჩევანის თავისუფლება, შესაძლებლობა იმუშაოს იქ, სადაც მას სურს, აქვს თავისუფლად გადაადგილების და სხვა ბავშვებთან ურთიერთობის საშუალება.	შეზღუდული აქვს გადაადგილება. ჯგუფური მუშაობა განსაზღვრულ ჩარჩოებშია მოქცეული.

ამრიგად, ეს შედარება საშუალებას გვაძლევს, დავასკვნათ, რომ ტრადიციული მეთოდი ემყარება ბავშვზე დომინირებას, კონტროლს და წესრიგის დამყარებას გარედან. ხოლო მონტესორის მეთოდი - დაკვირვებას, გარემოს კონტროლს, წესრიგის გამოწვევას შიგნიდან და ხელშეწყობას, რომელიც დაფუძნებულია გამოცდილებაზე.

§ 5. დიდაქტიკური მასალების გამოყენების მნიშვნელობა მონტესორის სისტემაში

მონტესორის მიხედვით, ბავშვთა აღზრდის ამოსავალ წერტილად ითვლება ინტელექტის აღზრდა. ბავშვებს ცოდნა კი არ მიეწოდებათ პირდაპირ მასწავლებლის მიერ, არამედ ეძლევათ მეთოდი, რომლის დახმარებითაც ისინი დამოუკიდებლად იძენენ ცოდნას და აღმოაჩენენ თავის გარშემო არსებულ სამყაროს. დიდაქტიკური მასალა,

რომელიც განკუთვნილია გრძნობათა ორგანოების აღზრდისათვის, ავარჯიშებს ბავშვის გონებას და აძლევს ბავშვს არა შინაარსს მისი გონებისთვის, არამედ წესსა და რიგს შინაარსისათვის.

მონტესორის მასალა არის სახლსა და დანარჩენ მსოფლიოს შორის გადებული ხიდი, სამყაროს მცირე მოდელი, რომლის მეშვეობითაც ბავშვს უვითარდება დამოუკიდებლად მოქმედების უნარი, სივრცეში კოორდინაციისა და წონასწორობის დაცვის მექანიზმები. დიდაქტკური მასალა ბავშვს სრულ საშუალებას აძლევს განმეორებითი ვარჯიშისათვის. ამ ვარჯიშით ბავშვს ეძლევა ერთგვარი ბიძგი თვითაღზრდისათვის: თვითონ მასალა, სხვისი ჩარევის გარეშე ახდენს ბავშვის თითოეული შეცდომის კონტროლს. ეს კონტროლი თავდაპირველად მექანიკურია, მაგალითად, მაშინ, როცა ბავშვი ვარჯიშობს ჩასაწყობი ცილინდრებით; მერე მალე ხდება ფსიქოლოგიურ კონტროლად. მაგალითად, მაშინ, როცა ის ვარჯიშობს ბრტყელი ჩასაწყობებით ან ფერადი ტაბულებით. აქ ბავშვს უხდება კარგად დაკვირვება, თითებით შემოწმება, გადაწყობა, შედარება, განსჯა, გადაწვეტა. ვარჯიშობით ბავშვი მალე ამჩნევს თავის შეცდომებს და რადგან მას აქვს სურვილი მათი გასწორების, ცდილობს დასახული ამოცანის სწორ გადაწყვეტას. შემდგომ ბავშვი ცდილობს არა თუ მარტო შეცდომათა გასწორებას, არამედ იმასაც, რომ შეცდომები არ დაუშვას. ამაში ხელს უწყობს მასალის სიმარტივე და სიზუსტე, რაც ბავშვს აჩვევს მუშაობის დროს სიზუსტეს და პატიოსნებას, გინდ იყოს რაიმე სრულებით უბრალო ვარჯიში ან უფრო რთული გონებრივი სამუშაო, როგორც, მაგალითად, სიტყვების შედგენა, წერა, არითმეტიკულ ამოცანათა ახსნა, სურათის დახატვა და სხვა. ბავშვს აქვს შესაძლებლობა, ყოველი ამოცანა ბოლომდე მიიყვანოს დამოუკიდებლად, სხვისი დახმარების გარეშე და შეასრულოს ეს რაც შეიძლება მეტი სიზუსტით და სწორედ ეს შესაძლებლობა მიზეზია იმ სულიერი კმაყოფილებისა, რომლითაც განირჩევიან მონტესორის საბავშვო ბაღის ბავშვები. ვარჯიშის საშუალებით ბავშვი ეჩვევა გარჩევას და კლასიფიკაციას, ახდენს ანალიზსა და გამოყოფს თვისებას: ზომას, სახეს, ფერს, სიგლუვეს, ან ხორკლიანობას, წონას, ტემპერატურას, ხმაურობას, ხმას და სხვას. გამოყოფს მარტო საგნების თვისებას და არა თვით საგნებს, რამდენადაც ეს თვისებები, ერთიმეორისაგან გამოყოფილნი, თავისთავად უაღრესად

მარტივ საგნებს წარმოადგენენ, რომელნიც ბავშვის ყურადღებას ერთს რომელსამე გამოცალკავებულ თვისებაზე აჩერებენ, მაგალითად, მოცულობისათვის - პატარა ცილინდრები, კუბები, პრიზმები, სიგრძისათვის - ჯოხები, დეციმეტრებად დაყოფილი, ჯოხები-ძელები, ფერებისათვის - ფარჩის ტაბულები, ხმაურობისათვის - ცილინდრისებური კოლოფები სხვადასხვა ჩაწყობილობით და სხვა. ეს თვისებები გრადაციებით არის გაწყობილ-დალაგებული; ბავშვებიც, რაკი მათ განკარგულებაში მოიპოვება საგნების მთელი წყება, თანდათანობით რიგით, ბოლოს და ბოლოს ეჩვევიან თვისებათა ხარისხის გარჩევას.

ბავშვები როცა საგნების თვისებებს ადარებენ ერთმანეთს, ეჩვევიან განსხვავების, მსგავსებისა და იგივეობის პოვნას. არა მარტო მასალის საგნებში, არამედ მათ ირგვლივ მდებარე გარემოს და მოწყობილობის საგნებშიც. ამას თავის მხრივ ბავშვები დამოუკიდებელი აღმოჩენებისკენ მიჰყავს. ამ გზაზე ისინი შეუჩერებლივ წინ მიდიან: ” „... გარჩევის უნარი არის საფუძველი ყოველი გონებრივი ვარჯიშობისა; აზრის პირველი ნაბიჯი არის გარჩევა, ერთის მეორისაგან გამორჩევა. შედარების დროს ბავშვს უვითარდება დამოუკიდებელი დასკვნების გამოტანის უნარი, რაც სწორი აზროვნების საფუძველია; ბავშვს ებადება აზრები, იდეები, რაც უკვე შედეგია კონკრეტული აზროვნებიდან განყენებულ აზროვნებაზე გადასვლისა” (11, გვ.60). განვიხილოთ რამდენიმე მაგალითი:

- **ვარდისფერი კოშკი** - ბავშვებმა უნდა ააგონ ვარდისფერი კოშკი სხვადასხვა ზომის კუბებისგან. ყველაზე დიდი კუბი საფუძველში უნდა მოაქციონ, ხოლო ყველაზე პატარა წვერზე. ყველა კუბი ერთი და იმავე ფერისა და მასალისაა, განსხვავება მხოლოდ ზომაშია. ბავშვებმა ზომის მიხედვით უნდა მოახერხონ დიფერენცირება. ამ მასალასთან მუშაობისას ბავშვი სწავლობს ვიზუალურად სიდიდეების გარჩევას. ივითარებს მოძრაობის კოორდინაციისა და ყურადღების კონცენტრაციის უნარებს. ხდება წარმოდგენების ფორმირება და შემდგომ უკვე გაგება: „დიდი - „პატარა”, „უფრო დიდი” -„უფრო პატარა”, ეს მიეკუვნება მათემატიკის მოსამზადებელ სავარჯიშოს.

- **კბილოვანი ბორბლები** - განკუთვნილია ხელის წრიული მოძრაობის გასავითარებლად ვერტიკალურ სიბრტყეში. ერთი ხელით, ერთი სახელურის

დატრიალების შემთხვევაში ბავშვი ინტერესით აკვირდება კბილებიანი დისკების მოძრაობის მექანიზმს, რომელიც იწვევს მეორე ბორბლის მოძრაობას. ეს სავარჯიშო ხელს უწყობს ბავშვის დაკვირვებულობის გაზრდას, ხდება მიზეზ-შედეგობრივი კავშირების ფორმირება, აძლიერებს ხელის კუნთოვან სისტემას.

- **ჰორიზონტალური ძელი რგოლების ჩამოსაცმელად** - ხელს უწყობს ახალი მოძრაობის ათვისებას. რგოლები ეცმევა არა ვერტიკალურად, არამედ ჰორიზონტალურად განლაგებულ ძელზე. ავითარებს ყურადღების კონცენტრაციას, მოძრაობის კოორდინაციას და ნატიფ მოტორიკას.

- კატეგორია პრაქტიკულ ცხოვრებას მიეკუთვნება **ჩარჩო, ღილები, დუგმები, ელვა, ქამრები**. ჩარჩო ბავშვს ეხმარება, შეიძინოს ელვის შეკვრის უნარი. ღილებიანი ჩარჩო საშუალებას აძლევს, ისწავლოს ღილის შეკვრა და გახსნა. საერთოდ, ჩარჩოები ხელს უწყობს ნატიფი მოტორიკის დახვეწას, ვიზუალურ-მოტორული ფუნქციის კოორდინაციის, კონცენტრაციისა და ყურადღების სტაბილიზაციას.

- **წონის განმსაზღვრელი ფირფიტები** - წარმოდგენილ სამ ყუთში მდებარეობს 7 ცალი ხის ფირფიტა, რომლებიც ერთმანეთისგან განსხვავდება ფერებითა და სიმძიმით. მასალა ეხმარება პატარებს საგნების გარჩევაში წონის მიხედვით. უვითარებთ მათ მოტორულ ფუნქციას, კოორდინაციას და მოძრაობის კონტროლის უნარს. შესანიშნავი მოსამზადებელი საშუალებაა წერისათვის. აყალიბებს საგნები აწონვისა და გარჩევის უნარს ყოველდღიურ ცხოვრებაში.

- **უჯრებიანი კარადა** - არის ხის ყუთი სამი უჯრით - არა გამოსაწევით, არამედ გამოსაღები უჯრებით (შენსკენ და ქვემოთ), რაც საშუალებას აძლევს პატარას ,გამოიმუშაოს მაჯის, ხელის და მტევნის ახალი მოძრაობები. კარადა ეხმარება ბავშვებს ყურადღების კონცენტრაციის განვითარებაში, მოძრაობის კოორდინაციისა და სხივ-მაჯის გავარჯიშებაში.

- **ფერადი ცილინდრები** - კომპლექსში შედის 4 წიფელის ყუთი, რომელშიდაც მოთავსებულია ფერადი ცილინდრები. ყუთების თავსახურები შეღებილია ცილინდრების

შესაბამის ფერებად. ბავშვი მხედველობით სწავლობს ზომების გარჩევას. არაპირდაპირ ხდება ბავშვის მომზადება მათემატიკისათვის.

ე. წ. „სენსორული" ანუ გარეგნობითი დიდაქტიკური მასალა საუკეთესო საშუალებაა ყურადღების აღზრდისათვის. ყურადღება იბადება თავისთავად, როცა ბავშვს მიიზიდავს მასალის ესა თუ ის საგანი, როცა ის ერთსა და იმავე ვარჯიშს რამდენჯერმე და ხშირად ბევრჯერაც კი გაიმეორებს გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ხდება ყურადღების პირველი გამომჟღავნება. „ყურადღების განვითარებასთან მჭიდროდ დაკავშირებულია დაკვირვების უნარის განვითარებაც, სწორედ დაკვირებისა და არა პირდაპირი დამკვირვებლობისა. ვარჯიშის დროს ბავშვი ივითარებს თვითოეულ გარე გრძნობას, ყოველს თავის ნიჭს ცალკე: ამრიგად, ის იღებს სხვადასხვა ხერხსა და საშუალებას დაკვირვების ნიჭის განვითარებისათვის. ყოველ შეძენილ ხერხს ბავშვი უეჭველად, აუცილებლად გამოიყენებს; საამისოდ იმპულსი შიგნიდანვე ეძლევა, თვით ხერხით-უნარიანობით: მას ეზრდება ყველაფერი ის, რაც კი აუცილებელია მისთვის, რომ მან შესძლოს თვითონ აღმოაჩინოს მის გარშემო მდებარე სამყარო, რაზედაც ჩვენ ზემოთ გვქონდა საუბარი. ასეთ დამოუკიდებელ აღმოჩენას ბავშვისათვის უფრო მეტი ფასი აქვს, ვიდრე იმას, როცა მას მიუთითებენ, უჩვენებენ ხოლმე. როცა უნდათ დამკვირვებლობის განვითარება ბავშვის ყურადღების პირდაპირი მიზიდვით გარემოს მიმართ და აჩვენებენ საგნებს, სურათებს, მოთხრობებს და სხვა. ეს ნიჭი აღმოჩენისა გვევლინება, როგორც შედეგი მასალაზე ბავშვის ცოტად თუ ბევრად ხანგრძლივი განმეორებითი ვარჯიშობით დაწვრილებითი მომზადების და როგორც თვითაღზრდის მთავარი მამოძრავებელი ძალა. ამგვარად, ბავშვები ფსიქიურად ემზადებიან სულიერ საზრდოთა მოპოვებისათვის არაპირდაპირი მომზადებით და არა ამა თუ იმ ცოდნის პირდაპირ გადაცემის ან მასზე მითითების მეოხებით" (11 გვ. 61).

დიდაქტიკური მასალა თავისი სიმარტივით ბავშვს საშუალებას აძლევს მის წინაშე დასახული ამოცანა ბოლომდე მიიყვანოს და სწორედ ეს არის იმ კმაყოფილების მიზეზი, რომლითაც გამოირჩევიან ბავშვები მასალაზე მუშაობის დროს. ეს კმაყოფილება ბადებს ბავშვებში წონასწორობას, რაც ბავშვების აღზრდაში დიდ როლს თამაშობს. მასალის

სიმარტივე და სიზუსტე აჩვევს ბავშვს პატიოსნებას მუშაობაში: ის ეჩვევ, არ დაუშვას შეცდომები და თავისი სამუშაო გააკეთოს სრულყოფილად.

გონებრივი მეცადინეობის დროსაც (დიდაქტიკური მასალით, წერის, კითხვის, ანგარიშის, ხატვის, მუსიკის და მისთანათა დროს) ბავშვს ეძლევა არჩევანის, ნიჭისა და მიდრეკილების ყოველგვარი გამომჟღავნების თავისუფლება. მსგავსი თვითსწავლება ბევრ ბავშვში იწვევს ღრმა დაკვირვებას, დიდ ყურადღებას და აღტაცებას, რასაც ჰბადებს თავისი ბუნების დამოუკიდებელი გამომჟღავნება:ბავშვი თვითონვე სხვის დაუხმარებლივ და უსწავლელად, სწავლობს ფორმის, მოცულობის, ხმების, ფერების გარჩევას, თითონვე სწავლობს ასოებისა და სიტყვების წერას, თვითონვე ადგენს თავის პირველ სიტყვას, თვითონვე სწავლობს კითხვას, თვითონვე ადგენს თავის ხშირად ძალიან სრულ სურათს.

რაც შეეხება დიდაქტიკური მასალის რაოდენობას, როგორც უკვე აღვნიშნეთ, არის შეზღუდული რაოდენობით წარმოდგენილი. მასალა არ უნდა იყოს ბევრი, რომ ბავშვი არ დაიკარგოს სხვადასხვაგვარი საგნების ქაოსში.

„ის ბავშვები, რომელნიც დაჭიმული ყურადღებით დიდხანს ერთობოდენ მასალაზე მუშაობით, - სწორ გზაზე დგანან, როგორც ის აეროპლანები, რომელნიც მიწაზე სულ პატარა გზას აკეთებენ და შეუჩნევლად სულ მაღლა და მაღლა მოფრინავენო, - ამბობს მონტესორი. ხშირად გვეჩვენება, რომ ბავშვი არაფერს არ აკეთებს, მაგრამ მოვა დრო, იგი დაილაპარაკებს და ჩვენც გავიგებთ, თუ რა მომხდარა მის შიგნით. მისი უეცრად აღმოჩენილი აქტივობა აიძულებს მას, განაგრძოს დაკვირვებანი და აღმოჩენანი. პირიქით, არიან ისეთი ბავშები, რომელთაც მეტად ბევრი საგანი ეხვევა გარს პირველდაწყებითი განვითარების დროს. ასეთი ბავშები გამაძღარნი და უგრძნობი არიან მოწიფულობის დროს, „თითქმის თოკებით არიან მიბმულნი", მონტესორის თქმისა არ იყოს. ამ ბავშებს აშკარად ეტყობათ შინაგანი მოქმედების თანდათანობითი ჩაქრობა; მერყეობა, თითქოს მოქანცულობაც, განუწყვეტელი მოთხოვნა სულ „ახალ-ახალი" საგნებისა და შეუძლებლობა, ცოტად თუ ბევრად ხანგრძლივად შეაჩერონ თავისი ყურადღება ერთ საგანზე. „ბავშვი უფროსს ემსგავსება, რომელიც თავისი ცხოვრების ქაოსში უდისციპლინო და ფუქსავატი ხდება და რომელსაც ყოველთვის მოელის „დაკარგვის" საშიშროება. თუ

ვინმე არ მიეხმარა ამაო საგნების ტყვეობიდან თავის დაღწევაში და „თავისი ზეცის" მოპოვებაში, თვითონ ვერას დროს ვერ იპოვის „ხსნის გზას" (11, გვ.77) - ამბობდა მონტესორი.

მასალა განვითარებისათვის საჭიროა მხოლოდ როგორც გამოსავალი წერტილი- ასეთია მონტესორის მიდგომა. მონტესორის მასალა აუცილებელი ნაწილია გარე სამყაროს იმ მრავალ საგნობრიობაში, რომელშიაც იბნევა ბავშვის ცნობიერება. უამისოდ შეუძლებელია ბავშვის ფსიქიკის სწორი ჩამოყალიბება.

„მასალა მისთვის თითქოს ის კიბეა, რომელზედაც იგი თითო-თითო საფეხურით დამოუკიდებლივ ადის პროგრესისაკენ და თვითეულ საფეხურზე იმდენს ხანს ჩერდება, რამდენიც მისთვის საჭიროა შემდგომ საფეხურზე ასვლისათვის, ან კიდევ სწრაფად აბიჯებს ერთი საფეხურიდან მეორეზე. ყოველ ასეთს საფეხურს წარმოადგენენ ახალი საგნები უფრო რთული ვარჯიშობისათვის, რომელთაც მას შემთხვევით ვერ მიაწვდი, არამედ წინდაწინვე გამოცდილებით უნდა იყოს განსაზღვრული. ის ბავშვები, ვინც ჯერ კიდევ მონტესორის საბავშვო ბაღში შეუდგნენ თვითაღზრდის გზას, სკოლაში გადასვლისას განსაკუთრებულ „მგრძნობიერობას" იჩენენ თავისი საკუთარი შინაგანი სურვილების მიმართ: ისინი გარკვევით თხოულობენ და თვითონვე აღნიშნავენ თავის გარე მოთხოვნილებას. სწორედ ისევე, როგორც ფიზიოლოგიური მოთხოვნილება გარკვეულად განსაზღვრავს შიმშილს, წყურვილსა ან ძილს, ერთი ბავშვი მოითხოვს კითხვას, მეორე არითმეტიკულ ვარჯიშობას, მესამე ბუნებაზე დაკვირვებას და სხვ. ეს მოთხოვნანი გამოითქმება ცხადი და ინტენსიური სურვილის სახით, რომელზედაც მასწავლებელი ძალაუნებურად უნდა „გამოეხმაუროს" ზედმიწევნითი და თვითაღზრდის გაღიზიანებისათვის. მათსა და ეგრეთწოდებულ ჩვეულებრივი მეთოდების თვალსაჩინო მასალას შორის ძალიან დიდი განსხვავებაა. ჩვეულებრივი სკოლის თვალსაჩინო მასალა მასწავლებლისათვის დამხმარე მასალაა, რომ კლასის კოლექტივს, რომელიც მას პასიურად უსმენს, საჭირო ახსნა-განმარტება მისცეს. მის შემწეობით თვითეული საგანი მხოლოდ ერთ ცალად ეძლევა და არჩეუბლია მასწავლებლის მიერ, სწორად დაყენებულ სკოლაში კი დამხმარე მასალა თვითაღზრდას უნდა იწვევდეს და საბავშვო ბაღის მასალასავით

გამოცდილებით უნდა იყოვს განსაზღვრული და შემოღებული ბავშის ფსიქიური განვითარების მიხედვით” (11, გვ.78). ამიტომაც, სასკოლო მასალა კარგად უნდა დამუშავდეს, ბავშვებმა რომ შეეძლოთ თვითსწავლა და თვითაღზრდა, როგორც ეს საბავშვო ბაღშია, მონტესორი საჭიროდ ცნობს ყოველ ცალკე დარგის, მაგალითად არითმეტიკის, გრამატიკისა, გეომეტრიისა, საბუნებისმეტყველო საგნების, მუსიკისა, ლიტერატურის სპეციალისტების შეთანხმებულ მუშაობას. თითოეული ეს დარგი წარმოდგენილიუნდა იქნას კარგად და სისტემატურად დამუშავებული და მიეცეს ბავშვებს განკარგულებაში დამოუკიდებელი ვარჯიშობისათვის, მათი საკუთარი არჩევანის გათვალისწინებით.

დიდაქტიკური მასალა უმუშავებს ბავშვს სიზუსტეს, მეთოდურობას და სრულყოფას შრომითი პროცესების შესრულებაში. ბავშვი მკვეთრად გამოჰყოფს ცალ-ცალკე ეტაპებს, შეისწავლის და აქცევს მათ ერთ მთლიან შრომით პროცესად, რომელსაც აქვს კონკრეტული მიზანი.

როგორც ცნობილია, მონტესორის მასალაში გამოყოფილია ზომა, ფორმა, ფერები. ეს ელემენტები გაზომილია მათემატიკური სიზუსტით. გარდა ამისა, მასალას თან სდევს შეცდომათა კონტროლიც. ეს კონტროლი ნაწილობრივად მექანიკურია, როგორც მაგალითად, ცილინდრიან ძელებში ან გეომეტრიულ ჩასაწყობებში. ნაწილობრივად კი ეს კონტროლი ფსიქოლოგიურია, მაგალითად, მონტესორის „ფერადი ფირფიტები", რომლებიც იძლევიან ესთეტიურ გამას მხოლოდ განსაზღვრულ თანმიმდევრობაში და სხვა. მასალა საკმაოდ ლამაზია.

მასალის გარდა, მთავარი ადგილი უჭირავს ე.წ. „მეოჯახეობას". ის საუკეთესო გზაა მოძრაობათა კოორდინაციის შემუშავებისათვის და აგრეთვე ნებისყოფის გასავითარებლად და აღსაზრდელად. ამ ვარჯიშობებს თვალსაჩინო ადგილი და საკმაო დრო ჰქონდა დათმობილი მონტესორის „ბავშვთა სახლში". აქ შედიოდა ვარჯიში სისუფთავეში, ოთახებისა და დიდაქტიური მასალის დალაგებაში, სუფრის გაშლაში, მცენარეების მოვლაში, საჭმლის სუფრაზე მიტანაში, ჩაის დასხმაში, ჭურჭლის დარეცხვაში, რეცხვაში, ბაღის მოვლაში, ვარჯიში ზრდილობაში და სხვა. ყველაფერი ეს თითქოს თამაშით და

ხუმრობით, სრულიად შეუმჩნევლად ბავშვებს ასწავლის სხვის დაუხმარებლად საოჯახო საქმიანობას და აგრეთვე დახვეწილ მანერებს.

ჩვეულებრივი „მეოჯახეობითი" ვარჯიშის დროს ბავშვები ივითარებენ არა მარტო ყურადღებას ნივთების მიმართ, მოხერხებულად მათ გამოყენებას, არამედ მეგობრებისადმი ყურადღებით მოპყრობას: უფროსები უმცროსებს ეხმარებიან, ახსოვთ, თუ როგორ უნდა გაუნაწილონ სადილი, დაეხმარონ ჩაცმაში, გახდაში და სხვა.

დღეს წარმოებაშია მონტესორი - მასალები, რომლებიც იძლევა შეცდომების კორექტირების და კონტროლის საშუალებას. მაგალითისათვის შეიძლება მოვიყვანოთ თამაშები - თავსატეხი ფიგურა ჩანართებით, სურათები - ფაზლები, ყველასათვის ცნობილი „მატრიოშკები", ასევე ახალი ციკლი მასალებისა, რომელსაც ამზადებს ჰოლანდიური ფირმა, „მონტესორი ნიენჰაუს ჯგუფი". ეს ფირმა 1920 წლიდან ეწევა კლასიკური მონტესორი-მასალების გამოშვებას და მასზე აქვს მონტესორი საერთაშორისო ასოციაციის ნებართვა. ახალი მასალები შევიდა 1990 წლიდან კატალოგებში. რა თქმა უნდა, ისინი ვერ ფლობენ იზოლირების თვისებებს და წარმოადგენენ „მატერიალიზებულ აბსტრაქციას", მაგრამ მათში შენარჩუნებულია ავტოდიდაქტიზმის პრინციპი, ისინი ავთენტურია და მათთან შეიძლება მრავალფეროვანი საქმიანობა.

ამასთან, კლასიკურმა მასალამ ჯერ კიდევ არ ამოწურა თავისი შესაძლებლობები. მიმდინარეობს გამოყენების სფეროს გაფართოების მცდელობები. ძალიან მნიშვნელოვანია მიუნჰენის ლ. ჰეფელსის მონტესორი - სკოლის მათემატიკაში „პროცენტის" გაგებაში გამოყენებული მათემატიკური „ოქროს მასალა". შემუშავებულ იქნა მონტესორი - მათემატიკური მასალების გამოყენების ახალი ხერხები. მათი საშუალებით შეიძლება ბავშვებს გავაგებინოთ მარტივი ცნებები, „არც ერთი - ერთი - ბევრი", „მეტი - ნაკლები - ტოლი". ასევე უფრო რთული -„მრავალი," „ფუნქცია", ასევე არითმეტიკული და გეომეტრიული პროგრესიები, ნატურალური რიცხვები... და სხვა.

§ 6. მასწავლებლის როლისა და მნიშვნელობის საკითხისათვის მონტესორის პედაგოგიკურ სისტემაში

მასწავლებელს მონტესორის სისტემაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. თავდაპირველად მას „დირექტორი" ერქვა. ის არის შუამავალი, რომელიც ქმნის კავშირს ბავშვსა და განმავითარებელ გარემოს შორის; ხელმძღვანელი - აკვირდება რა ბავშვების საქმიანობას, საჭიროების შემთხვევაში ერთვება და უწევს მათ დახმარებას; ორგანიზატორი, რომელიც ქმნის „მომზადებულ გარემოს," რომელშიც ბავშვი თავისუფლად გადაადგილდება და ირჩევს მისთვის სასურველ მასალას; დამკვირვებელი, რომელიც აკვირდება ბავშვებს, რომ მათ ხელი არ შეუშალონ ერთმანეთს საქმიანობაში. მონტესორი მასწავლებელი ყოველთვის ცდილობს გაუღვიძოს ბავშვებს თვითმოტივაცია.

მონტესორის მიაჩნდა, რომ „მასწავლებლის ხედვა ერთდროულად უნდა იყოს ზუსტი როგორც მეცნიერის და სულიერი, როგორც წმინდანის" (21, გვ,19). მეცნიერული მომზადება და მაღალზნეობრივი აღზრდა მას ახალ სულს შთაბერავსო. რადგან მასწავლებელი ერთდროულად, ყველაფერთან ერთად უნდა იყოს პოზიტიურიც, სრულყოფილი მეცნიერულად და სულიერადაც. პოზიტიურად და მეცნიერულად იმიტომ, რომ მან აუცილებლად უნდა შეასრულოს კონკრეტული ამოცანა. გულმოდგინე დაკვირვებისას მუდამ ეძებოს ჭეშმარიტება. გაერიდოს ყველა ილუზიას. უშეცდომოდ გაარჩიოს ჭეშმარიტება სიცრუისაგან... არ დაუშვას არავითარი შეცდომა დაკვირვებისას, რომელიც მის კვლევებს, მის ჭეშმარიტებას დაამახინჯებდა... სულიერი მდგომარეობა მასწავლებლისათვის აუცილებელია, რადგან მის წინაშე ადამიანია - პედაგოგიური დაკვირვების ობიექტი - სულიერი ნიჭით დაჯილდოებული ქმნილება.

პირველი ნაბიჯი, რომელიც უნდა გადადგას მონტესორი - მასწავლებელმა საკუთარი თავის გადამზადებაა. მას უნდა ჰქონდეს წარმოსახვის უნარი. ჩვეულებრივ სკოლებში მასწავლებლები თვალ-ყურს ადევნებენ მოსწავლეთა რეალურ ყოფაქცევას.ეს მათი მოვალეობაა. მათ ისიც იციან თუ რისი სწავლა ევალებათ. მონტესორი - მასწავლებელი კი გამუდმებით ეძებს „არარსებულ" მოსწავლეს. ამაშია მთავარი სხვაობა. მასწავლებელი,

რომელიც მონტესორის სკოლაში იწყებს მუშაობას უნდა სჯეროდეს, რომ მოსწავლე აუცილებლად გაიხსნება მუშაობის პროცესში. ის უნდა გათავისუფლდეს ვალდებულებებისგან, „დონეებისა“ და „ტიპებისაგან,“ რის მიხედვითაც ყოფენ ბავშვებს. ბავშვთა სხვადასხვა ტიპი (ნორმიდან დიდი ან მცირე ცდომილებით) მას არ უნდა აღელვებდეს. მასწავლებელს უნდა სჯეროდეს, რომ ბავშვი გამოავლენს თავის ნამდვილ არსს, როდესაც იპოვის მისთვის საინტერესო სამუშაოს. მაშ რას აკვირდება მასწავლებელი? იმ პერიოდს, როცა ბავშვი იწყებს ალღოს აღებას. ამისათვის პედაგოგმა მთელი თავისი ძალა და ენერგია უნდა ჩადოს და მისი საქმიანობა შემეცნებითი და ეტაპობრივი გახადოს. მასწავლებლის მომზადებაში მ. მონტესორიმ გამოყო სამი ეტაპი. განვიხილოთ თითოეული:

- **პირველი ეტაპი**

მონტესორის სკოლაში მასწავლებელი გარემოს მეურვე და მცველი ხდება. ის ამითაა დაკავებული და არა იმით, რომ ბავშვების შეურაცხყოფები აიტანოს. და სწორედ ასე მოახერხებენ მასწავლებლები პოლარიზება გაუკეთონ და თავისკენ მიიზიდონ ბავშვების ნება. ნებისმიერ ოჯახში დიასახლისი ცდილობს მისთვის და მისი ოჯახისთვის მიმზიდველი გარემო შექმნას სახლში, რომელშიც შეიძლება გაიფურჩქნოს ნორმალური და შემოქმედებითი ცხოვრება. დიასახლისი ცდილობს სახლი კომფორტულ და მყუდრო ადგილად აქციოს, რომელიც მრავალი ინტერესით იქნება სავსე. სახლის მთავარი ხიბლი მის სისუფთავესა და წესრიგშია, სადაც ყველა ნივთი თავის ადგილზეა.

მასწავლებელი მონტესორი - სკოლაში ამასვე აკეთებს. ყველა საგანი მოწესრიგებული, კარგ მდგომარეობაში და გამოყენებისთვის მუდამ მზადყოფნაში უნდა იყოს. ამას გარდა მასწავლებელი მიმზიდველი და სასიამოვნო გარეგნობით უნდა გამოირჩეოდეს. სუფთა, კოპწია, მშვიდი და ღირსებებით სავსე უნდა იყოს. ის უნდა იყო იდეალი, რომლისკენაც ყველა ისწრაფვის. „ავტორიტეტი რომ მოიპოვო, საჭიროა მასწავლებელი იყოს ლამაზი, ენერგიული, სახეგამომეტყველი, მჭერმეტყველი. სრულყოფილება არტისტული ოსტატობის შესწავლით მიიღწევა. მასწავლებლისთვის ეს აუცილებელია“ (21, გვ.307).

ბავშვების საზოგადოებაში ყოფნისას აუცილებლად უნდა გვახსოვდეს, რომ ისინი „ამომრჩევლები” არიან. მასწავლებლის გარეგნობა - პირველი ნაბიჯია მათი ნდობისა და პატივისცემის მოსაპოვებლად. მასწავლებელმა საკუთარი ქცევები რაც შეიძლება რბილი და გრაციოზული უნდა გახადოს. მასწავლებლის ზრუნვა საკუთარი პიროვნული თვისებების სრულყოფაზე ძალიან მნიშვნელოვანია. მასწავლებლის პირველი მოვალეობა - გარემოზე დაკვირვებაა. გარემოს ზეგავლენა ირიბია. თუ ეს ასე არ არის, მაშინ არ იქნება ეფექტური მუდმივი ფიზიკური, ინტელექტუალური და სულიერი წინსვლა.

• **მეორე ეტაპი**

მონტესორის მიაჩნდა, რომ გარემოს კეთილმოწყობის შემდეგ, ჩვენ უნდა გავაანალიზოთ, თუ როგორ უნდა იქცეოდეს მასწავლებელი ბავშვებთან ურთიერთობაში. რა უნდა ვქნათ ჩვენ ამ არაორგანიზებულ ბავშვებთან, რა უნდა ვუყოთ მათ პატარა, მოუწესრიგებელ ტვინებს, რომლებსაც, იმედი გვაქვს, რაიმე საქმიანობით დავაინტერესებთ. ზოგჯერ მონტესორი იყენებდა სიტყვას, რომელსაც ადვილია არასწორი ახსნა მოეძებნოს. მასწავლებელი უნდა იყოს მიმზიდველი, მან უნდა შეძლოს ბავშვების მიზიდვა. თუ ავეჯი დამტვრეული იქნება, ხოლო საგნები უადგილოდ მიყრილ-მოყრილი და ამასთანავე მასწავლებელიც მოუწესრიგებელი, უზრდელი და ბავშვებთან ურთიერთობაში უხეში, მაშინ არავითარი საშუალება აღარ გვექნება მიზნის მისაღწევად. საწყის პერიოდში ბავშვების კონცენტრირებამდე მასწავლებელმა უნდა გამოავლინოს თავისი თავი. იგი ცეცხლს უნდა ემსგავსებოდეს, რომელიც ყველაფერს ათბობს მთელი თავისი სხეულით, გიზიდავს თავისკენ და ახალი ძალებით გავსებს. მასწავლებელს არ უნდა ეშინოდეს, რომ ის რაღაცით გაწყვეტს რომელიღაც მნიშვნელოვან პროცესს, რომელმაც ჯერ ვერ მოასწრო გამოვლენა. კონცენტრაციის წინ ხელმძღვანელს შეუძლია გააკეთოს ის, რასაც საჭიროდ მიიჩნევს. მათ შორის, ჩაერთოს ბავშვების საქმიანობაში იმდენად, რამდენადაც აუცილებლად ჩათვლის.

მ. მონტესორი წერდა, რომ „მან წაიკითხა ერთი წმინდანის შესახებ, რომელიც ცდილობდა თავი მოეყარა რამდენიმე მიტოვებული ბავშვისათვის, რომლებსაც ის ქალაქის

ქუჩებში პოულობდა და რა გააკეთა მან? იგი შეეცადა გაერთო ისინი. ნებისმიერი მასწავლებელიც ასე უნდა მოიქცეს. მას შეუძლია მოყვეს რამე ისტორია, იმღეროს სიმღერა, შესთავაზოს ბავშვებს თამაშები. მასწავლებელს, რომელსაც ბავშვების მიზიდვის ნიჭი აქვს, შეუძლია ბავშვებს სავარჯიშოები შეასრულებინოს, თუნდაც ისეთი, რომლებსაც რაიმე შემეცნებითი ღირებულებები არა აქვს, მაგრამ რომლებსაც ბავშვების დაწყნარება შეუძლია. ყველამ იცის, რომ მხიარულ მასწავლებელს ბავშვების გართობის უდიდესი შანსი აქვს, ვიდრე მოსაწყენ მასწავლებელს. და ჩვენც შეგვიძლია ვიყოთ მხიარულები, თუკი შევეცდებით. მაგალითად, ვიღაცას შეუძლია წამოიყვიროს: „მოდი, დღეს მთელი ავეჯი გადავდგათ!“ და მუშაობისას წააქეზებს და შეაქებს მათ, ანდა მას შეუძლია თქვას: „რა მოვუხერხოთ ამ სპილენძის ქოთანს? იგი უნდა გავწმინდოთ“ ან „წავიდეთ ბაღში, დავკრიფოთ ყვავილები“. მასწავლებლის ყოველი მოქმედება ბავშვებისათვის მოწოდებად, ან გამოწვევად უნდა ჩაითვალოს. ეს მასწავლებლის მუშაობის მეორე ფაზაა” (21, გვ.20). თუკი ამ ეტაპზე კიდევ არის ბავშვი, რომელიც მუდმივად ჯიუტად ამტკიცებს რაღაცას, ყველაზე სწორი იქნება თუ მას შევაჩერებთ. ჩვენ ხშირად ვიმეორებდით, რომ თუ ბავშვი ღრმად არის ჩაფლული თავის საქმიანობაში, მასწავლებელი არ უნდა ჩაერიოს, რათა ხელი არ შეუშალოს მის ციკლს, ან მის თავისუფლად განვითარებას. მაგრამ ამ შემთხვევაში სწორი პედაგოგიური მიდგომა სრულიად საპირისპიროა: ხელი უნდა შევუშალოთ დამანგრეველ საქმიანობას. ეს შეიძლება მოხდეს წამოძახილის ფორმით, აღელვებული ბავშვის მიმართ განსაკუთრებული ინტერესის გამოვლენით. განსამუხტავად სიყვარულის დემონსტრირება, რომელიც მოუსვენარი ბავშვის მოქმედების პირდაპირპროპორციულია. მასზე ისე იმოქმედებს, როგორც ელექტრონული განმუხტვის მთელი სერია და დროულ შედეგებსაც იძლევა.

- **მესამე ეტაპი**

საბოლოოდ დგება დრო, როდესაც ბავშვი ავლენს რაღაცის მიმართ ინტერესს, მაგალითად, სავარჯიშოების მიმართ, რომლებიც ცხოვრებისეული პრაქტიკიდანაა. სადაც გვიჩვენებს, რომ ბავშვების მუშაობა სენსორულ მასალასთან უსარგებლო და საზიანოა იქამდე, ვიდრე ისინი მზად არ იქნებიან აქედან სარგებლის მისაღებად.

მონტესორის მიაჩნდა, რომ ვიდრე ბავშვები გაეცნობიან ამ ტიპის მასალებს, ნებისმიერმა მასწავლებელმა უნდა დაიცადოს, სანამ ბავშვები თავად არ იპოვიან თავის თავში რაღაცაზე ყურადღების კონცენტრირების ძალებს. ეს ყველაფერი ხდება ცხოვრებისეული პრაქტიკული სავარჯიშოებით. როდესაც ბავშვი იწყებს ინტერესის გამოვლენას ერთი მათგანის მიმართ, მასწავლებელმა არ უნდა შეაწყვეტინოს, რამდენადაც ეს ინტერესი ბუნების კანონებს შეესაბამება და ახალი საქმიანობის მთელ ციკლს ხსნის. მაგრამ პირველი ნაბიჯები ისეთი ფაქიზი და დელიკატურია, რომ შეხებისას შეიძლება საერთოდ გაქრეს საპნის ბუშტივით და მასთან ერთად დაიკარგება ამ მომენტის მთელი მშვენიერებაც. ახლა მასწავლებელი ფრთხილად უნდა იყოს. არ ჩარევა ნიშნავს კატეგორიულ ჩაურევლობას. სწორედ ამ მომენტში ცდება მასწავლებელი ყველაზე ხშირად. ბავშვი, რომელიც აქამდე რთული იყო, ბოლოს და ბოლოს მობილიზდება რომელიღაც საქმიანობაზე. მასწავლებელმა გვერდით ჩავლისას საკმარისია უთხრას „კარგია“ და დაწყებულს იქვე გააფუჭებს. ორ კვირაზე მეტი უნდა გავიდეს, რომ ბავშვს კვლავ დაუბრუნდეს რაიმესადმი ინტერესი. ბავშვმა, რომელსაც უჭირს რაღაცის შესრულება და რომელთანაც მასწავლებელი მიდის დასახმარებლად, შეიძლება უარი თქვას თავის საქმიანობაზე და ყველაფერი მიუტოვოს მასწავლებელს. ყურადღება კონცენტრირდება არა თავად სამუშაოს საოპერაციო ნაწილზე, არამედ უმეტესად სიძნელეების გადალახვაზე, რომელიც მასთანაა დაკავშირებული. „თუკი მასწავლებელს ასე ძალიან უნდა ამის ჩემს ნაცვლად გაკეთება, დაე გააკეთოს. მე ეს უკვე აღარ მაინტერესებს“ (21, გვ.21). ასეთია ბავშვის დამოკიდებულება. თუკი ბავშვი ცდილობს ასწიოს რაღაც მისთვის ძალიან მძიმე საგანი, ხოლო მასწავლებელი ცდილობს დაეხმაროს, ხშირად ხდება, რომ იგი ამ საგანს მასწავლებელს შეატოვებს ხელში, თავად კი გაიქცევა.

მონტესორი წინააღმდეგია ნებისმიერი შექების, დახმარების, ანდა გამოხედვისაც კი, რადგან ეს ყველაფერი საკმარისია იმისათვის, რომ ხელი შევუშალოთ ბავშვს მის საქმიანობაში. შესაძლოა უჩვეულოდ მოგეჩვენოთ, მაგრამ ასე მაშინაც ხდება, როდესაც ბავშვი იწყებს იმის გაცნობიერებას, რომ მას თვალყურს ადევნებენ. ამას გარდა, ზოგჯერ ჩვენც არ შეგვიძლია სამუშაოს შესრულება, თუ ვინმე მოდის იმის სანახავად, თუ რას

ვაკეთებთ. აი, ეს არის მნიშვნელოვანი პრინციპი, რომლის დაცვასაც წარმატების მოტანა შეუძლია. ბუნებრივია, ყველას შეუძლია გაიგოს, თუ რას აკეთებს ბავშვი, გვერდიდანაც რომ შეავლოს თვალი. მაგრამ ეს ისე უნდა გააკეთოს, რომ ბავშვმა ვერც კი შეამჩნიოს. ამის შემდეგ ბავშვი, რომელიც არ არის მოწყენილობის მსხვერპლი და შეუძლია ერთი საგნიდან მეორეზე გადავიდეს ისე, რომ არაფერზე შეაჩეროს ყურადღება, იწყებს თავისთვის სამუშაოს შერჩევას. ამან შეიძლება გააჩინოს პრობლემა. რადგანაც ბევრს შეიძლება მოუნდეს ერთი და იგივე ნივთი ერთდროულად. მაგრამ ამ პრობლემის გადაწყვეტაში არავინ უნდა ჩაერიოს მანამ, ვიდრე მათ თხოვნით არ მიმართავენ. ბავშვები ამას თავად გადაწყვეტენ. მასწავლებლის მოვალეობა მხოლოდ ახალი ნივთების შეთავაზებაა, ისიც მაშინ, როდესაც ბავშვი სრულად ამოწურავს იმ მასალების შესაძლებლობებს, რომლებითაც ის წინათ სარგებლობდა.

მონტესორი - მასწავლებელი ბავშვთან დამოკიდებულებაში ჩაურევლობის უნარს პრაქტიკასთან ერთად იძენს, ისევე, როგორც სხვა დანარჩენს. მაგრამ ის არასოდეს მოდის იოლად. რაც ნიშნავს იმას, რომ მასწავლებელი უნდა იყოს მოწოდების სიმაღლეზე. ნამდვილი შთაგონება აცნობიერებს, რომ დახმარებაც კი შეიძლება იყოს სიამაყის წყარო. ნამდვილი დახმარება, რომლის გაწევაც მასწავლებელს შეუძლია სენტიმენტალური იმპულსის მორჩილებაში კი არ მდგომარეობს, არამედ იგი დისციპლინის სიყვარულის მორჩილებაშია, რადგან „კეთილი ადამიანი უფრო ბედნიერი ხდება, ვიდრე ის ვისაც ეს სიკეთე ეკუთვნოდა. ნამდვილი სიკეთე ემსახურება მას, ვინც ამას საჭიროებს წარმოჩენის გარეშე, ანდა როდესაც წარმოჩნდება იღებს არა დახმარების სახეს, არამედ რაღაც ჭეშმარიტად სპონტანურს" (21, გვ. 22).

მონტესორის მიაჩნდა, რომ „თუმც მასწავლებლისა და ბავშვის ურთიერთობები ერთ სულიერ ველშია, მასწავლებელს შეუძლია კარგი სახე მისცეს თავის საქციელსო. ამ შემთხვევაში იგი იმყოფება იმ მოსამსახურის მდგომარეობაში, რომელიც თავის პატრონს აკვირდება. მას წესრიგში აქვს მოყვანილი თავისი პატრონის ტანსაცმელი, ადგილზე დებს მის ჯაგრისებს, მაგრამ პატრონს არ მიუთითებს როდის გამოიყენოს ისინი. აწოდებს მას საჭმელს, მაგრამ არ აიძულებს ჭამოს, მოემსახურება და უსიტყვოდ ტოვებს. ასევე უნდა

მოვიქცეთ ჩვენც მაშინ, როდესაც ბავშვის სულიერი ცენტრი იწყებს გაღვივებას. პატრონი, რომელსაც მასწავლებელი ემსახურება, ბავშვის სულია. როდესაც ის იწყებს თავისი მოთხოვნილებების გამოვლენას, მასწავლებელი ჩქარობს რეაგირება მოახდინოს მათზე. მოსამსახურე არასოდეს აწუხებს პატრონს, მაგრამ თუკი მას მოუხმობენ, ის მყისვე იკითხავს, თუ რა სურს პატრონს და უპასუხებს: „დიახ სერ.“ თუ მისგან მოითხოვენ აღტაცებას, მას შეუძლია თქვას - „რა ლამაზია!“ თუნდაც იგი განსხვავებულად ფიქრობდეს. თუ ბავშვი განსაკუთრებული გულისხმიერებით მუშაობს, ჩვენ მისგან მოშორებით უნდა ვიმყოფებოდეთ, მაგრამ თუ ის გვიჩვენებს თავისი შრომის შედეგს და შექებას ელოდება, აუცილებლად უნდა შევაქოთ” (21, გვ.22).

მონტესორის აზრით, ფსიქოლოგიის სფეროში მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის ურთიერთდამოკიდებულება ანალოგიურია მოსამსახურის ქმედების. ის უნდა მოემსახუროს და ამასთანავე ძალიან კარგად მოემსახუროს მის სულს. ეს სრული სიახლეა, განსაკუთრებით, სწავლების სფეროში. საკითხი იმაში კი არ მდგომარეობს, რამდენად უვლი ბავშვს და მისი ტანსაცმლის სისუფთავეს, ჩვენ ბავშვის სხეულს კი არ ვემსახურებით, რადგან ვიცით, რომ გარკვეულ ეტაპზე ეს მან თავად უნდა გააკეთოს. ჩვენი აღზრდის არსი იმაში მდგომარეობს, რომ ამ თვალსაზრისით არ უნდა ვემსახურებოდეთ მას. მან უნდა მოიპოვოს ფიზიკური დამოუკიდებლობა, გახდეს დამოუკიდებელი, მან უნდა მოიპოვოს არჩევანის თავისუფლება, უნდა ისწავლოს შრომა წყვეტების გარეშე. „ბავშვის განვითარება წინ მიიწევს დამოუკიდებლობის სხვადასხვა ეტაპების გავლის გზით, რომელიც ერთი მეორეს მიჰყვება და ჩვენი ცოდნა ამ სფეროში უნდა ხელმძღვანელობდეს ჩვენს ქცევას ამ გზაზე. ეს არის სულიერი მომსახურების ხელოვნება, ხელოვნება, რომელიც შეიძლება სრულყოფილად განვითარდეს მხოლოდ ბავშვთან მუშაობისას” (21, გვ.22).

მონტესორი ფიქრობს, რომ როდესაც მასწავლებელი შეხვდება მასზე მინდობილი ბავშვების ჯგუფს, იგი მიხვდება საზოგადოებრივი ცხოვრების ღირსებებს და ბავშვის სულის გამოვლინება მას ბევრ სიხარულს მიანიჭებს. ეს დიდი პრივილეგიაა - იცოდე, როგორ დააკვირდე მათ. „ეს პრივილეგია მოგზაურისაა, რომელმაც მიაღწია ოაზისს და

ესმის წყაროს ჩხრიალი უდაბნოს შუაგულისა. ბავშვში მასწავლებელი ისეთ ადამიანს ხედავს, როგორიც ის უნდა გახდეს: დაუღალავს, რომელიც მთელი ენთუზიაზმით შრომობს. მასში ხედავს ადამიანს, რომელიც მუდმივ ძიებებშია, რადგან მისი მისწრაფებაა სიძნელეებზე მაღლა დგომა. ეს არის ადამიანი, რომელიც ცდილობს დაეხმაროს სუსტს, რადგანაც მის სულში ადგილი აქვს ნამდვილ გულმოწყალებას: მან იცის, რას ნიშნავს სხვების დაფასება და ამ ადამიანის სულიერი სწრაფვა პატივისცემის მიმართ წარმოადგენს წყაროს, რომელიც კვებავს მისი სულის ფესვებს. ამ თვისებებით მასწავლებელი გამოარჩევას ბავშვს - მომავალში ნამდვილ ადამიანს” (21, გვ.22).

მაგრამ ეს მალე არ ხდება, თავდაპირველად მასწავლებელი იტყვის: „მე დავინახე ამ ბავშვში ის, თუ როგორი უნდა გამხდარიყო იგი და ის მასზე უკეთესი გახდა, მიდრე მე ველოდი“ (21, გვ.23). აი, რას ნიშნავს გააცნობიერო, თუ რა არის ადრეული ბავშვობა. საკმარისი არ არის იცოდე ბავშვის სახელი და მამამისის პროფესია. მასწავლებელმა უნდა იცოდეს და ყოველდღიურად უნდა ამყარებდეს ცხოვრებაში ბავშვობის საიდუმლოებებს. ამის წყალობით იგი არა მხოლოდ ღრმა ცოდნას იძენს, არამედ იძენს განსაკუთრებულ სიყვარულს, რომელიც მიმართულია არა მხოლოდ ცალკეული ადამიანებისადმი, არამედ იმ საიდუმლოსადმი, რომელიც მის სულში ღრმადაა მიმალული. როდესაც ბავშვი გახსნის თავის სულს, - „ალბათ მასწავლებელი პირველია, ვინც იგებს, თუ რა არის ნამდვილი სიყვარული. ეს გულწრფელობა მასაც ეხება. ეს ის არის, რაც გულს ეხება და თანდათანობით ცვლის ადამიანებს. ეს უკვე შესამჩნევი გახდა და არ შეიძლება არ ითქვას ამის შესახებ. შეიძლება ბავშვის სახელი დაგავიწყდეს, მაგრამ არ შეიძლება წაშალო კვალი, რაც დატოვა მათმა სულებმა და სიყვარულმა, რომლის გაღვიძებაც მათ შეძლეს“ (21, გვ 23).

მონტესორი ფიქრობდა, რომ სიყვარულის ორი დონე არსებობს. ხშირად, როდესაც ჩვენ ვსაუბრობთ ბავშვებისადმი ჩვენს სიყვარულზე, აუცილებლად ვყვებით თუ როგორ ვზრუნავთ მათზე, ვახვევთ ალერსის და სიყვარულის ბადეში. იმათ, რომლებსაც ვიცნობთ და ვინც ჩვენთან სულიერი ნათესაობით არიან დაკავშირებულნი. მაგრამ ეს სრულიად სხვა სიყვარულია. ეს ის დონეა, რომელიც უკვე არც პირადია და არც მატერიალური. ემსახურო ბავშვს - ნიშნავს იგრძნო, რომ ადამიანის სულს ემსახურები. სულს, რომელმაც

თვითონვე უნდა შექმნას თავისი თავი. უნდა ითქვას, რომ სხვაობა დონეებს შორის გამოვლინდა არა მასწავლებლების, არამედ თავად ბავშვების მიერ. მასწავლებელი გრძნობს, რომ ის აიყვანეს იმ სიმაღლემდე, რომელიც მან წინათ არ იცოდა. ბავშვი აიძულებს მასწავლებელს, გაიზარდოს იმ დონემდე, სანამდეც ის ამ სფეროს მიაღწევს.

მონტესორი დარწმუნებული იყო იმაში, რომ აქამდე მასწავლებელი თავის სამსახურს კეთილშობილურად თვლიდა, მაგრამ მას უხაროდა არდადეგების დადგომა და იმედი ჰქონდა, როგორც ყველა სხვა ადამიანს, რომ მას შეუმცირებდნენ საათებს და მოუმატებდნენ ხელფასს. შესაძლოა მას აკმაყოფილებდა იმის შეგრძნება, რომ იგი იდეალურია, რომელსაც ბავშვები ბაძავენ და ცდილობენ მას გადააჭარბონ კიდეც. ის ბედნიერი იქნება, თუკი დირექტორი ან ინსპექტორი გახდება. მაგრამ იმისათვის, რომ ამ დონიდან უფრო მაღალზე გადახვიდე, უნდა გესმოდეს, რომ ბედნიერება ამაში არ არის. „ის, ვინც წყაროსთან სულიერი ბედნიერების წყალი მოსვა, დაემშვიდობება თავის მისწრაფებებს უმაღლესი საზოგადოებრივი და პროფესიული სტატუსისაკენ. ეს ჩანს მრავალი დირექტორის და ინსპექტორის მაგალითზე, რომლებმაც უარი თქვეს კარიერაზე, რათა თავი მიეძღვნათ პატარა ბავშვებისათვის და გამხდარიყვნენ „ძიძები," როგორც მათ ირონიით მოიხსენიებენ" (21, გვ. 23).

არსებული ლიტერატურის გაანალიზების საფუძველზე შეიძლება დავსვათ კითხვა: რა გვევლინება მონტესორი-მასწავლებლის გარდასახვის მთავარ ნიშნად? მას შეიძლება ასეთი ფორმულირება გაუკეთდეს: „ახლა ბავშვები ისე მუშაობენ, თითქოს მე სულაც არ ვიყო აქ" (21, გვ.23). თავიანთი გრძნობების გარდაქმნამდე მასწავლებლები სხვანაირები იყვნენ. ისინი თვლიდნენ, რომ სწორედ ისინი ასწავლიდნენ ბავშვებს, სწორედ მათ აჰყავდათ ბავშვები დაბალი დონიდან მაღალ დონემდე. მაგრამ ახლა როდესაც ნათელი ხდება ბავშვის სულიერი გამოვლინების ყველაზე მაღალი ფასეულობა, რომელიც მასწავლებელს შეუძლია მიაწეროს თავის ღვაწლს შეიძლება გამოვხატო შემდეგი სიტყვებით: „მე დავეხმარე ცხოვრებას შეესრულებინა ამოცანა, რომელიც ჯერ კიდევ სამყაროს შექმნამდე იყო დაყენებული" (21, გვ.23).

მონტესორისთვის ეს ნამდვილი სიამოვნებაა. მასწავლებელმა, რომელიც ასწავლის 6 წლის ასაკამდე ბავშვებს, იცის, რომ იგი დაეხმარა კაცობრიობას მისი ფორმირების განუყოფელ ნაწილში. მასწავლებელმა შეიძლება არ იცოდეს ბავშვის ყოველი წვრილმანი, იმის გარდა, რომლის შესახებაც თავად ბავშვები აუწყებენ საუბრისას. შესაძლოა მას არც აინტერესებდეს მათი მომავალი: შევლენ თუ არა ისინი საშუალო სკოლაში, უნივერსიტეტში, ან სულაც მალე ასრულებენ სწავლას. მაგრამ ის ბედნიერია იმით, რომ სწავლის (ფორმირების) პერიოდში ისინი აკეთებდნენ იმას, რაც უნდა გაეკეთებინათ. მან შეიძლება თქვას: „მე მოვემსახურე იმ ბავშვების სულს და მათ მოახერხეს განვითარება. მე კი იმ პერიოდში მათი მეგობარი ვიყავი“ (21, გვ.23). მასწავლებელი გრძნობს მისი სამუშაოს ღირებულებას, რომელიც მან შეასრულა დაკმაყოფილებული სულიერი ცხოვრების ფორმირებით, „მუდმივი ცხოვრების“ და ყოველდღიური ლოცვების ფორმით. ეს რთული გასაგებია იმისათვის, ვისაც არ უცხოვრია ასეთი ცხოვრებით. ბევრი ფიქრობს, რომ ეს მსხვერპლის გაღებით ხდება და ამბობენ: „რა მორჩილები არიან ეს მასწავლებლები, ისინი სულაც არ სარგებლობენ თავიანთი უფლებებით ბავშვებზე. რა წარმატების მოტანა შეუძლია თქვენს მეთოდს, თუ კი თქვენ მასწავლებლებისგან ითხოვთ, უარი თქვან ყველა მათ ბუნებრივ სურვილებზე?“ რისი გაგებაც ყველას არ შეუძლია ისაა, რომ საკითხის არსი მსხვერპლის გაღება კი არა, კმაყოფილებაა, უარყოფა კი არა, ახალი ცხოვრება სხვა ფასეულობებით, ნამდვილი ცხოვრება, დღემდე უცნობი.

საერთოდ, მონტესორის სკოლაში მასწავლებელი მოსწავლის შექებისას ფრთხილად უნდა ყოფილიყო, ან წინააღმდეგ შემთხვევაში მას ყველა უნდა შეექო ანუ ის სამართლიანი უნდა იყოს. სამართლიანობის ასეთი გამოვლინება ყველას დაბალ საფეხურზე აყენებს, „თუკი სულიერ გრძნობებს შორის ჩვენ ვიხელმძღვანელებთ ყველაზე უმაღლესით, რათა ისინი ყველანი ერთნაირი ყოფილიყვნენ. ამ მაღალ საგანმანათლებლო დონეზე, სამართლიანობა - ეს ჭეშმარიტად რაღაც სულიერია, რაც იმისი გარანტიაა, რომ ყველა ბავშვი შეძლებს შეუძლებელსაც კი” (21, გვ.23).

ბავშვები თავიანთ პრობლემებს მშვიდობიანად წყვეტენ. ისინი გვიჩვენებენ, რომ თავისუფლება და დისციპლინა მედლის ორი მხარეა, რადგან გაცნობიერებულ

თავისუფლებას დისციპლინა მოსდევს. მონეტას ორი მხარე აქვს: ერთ-ერთი უფრო ლამაზია, ნატიფად ამოტვიფრული თავით, ანდა ალეგორიული ფიგურით. მეორე მხარე ნაკლებადაა მორთული და მხოლოდ ციფრები და ასოებია მასზე გამოსახული. მარტივგამოსახულებიანი ფიგურა შეიძლება თავისუფლებას შევადაროთ, მეორე კი - დისციპლინას. როდესაც კლასი არადისციპლინირებული ხდება, მასწავლებელი ამ უწესრიგობაში მხოლოდ მის მიერ დაშვებული შეცდომების შედეგს ხედავს და ცდილობს ეს გამოასწოროს. ჩვეულებრივი სკოლის მასწავლებელი კი თავს შეურაცხყოფილად იგრძნობს, მაგრამ ეს არ არის დამცირება. ეს ახალი განათლების შემადგენელი ნაწილია. ადამიანი ერთი საფეხურით მაღლა მიიწევს და ამით ბუნებას ეხმარება, რადგან ზევითკენ მოძრაობა (სწრაფვა) ცხოვრების კანონია. სწორედ ბავშვებმა შექმნეს ეს არაჩვეულებრივი კიბე, რომელსაც სულ ზევით და ზევით მივყავართ.ბუნების კანონი - წესრიგია. როდესაც წესრიგი მყარდება, ვხვდებით, რომ ჩვენ ამით სამყაროში წესრიგს მივაღწევთ. ცხადია, რომ ბუნებას აქვს მისიები, რომლებიც მან ბავშვებს მიანდო, რათა შევძლოთ მივაღწიოთ უმაღლეს დონეს. ბავშვებს ადამიანური სულის განვითარების უმაღლესი დონისკენ მივყავართ და სწორედ ამის მეშვეობით გადაიჭრება მატერიალური პრობლემები. „ო, ღმერთო, დაგვეხმარე ბავშვობის საიდუმლოს ამოხსნაში, რათა შევიცნოთ ბავშვი, გვიყვარდეს და ვემსახუროთ მას სამართლიანობის კანონის შესაბამისად და მივყვეთ შენს ნებას!“ (21, გვ.24) -ვეს არის ჩვენი მასწავლებლებისთვის მოწოდება.

ამრიგად, მონტესორის პედაგოგიკურ კონცეფციაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მასწავლებელს. საკმაოდ ხანგრძლივია მონტესორი მასწავლებლის მომზადება. რომ გახდე მონტესორი მასწავლებელი, ამისათვის საჭიროა გარდაქმნა საკუთარი თავი.. მასწავლებელი ეხმარება ბავშვებს ცოდნის დაგროვებაში, რომელიც გაცილებით რთულია, ვიდრე სწავლება.

§ 7. მუსიკის სწავლების საკითხისათვის მონტესორის პედაგოგიკურ კონცეფციაში

ბავშვთა მუსიკალურ განვითარებას მონტესორის სისტემის მიხედვით აქვს საფეხურეობრივი ხასიათი. მუსიკალური აღზრდა იყოფა სამ ეტაპად:

- ბავშვის ირგვლივ არსებულ ბგერებზე ყურადღების გამახვილება
- მუსიკის რიტმული აღქმის გამოვლენა და განმტკიცება
- მელოდიური და ჰარმონიული სმენის ფორმირება

პირველი შეხება მუსიკასთან მიმდინარეობს მომზადებული სავარჯიშოებით. მუსიკალური განვითარების სწავლების დასაწყებად რომში მონტესორიმ გამოიყენა მასალა, რომელიც არ შედის დღესდღეობით გაყიდვაში არსებული დიდაქტიკური მასალის შემადგენლობაში. ის შედგება ზანზალაკების (პატარა ზარების) ორმაგი ნაკრებისგან, რომლებიც შეადგენენ ოქტავას ტონებით და ნახევარტონებით. ეს არის ლითონის ზარები, ყოველი მათგანი დგას ხის მართკუთხა სადგარზე და გარეგნულად ყველა ერთნაირია. მაგრამ, თუ კი მათ შემოვკრავთ პატარა ხის ჩაქუჩს, ისინი **გამოყოფენ** ბგერებს, რომლებიც შეესაბამება ნოტებს დო, რე, მი, ფა, სოლ, ლა, სი, დო#, რე#, ფა#, სოლ#, ლა#.

ტონიანი და ნახევარტონიანი ზანზალაკების ერთი კრებული განლაგებულია გრძელ დაფაზე, რომელზეც დახატულია იგივე ზომის თეთრი და შავი მართკუთხედები, როგორც ფორტეპიანოს კლავიატურაზე, თეთრი მართკუთხედი აღნიშნავს ტონს, შავი კი ნახევარტონს.

თავიდან „დო“ დაფისთვის საჭიროა დავალაგოთ მხოლოდ ის ზანზალაკები, რომლებიც შეესაბამებიან ტონებს, მათ განალაგებენ თეთრ მართკუთხედებზე მუსიკალური ნოტების ჩვეულ რიგში - დო, რე, მი, ფა, სოლ, ლა, სი, დო.

პირველი სავარჯიშოს შესასრულებლად ბავშვმა უნდა დაარტყას პატარა ხის ჩაქუჩი უკვე დაწყობილი ნაკრების პირველ ნოტს - დოს. შემდეგ ზანზალაკების მეორე ნაკრების

შორის, რომლებიც შეესაბამება მხოლოდ ტონებს და ერთმანეთშია არეული, ის ცდილობს ხის ჩაქუჩის დარტყმით იპოვოს მათ შორის ისეთივე ბგერა, რომელიც გამოსცა პირველმა ზანზალაკმა, რომელსაც მან ჩამოჰკრა (დო). როდესაც ბავშვი შეძლებს იპოვოს იგივე ჟღერადობის ზანზალაკი, ის დგამს მას დაფაზე პირველის გასწვრივ (დო). შემდეგ ის ერთხელ ან ორჯერ ჩამოკრავს მეორე ზანზალაკს, რე-ს და შემდეგ ისევ ამოწმებს, როგორ ჟღერენ ზანზალაკები შერეულ ჯგუფში, სანამ არ იპოვის მათ შორის რე-ს და დადგამს ამ ზანზალაკს მის შესაბამის მეორე ზანზალაკის პირდაპირ პირველი, უკვე განლაგებული რიგიდან. იგივეს ასრულებს ყველა ზანზალაკთან ბოლომდე და ეძებს ერთნაირ ბგერებს. ამრიგად, ის ასრულებს სავარჯიშოს **„იპოვე წყვილი“**, რომელიც წააგავს იმას, რასაც ის უკვე ასრულებდა ხმაურიან ცილინდრებთან, ფერად დაფებთან და ა.შ. ნაკრებებში.

შემდეგ ბავშვი ცდილობს დაიმახსოვროს ის თანმიმდევრობა, რომელშიც განლაგებულია ნოტები სანოტო დამწერლობაში. ის სწრაფად უკაკუნებს რიგში ჩამწკრივებულ ზანზალაკებს, აიტაცებს მელოდიას და დაამღერებს: დო, რე, მი, ფა, სოლ, ლა, სი, დო. მას შემდეგ, რაც ბავშვმა შეძლო დაეჭირა და დაემახსოვრებინა ნოტების განლაგება, ის იღებს რვა ზანზალაკს, აურევს ერთმანეთში და ჩაქუჩის დაკაკუნებით ცდილობს მოძებნოს ჯერ დო, შემდეგ რე და ა.შ. ყოველ ჯერზე, როდესაც ის ამოიცნობს ახალ ნოტს, ბავშვი ისევ დაუკაკუნებს ჩაქუჩს მისთვის უკვე ცნობილ და მწკრივად დაწყობილ ზანზალაკებს – დო, რე, დო, რე, მი, დო, რე, მი, ფა, დო, რე, მი, ფა, სოლ და ა.შ.

ამრიგად, ის განალაგებს ყველა ზანზალაკს რიგის მიხედვით და ამ დროს ხელმძღვანელობს მხოლოდ საკუთარი სმენით. როდესაც ამას შეძლებს, ბავშვი ისევ დაუკაკუნებს ჩაქუჩს ყველა ზანზალაკს – ჯერ წაღმა, მერე პირიქით. ეს სავარჯიშო მოსწონს ყველა ბავშვს – ხუთი წლის ასაკიდან ზემოთ.

საკუთარ პრაქტიკაში მონტესორი იყენებდა აგრეთვე ლითონის მუსიკალურ მილებს, კლავიშებისმაგვარ პატარა ხის ნაჭრებს, სიმებიან ინსტრუმენტებს (პატარა არფებს). მათი მეშვეობით ბავშვი სწავლობდა იმ ნოტების გარჩევას, რომლებიც უკვე შეისწავლა ზანზალაკებთან ვარჯიშში. ამ მიზნებისთვის აგრეთვე შესაძლებელი იყო ფორტეპიანოს გამოყენება. ამრიგად, ნოტების განსხვავებასთან ერთად ბავშვი სწავლობდა განსხვავებებს

ტემბრშიც. ამავე დროს ზოგიერთი უკვე დასახელებული სავარჯიშო, მაგალითად მარშები, რომლებსაც ასრულებენ ფორტეპიანოზე რიტმული ვარჯიშების დროს, ან მარტივი სიმღერები, რომლებსაც ბავშვები თვითონ მღერიან, – ყველაფერი ეს აძლევს ბავშვებს საშუალებას, განავითარონ საკუთარი მუსიკალური სმენა.

ბგერებზე ბავშვების ყურადღების ფოკუსირების გასაძლიერებლად მონტესორიმ შემოიტანა განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი სავარჯიშო, რომელიც აღზრდის დღემდე არსებული მეთოდებისაგან განსხვავებით მდგომარეობს იმაში, რომ კი არ აწარმოონ, არამედ რამდენადაც შესაძლებელია, აღმოფხვრან ირგვლივ ყველა ბგერა. ასეთი **„სიჩუმის გაკვეთილები“** ძალიან ფართოდ გამოიყენებოდა იმ სკოლებშიც კი, სადაც მონტესორის მეთოდის დანარჩენი დეტალები არ სარგებლობდა მხარდაჭერით. ისინი პოპულარული იყო იმის გამო, რომ შეეძლო პრაქტიკული ზეგავლენის მოხდენა **ბავშვის დისციპლინაზე.**

მონტესორისთან ბავშვები სწავლობდნენ როგორ არ ემოძრავათ. „იმისათვის, რომ ვასწავლოთ მათ მოტორიკის ყველა იმპულსის მოთოკვა, რომლებიც შეიძლება გამოიწვიოს ნებისმიერმა გარე მიზეზმა, იმისათვის, რათა მიღწეულ იქნას ნამდვილი უმოძრაობა, უნდა გავაცნოთ ბავშვებს ის, რასაც ეწოდება კონტროლი საკუთარ მოძრაობებზე. ამასთანავე, მასწავლებლის როლი არ მდგომარეობს იმაში, რომ ყოველ წუთში იძახოს „იჯექი მშვიდად“. ის საკუთარი მაგალითით აჩვენებს ბავშვებს, როგორ უნდა ისხდნენ აბსოლუტურად გაუნძრევლად, ანუ არ ამოძრაონ ფეხები, სხეული, ხელები, თავი. სუნთქვაც უნდა გახდეს მაქსიმალურად მშვიდი, რათა მათ არ დაარღვიონ სიჩუმე ოთახში“ (22, გვ. 378-379).

მონტესორი ასწავლიდა ბავშვს, თუ როგორ დაუფლებოდა ამ სავარჯიშოს. წარმატების მთავარი საწინდარი მდგომარეობდა იმაში, რომ მოეძებნა მყუდრო პოზა, ანუ სიმშვიდის, წონასწორობის პოზა. როდესაც ბავშვები იწყებდნენ ამ სავარჯიშოს, ისინი უნდა განლაგებულიყვნენ მოხერხებულად პატარა სკამებზე ან იატაკზე. როდესაც ყველა დასხდებოდა გაუნძრევლად, ოთახს ოდნავ აბნელებდნენ. აგრეთვე ბავშვებს შეეძლოთ უბრალოდ დაეხუჭათ თვალები ან თვალებზე აეფარებინათ ხელები.

სავსებით თვალნათელია, რომ ბავშვებისათვის ძალიან საინტერესო იყო **თამაში „სიჩუმე“**. ისინი ისხდნენ თითქოს მოჯადოებულნი. იმის მიხედვით, თუ რამდენად ღრმად ჩაწვდებოდა თითოეული ბავშვი საკუთარ თავს და ხდებოდა სულ უფრო და უფრო მშვიდი, სიჩუმე ოთახში თანდათანობით ისეთი აბსოლუტური ხდებოდა, რომ შეიძლებოდა მისი შეგრძნება.

მაშინ ჩნდებოდა ის ოდნავ გასარჩევი ბგერები, რომლებიც ადრე შეუმჩნეველი იყო. მათ შეიძლებოდა გაეგონათ, თუ როგორ წიკწიკებს საათი, ჭიკჭიკებენ ჩიტები ბაღში, დაფრინავენ პეპლები. სამყარო ივსებოდა ოდნავ გასარკვევი ბგერებით.

მონტესორის მიაჩნდა, რომ ეს ძალიან ჰგავდა ახალი სამყაროს აღმოჩენას, რომელშიც ბატონობს სიმშვიდე. ეს იყო იმ ხმამაღალი ბგერების და ხმაურის სამყაროს ნამდვილი წყვდიადი, რომელიც თრგუნავდა სულს. ამ მომენტში სული თავისუფლდება და იფურჩქნებოდა, ისე როგორც ყვავილის ბუტკო. არარეალურიდან რეალურ ცხოვრებაში დაბრუნებისას უნდა გაეხსენებინათ ის გრძნობები, რომლებიც ყველა მათგანს ეუფლებოდა შებინდებისას, როდესაც წყდებოდა დღის ყველა ნათელი შთაბეჭდილება, მისი ბრჭყვიალება და ხმაური. „საქმე არ არის იმაში, რომ ჩვენ ეს დღე გვენატრება, უბრალოდ ამ მომენტში ჩვენი სული უფრო ფართოვდება. ის უფრო მგრძნობიარე ხდება ძლიერი და მუდმივი ან ცვალებადი და მშვიდი შინაგანი ემოციების მიმართ” (11, გვ.379).

„სხვათა შორის, „სიჩუმის გაკვეთილები” საუკეთესო საშუალებაა ყურადღების აღზრდისათვის, თვითდაკვირვებისა და საგანზე ჩაკვირვების ნიჭის აღზრდისათვის. ბავშვი გულის ფანცქალით ელის, როდის გამოიძახებენ მას, მერე გამოძახებასაც გამოძახება ჰქვია. მას გამოიძახებენ ჩურჩულით. მისი ყურადღება გამახვილებულია; გარდა ამისა, თანდათანობით ჩამოვარდნილ და დამყარებულ სიჩუმეში ის გარკვევით არჩევს ისეთ ხმებს, რომელთაც ჩვეულებრივად ყოველდღიური ცხოვრების ხმაურში ადამიანი ვერ ისმენს: საათის წიწკინი, ქუჩაში ურმისთვლების ჭრიალი, ძაღლის ხმაური, წვიმის შხუილი, დერეფანში ვიღაცა მოსიარულის ფეხის ხმა, კედელს იქიდან გამოძახილი ხმები და სხვა. მეტადრე კარგად გამოდის ეს გაზაფხულზე, ზაფხულში და შემოდგომით, როცა ფანჯრების გაღება შეიძლება. ბავშვები დიდი ყურადღებით უგდებენ

ყურს, რაზედაც ფიქრობენ, ხოლო ზოგიერთის სახეზე აღბეჭდილიარაღაც ღრმა აზრის გამომეტყველება. მონტესორი ურჩევს, რომ ასეთი გაკვეთილებითაც შეიძლება ხშირად იყოს ხოლმე წარმოებული, თუ შესაძლებელ იქნება, ყოველდღე. ხელმძღვანელის ტაქტისა და საზრიანობა - გამომგონებლობაზეა დამოკიდებული ამ გაკვეთილების სხვადასხვაფეროვნება და ყოველთვის თავის დროზე მოწყობა. თუკი ბავშვი პატარაობიდანვე ყოველდღე ცოტა-ცოტათი მაინც გაივითარებს სიჩუმის დაცვისა და დუმილის სიყვარულის ცოდნას, შემდგომ ის ძალიან მდიდარი იქნება განცდებით რამდენ სიამოვნებას, მერე მაღალს და ლამაზს სიამოვნებას მიიღებს იგი განმარტოვებისა და სიჩუმისაგან, ეს განმარტოვება და სიჩუმე კი აძლევს მის სულიერ ცხოვრებას სრულ წონასწორობას" (11, გვ.72-73).

„სიჩუმის გაკვეთილი" მთავრდებოდა ყველა ბავშვის სახელების ჩამოთვლით. მასწავლებელი ან რომელიმე ბავშვი, ვინც დაიკავებდა მასწავლებლის ადგილს კლასის უკან ან მეზობელ ოთახში, სახელებით ეძახდა უძრავ ბავშვებს ერთი - მეორის მიყოლებით. ის სახელებს წარმოთქვამდა ჩურჩულით, ხმას არ იმაღლებდა. საკუთარი სახელის გასაგონათ, ბავშვებს უნდა მოეკრიბათ მთელი ყურადღება. როდესაც ბავშვი გაიგონებდა თავის სახელს, ის მიდიოდა იმ ხმისაკენ, რომელიც მას ეძახდა. მისი მოძრაობები იყო მსუბუქი და თავშეკავებული, რათა არ გამოეწვია ზედმეტი ხმაური.

მონტესორის აზრით, როდესაც ბავშვები გაეცნობიან სიჩუმეს, მათ სმენას შეუძლია უფრო დახვეწილად გაარჩიოს ბგერები. თანდათანობით ზედმეტად ხმამაღალი ბგერები ხდება არასასიამოვნო იმ ადამიანის ყურისათვის, რომელმაც გამოსცადა სიჩუმის მთელი სილამაზე და აღმოაჩინა თავისთვის ოდნავ გასარჩევი შარიშურის მშვენიერი სამყარო. ამ მომენტიდან ბავშვები დადიან უფრო ჩუმად და მსუბუქად, ცდილობენ არ უკაკუნონ ავეჯზე, უხმაუროდ გამოწევენ სკამებს და ძალიან აკურატულად დგამენ საგნებს მაგიდაზე. ამ ვარჯიშების შედეგები ჩანს მათი მოძრაობების და მიხვრა - მოხვრის სინატიფეში, რომლებიც განსაკუთრებულად მიმზიდველია იმით, თუ როგორი გზებით მიიღწეოდა ისინი. ეს არ არის ის გრაციოზულობა, რომელიც მათ შეიძლება ვინმემ ასწავლოს გარეგნული სილამაზისთვის ან გარშემომყოფთა ყურადღებისთვის. ეს სინატიფე

აღმოცენდა იმ სიხარულის გრძნობიდან, რომელსაც ადამიანი იღებს სიმშვიდესა და სიჩუმეში. ბავშვის სულს სურს გათავისუფლდეს ზედმეტად გამაღიზიანებელი ხმამაღალი ბგერებისაგან, იმისაგან, რაც მის სიმშვიდეს არღვევს ვარჯიშების დროს.

ასეთი სავარჯიშო ძალიან ზუსტად იყო მიმართული სოციალური უნარების განვითარებისაკენ. მონტესორი თვლიდა, რომ ვერავითარი სხვა დავალება ან სხვა სიტუაცია ვერ შეძლებდა იგივეს გაკეთებას. სრული სიჩუმის მიღწევა შესაძლებელიაო თუნდაც პატარა ოთახში, სადაც შეკრებილია ორმოცდაათზე მეტი ბავშვი. საჭიროა მხოლოდ ის, რომ ბავშვებმა იცოდნენ, როგორ უნდა ისხდნენ მშვიდად და სურდეთ ამის გაკეთება. მაგრამ, საკმარისია ერთი დამრღვევიც კი, რომ გაქრეს სიჩუმის ხიბლი.

ამიტომაც, მონტესორის მოსაზრებით, „სიჩუმის გაკვეთილები“ ძალიან ნათლად გვიჩვენებდა, რომ აუცილებელი იყო საზოგადოების ყველა წევრის მოქმედებების შეთანხმებულობა, თუკი მათ სურდათ საერთო მიზნის მიღწევა. ბავშვები თანდათანობით ახდენდნენ აკრძალვის მზარდი ძალის დემონსტრირებას. მრავალი მათგანი, იმის მაგიერ, რომ დაერღვიათ სიჩუმე, იკავებდა თავს მანამ, სანამ ხელს აუქნევდნენ ცხვირზე დამჯდარ ბუზს, დაახველებდნენ ან დააცემინებდნენ. ასეთივე ქცევა საერთო ინტერესების საკეთილდღეოდ ვლინდებოდა იმაში, რომ ბავშვები ცდილობდნენ არ ეხმაურათ სავარჯიშოს შესრულების დროს. ისეთი სიმსუბუქე, როგორითაც ისინი ფეხაკრეფით დადიოდნენ, სიფაქიზე, როდესაც კეტავდნენ კარადას ან დგამდნენ საგანს მაგიდაზე, ყველა ეს თვისება, რომლებსაც იძენდა ბავშვი, თუ კი მათ გარშემომყოფი ატმოსფერო იქნებოდა მშვიდი და არ გამოიწვევდა ყურადღების გადატანას. ერთი ანცი იქნებოდა საკმარისი, რათა გაენადგურებინა ეს მიღწევა. ერთ ხმაურიან ბავშვს, რომელიც მოუსვენრად დარბოდა და აკაკუნებდა კარზე, შეეძლო დაერღვია ამ პატარა საზოგადოების სიმშვიდე.

- **სანოტო ანბანის სწავლება**

როდესაც ბავშვმა უკვე იცის კითხვა, მას შეუძლია გამოიყენოს ეს უნარი იმისათვის, რომ წაიკითხოს მუსიკალური ბგერების სახელწოდებები.

სენსორული სწავლების მასალასთან ერთად, რომელიც შედგება ზანზალაკების ნაკრებისაგან, მონტესორი იყენებდა სპეციალურ დიდაქტიკურ მასალას, რომლითაც სწავლობდნენ სანოტო ანბანის შესავალს. ამისათვის მათ ჰქონდათ არც თუ ისე გრძელი ხის დაფა, რომელიც შეღებილი იყო ღია მწვანედ. ამ დაფაზე ამოჭრილი იყო შავი სანოტო ხაზები, ყოველ ხაზზე და მათ შორის ამოჭრილი იყო მრგვალი სიღრმეები, რომლებშიც ეწერა ნოტების სახელწოდებები.

ამას ერთვოდა პატარა თეთრი წრეების კრებული, რომლებიც შეიძლება მოვათავსოთ სიღრმეებში. ყოველ წრეს ერთი მხრიდან აწერია ნოტების სახელწოდებები (დო, რე, მი, ფა, სოლ, ლა, სი, დო).

ბავშვი ამოწმებს თეთრ წრეებზე დაწერილ ნოტების სახელწოდებებს, ანაწილებს მათ სახელწოდებებით ზემოთ დაფის შესაბამის ადგილებზე და შემდეგ ხმამაღლა კითხულობს ამ სახელწოდებებს. ეს სავარჯიშო მას შეუძლია მარტო შეასრულოს. ამრიგად, ისწავლოს, სად არის განლაგებული სანოტო დაზგაზე ყოველი ნოტი.

მეორე სავარჯიშოში, რომლის შესრულება მას დამოუკიდებლადაც შეუძლია, ნოტის სახელწოდებიანი წრე ბავშვმა უნდა დადოს შესაბამისი ზანზალაკის მართკუთხა სადგარზე, რომლის ბგერის ცნობა მან უკვე ისწავლა ზემოთ აღწერილ სენსორულ სავარჯიშოში.ამ სავარჯიშოს შემდეგ შეიძლება დავდგათ მეორე მწვანე ფერის ხის დაფა სანოტო ხაზებით. ის წინამორბედზე გრძელია და მას არა აქვს ღრმულები და ნიშნები. გარდა ამისა, ბავშვს აქვს ბევრი წრე, რომლებზეც ცალი მხრიდან აწერია ნოტების სახელწოდებები. ის ალალბედზე იღებს ერთ წრეს, კითხულობს ნოტის სახელწოდებას და დებს მას სანოტო ხაზებზე წარწერით ქვემოთ, წრის ცარიელი ზედაპირით კი ზემოთ. როდესაც იმეორებს ამ სავარჯიშოს, ბავშვს შეუძლია განალაგოს ბევრი წრე ერთ ხაზზე ან ერთი და იმავე ადგილზე. როდესაც დაამთავრებს, ის გადმოაბრუნებს ყველა წრეს ისე, რომ

ჩანდეს ნოტების სახელწოდებები და ამოწმებს, ყველაფერი სწორად შეასრულა თუ არა. როდესაც ის შეისწავლის ვიოლინოს გასაღებს, შემდგომ იოლად გადადის ბანების შესწავლაზე.

ზემოთ აღწერილ ნოტების დაზგას შეიძლება დაუმატოთ კიდევ ერთი ასეთივე და შევკრათ ერთად, როგორც ეს ნაჩვენებია ნახატზე. ბავშვი იწყებს ნოტი „დო"–დან წრეების განლაგებას აღმავლობით, სანამ არ დააწყობს მთელ ოქტავას: დო, რე, მი, ფა, სოლ, ლა, სი, დო. შემდეგ ის ასევე ეშვება გამაზე ქვემოთ, უბრუნდება დო-ს, მაგრამ განაგრძობს წრეების განლაგებას მარჯვნივ: სოლ, ფა, მი, რე, დო. ამრიგად, ის მიიღებს კუთხეს. ამ წერტილიდან ის ისევ ეშვება ქვემოთ, მაგრამ უკვე ჩამოდის ქვედა სანოტო დაზგაზე: სი, ლა, სოლ, ფა, მი, რე, დო. შემდეგ ის ისევ ადის სხვა მხარეს; რე, ფა, სოლ, ლა, სი. და როდესაც წრეების ამ



Рис. 21. Нотные линейки[1]

ორი ხაზით დააწყობს კიდევ ერთ კუთხეს ბანებიან დაფაზე, ის დაასრულებს „სანოტო რომბს".

მას შემდეგ, რაც წრეებს ამრიგად განალაგებენ, ზედა სანოტო დაზგას დააცილებენ ქვედას. ქვედაზე ნოტები განლაგებულია ბანის გასაღების შესაბამისად. ბავშვი ასე ეცნობა სანოტო ანბანის პირველ ელემენტებს, რომელიც მიეკუთვნება ბგერების კითხვას, რასაც ბავშვის ყური უკვე მიჩვეულია.

• **დიდაქტიკური მასალა სანოტო ანბანის შესასწავლად**



ხის დაფაზე ამოჭრილია მრგვალი ღრმულები, რომლებიც შეესაბამება ნოტებს.

ყოველ ღრმულში ჩაწერილია ციფრი. წრეების ცალ მხარეზეც დაწერილია ციფრი, მეორეზე კი ნოტის სახელწოდება. ამ წრეებს ბავშვები ათავსებენ შესაბამის ღრმულებში.



შემდეგ ბავშვები ისევ ალაგებენ სანოტო დაზგაზე გაკეთებულ ღრმულებში წრეებს, მაგრამ ამ წრეებზე აღარ წერია ციფრები, რომლებიც მათ ეხმარებოდა ადგილების პოვნაში. ამის მაგიერ ის უნდა ეცადოს, გაიხსენოს ნოტის ადგილი სანოტო ხაზზე. თუ ბავშვი დარწმუნებული არ არის, მას შეუძლია შეამოწმოს დანომრილ დაფაზე.



ბავშვი განალაგებს ნახევარტონებს იმ ცარიელ ადგილებში, რომლებიც დარჩა შეუვსებელი ფართოდ განლაგებულ წრეებს შორის : დო – რე, რე – მი, ფა – სოლ, ლა – სი. ნახევარტონების წრეებს ერთი მხრიდან აწერია დიეზის ნიშანი, მეორეზე კი ბემოლის

ნიშანი, ანუ ნიშნები რე დიეზ – მი ბემოლი განლაგებულია ერთი წრის საპირისპირო მხარეებზე.



ბავშვები ერთბაშად იღებენ ბევრ წრეს და განალაგებენ სანოტო დაფაზე ცარიელი გვერდით ზემოთ, ანუ რომელზეც არ აწერია ნოტის სახელწოდება. შემდგომ ისინი ამოწმებენ თავიანთ ნამუშევარს, აბრუნებენ წრეებს და კითხულობენ ნოტების სახელწოდებებს.



ორმაგი სანოტო სისტემა, რომელიც შედგება ორი დაფისაგან. ბავშვები მათზე ნოტებს განალაგებენ რომბის სახით.



შემდგომ ორ დაფას განაცალკევებენ და ნოტები რჩება განლაგებული ვიოლინოს და ბანის გასაღებების შესაბამისად. გასაღებების შესატყვისი ნიშნები დახატულია ორ სხვადასხვა ნოტის სისტემაზე.

იმისათვის, რომ საბოლოოდ ეს ცოდნა გამოეყენებინათ პრაქტიკაში, მონტესორის სკოლებში არსებობდა პატარა პიანინოს კლავიატურა, რომელიც, მართალია ცოტა იოლ ფორმებში, მაგრამ იმეორებს ნამდვილი ინსტრუმენტის მთავარ დეტალებს, ამ პატარა ინსტრუმენტზე წარმოდგენილი იყო მხოლოდ ორი ოქტავა, ის ოთხი–ხუთი წლის ბავშვის ხელის პროპორციულია. კლავიატურის მთელი მექანიზმი ღიაა. როდესაც კლავიშს ვაჭერთ, შეიძლება დავინახოთ, როგორ იწევა ჩაქუჩი, რომელზეც აწერია ნოტის სახელწოდება. ჩაქუჩები, როგორც ნოტები, შავი და თეთრი ფერისაა. ამ ინსტრუმენტის მეშვეობით ბავშვს იოლად შეეძლო ევარჯიშა დამოუკიდებლად. ის პოულობდა კლავიატურაზე მუსიკალური ნაწარმოების შესაბამის ნოტებს და ცდილობდა აეჟღერებინა პიანინოზე.

მეორე თავის დასკვნები

- გაანალიზდა და დადგინდა, რომ მონტესორის პედაგოგიკური კონცეფცია ეყრდნობა ისეთ პრინციპებს, როგორიცაა: ანთროპოლოგიური პრინციპი, ბავშვის განვითარების თავისუფლების პრინციპი, ყურადღების კონცენტრაციის პრინციპი, საგანგებოდ მომზადებული სასწავლო გარემოს პრინციპი, სენსიტიურობის პრინციპი, შეზღუდვისა და წესრიგის პრინციპი, განათლების სისტემაში პედაგოგის განსაკუთრებული ადგილის პრინციპი, ინდივიდუალური და დიფერენცირებული მიდგომის პრინციპი. სოციალური აღზრდისა და ინტეგრაციის პრინციპი.
- მონტესორის პედაგოგიკური პრინციპები ეფუძნება შემდეგ მოთხოვნებს: ბავშვის სულიერი თავისუფლებისადმი პატივისცემას, ბავშვის ყურადღების კონცენტრაციას - სააზროვნო საქმიანობას, ბავშვის ფიზიკურ შესაძლებლობებს, დიდაქტიკური მასალების სავარჯიშოებით მიწოდებას, ბავშვის აღქმის ინტენსივობას, ბავშვის განვითარების 6

ძირითადი სენსიტიურ პერიოდს: ლაპარაკის განვითარების, სენსორული, აღქმითი და წესრიგის დამყარების სენსიტიური, უმცირესი საგნების მოძრაობების და მოქმედებების ათვისებისა და სოციალური განვითარების. პედაგოგის კეთილგანწყობილებას და მისი, როგორც შუამავლის როლს და ინდივიდუალურ და დიფერენცირებულ მიდგომას.

- მარია მონტესორი ამტკიცებს, რომ.. არსებობს სიცოცხლის ორი ფორმა: ზრდასრულთა ცხოვრება და ბავშვის ცხოვრება. ორივე ძალიან განსხვავებულია, ურთიერთსაწინააღმდეგო და არსებულ განსხვავებას წარმოადგენს 3 ჯგუფად:

1. განსხვავებები განვითარების დონის მიხედვით;
2. განსხვავებები „მუშაობის“ ხასიათში;
3. გონების განსაკუთრებული შესაძლებლობები და კანონები, რომლებიც მიესადაგება მხოლოდ ბავშვს.

- ამრიგად, მ. მონტესორისთან მგრძნობიარე პერიოდები ემსახურება იმას, რომ ბავშვს ჰქონდეს შესაძლებლობა, განავითაროს გარკვეული ფუნქციები, რომ შეიძინოს მისთვის აუცილებელი ცოდნა, უნარ-ჩვევები და ქცევა.

- მონტესორის მიხედვით, ძირითად სენსიტიურ პერიოდებს მიეკუთვნება: ენის (მეტყველების) განვითარების მგრძნობიარე პერიოდი (0 - 6 წელი); წესრიგის აღქმის მგრძნობიარე პერიოდი (0 - 3 წელი); სენსორული განვითარების მგრძნობიარე პერიოდი (0 - დაახლოებით 5.5 წლის); პატარა საგნების აღქმის მგრძნობიარე პერიოდი (1.5 - 2.5 წლის); მოძრაობების და მოქმედებების განვითარების მგრძნობიარე პერიოდი (1 - 4 წელი); სოციალური უნარ-ჩვევების განვითარების მგრძნობიარე პერიოდი (2.5 - 6 წელი).

- მონტესორისთან ბავშვის ასაკობრივი პერიოდიზაცია ასეთია: 0-3 წელი - „პატივისცემას შთანმთქავი გონება” - საგნობრივ-გრძნობითი ორიენტირება; 3-6 წელი - „საკუთარი თავის მშენებელი” - მეტყველებისადმი სენსიტიურობა, ენის ათვისება, თვალსაჩინო-ხატოვანი აზროვნება; 6-9 წელი - „გარე სამყაროს მკვლევარი” - აბსტრაქტულ მოქმედებათა ათვისება; 9-12 წელი - „მეცნიერი” სკოლის პირველი საფეხურის დასრულება; 12 -18 წელი - „სოციალური მუშაკი” - საგიმნაზიო და უფროსი საფეხური.

- მონტესორის პედაგოგიკურ სისტემაში მეცადინეობების სამი სახეობაა წარმოდგენილი: ინდივიდუალური, ჯგუფური, საერთო.
- მონტესორი სწავლებისა და აღზრდის პროცესში იყენებს თავისუფალი საქმიანობას, მომზადებულ გარემოს და მის სწავლების მეთოდი შედგება სამი ძირითადი ნაწილისაგან: ბავშვი, განმავითარებელი გარემო, მასწავლებელი.
- მონტესორი განმავითარებელ გარემოს ყოფს ხუთ ზონად: ყოველდღიური ცხოვრების (პრაქტიკული) ზონა, სენსორული ზონა, მათემატიკური ზონა, მშობლიური (ენობრივი) ენის ზონა, კოსმოსის (კოსმიური) ზონა.

მონტესორის მეთოდიკა ეყრდნობა შემდეგ დებულებებს:

- ბავშვი აქტიურია, უფროსის როლი სწავლებაში მეორეხარისხოვანია; ის არის დამხმარე და არა ხელმძღვანელი.
- ბავშვი საკუთარი თავის მასწავლებელია; მას აქვს მოქმედებების და არჩევანის სრული თავისუფლება.
- ბავშვები სწავლაში ერთმანეთს ეხმარებიან. რადგან ჯგუფებში სხვადასხვა ასაკის ბავშვები მეცადინეობენ, უფროსები ხდებიან უმცროსების მასწავლებლები. ამასთან, ისინი ეჩვევიან სხვაზე ზრუნვას.
- ბავშვები იღებენ დამოუკიდებელ გადაწყვეტილებებს.
- მეცადინეობები მიმდინარეობს სპეციალურად მომზადებულ გარემოში.
- მთავარია ბავშვი დავაინტერესოთ, განვითარებით თვითონ განვითარდება - ეს არის მოქმედებების, აზროვნების, გრძნობების, თავისუფლების შედეგი.
- ბავშვი ხდება ისეთი, როგორიც არის ბუნებით, თუ არ მივდივართ ბუნების საწინააღმდეგოდ.
- სწავლების ტრადიციული პედაგოგიკური მეთოდის და მონტესორის სწავლების მეთოდის შედარებითი ანალიზი ცხადყოფს, რომ ტრადიციული მეთოდი ემყარება ბავშვზე დომინირებას, კონტროლს და წესრიგის დამყარებას გარედან. ხოლო მონტესორის მეთოდი - დაკვირვებას, გარემოს კონტროლს, წესრიგის გამოწვევას შიგნიდან და ხელშეწყობას, რომელიც დაფუძნებულია გამოცდილებაზე.

- მ. მონტესორის დიდაქტიკური მასალა არის სახლსა და დანარჩენ მსოფლიოს შორის გადებული ხიდი, სამყაროს მცირე მოდელი, რომელიც უმუშავებს ბავშვს სიზუსტეს, მეთოდურობას და სრულყოფას შრომითი პროცესების შესრულებაში. ბავშვი მკვეთრად გამოჰყოფს ცალ-ცალკე ეტაპებს, შეისწავლის მათ და აქცევს მათ ერთ მთლიან შრომით პროცესად, რომელსაც აქვს კონკრეტული მიზანი.
- მასწავლებელს მონტესორის სისტემაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. ის არის შუამავალი, რომელიც ქმნის კავშირს ბავშვსა და განმავითარებელ გარემოს შორის; ხელმძღვანელი - აკვირდება რა ბავშვების საქმიანობას, საჭიროების შემთხვევაში ერთვება და უწევს მათ დახმარებას; ორგანიზატორი, რომელიც ქმნის „მომზადებულ გარემოს," რომელშიც ბავშვი თავისუფლად გადაადგილდება და ირჩევს მისთვის სასურველ მასალას; დამკვირვებელი, რომელიც აკვირდება ბავშვებს, რომ მათ ხელი არ შეუშალონ ერთმანეთს საქმიანობაში. მონტესორი მასწავლებელი ყოველთვის ცდილობს გაუღვიძოს ბავშვებს თვითმოტივაცია.
- მონტესორის პედაგოგიური სისტემის მიხედვით მუსიკალური აღზრდა იყოფა სამ ეტაპად: ბავშვის ირგვლივ არსებულ ბგერებზე ყურადღების გამახვილება, მუსიკის რიტმული აღქმის გამოვლენა და განმტკიცება, მელოდიური და ჰარმონიული სმენის ფორმირება.
- ბგერებზე ბავშვების ყურადღების ფოკუსირების გასაძლიერებლად მონტესორიმ შემოიტანა განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი სავარჯიშო, რომელიც აღზრდის დღემდე არსებული მეთოდებისაგან განსხვავებით მდგომარეობს იმაში, რომ კი არ აწარმოონ, არამედ, რამდენადაც შესაძლებელია, აღმოფხვრან ირგვლივ ყველა ბგერა. ასეთი „სიჩუმის გაკვეთილები" ძალიან ფართოდ გამოიყენებოდა იმ სკოლებშიც კი, სადაც მონტესორის მეთოდის დანარჩენი დეტალები არ სარგებლობდა მხარდაჭერით. ისინი პოპულარული იყო იმის გამო, რომ შეეძლო პრაქტიკული ზეგავლენის მოხდენა ბავშვის დისციპლინაზე.

თავი III

აღზრდის მიზნისა და განვითარების საკითხისათვის მონტესორის პედაგოგიკურ სისტემაში

§ 1. აღზრდის მიზნის საკითხისათვის მონტესორის პედაგოგიკურ სისტემაში

მონტესორი ემხრობოდა იმ აზრს, რომ აღზრდის მთავარი მიზანი იყო კაცობრიობის მიერ მსოფლიო ჰარმონიის მიღწევა, უნივერსალური და მოწესრიგებული საზოგადოების აშენება. ეს მიზანი კი გამომდინარეობდა მონტესორის ფილოსოფიური შეხედულებებიდან. მას მიაჩნდა, რომ აღზრდა იყო განვითარებისადმი დახმარება ანუ ხელის შეწყობა, ხოლო დახმარების საბოლოო მიზანი კი - მსოფლიო ჰარმონია. ჩვენი ნიჭი გამოყენებული უნდა იქნეს ყველას სასარგებლოდ.

მონტესორის მიხედვით, ბავშვი აღზრდისა და სწავლების მთელი პერიოდის განმავლობაში ორიენტირებული იყო სამყაროში საკუთარი ადგილის დამკვიდრებით. აღზრდის მიზანს კი წარმოადგენდა „მსოფლიო გონების," „მსოფლმხედველობის" და კაცობრიობის წინაშე პასუხისმგებლობის გრძნობის ფორმირება. ამისათვის კი შემდეგი ამოცანები იყო გადასაწყვეტი:

1) სისტემური და ეკოლოგიური აზროვნების ხელშეწყობა

2) ადამიანის ადგილის განსაზღვრა სამყაროში

3) სხვადასხვა მეცნიერების მარცვლების გაღვივება, როგორც ერთი მთლიანის შემადგენელი ნაწილების.

მნიშვნელოვანია მონტესორის მიდგომები მორალურ აღზრდასთან დაკავშირებით. მას მიაჩნდა, რომ „ადამიანის ინტელექტუალურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება - მისი მორალის გამყარებას ემსახურება. ჩვენი მოსწავლეები, რომლებსაც თავისუფლად შეუძლიათ ინტელექტუალური მუშაობა, შინაგანი მოთხოვნილებების თავისუფლად დაკმაყოფილება, არჩეული საგნებით იმდენი ხნით თავისუფლად მეცადინეობა,

მედიტაციაზე ყურადღების მიპყრობა - სიმშვიდესა და წესრიგს ინარჩუნებენ. მოძრაობის ჰარმონია, მშვენიერების განცდა, მგრძნობიარობა მუსიკისადმი, ურთიერთობები, თავაზიანობა შინაგანი წყაროდან იკვებება... ბავშვების აღზრდისათვის ჩვენ არავითარი წესები არ გაგვაჩნია. მოვუწოდებთ რა, მიჰყვნენ სამაგალითოს და ვუხსნით დისციპლინის სარგებელს. ჩვენ არ ვასწავლით მათ კაპრიზების დამარცხებასა და მუშაობისას სიმშვიდის შენარჩუნებას, წესრიგსა და სიჩუმეს. ჩვენ არ ვუკითხავთ მათ ქადაგებას თავაზიანობაზე, შრომისა და სხვა ადამიანების პატივისცემაზე, მოთმინებაზე, არავითარი მსგავსი. ჩვენ ბავშვებს მხოლოდ ვათამაშებთ და ვეხმარებით იცხოვრონ" (7, გვ. 285).

მონტესორი თვლიდა, რომ ბავშვთა მორალური განვითარებისთვის საჭირო იყო სწორად ორგანიზებული გარემოს შექმნა, სადაც ცუდი გამოყოფილი იქნებოდა კარგისგან. იქ სადაც ყველაფერი ერთმანეთში იყო არეული, გარემო ვერ შეძლებდა მორალური წარმოდგენების მოწესრიგებას. მორალური აღზრდის არსი არის შინაგანი აღქმის გააქტიურება, რომელიც ამყარებს წესრიგს: სიკეთეს განასხვავებს ბოროტისაგან. ბავშვს უნდა შეეძლოს სიკეთისა და ბოროტების გარჩევა, რადგან „სიკეთე ეს - ცხოვრებაა, ბოროტება - სიკვდილი" (7, გვ. 299). მონტესორის მიაჩნდა, რომ საჭიროა „საკუთარი სულის გულდაგულ შესწავლა - აი, ცხოვრების უმთავრესი და უსაჭიროესი რამ, რომელიც ეყრდნობა არა მარტო მორალური უფლებების ცოდნას, არამედ სიყვარულს. მხოლოდ სიყვარულს მივყავართ სრულყოფილებისაკენ. ის, ვისაც მორალური გრძნობა არა აქვს ვერასოდეს შეიცნობს საკუთარ თავს" (7, გვ.299).

მონტესორის აზრით, დიდია მორალურ აღზრდაში მშობლისა და მასწავლებლის როლი. „საუკეთესო მასწავლებელი, მშობელი, ისაა, ვინც მაგალითს დიდაქტიკური მასალისგან იღებს. მათშია თავმოყრილი მორალური სიმდიდრე..." (7, გვ.294). მშობელმა და მასწავლებელმა ამისათვის უნდა გამოიყენონ სენსორული მასალები. ბავშვებს უნდა წარუდგინონ გრძნობათა მთელი გამა და დაელოდონ, რას აირჩევს „განვითარებადი" სული. „როგორ შევაყვაროთ ბავშვს თავი? უნდა განუვითაროთ მათ გრძნობები"(7, გვ.293).

მონტესორის მიაჩნდა, რომ ბავშვს გააჩნდა არა მარტო ინტელექტუალური მოთხოვნილებანი, არამედ „ღია, სუფთა, ღვთაებრივი სინათლის ამრეკლავი სული“ (7, გვ.306). ამიტომ, მორალურ აღზრდას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა.

§ 2. განმავითარებელი გარემოს მნიშვნელობის საკითხისათვის მონტესორის პედაგოგიკურ სისტემაში

მონტესორის მეთოდის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტია განმავითარებელი გარემო. გარემო უნდა პასუხობდეს ბავშვის განვითარების თითოეული საფეხურის სენსიტიურ პერიოდს. ეს სპეციალური გარემო სხვადასხვა საფეხურისათვის სხვადასხვაგვარია, თუმცა ერთ პრინციპზეა დაფუძნებული. მონტესორიმ, რომელიც იყო თავგადადებული მოწინააღმდეგე ტრადიციული საკლასო - საგაკვეთილო სისტემისა, სრულიად შეცვალა იმ შენობის სახე, რომელშიც ბავშვები მეცადინეობდნენ. გააუქმა მერხები, რომლებზეც ბავშვები გაუნძრევლად და პასიურად ისხდნენ. გააუქმა კათედრაც, რადგან უკვე აღარ იყო საჭირო მასწავლებლის მიერ კოლექტიური გაკვეთილების ჩატარება, რაც ტრადიციული სისტემის დროს იყო მიღებული. მონტესორი პედაგოგის როლს ხედავდა არა სწავლის პროცესის წარმართვაში, არამედ ბავშვების დამოუკიდებელი მოქმედებების ორგანიზებაში. იგი ამჯობინებდა ტერმინი მასწავლებელი შეეცვალა ხელმძღვანელით. სწორედ ამ სიღრმისეულ ცვლილებებში ვლინდება სიღრმისეული გადატრიალება, რომლის არსი იმაში მდგომარეობს, რომ ბავშვს მიეცეს თავისუფალი მოქმედების საშუალება ბუნებრივი მიდრეკილებების შესაბამისად, რათა ბავშვი არ შეიზღუდოს რაღაც დადგენილი ვალდებულებებით, პროგრამებით და წესებით, ეს იქნება ფილოსოფიური თუ პედაგოგიური.

მონტესორიმ მოახდინა სასწავლო გარემოს ორგანიზება, რომელიც შეესაბამებოდა აქტიური ბავშვის მოთხოვნებს. ამ მიმართულებით პირველი გადადგმული ნაბიჯი იყო სკოლების „ბავშვთა სახლებით“ ჩანაცვლება, რომლებიც ბავშვის სიმაღლისა და მისი

ფიზიკური ძალების შესაბამისი ავეჯით იქნებოდა აღჭურვილი. სკოლის შესაბამისი ავეჯით აღჭურვა იყო მთავარი სიახლე. მაგიდები იყო ფართოწახნაგოვანი რვაფეხიანი, ძალიან მყარი და ამავდროულად ძალიან მსუბუქი. მისი გადაადგილება სამი - ოთხი წლის ბავშვსაც კი თავისუფლად შეეძლო. მაგიდები იყო ოთხკუთხა და საკმაოდ ტევადი იმისათვის, რომ სიგრძეში თავისუფლად მოთავსებულიყო 2-2 ბავშვი. ამათ გარდა, იყო მაგიდები, რომელთანაც ბავშვები ცალ-ცალკე ისხდნენ და თამაშობდნენ. მონტესორიმ სკამებიც შეცვალა. თავდაპირველად ისინი დაპროექტებული იყო დაწნული დასაჯდომებით, მაგრამ გამოცდილებამ აჩვენა, რომ ასეთი სკამები მალე ცვდებოდა. ამიტომ, სკამები მხოლოდ ხისგან მზადდებოდა .მოდელი იყო ძალზე მსუბუქი და დახვეწილი. ამას გარდა ყველა ოთახში იდგა ხის სავარძელი. ყველა მაგიდა და სკამი სიმსუბუქის გარდა იყო პორტატული, რაც საშუალებას აძლევდა ბავშვს, ჯდომისას მიეღო მისთვის სასურველი და მოსახერხებელი მდგომარეობა. მონტესორის საკლასო ოთახის სხვა ავეჯის მოწყობილობა შედგებოდა პირსაბანებისაგან, რომლებიც ისეთი ზომის იყო, რომ მისი სარგებლობა სამი წლის ბავშვსაც შეეძლო. თითოეულ საკლასო ოთახში იდგა მოგრძო კარადები დიდაქტიკური მასალების შესანახად. კარადები ისეთი ზომისა იყო, რომ ბავშვები ადვილად, ყოველგვარი ძალდატანების გარეშე ახერხებდნენ გაღებას და საჭირო ნივთების აღებას. კარადების თავზე ადგილი მიჩენილი ჰქონდათ ოთახის ყვავილებს, აკვარიუმებს, ჩიტების გალიებს... გარკვეული სივრცე ოთახში ეთმობოდა შავ დაფებს, რომლებიც კედლებზე ისე ეკიდა, რომ ყველაზე პატარა ბავშვიც კი წვდებოდა. ყველა დაფას ჰქონდა პატარა უჯრა ცარცის და ჩვრის შესანახად. ოთახში გაჩნდა პატარა ნოხებიც, რომელსაც ბავშვები იატაკზე აფენდნენ და ზოგჯერ დაწოლილი, ზოგჯერ კი დამჯდარი ეცნობოდნენ დიდაქტიკურ მასალებს.

„ბავშვთა სახლებში“ კედლებზე ეკიდა სურათები, რომლებიც დიდი სიფრთხილით იყო შერჩეული. ისინი ბავშვებში დაინტერესებას იწვევდა. რომის „ბავშვთა სახლში“ კედელზე ეკიდა რაფაელის „მადონა სავარძელში“ სურათის ასლი. ის იყო „ბავშვთა სახლის“ ემბლემაც. „ბავშვთა სახლები“ მაუწყებელი იყო არა მხოლოდ სოციალური,

არამედ საკაცობრიო პროგრესისაც. „რაფაელის სურათით კაცობრიობა პატივს მიაგებს დედაშვილობის და ჰუმანიზმის საბოლოო გამარჯვებას“ (21, გვ.9).

ბავშვები „ბავშვთა სახლებში“ იმყოფებოდნენ დილის 9 საათიდან 16 საათამდე. ისინი ერთმანეთს უთავსებდნენ თამაშებს - ლოცვებს, ხოლო მრავალმხრივ შემეცნებით საქმიანობას-სიმღერას. აქ ყველაფერი ისე იყო აწყობილი, რომ რომ ბავშვები შეჩვეოდნენ დამოუკიდებლობას და ხელი შეწყობოდა მათ პიროვნულ სრულყოფას.

მონტესორის მიერ დიდაქტიკური საშუალებების ფართოდ გამოყენებამ საკმაოდ სწრაფად გამოიღო შედეგი. განუწყვეტლივ ატარებდა რა ექსპერიმენტებს არა ბავშვებზე, არამედ მასალებზე, იგი სულ უფრო და უფრო ხვეწდა მათ. მონტესორი - მასალა ბავშვთა განვითარების უმნიშვნელოვანესი ელემენტია და პედაგოგიური გარემოს მნიშვნელოვანი ნაწილია. მონტესორი - მასალები მიმზიდელი და მარტივია გამოყენებაში. შეესაბამება ბავშვის ასაკობრივ თავისებურებებს. სწორედ ისინი დაეხმარნენ მ. მონტესორის თვითსწავლების პრინციპების რეალიზაციაში.

ის სიხარული, რომლებსაც ადგილი ჰქონდა მონტესორის სკოლებში და ის მარტივი მოსაზრება, რომ ბავშვების ძალები მიმართული არ უნდა იყოს სამუშაოსკენ, რომლებზედაც იხარჯება ამდენი მასალა და ბავშვური ენერგია, გახდა ერთ-ერთი პირველი მიზეზი მთელ მსოფლიოში მონტესორის მეთოდის გავრცელებისა. ტრადიციული სკოლების წარმომადგენლები, რომლებიც მკაცრი დისციპლინის მომხრეები იყვნენ, თვლიდნენ, რომ მონტესორის სკოლებში ადგილი ჰქონდა ხმაურსა და უწესრიგობას. მაგრამ მათ ამის არავითარი საფუძველი არ გააჩნიათ.

მონტესორის მეთოდი და გარდაქმნები სკოლებში არ შემოიფარგლებოდა მხოლოდ მატერიალური გარემოსა და მეცადინეობების ორგანიზებით, რომლებიც ბავშვთა მოთხოვნებს შეესაბამებოდა. ანალოგიური ცვლილებები განხორციელდა სწავლებაშიც, ანუ ბავშვთა გონებრივ განვითარებაში. ბავშვები არა მხოლოდ გადაადგილდებოდნენ მუდმივად, არამედ განუწყვეტლივ იძენდნენ ახალ გამოცდილებას. რომ მონტესორის მეთოდის თანახმად მასწავლებელი კი არ მიუთითებს ბავშვს, თუ რა უნდა გააკეთოს მან კონკრეტულად, არამედ ბავშვი თავად ირჩევს მასალას მისი აქტივობისათვის და მისგან

აკეთებს იმას, რასაც მისი შემოქმედებითი მოთხოვნილება „უკარნახებს“. მასწავლებელი იმის ნაცვლად, რომ ბავშვს თავს მოახვიოს ინფორმაციები, ემსახურება ბავშვს და წარმართავს მას იმ გარემოსკენ, იმ საგნებისკენ, რომელიც ბავშვის შინაგან მოთხოვნებს შეესაბამება და მისი ასაკისთვის მისაღებია. პედაგოგი ბავშვის საქმიანობაში მხოლოდ იმ შემთხვევაში ერევა, თუკი ეს აუცილებელია. მან უნდა გამოავლინოს მოქნილობა და მოიზიდოს ადეკვატური ხერხები აღსაზრდელის დასახმარებლად. ბავშვი მიმართავს მასწავლებელს, როგორც კეთილგანწყობილ დამხმარეს, რომელიც აუცილებლობის შემთხვევაში ყოველთვის გვერდითაა, მაგრამ ბავშვი უმთავრესად მიმართავს მას, როგორც ადამიანს, რომელსაც შეუძლია დაეხმაროს რაიმეს დამოუკიდებლად გაკეთებაში. ამის შედეგად ბავშვებს ცოდნის მიღების პარალელურად გასაოცრად ღრმად და მყარად უვითარდებათ ყურადღება, სმენა, მეხსიერება. მონტესორი-მასწავლებლის აზრით, არ არსებობს ზარმაცი და არასასურველი ქცევების მქონე ბავშვი. სიზარმაცე და ქცევითი პრობლემები ჩნდება მაშინ, როდესაც გარემო არ ითვალისწინებს ბავშვის საჭიროებებს.

მ. მონტესორი თვლიდა, რომ „როგორც გონებრივი განვითარება არ შეიძლება ვარჯიშის გარეშე, ისე წარმოუდგენელია ვარჯიში შინაგანი მასალის გარეშე. ასევე აუცილებელია ბავშვის გარემო მოვაწყოთ „განმავითარებელი“ საშუალებებით, რომლებიც წინასწარაა განსაზღვრული და შემოწმებული მეცნიერული კვლევებით. მათი დახმარებით ბავშვს განვითარების საშუალება ეძლევა. ყოველი ბავშვი თვითონ გააკეთებს არჩევანს და სასწავლო მასალებით მუშაობს სწორედ იმ სავარჯიშოებზე, რომლებსაც მისი გონებრივი განვითარება მოითხოვს. არჩევანს ინსტიქტი კარნახობს, რომელსაც ბუნება იძლევა მისი ფსიქიკური ზრდის კვალდაკვალ. ინსტიქტით ნახელმძღვანელები საქმიანობა დიდი ენერგიითა და მაქსიმალური ენთუზიაზმით ვითარდება, რისი წყალობითაც ბავშვები ყოველგვარი გადაღლის გარეშე ასრულებენ სამუშაოს“ (21, გვ.11).

მ. მონტესორი ითხოვდა ერთს - ბავშვი დაეტოვებინათ საკუთარ თავთან მარტო, არ შეეზღუდათ ის თავის არჩევანში დამოუკიდებელი მუშაობისას. უფროსების ზეგავლენის გარეშეც ბავშვი კულტურის სფეროში უზარმაზარ ნაბიჯებს დგამს. სახელდობრ იმას, რომ ბავშვის მომზადება წერისა და კითხვისათვის იწყება 3 წლის ასაკში შესაფერისი

დიდაქტიკური მასალის გამოყენებით. ეს პროგრესი, ეს წინგადადგმული ნაბიჯები იმის მაჩვენებელია, რომ მონტესორი-მეთოდი საშუალებას იძლეოდა ენერგიის მინიმალური ხარჯვით ინდივიდუალური აღზრდის უდიდესი პრობლემა გადაჭრილიყო, რომლის გადაწყვეტასაც დიდხანს ცდილობდა მეცნიერული სამყარო, მაგრამ პრაქტიკული შედეგები არ ჰქონდათ. სწორედ ბავშვისათვის შექმნილი გარემო და მონტესორისეული მასწავლებელი განასხვავებს მის თეორიას სხვებისგან. ამ თეორიის მიხედვით, ბავშვის თავისუფალი აქტივობა მოიცავს სწავლების 80%-ს, მხოლოდ დანარჩენი 20% ეკუთვნის მასწავლებელს, რაც უცხოა ტრადიციული სწავლების მეთოდისთვის, სადაც წამყვანი ადგილი მასწავლებელს უჭირავს. მონტესორის საკლასო ოთახში ბავშვი მუდმივად გადაწყვეტილებების მიღების პროცესშია და სწორედ ეს ეხმარება მას, ჩამოუყალიბდეს საკუთარი სურვილებისა და ინტერესების „მოსმენის“ უნარი. თუმცა, გარემო გარკვეულწილად ლიმიტირებულია, რაც ბავშვს უვითარებს იმპულსების შეკავების უნარს. ამ სპეციალურ გარემოში არის სხვადასხვა საგნის მხოლოდ ერთი ნიმუში. მაგალითად, არის მხოლოდ ერთი სახატავი რვეული და თუ ბავშვს აქვს ხატვის იმპულსი, ამ დროს კი თუ სხვა ხატავს, მას უხდება ამ იმპულსის შეკავება. ასევე ხდება სხვა საგნების შემთხვევაში, თუ რაიმე სათამაშო „დაკავებულია“, ბავშვი უნდა დაელოდოს, სანამ ეს სათამაშო არ გათავისუფლდება. მონტესორის სკოლაში არ ხდება ბავშვების ერთმანეთთან გაჯიბრება. მათი შედეგები არ ექვემდებარება შედარებებს. თითოეული მათგანი მუშაობს დამოუკიდებლად, თავის ავტონომიურ პატარა ნოხზე, ან პატარა მაგიდაზე და მისი პროგრესი შესამჩნევია მხოლოდ საკუთარ თავთან მიმართებაში. ბავშვს აქვს საშუალება ავიდეს თვითგანვითარების კიბის ზედა საფეხურისკენ საკუთარი ტემპით.

ამრიგად, მ. მონტესორის მეთოდის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილი არის განმავითარებელი გარემო, რომელსაც აგების მკაფიო ლოგიკა გააჩნია. მ. მონტესორს მიაჩნდა, რომ განათლების მისაღებად საკმარისია ისეთი განმავითარებელი გარემოს შექმნა, სადაც დიდაქტიკურ მასალას აირჩევდა არა მასწავლებელი, არამედ თვითონ ბავშვი, თვითონვე განსაზღვრავდა ამ მასალასთან მუშაობის დროს და გააკონტროლებდა საკუთარ შეცდომებს.

§ 3 . თავისუფლება და დისციპლინა მონტესორის პედაგოგიკურ სისტემაში

დისციპლინა თავისუფლებაში - ეს არის მ. მონტესორის სწავლების მეთოდის მთავარი ლაიტმოტივი. მონტესორის სისტემაში დისციპლინის არსი განსხვავებულია მისი საყოველთაო არსისგან, რადგანაც დისციპლინა ემყარება თავისუფლებას. მონტესორის მიხედვით დისციპლინირებულია ბავშვი, რომელიც ფლობს საკუთარ თავს, შეუძლია საკუთარი ქცევების გააზრება და აუცილებლობის შემთხვევაში იცავს გარკვეულ წესებს.

გარემოსთან ბავშვის ინტერაქცია ინდივიდუალური განვითარებისთვის ყველაზე ნაყოფიერია მაშინ, როდესაც ის ეფუძნება არჩევანის თავისუფლებას და პირად ინტერესს. მონტესორისთან ბავშვი არის საკუთარი თავის ბატონ - პატრონი. აქ ბავშვი ემზადება არა სკოლისათვის, არამედ ცხოვრებისათვის. საკლასო ოთახში ის თვითონ ირჩევს სასურველ აქტივობებს და მათ შესასრულებლად განუსაზღვრელი დრო აქვს. სწორედ ამ თავისუფლებას მიჰყავს ისინი დისციპლინამდე. ბავშვის თავისუფლებაში გათვალისწინებულია ჯგუფის ინტერესები. პირველი რაც ბავშვმა უნდა აითვისოს აქტიური დისციპლინის ასათვისებლად - ეს არის კეთილისა და ბოროტის გარჩევა. აღმზრდელის ამოცანაა თვალ-ყური ადევნოს, ბავშვმა ერთმანეთში არ აურიოს სიკეთე და უძრაობა, ბოროტება და აქტიურობა, რითაც არც თუ იშვიათად სცოდავდა ძველი დისციპლინა. დისციპლინა გამოყენებულ უნდა იქნას შრომისთვის, საქმიანობისთვის, სიკეთისთვის და არა უძრაობისთვის, პასიურობისა და მორჩილებისთვის. ოთახი, რომელშიც ბავშვები მოძრაობენ მიზანმიმართულად, გაცნობიერებულად, საკუთარი ნება-სურვილით და არ უხეშობენ, მაღალდისციპლინირებულ ჯგუფს წარმოადგენს. წესრიგის დარღვევის შემთხვევაში მასწავლებელს თვითონ უწევს ჩარევა და ბავშვის იზოლირება გარკვეული დროით.მ. მონტესორი მიაჩნდა, რომ ”ბავშვების რიგში დაჯენა, როგორც ეს ტრადიციულ სკოლებშია, მათი დაწყნარება, კლასში წესრიგის დამყარება ისე, როგორც კრებაზე- ჯგუფური აღზრდის საწყის სტადიაზეა შესაძლებელი. ცხოვრებაში ჩვენ გვიწევს ზოგჯერ ვიჯდეთ წყნარად და მორჩილად, მაგალითად, კონცერტზე ან ლექციაზე და

ჩვენც, ზრდასრულებსაც კი ეს არც თუ ცოტა ძალისხმევის ფასად გვიჯდება. თუკი გამოვიმუშავებთ ინდივიდუალურ დისციპლინას, ჩვენ შევძლებთ დავსვათ ბავშვები თავიანთ ადგილებზე რიგრიგობით და ვაგრძნობინოთ, რომ მათი ცქერა ასე უფრო სასიამოვნოა. რომ რიგში ჯდომა კარგია. ბავშვების მშვიდი და სწორი განლაგება კლასს სიმყუდროვეს და საზეიმო განწყობას სძენს. ამ შემთხვევაში მათი მორჩილად, უპრეტენზიოდ განთავსება თავიანთ ადგილებზე არავითარ შემთხვევაში არ იქნება მათზე მბრძანებლობა. ძალზე მნიშვნელოვანია ბავშვებს ჩავუნერგოთ ეს აზრი და ძალიანაც არ გავამახვილოთ ამაზე ყურადღება. მნიშვნელოვანია ავათვისებინოთ კოლექტიური წესრიგის პრინციპი. როდესაც გააცნობიერებენ ამას, ბავშვები დგებიან, საუბრობენ გადაადგილდებიან ერთი ადგილიდან მეორეზე, მაგრამ ამას გაუაზრებლად არ აკეთებენ, არამედ მათ თავად სურთ ამის გაკეთება. ისინი გამოდიან წესრიგისა და სიმშვიდის მდგომარეობიდან, რათა გამოავლინონ ნებაყოფლობითი ქმედებები. ბავშვების წესრიგის მდგომარეობიდან გამოსვლა სულ უფრო კოორდინირებული და სრულყოფილი ხდება. ისინი ეჩვევიან თავიანთი აქტივობების გააზრებას...”

„ჩვენი პედაგოგიური სისტემა - ამბობს მონტესორი - გამომდინარეობს თავისუფლების იდეიდან. ჩვენ არ ვზღუდავთ პიროვნების მოქმედებას, მაგრამ ვსარგებლობთ ამ მოქმედებით, რათა ბავშვების ენერგია სწორ გზაზე დავაყენოთ. აწინდელი სკოლის დისციპლინა ბავშვს ზრდის სკოლისათვის, ხოლო ჩვენი-ცხოვრებისათვის. რასაკვირველია, ჩვენ ზოგიერთ შემთხვევაში უნდა შევზღუდოთ მოქმედებათა თავისუფლება, მაგრამ თავისუფლებას ხომ თავისი საზღვარი აქვს და საზღვარი...იგი კი არის საზოგადოების კეთილდღეობა. ჩვენ უნდა დავთრგუნოთ ბავშვებში ყველაფერი ის, რაიცა სხვას აყენებს ვნებას, ან აწუხებს მას. უნდა შევზღუდოთ ყოველივე მხეცური და უწესო მოქმედებანიცო” (21, გვ. 195).

ადამიანი ვერ გახდება თავისუფალი, თუ ის არ არის დამოუკიდებელი. ამიტომაც, ბავშვის ინდივიდუალური თავისუფლების გამოვლინების პირველი აქტიური ნაბიჯები ისე უნდა წარიმართოს, რომ სწორედ ამ აქტიურობაში გამომუშავდეს მისი თავისუფლება. აღზრდის მეთოდი, რომელსაც საფუძვლად უდევს თავისუფლება, ბავშვს უმსუბუქებს

ბრძოლას მრავალ წინააღმდეგობასთან. მონტესორის განათლების სისტემაში შექმნილია სპეციალური პირობები, რადგან ბავშვის ისეთი მახასიათებლები, როგორიცაა ინიციატივა, დამოუკიდებლობა, კონცენტრაცია, თვითრეგულაცია, თანაგრძნობა, გახდეს თვალსაჩინო და ბუნებრივი, ნორმალური მოვლენა. ეს მახასიათებლები ბავშვში ბუნებრივად დევს. ისეთი მახასიათებლები, როგორიცაა სიჯიუტე, სიზარმაცე და სხვა ვლინდება მაშინ, როცა გარემო არ პასუხობს ბავშვის მოთხოვნებს და განვითარების ბუნებრივი პროცესი ფერხდება.

როგორია ისეთი თავისუფლების შედეგები, სადაც ბავშვებს არა მხოლოდ არჩევანის, არამედ გადაადგილების თავისუფლებაც აქვთ? მონტესორის მიერ ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ თავისუფალ გარემოში ბავშვი ეძებს და იკავებს თავისი სურვილისამებრ გარკვეულ ადგილს. „მე მჭირდება თუნდაც პატარა ადგილი, მას რომ ჩემი ვუწოდო." ამიტომაც, მონტესორის სკოლაში არის პატარა კარადები, რომელშიც თითოეულ ბავშვს აქვს თავისი უჯრა და ინახავს საკუთარ ნივთებს. არის მისთვის განკუთვნილი ხალიჩები და ა.შ. მას გააჩნია თავისი „პირადი სივრცე", რომელშიც შეღწევა მხოლოდ მისივე ნებართვითაა შესაძლებელი.

ნებისმიერი პედაგოგიური ხერხი, რომელიც ცოტათი მაინც ვარგისია ბავშვის აღზრდისათვის, უნდა უმსუბუქებდეს მას დამოუკიდებლობის გზაზე სვლას. ბავშვმა უნდა ისწავლოს სხვის დაუხმარებლად სიარული, სირბილი, კიბეზე ასვლა-ჩამოსვლა, ძირს დაგდებული ნივთების აღება, დამოუკიდებლად გახდა-ჩაცმა, დაბანა, სიტყვების წარმოთქმა და საკუთარი სურვილების ზუსტად გადმოცემა. უფროსებმა ხელი უნდა შეუწყონ ბავშვებს დასახული მიზნის მიღწევაში.

მ. მონტესორი ითხოვდა ერთს - ბავშვი დაეტოვებინათ საკუთარ თავთან მარტო, მიეცათ მისთვის თავისუფლება დამოუკიდებელი მუშაობის დროს. მონტესორისთვის თავისუფლება - შემოქმედებაა. ხოლო დისციპლინას განიხილავდა როგორც აქტივობას, რომელიც რეგულირდება თავად ბავშვის მიერ. ადამიანი, რომელიც საკუთარი ძალებით ასრულებს ყველა სამუშაოს, იმარჯვებს საკუთარ თავზე. ამით იგი ზრდის თავის უნარებს და იხვეწება პიროვნულად.

ზემოთ ჩამოთვლილი პრინციპების გათვალისწინებით, **ჯილდოს და სასჯელის** გაუქმება ბუნებრივი შედეგი იყო. მონტესორის მიაჩნდა, რომ ადამიანი, რომელიც დისციპლინირებულია, თავისუფლებით ისწრაფვის ჭეშმარიტი და ერთადერთი ჯილდოსკენ, რომელიც მას არასოდეს ამცირებს და არ მოაქვს მისთვის იმედგაცრუება-ეს არის მისი სულიერი ძალების გაფურჩქვნა და მისი შინაგანი „მე -ს" თავისუფლება, სადაც ყველა აქტიური უნარები აღმოცენდება.

ახლად შექმნილ „ბავშვთა სახლში" პედაგოგებს თავიდან არ შეეძლოთ ცხოვრებაში გაეტარებინათ თავისუფლებისა და დისციპლინის პედაგოგიური პრინციპები. მაგალითისთვის შეიძლება მოვიყვანოთ მონტესორის ნაამბობი,. ის შეესწრო შემდეგ ფაქტს „იყო შემთხვევები, როცა ჩემი არყოფნის დროს ზოგიერთი პედაგოგი ცდილობდა ჩემი პრინციპების, იდეების ზოგიერთი ხერხის შეცვლას იმით. რასაც შეჩვეული იყო. ერთხელ, როდესაც მოულოდნელად შევედი კლასში, დავინახე ერთ ჩვენ ყველაზე ჭკვიან აღსაზრდელს ყელს უმშვენებდა ლამაზ თეთრ ლენტზე დიდი ბერძნული ვერცხლის ჯვარი. მეორე ბავშვი კი იჯდა სავარძელში, რომელიც დემონსტრაციულად წამოწეული იყო ოთახის შუაგულში. ერთი ბავშვი დასჯილიიყო, მეორე კი დაჯილდოებული... მე ხმას არ ვიღებდი და თვალ-ყურს ვადევნებდი მოვლენებს. ჯვრიანი ბავშვი წინ და უკან დადიოდა. თან გადაჰქონდა სათამაშო ნივთები თავისი მაგიდიდან მასწავლებლის მაგიდაზე. იგი მთლიანად ჩაფლული იყო თავის საქმიანობაში და როგორც ჩანდა ბედნიერი იყო. ოთახში, როცა მან ჩაიარა დასჯილი ბავშვის სავარძელთან, უცებ ვერცხლის ჯვარი მოსწყდა კისრიდან და იატაკზე დავარდა. სავარძელში მჯდომმა ბავშვმა იგი აიღო, შეათვალიერა ყოველი მხრიდან და მეგობარს უთხრა: „ნახე რა დაგეკარგა?" იგი შემობრუნდა და სრულიად გულგრილად შეხედა ნივთს. მისი სახის გამომეტყველება ამბობდა „ხელს ნუ მიშლი" და წარმოთქვა: „ჩემთვის სულერთია", მართლა სულერთია? ჩაეკითხა დასჯილი ბავშვი. - მაშინ მე ავიღებ. მან კი უპასუხა- „აიღე" ისეთი ტონით, რომელიც გარკვევით ამბობდა: თავი დამანებე. დასჯილმა ბავშვმა ლენტი ისე ჩამოიკიდა,რომ ჯვარი მისი ვარდისფერი საყელოს შუაში ყოფილიყო და თავისუფლად შეძლებოდა მისი ბზინვარებით და ლამაზი ფორმით ტკბობა. შემდეგ იგი მოხერხებულად

ჩაჯდა თავის სავარძელში...მე დავტოვე სიტუაცია ასე და სწორადაც მოვიქეცი. ჯვარს შეიძლება დაეკმაყოფილებინა ბავშვი, რომელიც დასჯილი იყო, და არა ცოცხალი ბავშვი, რომლის მთელი სიამოვნებაც - მოქმედებასა და საქმიანობაშიაო" (21, გვ.18).

რაც შეეხება დასჯას, ხშირია შემთხვევები, როცა ბავშვები აწუხებენ უფროსებს და მათ დარიგებას ყურად არ იღებენ. ასეთ ბავშვებს მონტესორი პირველ რიგში უტარებდა სამედიცინო გამოკვლევას. თუ ბავშვს რაიმე სახის დარღვევა არ აღმოაჩნდებოდა, ხდებოდა მისი იზოლაცია. კერძოდ, ასეთ ბავშვს ოთახის კუთხეში უდგამდნენ მაგიდას და იქ სვამდნენ. შემდეგ მის სავარძელს ისე აბრუნებდნენ, რომ მას კარგად დაენახა როგორ შრომობდნენ მისი მეგობრები. ეს იზოლაცია ყოველთვის დამამშვიდებლად მოქმედებდა ბავშვზე. თავისი ადგილიდან მას თავისუფლად შეეძლო დაენახა, თუ როგორ აკეთებდნენ ისინი თავიანთ საქმეს და ეს მისთვის გაკვეთილი იყო, რომელიც გაცილებით ნაყოფიერად მოქმედებდა, ვიდრე მასწავლებლის სიტყვები. ნელ-ნელა ბავშვი რწმუნდებოდა, თუ რაოდენ სასარგებლოა საზოგადოების წევრად ყოფნა, რომელიც ამდენს შრომობს მის თვალწინ. მას უჩნდებოდა დაბრუნებისა და მათთან ერთად მუშაობის სურვილი. ასეთი ხერხით ხდებოდა ყველა ბავშვში დისციპლინის გამომუშავება. იზოლირებული ბავშვი ყოველთვის იყო ზრუნვის და განსაკუთრებული ყურადღების საგანი. ასეთი ბავშვების მიმართ იყო გამოხატული სითბო და სიყვარული. ეს ბავშვები განიცდიდნენ მეტამორფოზას. ისინი სწავლობდნენ შრომას, კარგად მოქცევას და განსაკუთრებული სინაზით ეპყრობოდნენ მასწავლებლებს.

§ 4. ფსიქიური განვითარების პროცესი მ. მონტესორის მიხედვით, განვითარების მოთხოვნები

როგორ ესმის მ. მოტესორის განვითარების პროცესი მთლიანობაში? იგი არ იყო დასკვნის თეორიის მომხრე და არ ეთანხმებოდა მის ორ ძირითად პუნქტს. ჯერ ერთი, მასში ეჭვს იწვევდა ადამიანისა და უმაღლესი ცხოველების წარმოშობის იდეა. გარემოსთან შეგუების პროცესში უმდაბლესი ცოცხალი არსებებიდან მილიონი წლის განმავლობაში,

რის მტკიცებულებასაც წარმოადგენდა, მაგალითად, ადამიანის, თაგვის და ხვლიკის ემბრიონების განვითარების საწყისი სტადიების მსგავსება, მისი აზრით, აქ არ იქნა გათვალისწინებული ჯერ თვით ემბრიონის, შემდეგ კი ახალდაბადებული ჩვილის შინაგანი აქტივობა, არამედ მხოლოდ ხაზი ესმებოდა მისი განვითარების ხისტდამოკიდებულებას გარე სამყაროსთან. სინამდვილეში მონტესორი ფიქრობდა, რომ ბავშვის განვითარება ექვემდებარება „კოსმიურ გეგმას", რომ არა მხოლოდ ფიზიკური, არამედ ფსიქიკური განვითარება, მისდევდა შექმნის იმავე ბუნებრივ გეგმას. ახალდაბადებული არ წარმოადგენდა „დაპატარავებულ მოზრდილ ადამიანს", რომელსაც ჩანასახში გააჩნია ყველა ფუნქცია, რომლებიც შემდგომში ვითარდებიან. პირიქით, თავდაპირველად „შთანთქმითი" გონების საშუალებით ხდება გარემომცველი სამყაროს განაყოფიერებული კვერცხუჯრედის დაყოფის ანალოგიები, შემდეგ კი წარმოიქმნებიან განსაკუთრებული „სენსიტივობის წერტილები", რომლებიც პროვოცირებას ახდენენ ორგანიზმის ინტენსიურ აქტივობაზე განსაზღვრული მიმართულებით, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, განვითარების რომელიღაც ენერგიებს „რთავენ". „სენსიტივობის წერტილების" დამსახურებით - ერთმანეთისაგან შედარებით დამოუკიდებლად იწყებენ განვითარებას განსაზღვრული ფუნქციები, რომლებსაც მონტესორი „ფსიქიკურ ორგანოებს" უწოდებს: მეტყველება, საგნების სიშორის აღქმა, სივრცეში ორიენტირება,კოორდინაციის სხვა ფორმები. როგორც კი კონკრეტული ფუნქცია აღწევს განვითარების საკმარის დონეს, „სენსიტიური წერტილების" მოქმედება წყდება: „თუ ორგანო ჩამოყალიბდა, სენსიტივობა ქრება" (30, გვ.15). თუ ყველა ორგანო ფორმირებულია, ისინი ქმნიან „ფსიქიკურ ერთიანობას", ფსიქიკის მთლიანობას.

მეორე, მონტესორი არ ეთანხმება დარვინის იდეას თანდათანობითი სრულყოფილების მიმართულებით წრფივი განვითარების შესახებ. მისი აზრით, დედამიწაზე სიცოცხლის ჭეშმარიტი აზრი სრულყოფილებაში არ არის. აქ ისევ ვხვდებით „კოსმიური ამოცანის ანუ დანიშნულების იდეას: „დედამიწის ზედაპირზე ჰარმონია ეფუძნება ცოცხალი არსებების ძალისხმევას, რომლებიც ყველა თავიანთ დანიშნულებას ასრულებენ. აგრეთვე ქცევის ნაირსახეობა შეესაბამება ამ მიზანს: ისინი ცილდებიან

ჭეშმარიტად სასიცოცხლო აუცილებლობის ჩარჩოებს" (30, გვ.15). ამრიგად, განვითარების პროცესი „წრფივიდან" „ორგანზომილებიანი" ხდება, ამასთან, მისი „მეორე განზომილება" წარმოადგენს ცოცხალი არსების ფუნქციის გარემოში მისი დინამიურობის შესაბამისობის აუცილებლობას.

რომელი მეცნიერული აღმოჩენები ადასტურებენ მონტესორის აზრით ზემოთ მოყვანილ თვალსაზრისს? იგი ეყრდნობა ბიოლოგების დე ფრიზის, კოგჰილის, ფსიქოლოგ ჯ. უოტსონის, გეოლოგების ჩ. ლაიელის, ა. სტოპანის, ეკოლოგების გ. და ჯ. უელსების, ჯ. ჰაქსლის აღმოჩენებს. დე ფრიზმა გააკეთა ორი მნიშვნელოვანი აღმოჩენა:

1) „მეტალის თეორიაში" დაადგინა, რომ ცვალებადობა მცენარეების სპონტანური შიდასახეობრივი ვარიაციაა, რომელიც წარმოიქმნება მათი ჩანასახის შინაგანი აქტივობის დამსახურებით და არა გარემოს გავლენით;

2) აღმოაჩინა ცხოველებში სენსიტივობა, რომელიც აიძულებს მათ, დაბადებისთანავე შეასრულონ გადარჩენისა და სიცოცხლისათვის საჭირო მოქმედებები.

კოგჰილმა დაადგინა, რომ ამფიბიების ემბრიონს თავდაპირველად უყალიბდება ორგანოების მოქმედების მომზადებული ნერვიული ცენტრები, ხოლო შემდეგ ყალიბდებიან თვით ორგანოები. ამან მიგვიყვანა შემდეგ ვარაუდამდე: განვითარების მიმდევრობას ადგილი აქვს, რათა ცხოველის ორგანოებმა მიიღონ ის ფორმა, რომელიც შეესაბამება გარემომცველ სამყაროში მათ ფუნქციას: „აქედან გამომდინარეობს არა მხოლოდ ქცევის დამკვიდრების ფაქტი, არამედ ახალი იდეაც, რომ ორგანოს ფორმა წარმოიქმნება გარემოში დაგეგმილი ქცევის შესაბამისად" (30, გვ.13).

ამერიკელმა მეცნიერმა უოტსონმა დაადგინა, რომ ბავშვი მემკვიდრეობით არ იღებს ქცევას, მაგრამ ადამიანის მოქმედებები ეყრდნობა სხვადასხვა დონის რეფლექსებს და ამან მიგვიყვანა ბეჰევიორიზმის გავრცელებასთან.

გეოლოგებმა ლაიელმა და რაძელმა, რომლებიც XIX საუკუნის შუა და მეორე ნახევარში სწავლობდნენ სხვადასხვა გეოლოგიური ეპოქის მთის ქანებს, აღმოაჩინეს მათში უძველესი ცხოველების ნაშთები, რაც, მონტესორის აზრით, მოწმობს ამ უძველესი ცხოველების მონაწილეობას დედამიწის შექმნაში. მონტესორი აგრეთვე ეყრდნობა გეოლოგ

ა. სტოპანის იდეას, რომელიც ამტკიცებს, რომ ცხოველთა სამყარო იბრძვის დედამიწაზე ჰარმონიის შენარჩუნებისათვის. და ბოლოს, განიხილავს რა ადამიანის როლს ბუნებაში, მონტესორი ლაპარაკობს ადამიანის განსაკუთრებულ „კოსმიურ ძალაზე" და მოჰყავს ხაკსლის იდეა იმის შესახებ, რომ ადამიანი გონების დახმარებით აგრძელებს შემოქმედის საქმეს, იგი მოწოდებულია გამოიყენოს თავისი შესაძლებლობები „დააჩქაროს" და სრულყოს ქმნილება.

ახალდაბადებული ბავშვი, მონტესორის მიხედვით, წარმოადგენს „ფსიქიკურ ემბრიონს" (30, გვ.16). რადგან მისი ფსიქიკური ფუნქციები ჯერ კიდევ არაა განვითარებული. თუ ცხოველს დაბადების მომენტიდან გააჩნია რაღაც ფუნქციები, ადამიანმა ეს ფუნქციები უნდა „შექმნას", „ააშენოს". მონტესორის სიტყვებით, ღმერთმა ბუნებას ანდო ადამიანის შექმნის და განვითარების ხელმძღვანელობის საპასუხისმგებლო სამუშაო, მაგრამ მიანიჭა თვით ადამიანის ენერგია, რომელიც აიძულებს მას, განვითარდეს გარემომცველ სამყაროსთან ურთიერთმოქმედების სხვადასხვა მიმართულებით. „ამას მივყავართ ფსიქიკურ ემბრიონისა და გარემოს შორის გაცვლაზე და ამ გაცვლაში ფორმირდება და სრულყოფილი ხდება ინდივიდი" (30, გვ.16).

აქ მონტესორი ხაზს უსვამს იმას, რომ ინდივიდის განვითარება თავიდანვე არ არის დეტერმინირებული (განსაზღვრული), მაგრამ თითოეული ადამიანი ქმნის საკუთარ ინდივიდუალობას ყოველდღიურ საქმიანობაში. განსაკუთრებით ინტენსიურად მიმდინარეობს ეს პროცესი ბავშვობის ასაკში, ამიტომ მონტესორი ბავშვს „ადამიანის მამას", „ადამიანის მშენებელს" (30, გვ.16) უწოდებს.

განიხილავს რა განსაზღვროს ცნება „ორგანიზმის მომწიფება", მონტესორი ისევ და ისევ აქცენტს აკეთებს გარემოს როლზე განვითარების პროცესში. იგი პოლემიკაში შედის ა. ჰეზელთან, რომელიც მონტესორის სიტყვებით რომ ვთქვათ, ამტკიცებდა, რომ „ბავშვს გააჩნია უპირატესად თანდაყოლილი თვისებები და მიდრეკილებები, რომლებიც განსაზღვრავენ რა, როგორ და დროის რომელ მონაკვეთში ისწავლის" (30, გვ.16).

ჰეზელის მიხედვით, როგორც ამას მონტესორი გადმოგვცემს, ბავშვის განსაზღვრულ ფუნქციებზე ზემოქმედება აღზრდის საშუალებით შეუძლებელია და ბავშვის გონება, ზუსტად ისევე, როგორც ბავშვის სხეული, იხსნება განვითარების პროცესების შედეგად.

მონტესორი არ ეთანხმება განვითარებაში გარემოს როლის უარყოფას. თუ კი ბავშვს იზოლირებას გავუკეთებთ საზოგადოებისაგან, თვით სრულფასოვანი ფიზიკური განვითარების დროსაც კი გონებრივი შესაძლებლობით იგი ველურსაც ვერ აჯობებს. მონტესორისათვის უფრო მისაღებია ჯ. ბორინგის, გ. ლანგფილდის, გ. უედის ნაშრომში მოცემული მომწიფების ცნება, განმარტება: „მომწიფება შედგება ძირითადად თანდაყოლილი სტრუქტურული ცვლილებისაგან, ეს ნიშნავს რომ სათავეს იღებს განაყოფიერებული კვერცხუჯრედის ქრომოსომებში, მაგრამ რომლებიც აგრეთვე ნაწილობრივ ჩნდებიან ორგანიზმის გარემოსთან ურთიერთქმედებისას" (30, გვ.17). იგი ხაზს უსვამს, რომ ეგრეთ წოდებული mneme, nebule განსაზღვრული სენსიტიური პერიოდები დამახასიათებელია მხოლოდ ადამიანის ბუნებისათვის, მაგრამ მათი პოტენციალის რეალიზება შესაძლებელია მხოლოდ გარემოსთან თავისუფალი ურთიერთქმედების პროცესში.

ობიექტურია მოსაზრება, რომ ბავშვი პრინციპულად განსხვავებულია უფროსისაგან, გააჩნია განვითარების შინაგანი სამყარო და შემოქმედებითად ქმნის საკუთარ პიროვნებას გარემომცველ საგნობრივ და სოციალურ გარემოსთან აქტიური ურთიერთქმედების პროცესში, წარმოადგენს მონტესორის სისტემის მეთოდოლოგიურ საფუძველს. განსაკუთრებით მკაფიოდ ეს გამოიხატება 6 წლამდე პერიოდში აღზრდის და სწავლების მიზნების, ამოცანებისა და შინაარსის განსაზღვრის დროს. ვნახოთ, როგორ ვითარდება და კონკრეტდება მონტესორისთან ეს. განვითარების პროცესის განსაზღვრისას, ხსნის რა ბავშვის განვითარების პროცესს და მექანიზმებს, მონტესორი იყენებს სპეციფიკურ, მოძველებულ ტერმინებს horme, mneme, nebule, რაში გამოიხატება მათი აზრი და რა როლს თამაშობენ ისინი განვითარების პროცესში?

ცნება mneme, მონტესორის გადმოცემით, შემოტანილ იქნა ბიოლოგ რ. ზემონის მიერ და შემდეგში განზოგადოებულ და განვითარებულ იქნა პ. ნუნის მიერ. იგი ნიშნავს ბავშვის

უნარს, გაუაზრებლად დაიმახსოვროს, „შეისრუტოს" გარშემომცველი სამყაროს სახეები (წესები). ეს არის „ვიტალური მეხსიერების განსაკუთრებული ფორმა, რომელსაც არ ახსოვს შეგნებულად, მაგრამ აბსორბირებას უკეთებს ინდივიდის ცხოვრების წესს" (30, გვ.17). ამგვარად, გარემომცველი სამყაროს საგნები და მოვლენები ხდებიან „მისი ფსიქიკის ნაწილები" და განაპირობებენ მის ცვლილებას.

mneme-ს საშუალებით ბავშვი ადაპტირდება გარემოსთან. შეუგნებლად ითვისებს, „ისრუტავს" მეტყველებას, საკუთარი სამშობლოს ადათ-წესებს და ტრადიციებს, რელიგიურ რწმენას, ხალხის მენტალიტეტს და ხდება განსაზღვრული სახის ადამიანი. ყველა ეს თვისება არაა თანდაყოლილი, მაგრამ შეძენილია ადრეულ ბავშვობაში, - ამტკიცებს მონტესორი, ეყრდნობა რა რ. ბენედიქტის წიგნს.

ტერმინი horme აგრეთვე თავდაპირველად ეკუთვნოდა პ. ნუნს, შემდეგ როგორც მონტესორი მიუთითებს, გადაიღო ვ. მაკდუგალმა. იგი შინაარსით ახლოსაა ა. ბერგსონის „სასიცოცხლო მისწრაფების" ზ. ფროიდის „ლიბიდოს" ცნებებთან და აღნიშნავს ინდივიდის თანდაყოლილ ბუნებრივ მოთხოვნილებას განვითარდეს, შინაგანად უბიძგებს მას და მიუთითებს განვითარების მიმართულებაზე და მისი ფუნქციის სრულყოფილებაზე. horme-ს აქტივობის წყალობით ბავშვი გადალახავს მნიშვნელოვან დაბრკოლებებსაც კი თავის განვითარების გზაზე. „ინდივიდში მოქმედებს ვიტალური ძალა, რომელსაც ის მიჰყავს აღმოჩენისაკენ" (30, გვ.17). horme, პირიქით ყოვლისმომცველ ხასიათს ატარებს, ღვთიური წარმომავლობა აქვს. ეს ძალა საშუალებას აძლევს ინდივიდს გახდეს დამოუკიდებელი: თავდაპირველად იგი თავისუფლდება დედის საშოს ტყვეობისაგან, შემდეგ აბსორბირდება გარემოსთან, თანდათანობით შეუძლია მიიღოს მყარი, უხეში საკვები, დამოუკიდებლად იაროს, იმოქმედოს საგნებით, მოემსახუროს თავის თავს, დამოუკიდებლად იაზროვნოს და ა. შ.

და ბოლოს, ცნება - nebule - მიეკუთვნება თვით მონტესორის და ითარგმნება იტალიურიდან როგორც „ბუნდოვანება", ისინი წარმოადგენენ განვითარების მთლიანი - horme- ენერგიის კონკრეტულ სახესხვაობებს ან გამოვლენის ხარისხს და აღნიშნავენ მნიშვნელოვანი ადამიანური ფუნქციების, მაგალითად, მეტყველების განვითარების

პოტენციურ ენერგიებს. ეს ენერგიები წარმოიქმნებიან ბავშვის დაბადებისთანავე. მათი წყალობით ბავშვი თანდათანობით იძენს ტიპიურ ადამიანურ ფუნქციებს, ქცევის საშუალებებს. „ბავშვი ელოდება ბიძგების აღმოცენებას, რომლებიც თავიდან ფორმის გარეშეა, მაგრამ სავსე არიან პოტენციური ენერგიით, რომლებმაც უნდა მართონ და შექმნან ადამიანის ქცევა..."(30, გვ.17). ადარებს რა ადამიანის და ცხოველის განვითარებას, მონტესორი აღნიშნავს, რომ ცხოველებს დაბადებიდანვე გააჩნია სახეობითი ფუნქციები. მოძრაობის განსაკუთრებული სურათი, სიმარჯვე, საკვების ამორჩევის უნარი და ა. შ.

ადამიანმა კი, პირიქით, უნდა გამოიმუშავოს, ჩამოიყალიბოს და შემდეგ განამტკიცოს საკუთარი სოციალური ჯგუფის ქცევის წესები, რომლებიც თავდაპირველად შეითვისა. ამაში მას ეხმარება nebule. ამრიგად, nebule ასრულებს „გარემოსთან შეგუების და სოციალური ყოფაქცევის რეპროდუქციის ფუნქციებს" (30, გვ.18).

რას წარმოადგენს, მაგალითად, „მეტყველების ბუნდოვანება." ბავშვს არ გააჩნია მეტყველების თანდაყოლილი მოდელი, თუმცა „მეტყველების ბუნდოვანება" (ენერგია) საშუალებას აძლევს მას თავდაპირველად განასხვაოს ერთმანეთისაგან ბგერები და სიტყვა სხვა სახის ხმაურისაგან, ხოლო მოგვიანებით აითვისოს ნებისმიერი ენა. ნებისმიერი ეროვნების ბავშვი, რომელიც სხვა ენობრივ გარემოში გაიზარდა. იწყებს იმ ენაზე ლაპარაკს, რომელშიც გაიზარდა. „ეს პოტენცია, რომელიც შეიძლება შევადაროთ უჯრედის გენს, რომელსაც აქვს თვისება შექმნას ქსოვილისაგან ზუსტი და სრული ორგანოები, არის ის, რაც ჩვენ აღვნიშნეთ, როგორც მეტყველების nebule" (30. გვ.18)..

კონკრეტულად განვითარების რომელი მოთხოვნილებები არის ჩადებული ბავშვის ბუნებაში?

1) მოძრაობის მოთხოვნილება;

2) სენსორული შეგრძნებების მოთხოვნილება;

3) მუშაობის მოთხოვნილება;

4) ზუსტი, კოორდინირებული მოძრაობებისადმი მისწრაფება;

5) სხვადასხვა ფუნქციების სრულყოფისაკენ მისწრაფება;

6) მიდრეკილება გამეორებისაკენ;

7) წესრიგის მოთხოვნილება;

8) სოციალური განვითარებისაკენ სწრაფვა;

9) თავისუფლებისადმი და დამოუკიდებლობისადმი მისწრაფება;

ამრიგად, ჩვენ შეიძლება გავაკეთოთ მონტესორის პედაგოგიკური მეთოდის განსაზღვრისათვის მნიშვნელოვანი დასკვნები.

1. მონტესორი ხაზს უსვამს როგორც შინაგანი „სასიცოცხლო იმპულსების", „სენსიტივობის წერტილების", horme, nebule, mneme-ს, ასევე გარემოს ზემოქმედების მნიშვნელობას განვითარების პროცესში. ორივე ფაქტორი საჭიროების მიხედვით უნდა იქნეს გათვალისწინებული აღზრდაში.

2. ბავშვი დამოუკიდებლად ქმნის საკუთარ თავს, გამოიმუშავებს და სრულყოფსგანსაზღვრულ ადამიანურ ფუნქციებს გარემოსთან ურთიერთქმედების დროს. აქედან გამომდინარე, განვითარებისას ამას უნდა მივცეთ გარემოს მდიდარ სტიმულებთან ინტერაქციის საშუალება.

3. გააჩნია რა „ადამიანური შემოქმედებითი ძალა", ბავშვი წყვეტს ზრდის და თვითშემეცნების ამოცანებს. აგრეთვე მთავარ, მსოფლიო ჰარმონიისადმი მსახურების ამოცანას. აი, რატომაა აუცილებელი პატივისცემით მოვეპყრათ ბავშვს და ავაცილოთ მას მისი განვითარების გზაზე წინააღმდეგობები.

4. ბავშვს გააჩნია განვითარების მოთხოვნილება, რომელიც ობიექტურად ბავშვის ბუნებისთვისაა დამახასიათებელი. ისინი აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ აღზრდის დროს.

§ 5 „ყურადღების პოლარიზაცია” და „ნორმალიზაცია"

მომზადებულ გარემოში თავისუფალი მუშაობის პირობებში 3-6 წლამდე ბავშვებზე დაკვირვების საფუძველზე მონტესორი მივიდა შემდეგ დასკვნამდე, რომ ფსიქიკური ცხოვრების ორგანიზაცია იწყებოდა ყურადღების დამახასიათებელი ფენომენიდან.თავის პირველ ”ბავშვთა სახლში” რომში, მონტესორი თვალ-ყურს ადევნებდა 3 წლის გოგონას მოქმედებებს, გოგონა მთლიანად გადართული იყო ღრუებში ჩასადგმელ ცილინდრებზე:

იღებდა ცილინდრებს, აურევდა ერთმანეთში და ხელახლა დებდა ღრუებში. გოგონა იმდენად იყო გართული ამ მუშაობით, რომ ირგვლივ ვერაფერს ამჩნევდა. მონტესორი იგონებს: „აქამდე მე არ მქონია შესაძლებლობა, თვალ-ყური მედევნებინა ბავშვებში ასეთი ყურადღებისთვის. მე დარწმუნებული ვიყავი იმაში, რომ ბავშვების ყურადღება ხასიათდებოდა დიდი არამდგრადობით, ყურადღების გადატანით ერთი საგნიდან მეორეზე, ამიტომ ამ გოგონამ გამოიწვია ჩემში განსაკუთრებული ინტერესი"(30, გვ. 41). შეამჩნია რა, რომ გოგონა არ აპირებდა სამუშაოს დამთავრებას, მონტესორიმ გოგონას სავარძელი დადგა მაგიდაზე. გოგონამ აიღო ცილინდრები და ბლოკი, დადო ბლოკი სავარძლის სახელურებზე, ხოლო ცილინდრები დაიდო მუხლებზე და გააგრძელა სამუშაო, მაშინ მონტესორიმ სთხოვა ყველა სხვა ბავშვს ემღერათ, მაგრამ გოგონას რეაგირება არ მოუხდენია არც ამაზე. მან სამუშაო დაამთავრა მხოლოდ საკუთარი სურვილით, გაიმეორა რა ის სავარჯიშო 44-ჯერ. სამუშაოს დამთავრების შემდეგ გოგონა დაღლილად კი არ გამოიყურებოდა, არამედ მშვიდი და ბედნიერი იყო, თითქოს ღრმა და ჯანმრთელი ძილის შემდეგ ყოფილიყო გაღვიძებული.

ეს ფაქტი ერთეული შემთხვევა არ ყოფილა. „თანდათანობით ყურადღების ასეთ კონცენტრაციას მე ვხვდებოდი ყველა ბავშვთან - ამბობს მონტესორი. - იგი შეიძლება განისაზღვროს როგორც უცვლელი (მუდმივი) რეაქცია გარეშე ზუსტად დადგენილი პირობების მიმართ.ყოველთვის, როცა ხდება ყურადღების ასეთი პოლარიზაცია, ბავშვი სრულად იცვლება, ხდება უფრო მშვიდი, თითქმის უფრო ინტელიგენტი..." (30, გვ. 41-42).

სწორედ, **„ყურადღების პოლარიზაციას**" თვლიდა მონტესორი აუცილებელ პირობად და იმავდროულად ბავშვში მიმდინარე ღრმა პოზიტიური ცვლილების დაწყების ნიშნად - მისი ყოფაქცევის ნორმალიზაციის პროცესის საწყისად.

ნორმალიზაციის ქვეშ აქ იგულისხმება ბავშვის ყოფაქცევის ცვლილება აცდენილიდან ნორმალურამდე. რას გულისხმობდა მონტესორი „ნორმალური ყოფაქცევის" ქვეშ?

3-6 წლის ბავშვის ნორმალურ ქცევას იგი მიაკუთვნებს კონცენტრირებული, გულისხმიერი მუშაობის ჩვევას; დამოუკიდებელი მოქმედებებით დაკავებას. „ნორმალური ბავშვი" სოციალურია: იგი მეგობრულია უფროსების და სხვა ბავშვების მიმართ,

კომუნიკაბელურია, მზადაა დახმარების გასაწევად, დისციპლინირებულია, რადგან შეუძლია საკუთარი თავის მართვა.

მონტესორი აგრეთვე აღწერს ძლიერი ან სუსტი ხასიათის ბავშვების „გაზრდილ ქცევას". ძლიერი ბავშვებისათვის დამახასიათებელია ქცევის შემდეგი დარღვევები: კაპრიზები,მრისხანების შემოტევები სხვა ბავშვებისადმი, უფროსებისადმი, საგნებისადმი მიმართული აგრესია, ეგოიზმი, შური, რომელიც ვლინდება სხვა ბავშვებისათვის რომელიღაც საგნების წართმევაში, უყურადღებობა, მოძრაობის კოორდინაციის პრობლემები; უწესრიგო აზროვნება, ერთი აბზაციდან მეორეზე გადახტომა, ხმაურისაკენ მისწრაფება, სუსტი ბავშვებისა და ცხოველებისადმი გამოვლენილი სისასტიკე.

სუსტი ბავშვებისათვის უფრო დამახასიათებელია სიზანტე, პასიურობა. რითაც აიძულებს სხვას, იზრუნოს მასზე. შიშები, მისწრაფება მუდმივად უფროსების გვერდით იმყოფებოდეს; ტყუილი, თავის დაცვის პასიური ფორმა; ქურდობა - მიითვისოს ის, რაც მას არ ეკუთვნის. ასეთი ბავშვები ადვილად მოიწყენენ.

როგორი სიხშირით გვხვდება ბავშვებში ყოფაქცევის ასეთი გადახრები? აი, მონტესორის პასუხი: „როცა 3 წლის ასაკის ბავშვები მოდიან ჩვენთან ,თითქმის ყველა მათგანი ამჟღავნებს არანორმალურ, თუმცა კორექციას დაქვემდებარებული ხასიათის თვისებებს" (30, გვ.20).

როგორია ასეთ შემთხვევაში გადახრილი ქცევის მიზეზი? „ყველა ამ პრობლემის გადაწყვეტა შესაძლებელია - წერს მონტესორი, თუ ჩვენთვის ცნობილია ცალკეული იმ ბავშვის მოქმედების კონსტრუქციული ციკლი. ჩვენ ვიცით, რომ ხასიათის ყველა ნეგატიური თვისება წარმოიქმნება ბავშვისადმი არასწორი მიდგომის გამო მისი სიცოცხლის პირველი პერიოდის განმავლობაში. თუ ამ პერიოდში ბავშვს უგულებელყოფენ, მაშინ მისი გონება ცარიელია, რადგან მას არ ჰქონდა ფორმირების შესაძლებლობა" (30, გვ.21).

ამრიგად, ქცევაში წარმოქმნილი დარღვევების მთავარ მიზეზად მონტესორი თვლის:

1. გონების ინტელექტუალური საკვების ნაკლებობას;

2. შინაგანი კონსტრუქციული იმპულსებით გამოწვეული სპონტანური მოქმედებების ნაკლებობას.

ბავშვის ქცევის შეცვლას გადახრილიდან ნორმალურამდე რომ ხელი შევუწყოთ, აუცილებელია, აღმოვფხვრათ ზემოთ ნახსენები მიზეზები, ე.ი. ბავშვის გონებას მივაწოდოთ ინტელექტუალური საკვები და მივცეთ მას დამოუკიდებელი მუშაობის შესაძლებლობა განმავითარებელ საგნობრივ გარემოში მასალებით, რომლებიც გვთავაზობენ შეცდომების თვითკონტროლს - („მომზადებულ გარემოში" - მოქმედების თავისუფალი არჩევანის პირობებში). თუ თავისუფალი მუშაობის პირობები შექმნილია, ბავშვი იწყებს ძალიან მალე გულისყურის მოკრების გამომჟღავნების უნარს, რაც, თავის მხრივ, ხელს უწყობს მისი პიროვნების ჰარმონიზაციას.

მომზადებული გარემოს და პედაგოგის მუშაობის განსაკუთრებული მეთოდების საშუალებით ბავშვი ღებულობს საკუთარი ”მეს” ჩამოყალიბებაში აუცილებელ დახმარებას და მისი ქცევის გადახრები თანდათანობით ქრება. „ერთ-ერთი მიზეზთაგანი, თუ რატომ გავრცელდა ჩვენი სკოლები - აღნიშნავს მონტესორი - გახლდათ ქცევაში ამ გადახრების გაქრობა", როგორც კი ბავშვებს მიეცათ შესაძლებლობა დაეგროვებინათ თავიანთი გამოცდილება გარემომცველი სამყაროდან და გაემდიდრებინათ თავიანთი გონება თავისუფალი მოქმედების საშუალებით" (30, გვ.21).

როგორ იცვლება ბავშვის სამუშაოს ხასიათი კონცენტრაციის ნიჭის განვითარებასთან მიმართებაში? შესაძლებელია, თუ არა ამის შემოწმება ექსპერიმენტალურად?

ამ მიზნით მონტესორი გვთავაზობს კონკრეტულ ბავშვებზე დაკვირვების მიმდინარეობისას დავხაზოთ დამოკიდებულების შესაბამისი მრუდი. ასეთი მრუდების ფორმის ანალიზის საფუძველზე მონტესორი აგებს „ბავშვის ინდივიდუალური სამუშაოს საშუალო (გასაშუალებული) მრუდს, რომელსაც გააჩნია აღმავლობისა და დაცემის პერიოდები. აგრეთვე ჰორიზონტალურ „პლატოს”- მუშაობის პროცესის დროს კონცენტრირებას. ნორმალიზაციის პროცესში ამ „პლატოებს" გააჩნიათ გაფართოების ტენდენცია (რადგან მასალებთან ბავშვის მუშაობის პერიოდები იზრდება), ხოლო მათ

შორის ინტერვალები - მცირდება, რადგან ბავშვი პრაქტიკულად მთელი დროის განმავლობაში დაკავებულია შემოქმედებითი მუშაობით.

მონტესორიმ მას უწოდა „ბავშვის ინდივიდუალური მუშაობის მრუდის გასწორების ტენდენცია".

მონტესორი ხაზს უსვამს, რომ ნორმალიზაცია წარმოადგენს თვით ბავშვის მუშაობის და მისი პიროვნების ჩამოყალიბებას და არა უფროსის მიერ გარე ზემოქმედების შედეგს.

იგი აძლევს ასეთ შედეგს ყველაზე მაღალ შეფასებას: „ეს ფენომენი "ნორმალიზაცია" მუდმივად მეორებოდა ჩვენს სკოლებში სხვადასხვა სოციალური ფენების, რასის, კულტურის ბავშვებთან. ეს ყველაზე მნიშვნელოვანი ცდა იყო ჩვენი მუშაობისა" (30, გვ.22).

მესამე თავის დასკვნები

- მონტესორი ბავშვის პიროვნებად ფორმირებაში განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა მორალურ აღზრდას, რომლის სრულყოფილად წარმართვისათვის საჭირო იყო სწორად ორგანიზებული გარემოს შექმნა, სადაც ცუდი გამოყოფილი იქნებოდა კარგისგან.
- მ. მონტესორის მიაჩნდა, რომ განათლების მისაღებად საკმარისია ისეთი განმავითარებელი გარემოს შექმნა, სადაც დიდაქტიკურ მასალას აირჩევდა არა მასწავლებელი, არამედ თვითონ ბავშვი, რომელიც თვითონვე განსაზღვრავდა ამ მასალასთან მუშაობის დროს და გააკონტროლებდა საკუთარ შეცდომებს.
- დისციპლინა თავისუფლებაში - ეს არის მ. მონტესორის სწავლების მეთოდის მთავარი ლაიტმოტივი. მონტესორის სისტემაში დისციპლინის არსი განსხვავებულია მისი საყოველთაო არსისგან, რადგანაც დისციპლინა ემყარება თავისუფლებას. მონტესორის მიხედვით დისციპლინირებულია ბავშვი, რომელიც ფლობს საკუთარ თავს, შეუძლია საკუთარი ქცევების გააზრება და აუცილებლობის შემთხვევაში იცავს გარკვეულ წესებს.
- მარია მონტესორი აღზრდაში უარყოფდა დასჯის მეთოდს.

- ბავშვის განვითარების პროცესში მარია მონტესორი ხაზგასმით ასკვნის: შინაგანი „სასიცოცხლო იმპულსების", „სენსიტივობის წერტილების", horme, nebule, mneme-ს, ასევე გარემოს ზემოქმედების მნიშვნელობას განვითარების პროცესში. ორივე ფაქტორი საჭიროების მიხედვით უნდა იქნას გათვალისწინებული აღზრდაში, რადგან ბავშვს გააჩნია განვითარების მოთხოვნილება, რომელიც ობიექტურად ბავშვის ბუნებისთვისაა დამახასიათებელი. ისინი აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ აღზრდის დროს.
- **„ყურადღების პოლარიზაციას**"თვლიდა მონტესორი აუცილებელ პირობად და იმავდროულად ბავშვში მიმდინარე ღრმა პოზიტიური ცვლილების დაწყების ნიშნად - მისი ყოფაქცევის ნორმალიზაციის პროცესის საწყისად.

თავი IV

მონტესოსორის პედაგოგიკური სისტემა და თანამედროვეობა

§ 1. მონტესორის პედაგოგიკური იდეების გავრცელება- განვითარების საკითხისათვის

თანამედროვე ეპოქაში მონტესორის მეთოდით ათობით ათასი ბავშვი სწავლობს ამერიკის შეერთებულ შტატებში, ევროპისა თუ აზიის ქვეყნებში. ეს არის არა მხოლოდ კერძო, არამედ სახელმწიფო ბაღები და სკოლები. მაგრამ ზოგჯერ მაინც გვესმის, რომ მონტესორის სისტემა დღევანდელ დღეს დავიწყებულია. მან ყურადღება მიიპყრო XX საუკუნის დასაწყისში, მანათობელი ვარსკვლავივით გამოანათა პედაგოგიკურ სარბიელზე და მალე ჩაქრა, ვერ გაუძლო უფრო სრულყოფილ და უფრო თანამედროვე სისტემებთან კონკურენციას. მიგვაჩნია, რომ ეს შეხედულება არ შეესაბამება ჭეშმარიტებას. ასეთი

შეხედულება რომ გავფანტოთ, გვინდა წარმოვადგინოთ, როგორ გავრცელდა მონტესორის იდეები საზღვარგარეთ XX ს-ის მეორე ნახევარში.

ამერიკაში მონტესორის იდეები ცნობილი გახდა ჯერ კიდევ XX ს-ის დასაწყისში. 1915 წელს მარია მონტესორი ჩავიდა სანფრანცისკოში მსოფლიო გამოფენაზე და წარმოადგინა თავისი პრაქტიკული საქმიანობის ანგარიში. ის შეფასებულ იქნა მედლით და მოიპოვა საყოველთაო აღიარება. შემდეგ შეიქნა მონტესორი - საბავშვო ბაღები, ოღონდაც მალე ინტერესმა იკლო და 1930-იანი წლების ბოლოს თითქმის ყველა მათგანი დაიხურა. რ. ზალცმანს მოაქვს მთელი რიგი მიზეზები მონტესორის იდეებისადმი ინტერესის გაქრობისა. პირველ რიგში, ეს არის მეთოდის კომერციალიზაცია, რომელიც გულისხმობდა კომერციული მოგების მოტანას. თავიდან ბაღები იქმნებოდა. მასალა პრაქტიკულად არ არსებობდა, პედაგოგები იყვნენ მოუმზადებელნი და მოსალოდნელ ეფექტს ვერ მიაღწია. მეორე ფაქტორი იყო კოლუმბიის პროფესორ უ. კილპატრიკის კრიტიკა, რომელიც მაშინდელ პედაგოგიურ წრეებში იყო ძალიან გავლენიანი ფიგურა. მან ბუნდოვნად წარმოადგინა მონტესორის პედაგოგიკური შეხედულებები, შეამცირა და დაამახინჯა შედეგები. მისი შეხედულებები მოხვდა სახელმძღვანელოებში. ასე მონტესორის საინტერესო იდეები დისკრედიტირებულ იქნა საზოგადოების თვალში.

1930-დან 1950 წლამდე მონტესორის ამერიკაში არავინ ახსენებდა. მაგრამ 1950 წლების ბოლოს მისი იდეებისადმი ინტერესი კვლავ გაჩნდა ნ. რამბუშის წყალობით. ევროპაში მასწავლებლების კურსების გავლის შემდეგ მან აშშ-ის კონექტიკუტის შტატში 1957 წ. დააარსა მონტესორი - საბავშვო ბაღი. 1959 წ. ბ. სტეფენსონმა ჩაიტანა ამერიკაში პირველი მონტესორი - პედაგოგების მოსამზადებელი კურსები. 1961 წელს შეიქმნა ვაშინგტონში მონტესორი - ინსტიტუტი, რომელიც დღესაც აგრძელებს მონტესორი - პედაგოგების მომზადებას.მოგვიანებითშეიქმნა სხვა სასწავლო ცენტრები. პირველად იყო ფილადელფიაში კურსები ი. ეუგენიას ხელმძღვანელობით, შემდეგ კალიფორნიაში ლ. უიკრამარატნეს ხელმძღვანელობით, ცენტრი ატლანტაში დაარსებული მ. რადონისის, ე. ბრაიანის და ნ. ხუჯესომის მიერ. შემდეგ შეიქმნა მონტესორი - საგანმანათლებლო

ცენტრები ტეხასში, მაიამიში, მილუოკში, ნიუ-ჯერსიში, მინესოტაში, ცინცინატში, ლოს-ანჯელესში, ოჰაიოში, აგრეთვე კანადაში. თანამედროვე დროს მათი რაოდენობა 13-ია.

რა პრობლემები შეექმნა მონტესორი-მოძრაობას ამერიკაში? გამოიკვეთა შემდეგი პრობლემა: 1963 წ. წარმოიშვა ძირეული წინააღმდეგობა ორ უდიდეს საზოგადოებრივ ორგანიზაციას შორის, რომლებიც პროპაგანდას უწევდნენ მონტესორის იდეებს. ესენი იყვნენ მონტესორი ასოციაციის საერთაშორისო ფრთა და ამერიკის მონტესორი - საზოგადოება. ნ. რამბუში, რომელმაც პირველმა დააარსა კონექტიკუტის შტატში მონტესორი-ბაღი, გამოყოფდა დაპირისპირებას, რომელიც მდგომარეობდა განსხვავებულ მიზნებსა და ხელშეწყობაში. ერთის მხრივ, „მონტესორი - მოძრაობა ამერიკაში" და მეორეს მხრივ, „მონტესორი - მოძრაობის ამერიკანიზაცია”-ს შორის. უკანასკნელი თვალსაზრისის მომხრეები ამერიკაში მონტესორი - პედაგოგიკის ადაპტაციის პროცესში აქცენტს აკეთებდენ ამერიკული და ევროპული კულტურის, ენის, ეკონომიკური და სოციალური პირობების სხვაობაზე.

იყო აგრეთვე სირთულეები, რომლებიც უკავშირდებოდა მონტესორის სისტემასა და „ტრადიციულ" განათლებას შორის ურთიერთობას. მიუხედავად იმისა, რომ შეხედულებები მონტესორი პედაგოგიკისადმი იცვლებოდა კარგი კუთხით, მას მაინც არ აღიარებდნენ ოფიციალური წრეები. ამან ამერიკაში გამოიწვია მონტესორი სკოლების კლება. წარმოიშვა სერიოზული პრობლემები მონტესორი ბაღების და სკოლების სახელმწიფო დაფინანსების თვალსაზრისითაც. ჩვეულებრივ საბავშვო ბაღებსა და სკოლებში პროპორცია უფროსებსა და პატარებს შორის არის 1:7 და 1:4, მაშინ, როცა მონტესორი - სასწავლო დაწესებულებებში 30 ბავშვზე მოდიოდა 1 მასწავლებელი და 1 დამხმარე. ისინი იმყოფებოდნენ ცუდ ფინანსურ მდგომარეობაშიც. ამასთან ერთად, საზოგადოებაში გავრცელებული იყო მცდარი შეხედულებები მონტესორი - სისტემის შესახებ. თითქოს ბავშვები მშობლებს იმიტომ მიჰყავდათ იქ, რომ ადრიანად ესწავლათ კითხვა, წერა, ანგარიში და ა. შ. მათ არ ესმოდათ მ. მონტესორის იდეების მნიშვნელობა პიროვნების სრულყოფილი განვითარების პროცესში.

მონტესორი-მოძრაობამ ისე როგორც ამერიკაში, **იაპონიაშიც** სამი სტადია განვლო. ინტერესის პირველი ტალღა და პირველი წარუმატებლობა (1912-1917წ.წ.); ლატენტური პერიოდი (1918-1962წ.წ.), აღორძინება და მონტესორის იდეების რეალიზაცია ახალ დონეზე (1962-დან დღემდე).

მონტესორის პედაგოგიკური ექსპერიმენტის შესახებ პირველი ცნობები იაპონურ პრესაში 1912 წელს გაჩნდა, მას შემდეგ, რაც უკვე ევროპაში მონტესორი ცნობილი იყო. იაპონიის საგანმანათლებლო წრეები მონტესორის იდეებს გაეცვნენ ამერიკული ლიტერატურის და საგაზეთო პუბლიკაციების წყალობით. 1917 წლამდე იაპონიის ბეჭდურ გამომცემლობებში 56-ჯერ იქნა მოხსენიებული მონტესორის მეთოდი. გამოვიდა იაპონელი ავტორების მიერ შექმნილი 5 წიგნი, რომლებშიც ახსნილი იყო მონტესორის მეთოდის არსი, ძირითადი იდეები და პრაქტიკული გამოყენება.

პირველ პერიოდში მონტესორი - პედაგოგიკის შესახებ ინფორმაცია გავრცელდა ლექციებით, სემინარებით და კონფერენციებით. 1913-14 წლებში კაიხანშინსკის საბავშვო ასოციაციამ ჩაატარა 25 სემინარი, თითო სემინარს ესწრებოდა დაახლოებით 130 მონაწილე. 1914 წლის ივლისში კიოტოში ჩატარდა საბავშვო ასოციაციის კონფერენცია, რომელშიც მონაწილეობა მიიღო იაპონიის ქალთა კოლეჯის კიომარუ კონოს პედაგოგმა, კიოტოს უნივერსიტეტის პროფესორმა ტ. ნოგამიმ და 400-მდე პედაგოგმა 12 საბავშვო ბაღიდან და 46დაწყებითი სკოლის მასწავლებელმა მოსაზღვრე რეგიონებიდან. პირველად დიდაქტიკური მასალა შეიქმნა და გამოყენებულ იქნა ქ. კობეს საბავშვო ბაღში. ისინი იქმნებოდა ფოტოების საფუძველზე, რომლებიც ამერიკაშიიყო შექმნილი 1913-1919 წლებში. დაარსდა პირველი საბავშვო ბაღები, რომლებიც იყენებდნენ მონტესორის მეთოდებს: მაგ. ქ. კომოს მუნიციპალური საბავშვო ბაღი, საბავშვო ბაღები ედობორი და პონდენი ოსავაში, საბავშვო ბაღი ტაიზონო კიოტოში, საბავშვო ბაღი ხიმეიჯის სკოლასთან.

1916 წლიდან ინტერესი მონტესორის იდეებისადმი დაეცა. კ. ლიუმერი (82, გვ. 377-383) მიუთითებს შემდეგ მიზეზებზე: პირველ რიგში, XIX ს-ის ბოლოს იაპონური პედაგოგიკა გერმანული პედაგოგიკის ძლიერი გავლენის ქვეშ მოექცა. 1920 წელს უდიდესი გერმანელი პედაგოგი შპრანგერი აკრიტიკებდა მონტესორის. მეორეს მხრივ, 1930-1940

წლებში იაპონიაში, ისე როგორც ევროპაში, გაძლიერდა ეროვნული და მილიტარისტული ტენდენციები. მონტესორის იდეები თითოეული პიროვნების უნიკალურობასა და ღირებულებებზე ეწინააღმდეგებოდა ტოტალიტარულ იდეოლოგიას. ბევრი საბავშვო ბაღი დაიხურა. ხ. მაცუმოტოს თხოვნით, პროფესორ იოშიოკამ ასევე გამოყო მთელი რიგი მიზეზები პირველ წარუმატებლობაზე. პირველ რიგში ინფორმაციის ნაკლებობა: არსებული წიგნები და პერიოდული პუბლიკაციები არასაკმარისი იყო ამ პედაგოგიკური მოვლენის შესასწავლად. მეორე რიგში, არ არსებობდნენ კარგად მომზადებული პედაგოგიური კადრები; შესაძლებლობები პედაგოგების გადამზადებისათვის იყო შეზღუდული. იაპონელი პედაგოგები სწავლობდნენ წიგნებით, არ გადიოდნენ პედაგოგიურ სტაჟირებას. მხოლოდ ერთეულებს შეეძლოთ სასწავლებლად ევროპასა და ამერიკაში წასვლა.

1920 - 1930-იან წლებში მონტესორი მოძრაობას თითქმის არ გამოუვლენია თავი. მაგრამ მისი რამდენიმე იდეა მაინც გამოიყენებოდა. მაგ. კიიომარუ კონომ დაიწყო ამ მეთოდით სწავლება და მის საფუძველზე შექმნა თვითგანვითარების თეორია. 1919 წელს მან გამოაქვეყნა ნაშრომი „ბავშვების განვითარების პრინციპები", ხოლო 1921 წელს კი სტატია - „სწავლების 8 პრინციპი". მისი თვითგანვითარების თეორია მკვეთრად განსხვავდებოდა მონტესორის მიდგომებისაგან. იყო იაპონიაში მონტესორი მეთოდის ადაპტირების სხვა მცდელობებიც. სოფია არაბელა ალვინმა 1914 წელს მიიღო მონტესორი - მასწავლებლის დიპლომი. მან დააარსა საბავშვო ბაღი „ჯაკუზი" და ამავდროულად კითხულობდა ლექციებს მონტესორის შესახებ.

მონტესორის პედაგოგიკური მიმართულების აღორძინება იაპონიაში მოხდა მეორე მსოფლიო ომის შემდგომ, 1960 წელს. ამაში დიდი წვლილი შეიტანეს ტოკიოს უნივერსიტეტის პროფესორმა, ტსუკიმიგაოკას ბავშვთა სახლის თანამშრომლებმა, ხიროსიმას სამედიცინო ინსტიტუტის, ასევე ეკლესიის ზოგიერთმა წარმომადგენელმა. 1968 წელს დაარსდა იაპონიაში მონტესორი - ასოციაცია. 1970-იანი წლების დასაწყისში მასში 1500-ზე მეტი წევრი იყო. 1970 წლიდან რეგულარულად მოქმედებდა კადრების მოსამზადებელი რამდენიმე სისტემატური კურსი. 1970 წელს ტოკიოს უნივერსიტეტში

ამოქმედდა კურსი კ. ლიუმერის ხელმძღვანელობით. პრაქტიკული მეცადინეობები მიჰყავდა ხ. მაცუმოტოს. 1973 წ. კ. აკაბანე - შინოხარამ კიოტოში დააარსა კიდევ ერთი კურსი. ფუნქციონირებს აგრეთვე მონტესორი - კურსები ტოკიოში და ხიროსიმაში, ეს უკანასკნელნი ორიენტირებულნი არიან განვითარების დარღვევის მქონე ბავშვებთან მომუშავე სპეციალისტების მომზადებაზე.

ხ. მაცუმოტოს მონაცემებით, 1990 წლის დასაწყისში იაპონია ითვლიდა 1758 მონტესორი-საბავშვო ბაღს, 466 მონტესორი-დღის ცენტრს, 120 ბავშვთა სახლს, სადაც გამოიყენებოდა მისი მეთოდი. იაპონურად გადათარგმნილია მონტესორის წიგნები „ბავშვობის საიდუმლო", „ბავშვის გახსნა", ამ პერიოდში მონტესორი იდეების თეორიულ გააზრებასა და პრაქტიკულ რეალიზაციაზე მუშაობდნენ მკვლევრები და პრაქტიკოსები, რომელთაც განათლება ამერიკაში, იტალიასა და ინდოეთში ჰქონდათ მიღებული. იაპონიის მონტესორი-ასოციაციაში რეგულარულად ტარდებოდა კონფერენციები, სემინარები და მრგვალი მაგიდა სპეციალისტებისა და დაინტერესებული პირებისთვის. ამ ფაქტების წყალობით, აგრეთვე განათლების სახელმწიფო პოლიტიკის ცვლილებებმა, რომლებიც აღიარებენ აღზრდისადმი სხვადასხვაგვარ მიდგომას. მონტესორი სისტემა, მეთოდები, საშუალებები და სწავლების შინაარსი მიღებული და მოწონებულია დღევანდელ იაპონიაში.

მ. მონტესორის იდეების გავლენა **ინდოეთის** პედაგოგიკაზე უდიდესია. პედაგოგიკის ყველა სახელმძღვანელო აღიარებს მონტესორის სისტემის მნიშვნელობას მიზნის განახლებასა და პრაქტიკულ აღზრდაში. საგამოცდო პროგრამები ყოველთვის რთავენ შესაბამის კითხვებს. მონტესორის სახელი მოხსენიებულია ინდური დიალექტის ყველა ლექსიკონში. მისი წარმოთქმა და წერა უკვე „გაინდურებულია". მოთხოვნა მონტესორი - პედაგოგებზე არის არა მარტო მონტესორი-ბაღებისა და სკოლების მხრიდან, არამედ „ტრადიციული" საგანმანათლებლო დაწესებულებებიდანაც.

ისტორია მონტესორი-მოძრაობა ინდოეთში ა. ჯოოსტენის მიხედვით მოიცავს 3 პერიოდს: 1913-1939 წწ., 1939-1949 წწ. და 1949 წლიდან დღემდე. პირველ პერიოდში ინდოეთში გაჟონა ინფორმაციამ მონტესორის მეთოდზე და შეიქმნა პირველი

მცდელობები შექმნილიყო საბავშვო ბაღები. 1913 წ. ინდოეთის ოფიციალურმა წარმომადგენელმა მიიღო მონაწილეობა რომში პირველ საერთაშორისო მონტესორი-კურსებზე. 1919 წლიდან ინდოეთის წარმომადგენლები რეგულარულად სწავლობდნენ ლონდონში საერთაშორისო კურსებზე, ხოლო 1930-31 წლებში კურსებზე რომსა და 1933 წ. ბარსელონაში. პირველი საბავშვო ბაღები დაარსდა დიდ ქალაქებში - ალაჰაბადში, ბენარესში, ბომბეიში, კალკუტასა და ხაიდერამადეში. მონტესორის იდეების პროპაგანდასა და გავრცელებაში დიდი წვლილი შეიტანეს ს. სარაბხაიმ, ე. სტენდინგმა, გ. გპადეკამ. მისი პირველი წიგნი გადათარგმნილი იქნა ინდოეთის მრავალ ენაზე - გუჯარათი, ჰინდი, მარატი, ტამილი. ამ პერიოდში მონტესორიმ გაიცნო მაჰათმა განდი. მოგვიანებით მონტესორი საერთაშორისო ასოციაციის საპატიო წევრები გახდნენ ინდოეთის პრეზიდენტები ჯ. ნერუ, ვ. პანდიტი, ს. რამასვამი აიარ. აგრეთვე მეცნიერები ს. რადჰაკრიშნანი და ზ. ჰუსეინი.

შემდეგი ეტაპი იყო მონტესორის და მისი ვაჟის - მარიოს ჩასვლა ინდოეთში 1939-1949 წლებში. ისინი ემიგრირებულები იყვნენ ინდოეთში II მსოფლიო ომის დაწყებისთანავე და იქ გაატარეს 10 ნაყოფიერი შემოქმედებითი წელი. ისინი ატარებდნენ პედაგოგებისათვის კურსებს. გადაადგილების სირთულის გამო დიდხანს რჩებოდნენ ერთ ადგილზე. ეს ხელს უწყობდა მარიას შეექმნა თავისი ფუნდამენტური შრომები.

მიუხედავად მონტესორის ევროპაში დაბრუნებისა, მის მიერ დაარსებული კურსები პედაგოგებისათვის აგრძელებდა ფუნქციონირებას და ყოველწლიურად 150-200 მსმენელი ამთავრებდა მას. კურსები ინდოეთის სხვადასხვა ქალაქებში დღესაც არსებობს, იმისათვის, რომ შეიქმნას სხვადასხვა საშუალებები თავიანთი მოქალაქეების განათლებისათვის და შეწყვიტონ მონტესორი-პედაგოგების გადამზადება მხოლოდ ზოგიერთ ქალაქში. 1952 წლიდან დიპლომი **მონტესორი საერთაშორისო ასოციაცია** აღიარებულია სახელმწიფოს მიერ. მონტესორი-მასალები კითხვის, წერისა თუ გრამატიკისა ადაპტირებულია ინდოეთის სხვადასხვა ენაზე.

ინდოეთში მონტესორი-მოძრაობამ გავლენა იქონია მეზობელ ქვეყნებზე - **პაკისტანი, შრი-ლანკა, ცეილონი, მალაიზია.** პაკისტანში თვითონ მონტესორიმ ჩაატარა 2 კურსი, 1970

წლიდან იქ არსებობს რეგულარული კურსები. ცეილონში მონტესორი იმყოფებოდა რამდენჯერმე. 1944 წელს მონტესორი თვითონ უძღვებოდა კურსებს კოლომბოში. ამავე დროს ცეილონში შეიქმნა რამდენიმე ბაღი. 1957 წელს ნაიკანდეში დაარსდა საგანმანათლებლო ცენტრი - თავშესაფარი ობოლი ბავშვებისათვის. პირველი მონტესორი - ბაღი მალაიზიაში გაჩნდა კუალა-ლუმპურეში. 1970 წლიდან მსმენელების რიცხვი კურსებზე ინდოეთში მალაიზიიდან და სინგაპურიდან საგრძნობლად გაიზარდა.

მონტესორი - მოძრაობას ინდოეთში ახლდა პრობლემები ეკონომიკური, სოციალური თუ კულტურული მიმართულებით. ეკონომიკური პრობლემები ეხებოდა ფინანსურ სირთულეებს. ინდოეთში მონტესორი - ბაღები და სკოლები რჩება ძირითადად კერძო. ისინი ეძებენ დამატებით დაფინანსებას. მონტესორი - საზოგადოებების საქმიანობაც რთულდება ფინანსური პრობლემების გამო. თუ მოიპოვებენ დაფინანსების წყაროს, კარგავენ დამოუკიდებლობას. მეორე მხრივ, მონტესორი - სისტემა გახდა ვაჭრობის საგანი და ეს მის სასიკეთოდ არ მუშაობს, მშობლებს და სახელმწიფო მმართველობის ორგანოებს ხშირად არ ესმით მონტესორის პრინციპები. ამასთანავე ქვეყნის ფედერალური მოწყობა ართულებს მონტესორი-დაწესებულებებს შორის კოორდინაციას.

სხვა პრობლემებს სოციალური ხასიათი აქვს. ქალებს არ შეუძლიათ წავიდნენ იქ, სადაც სჭირდებათ მათი პროფესია. მათ დამოუკიდებლად ცხოვრებაც არ შეუძლიათ. მეორე პრობლემა კი - ენების მრავალფეროვნებაა, რომელიც ართულებს სამუშაოს. ინდოეთში 14 ოფიციალური ენა და 200-მდე დიალექტია. სერიოზული პრობლემაა, მშობლების მხრიდან მოთხოვნა სწრაფად დატოვონ სკოლა და დაიწყონ მუშაობა. სკოლებში ხშირად საკმარისი ადგილები არ არის. მშობლებს მიჰყავთ მონტესორი-ბაღებიდან ბავშვები და სკოლასთან არსებულ სკოლამდელ დაწესებულებებში გადაჰყავთ, რადგან გარანტირებული ჰქონდეთ ადგილი სკოლაში.

როგორც ყველგან, აქაც ადაპტაციის პრობლემა დგას წინა პლანზე, ინდოეთშიც განიხილება ქვეყნისათვის მონტესორის სისტემის მიმღებლობა, სისტემისა, რომელიც წარმოშობილია სხვა კულტურაში.

მონტესორი-მოძრაობის ისტორია **ფილიპინებში** იწყება 1952 წ. როცა მონაზონმა ჰოლანდიიდან **და ბურგემანსმა** დააარსა საბავშვო ბაღი წმ. იოსების სახელობის კოლეჯში კუეზონ-სიტიში. მას მიჰყავდა კურსები კოლეჯში და მიაღწია გადაექცია ის ფართომასშტაბიან საგანმანათლებლო კურსებად. დამთავრების შემდეგ მსმენელები იღებდნენ ბაკალავრის დიპლომს. 1957 წელს მეორე ჰოლანდიელმა მონაზონმა და ავკურსიმამ გახსნა ფილიპინებში მონტესორი-სკოლა შეფერხების მქონე ბავშვებისათვის. ფილიპინელმა სოლვიენმა 1964 წელს დააარსა საბავშვო ბაღი, ხოლო 1966 წ. იტალიაში მონტესორი კურსების გავლის შემდეგ - მონტესორი ცენტრი, მეორე ცენტრი დააარსა ი. გომეზ ველხაფმა, რომელსაც დიპლომი ამერიკაში ჰქონდა მიღებული.

მომდევნო წლებშიც შეიქმნა მონტესორი-საბავშვო ბაღები და სკოლები. 1968 წლიდან ზოგიერთი მათგანი ჯანმრთელ ბავშვებთან ერთად იღებდა განვითარების დარღვევის მქონე ბავშვებს. ასე მაგალითად, პ. სოლვიენის მონტესორი-ცენტრში 1100 მოსწავლიდან დასაწყისში დაახლოებით 15 ბავშვი იყო სხვადასხვა დარღვევით, ყოველწლიურად იღებენ 12-20 ასეთ ბავშვს. ამ ცენტრიდან გამოსულ 80% ასეთი ბავშვებს შეუძლიათ ისწავლონ ჩვეულებრივ სკოლაში და მხოლოდ 20% -ს სპეციალურ სკოლაში.

აფრიკაში პირველი მონტესორი - კურსები შეიქმნა 1968-71 წლებში მუსლიმანური საზოგადოების მხარდაჭერით. ის დაასრულა 50-ზე მეტმა მსმენელმა. მარიო მონტესორის(მ. მონტესორის შვილი) მიერ ზოგიერთი აფრიკული ქვეყნის მონახულების შემდეგ, შემუშავებულ იქნა **მონტესორი საერთაშორისო ასოციაციის** პროექტი აფრიკის ბავშვების დასახმარებლად. მას ჰქონდა ორი მიზანი:

1. აფრიკული სახელმწიფოების მთავრობებს დახმარებოდნენ გაეთავისებინათ ბავშვთა განვითარების ფუნდამენტური მოთხოვნა, რათა ამ მოთხოვნებს ხელი შეეწყოთ დაენერგათ ახალი საგანმანათლებლო პოლიტიკა.

2. შექმნილიყო ბავშვთა განვითარების ცენტრები, მათ შორის ოფიციალური საბავშვო ბაღების ალტერნატივა.

ამ პროექტის ფარგლებში, 1970 წლის დასაწყისში ტანზანიაში გაიმართა 6 კურსი (109 მსმენელი), ორი კურსი კენიაში (37 მსმენელი), ერთი კურსი ეთიოპიაში (19 მსმენელი). ამ

პერიოდში კენიაში, ეთიოპიასა და უგანდაში გაიხსნა პირველი მონტესორი საბავშვო ბაღები. დახმარებას ითხოვდნენ მუშაობის პროცესში მავრიტანიის, სომალის, სუდანის, ზამბიის, ბოცვანის, ნიგერიის და განის წარმომადგენლები.

რომ შეგვექმნას წარმოდგენა მონტესორი-მოძრაობის შესახებ **ევროპაში,** თვალი გადავავლოთ მონტესორი - საზოგადოებების მუშაობას ინგლისში, გერმანიაში, დანიაში, ჰოლანდიაში, ირლანდიაში, იტალიაში, საფრანგეთსა და შვეიცარიაში. ჩვენ გამოვყავით შემდეგი მიმართულებები მათი საქმიანობიდან:

1. **მონტესორის იდეების პროპაგანდა პედაგოგებსა და მშობლებში** - ამისათვის მონტესორი საზოგადოების წარმომადგენლები ორგანიზებას უკეთებდნენ მონტესორი-სასწავლო დაწესებულებების მონახულებას, გამოფენებს, მოხსენებებს და 1-3 დღიან სემინარებს ყველა მსურველისთვის. ასე მაგალითად, 1975-1976 სასწავლო წელს დანიაში სტუმრებმა მოინახულეს მონტესორი-სკოლა როსკილში. ფრანკფურტის და მიუნხენის საბავშვო ბაღებში სტუმრები ამერიკიდან, იაპონიიდან და სხვა ქვეყნებიდან ჩამოდიოდნენ. 1975 წ. ინგლისში ილინგის მონტესორი - სკოლაში მოეწყო გამოფენა, რომელზეც ა. იუდეილმა გააკეთა მოხსენება თემაზე „სკოლამდელების საჭიროებანი". ამავე წელს კემბერლის მონტესორი-სკოლის დირექტორმა გააკეთა მოხსენება ფართო აუდიტორიის წინაშე თემაზე „როგორ შეიძლება შევადაროთ ბავშვის პროგრესი მონტესორი-სკოლაში". ირლანდიაში სასტუმრო ჰიბერნიაში ყოველწლიურად იმართებოდა მონტესორი-მასალების გამოფენა ყურადღების მისაპყრობად.

2. **სპეციალისტების მოსამზადებელი კურსები მონტესორი - პედაგოგიკის მიხედვით** - გერმანიაში ასეთი კურსებია დიუსელდროფში, კიოლნში, მიუნხენში, ფრანკფურტში. იტალიაში კურსები არსებობს რომში, ბოლონიაში, პერუჯაში, მილანსა და ნეაპოლში. პარიზში 2 ორწლიანი ცენტრია აღმზრდელებისათვის. დანიაში ცნობილია ნორდიკ-მონტესორი კურსები ქ. უასალას უნივერსიტეტში. ზოგიერთი ამ კურსებისა აღიარებულია მონტესორის საერთაშორისო ასოციაციის მიერ და მისი კურსდამთავრებულები იღებენ საერთაშორისო დიპლომს, სხვები იძლევიან ეროვნულ დიპლომებს.

3. **კონფერენციები და სემინარები მასწავლებლების და აღმზრდელების კვალიფიკაციის ასამაღლებლად**, რომლებიც მუშაობდნენ მონტესორი-დაწესებულებებში. სემინარები თემაზე, როგორიცაა „მონტესორი - სახლში" მიზნად ისახავდა მშობლების პედაგოგიზაციას, ასეთი სემინარი გაიმართა 1976წ. ინგლისში სასექსის საგრაფოში. სემინარების ფარგლებში შექმნილი იყო სამუშაო ჯგუფები, ეწყობოდა დისკუსიები თემაზე „თავისუფლება და დისციპლინა", „დამოუკიდებლობა" , „კვება და ძილი", „მშობლების, ბებიების და ბაბუების როლი აღზრდაში", „როგორ მოვამზადოთ ბავშვი მონტესორი-სკოლაში". 1975 წ. ფრანკფურტში ორგანიზაცია World Education Fellowship-ის მხარდაჭერით გაიმართა სემინარი თემაზე „მონტესორი-პედაგოგიკა თანამედროვე საზოგადოებაში". მასში მონაწილეობა მიიღეს პროფესორებმა ხ. რერსმა, პ. შაიდმა. ტ. ჰელბრიუგემ.

4. **ხელისუფლებასთან და სახელმწიფო ორგანიზაციებთან მუშაობა** - ეს მუშაობა აუცილებელია მონტესორი-მოძრაობის სახელმწიფოსაგან იზოლაციის თავიდან ასაცილებლად და მმართველი ორგანოების მიერ ოფიციალური აღიარებისათვის. ასე მაგალითად, მონტესორი-ორგანიზაციამ შვედეთში 1975 წელს წერილი გაუგზავნა შვედეთის მთავრობას თხოვნით, მოემზადებინათ სახელმწიფო პროგრამა მონტესორი-მასწავლებლების გადასამზადებლად ქვეყნის შიგნით.

5. **ყოველწლიური კონფერენციები-შეკრებები მონტესორი-საზოგადოების წევრებისა**, რომელზედაც განიხილებოდა როგორც პედაგოგიკური, ისე საორგანიზაციო საკითხები. ასეთ კონფერენციებს მართავდა ყველა მონტესორი-საზოგადოება. მაგალითისათვის მოგვყავს ზოგიერთი ქვეყნის მონტესორი-საზოგადოების წევრების რაოდენობა 1976 წლის მონაცემები: ჰოლანდია - 3000 წევრი, აახენი - 600-მდე, შვედეთი - 400, ირლანდია - 300.

6. **პედაგოგებისათვის მეთოდური სახელმძღვანელოების შექმნა** - ჰოლანდიაში მონტესორი-საზოგადოებამ გამოუშვა მთელი რიგი ილუსტრირებული მეთოდური სახელმძღვანელოები მონტესორი-მასალის გამოყენებისათვის.

7. **ჟურნალების და სხვა საინფორმაციო ლიტერატურის გამოცემა მონტესორი-პედაგოგიკის შესახებ**. მაგალითისათვის გამოგვადგება Montessori Magazine და AMI - communications (ჰოლანდია), Montessori Quavterty (ინგლისი), il Quademo Montessori

(იტალია). იტალიის და ინგლისის მონტესორი - საზოგადოებებმა გამოსცეს საინფორმაციო ბროშურები მონტესორი სისტემაზე და თავიანთ საქმიანობაზე. იტალიურმა მონტესორი-საზოგადოებამ გამოსცა შესანიშნავი ისტორიულ - პედაგოგიური ალბომი მონტესორი-მასალაზე.

8. ვიდეოფილმების შექმნა მონტესორი-პედაგოგიკაზე - ფილმებს იღებდენ პრაქტიკულად ყველა ქვეყანაში, მათ შორის ინგლისში, გერმანიაში, ჰოლანდიასა და იაპონიაში.

როგორ მოახდინა გავლენა თანამედროვე განათლებაზე მონტესორის იდეებმა? მონტესორის იდეების განვითარების და გამოყენების თვალსაზრისით შეიძლება გამოვყოთ მთელი რიგი მიმართულებები (1960-1990 წწ.), რომლებიც იყოფა 3 ჯგუფად:

1. კლასიკური და პოსტკლასიკური მიმართულება.
2. მონტესორი მეთოდის გამოყენება ახალ კონტექსტში.
3. სამედიცინო-სარეაბილიტაციო მიმართულება.

განვიხილოთ თითოეული ცალ-ცალკე:

კლასიკური და პოსტკლასიკური მიმართულება აერთიანებს:

1. „კლასიკური" მონტესორი - საბავშვო ბაღებისა და სკოლების შექმნა ევროპაში, ამერიკაში, აზიის ქვეყნებში, მათ შორის იაპონიაში, ინდოეთში, შრილანკაში, აგრეთვე აფრიკაში.

2. მონტესორის იდეების განვითარება დაბადებიდან 3 წლამდე.

3. საქმიანობის დამატებითი ფორმების ჩართვა მონტესორი-საბავშვო ბაღების საგანმანათლებლო კონტექსტში.

4. თანამედროვე მონტესორი - გიმნაზიების და მონტესორი - ლიცეუმების შექმნა საზღვარგარეთ.

5. ახალი მონტესორი-მასალების შექმნა მონტესორის სტილში.

6. ახალი გარდაქმნები კლასიკური მონტესორი-მასალების გამოსაყენებლად.

თანამედროვე მსოფლიოში მონტესორი ბაღებისა და სკოლების მოძრაობა არაერთგვაროვანია. ერთ პოლუსზე არიან მისი პედაგოგები, რომლებიც აღიარებენ

მხოლოდ მონტესორი სისტემის კლასიკურ ვარიანტს და უარს ამბობენ მის ნებისმიერ ცვლილებაზე. მეორე მხრივ, პედაგოგები, რომელთათვის მონტესორის იდეები არ წარმოადგენს დოგმას, მაგრამ ქმედებების დაგეგმვა საკუთარი იდეების რეალიზაციას არ გამორიცხავს. რასაკვირველია, ამ ორ პოლუსს შორის არსებობს შეხედულებების მთელი სპექტრი. მომხრეებს შორის ათეულობით წლების განმავლობაში მიმდინარეობს მძაფრი პოლემიკა მონტესორი - ბაღებისა და სკოლების მუშაობის თეორიულ და პრაქტიკულ საკითხებზე. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, არსებობს მრავალი საზოგადოებრივი ორგანიზაცია, რომლებიც პროპაგანდას უწევენ მონტესორის იდეებს.

ყველაზე გავლენიანი, მონტესორი-პედაგოგიკის კლასიკური მიმართულების პროპაგანდისტი და მიმდევარი არის მონტესორი საერთაშორისო ორგანიზაცია. მისი ხელმძღვანელობა აღიარებს, რომ მონტესორი სისტემაში არის ყველაფერი აუცილებელი ბავშვის განვითარებისათვის და არ სჭირდება არავითარი დამატება და შესწორება. ეს ორგანიზაცია ატარებს გრძელვადიან კურსებს მონტესორი-პედაგოგების მოსამზადებლად. ის ახორციელებს მონტესორი - საბავშვო ბაღების და სკოლების საექსპერტო შეფასებას. ზოგიერთი მათგანი ფლობს დოკუმენტს, რომ დაფუძნებული და აღიარებულია მონტესორი საერთაშორისო ასოციაციის მიერ. მისი მოთხოვნილების დაკმაყოფილება არ არის მარტივი. რადგანაც ის ითხოვს აუცილებლად მონტესორი საერთაშორისო ორგანიზაციის დიპლომს ყველა პედაგოგისათვის, სასწავლო დაწესებულების ფუნქციონირებისას ხანგრძლივობას, მასალის და მუშაობის მეთოდების ზუსტ თანხვედრას სტანდარტთან და ა. შ. ოპონენტებს შორის ის ითვლება ყველაზე მნიშვნელოვან ორგანიზაციად მონტესორი - მოძრაობაში, რომელიც არ ითვალისწინებს კარდინალურ ცვლილებებს თანამედროვე მოთხოვნებთან მიმართებაში.

მოვიყვანოთ რამდენიმე მაგალითი მონტესორი-საბავშვო ბაღებისა და სკოლების გავრცელების თვალსაზრისით. მე-18 საერთაშორისო მონტესორი-კონგრესის მონაწილეების განცხადების მიხედვით, რომელიც 1977 წ. მონტესორი საერთაშორისო ორგანიზაციის ეგიდით გაიმართა, ამ დროისათვის ფილიპინებზე იყო 15 მონტესორი-საბავშვო ბაღი და 4 მონტესორი - სკოლა; იაპონიაში - 30-მდე მონტესორი საბავშვო ბაღი და

რამდენიმე ბაღი, რომელიც კომბინირებული იყო სხვა მეთოდებთან; ამერიკაში 4000-მდე მსა-ის კურსდამთავრებული მუშაობს 1000-ზე მეტ მონტესორი-სასწავლო დაწესებულებებში. ინდოეთში არსებობს მონტესორი-მასალის საწარმო, რომელთა ხარისხი აღიარებულია მონტესორი საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ. 1940 წლის ბოლოს მონტესორი-სკოლამდელი დაწესებულებები შეიქმნა პაკისტანში, შრი-ლანკაში, მალაიზიასა და სინგაპურში. მ. დუაიერი იძლევა ცნობებს მონტესორი-სკოლამდელი დაწესებულებების გახსნაზე აფრიკის ქვეყნებში - ტანზანიაში, კენიასა და ეთიოპიაში. მიუნხენში არსებობს მსა-იის კურსები. მისი კურსდამთავრებულები მუშაობენ საბავშვო ბაღებსა და სკოლებში მიუნხენსა და მის შემოგარენში. აგრეთვე ერფურტში, პრაღაში, ზაგრებში, ტოკიოსა და ჰაიდარაბადში. აგრეთვე ბულგარეთის, პოლონეთის, შვეიცარიის, ახალი ზელანდიის და ეკვადორის ქალაქებში.

პირველი მონტესორი-სკოლები, მათ შორის ექვსწლიანი, დაარსდა 1919 წ. ამსტერდამსა და ჰააგაში (ნიდერლანდებში), 1924 წ. - იენაში (გერმანია). 1980 წ. გფრ არსებობდა 100-მდე მონტესორი-საბავშვო ბაღი და 30-მდე მონტესორი-სკოლა. ძირითადად დაწყებითი. ამავე დროს ნიდერლანდებში არსებობდა 120-მდე მონტესორი-სკოლა.

ამასთანავე, მონტესორი საერთაშორისო ასოციაცია, როგორც სხვა ორგანიზაციები და დაწესებულებები, ეწეოდნენ არა მარტო მონტესორი-იდეების გავრცელებას, არამედ განვითარებასაც. ასე მაგალითად, მონტესორიმ გამოთქვა მოსაზრება გამოეყენებინათ მისი მეთოდები ბავშვების აღზრდაში 3 წლამდე. ამან მოიპოვა მნიშვნელოვანი გავრცელება. დღევანდელ დღეს მონტესორი საერთაშორისო ასოციაციის ეგიდით არსებობს ადრეულ ასაკში ბავშვთა აღზრდის კურსები მონტესორის მიხედვით. ყველაზე ცნობილი წარმომადგენელი ამ მიმართულებით არის ექიმი კვარტოჩი მონტანარო. ის არის პროფესორი. მუშაობს მომავალი მშობლების მომზადების სკოლაში, რომელიც არსებობს კრისტო რე-ს ჰოსპიტალში და მდებარეობს რომში. იგი ამავე დროს ხელმძღვანელობს მონტესორი საერთაშორისო ასოციაციის კურსებს რომსა და დენფერში. ერთ-ერთ თავის

სტატიაში ის აძლევს მშობლებს რეკომენდაციებს განმავითარებელი გარემოს ორგანიზებასა და ბავშვის განვითარებაში დაბადებიდან 2,5 წლამდე.

უკვე აღინიშნა, რომ ყველა საგანმანათლებლო დაწესებულება არ მუშაობს მონტესორი კლასიკურ სტილში. ზოგიერთს დამატებული აქვთ მონტესორი სისტემაზე სხვა სახის საქმიანობები. ასე მაგალითად, მიუნხენში ერთ საბავშვო ბაღში დღის I ნაწილი ეთმობოდა „თავისუფალ მუშაობას" მონტესორის მიხედვით. II ნახევარი ეძღვნებოდა მუსიკალურ მეცადინეობებს, სახვით ხელოვნებას, თეატრალურ ინსცენირებას, დღესასწაულების მომზადებას და ა. შ. ასეთი გამოცდილება გავრცელებულია რუსეთშიც. გერმანიასა და რუსეთში არის მაგალითები, რომ „მონტესორი განმავითარებელ გარემოს" დამატებული აქვს სხვა სახის განმავითარებელი მასალები, მათ შორის სათამაშოები.

მიგვაჩნია, რომ ზემოთ აღნიშნული, უპირველესად დაკავშირებულია მონტესორი-მასალების ნაკლებობასთან, რომლებიც მთელს მსოფლიოში ძალიან ძვირია. მეორე მიზეზი არის მასწავლებლების მიერ მიზნებისა და მონტესორი-მასალების კონსტრუქციების თავისებურებების გათავისება. რა თქმა უნდა, თუ მონტესორი-მასალები შეცდომების კონტროლის საშუალებას იძლევა, ასევე ბევრი თანამედროვე მოზაიკა, პაზლები და სხვა სამაგიდო თამაშებიც იძლევა ასეთ საშუალებას. თვალის და ხელის მოტორიკის და კოორდინაციის განვითარება ხდება არა მარტო მონტესორი-მასალით საქმიანობისას, არამედ ხატვის, გაფერადების, კონსტრუირების და ა. შ. დროს. მესამე მიზეზი არის შემოქმდებითი ინიციატივის გამოვლენის სურვილი და ძალიან მშრალი გარემოს გარდაქმნის, მაშასადამე, თამაშის მნიშვნელობა ბავშვის განვითარებაში ძალიან დაფასებულია მთელ მსოფლიოში და კარგად გასაგებია მშობლიურ პედაგოგიურ პრაქტიკაში.

რაც შეეხება მონტესორი-გიმნაზიებს და მონტესორი-ლიცეუმებს, უნდა აღინიშნოს, რომ, ერთი მხრივ, თითოეულ სასწავლო დაწესებულებაში გარკვეული ხარისხით ვითარდება მონტესორის იდეები და იქმნება ახალი დიდაქტიკური მასალები, მეორე მხრივ, არც ერთ მათგანში სრულყოფილად არ ვითარდება ეს იდეები. რა თქმა უნდა, მონტესორი-ლიცეუმები, სადაც ბავშვები ცხოვრობენ მშობლებისაგან შორს, თვითონვე

უზრუნველყოფენ თავიანთ ცხოვრებას და ამავდროულად იღებენ კარგ განათლებას, არ არსებობს. სამაგიეროდ არსებობს, მონტესორი იდეების რეალიზაციის მაგალითები ევროპის რეფორმატორულ-პედაგოგიკური ცნობარის და ალტერნატიული სკოლების მიხედვით, 1980 წ. ნიდერლანდებში არსებობდა მეორე საფეხურის (12-18წ.წ.) 8 მონტესორი-სკოლა.

ვფიქრობთ, ძალიან საინტერესოა ა. შმიდტის გამოცდილება ფრანკფურტში. ეს ოფიციალურად აღიარებული თავისუფალი სკოლაა, სადაც სწავლა იწყება მონტესორი-საბავშვო ბაღიდან და გრძელდება უნივერსიტეტის მერხამდე. ის დაარსდა 1986 წელს. მასწავლებელ ანა შმიდტის მიერ, როგორც გოგონათა კერძო, უმაღლესი სკოლა. შმიდტის ლიცეუმი, რომელშიც თავიდან მხოლოდ 4 პედაგოგი მუშაობდა, ცოტა ხანში გადაიქცა ფრანკფურტის კულტურული ცხოვრების უმნიშვნელოვანეს ნაწილად. 1930 წელს სკოლა დახურვის პირას იდგა. რადგან მასში ბევრი ებრაელი სწავლობდა. 1944 წელს ფრანკფურტის ძველი ნაწილი დაიწვა და სკოლის ორივე შენობა დაიბომბა. 1948 წელს დაიწყო სკოლის აღორძინება. ახალგაზრდა დირექტორმა ექიმმა პაულ შმიდტმა ხელახლა ააშენა სკოლა და გააფართოვა მისი ტერიტორია, ამასთანავე უზრუნველყო სასკოლო ცენტრის ფორმირება თანამედროვე პედაგოგიკურ საქმიანობასთან კავშირში. დღევანდელ დღეს სკოლას ხელმძღვანელობს მრჩეველთა საბჭო, რომელიც 4 წევრისგან შედგება. წესდების შესაბამისად, სკოლის დირექტორი კავშირის წევრია. ადმინისტრაცია შედგება არჩეული წევრების მიერ, რომელთა რაოდენობაც არის 7. ორივე ორგანო არჩევითია და აქტიურად მოქმედებენ.

მეორე საინტერესო მაგალითია მონტესორი-ლიცეუმი უტრეხტში (29, გვ. 63). ლიცეუმში მოსწავლეები დაყოფილი არიან არა კლასების მიხედვით, არამედ ჰეტეროგენურად ასაკის მიხედვით. გამოიყოფა 4 ტიპი: „ახალბედები" (შედგებიან ხელახლა მოწყობილებისგან), „პიონერები", „კანდიდატები" და დამამთავრებელი ჯგუფი. პედაგოგიური კოლექტივი შედგება ჯგუფების ხელმძღვანელებისა და საგნის მასწავლებლებისაგან. ჯგუფის ხელმძღვანელები „თავისუფალი მუშაობის" (1,5 საათიდან მთელი დღე) პროცესში ეხმარებიან მოსწავლეებს ინდივიდუალურ მუშაობაში, აძლევენ

რჩევებს, პასუხობენ შეკითხვებზე. საგნის მასწავლებლები - მათემატიკის, მშობლიური ენის და ა. შ. გაკვეთილებზე 30 წუთის განმავლობაში ეწევიან მასალის მიმოხილვას, რომელიც მოსწავლემ უნდა ისწავლოს დამოუკიდებლად, მოახდინოს დასკვნის გამოტანა და ნამუშევარი მასალის განზოგადება. ლიცეუმის მოსწავლეებს აქვთ სასწავლო საგნების ამორჩევის უფლება. მათ შეუძლიათ წინასწარ შეადგინონ გეგმა, რომელ წელს რომელ კურსს შეისწავლიან. უფრო მაღალ საფეხურზე გადასასვლელად აუცილებელია მასალის განსაზღვრული რაოდენობის ცოდნა. სასწავლო მასალის დიდი უმრავლესობა არის ენციკლოპედიები, სპეციალური ლიტერატურა და სამუშაო რვეულები, ასევე ლაბორატორიები პრაქტიკული მეცადინეობებისათვის.

მონტესორის მეთოდის და მასალის გამოყენება მოხდა შემდეგ ახალ კონცეფციებში:

1. ცენტრალური მეთოდი და მონტესორი ძირითადი ცნებები (ასევე მთელი რიგი პედაგოგ-რეფორმატორები XIX საუკუნის დასასრულსა და XX საუკუნის I ნახევარში) გახდა „ღია განათლების" საფუძველი (აშშ, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი 1970-1980 წწ).

2. მონტესორის სისტემის მთელი რიგი ცნებები გამოყენებულია კონცეფციაში ამერიკის სკოლამდელების ეროვნული განათლების ასოციაციის ბავშვის განვითარების დონის შესაფერისი „პრაქტიკა” (აშშ. 1980 წ.).

3. „თავისუფალი მუშაობის" იდეა და მონტესორის ზოგიერთი მასალა გამოყენებულ იქნა გერმანულ პროგრამაში. მაგალითისთვის სკოლამდელი აღზრდის ძირითადი მიმართულებები (ჰამბურგი, 1970 წ.) და „სოციალური მიდგომა" (მიუნჰენი - 1970-1980 წწ.) „ღია განათლება - არის პედაგოგიური მიმართულება, რომელიც შეიქმნა დასავლეთის ქვეყნებში 1970-იან წლებში. აი, როგორ აღწერს მის ძირითად იდეებს ჯ. მორისონი: „ღია განათლება" ეხმარება გაუწიოს ზემოქმედება ბავშვს დამოუკიდებელ სწავლაში. ბავშვს აქვს უფლება ამოირჩიოს ის, რისი სწავლაც უნდა და როგორ. ბავშვებს ეძლევათ თავისუფლება შემოსაზღვრული გარემომცველი გარემოს ჩარჩოებში. თავისუფლება არ ნიშნავს ყველაფრის უფლებას: ბევრი სკოლა აქცენტს აკეთებს კითხვის, წერის, მათემატიკის სწავლაზე. ამიტომ, ბავშვებს არა აქვთ უფლება, აბუჩად აიგდონ ეს საქმიანობები. ამასთანავე, ბავშვები თავისუფლად გადაადგილდებიან შენობაში, მუშაობენ მასალებით,

საუბრობენ და მონაწილეობენ სხვადასხვა საგანმანათლებლო საქმიანობაში. სწავლების ცენტრში ბავშვია, გათვალისწინებულია მისი ინტერესები, შესაძლებლობები, მიდრეკილებები” (30, გვ.65).

„ღია განათლებაში" გამოიყენება „ინტეგრირებული სასწავლო კურსი", რომელშიც არ არსებობს გაკვეთილებად დაყოფა და არ ითვალისწინებს ცალკეული საგნის ფრონტალურ სწავლებას. რა თქმა უნდა, ძირითადი საგნები - კითხვა, მშობლიური ენა და მათემატიკა - სტრუქტურირებულია. მაგრამ სტრუქტურირების სახე, უფრო მეტად, დამოკიდებულია სკოლის კონცეფციასა და მასწავლებლის არჩევანზე. ეს საგნები ისწავლება დღის პირველ ნახევარში, მეორე ნახევარი განკუთვნილია ინდივიდუალური და მცირე ჯგუფების ინტერესებით გათვალისწინებული სამუშაოსათვის.

ტერმინი „ინტეგრაცია" „ღია გაკვეთილებში" იძენს სხვა შინაარსს. აი, როგორ ახასიათებენ მას მ. ბრაუნი და ნ. პრეშესი.

- ბავშვებისა და გარემოს ინტეგრაცია, ბავშვები თავისუფლები არიან იმ ზღვრამდე, სანამ სურთ წასვლა.

- არასასკოლო გარემოს ინტეგრაცია სკოლასთან.

- ბავშვების ინტეგრაცია შესასწავლ საგნებთან.

- ბავშვების სოციალური ინტეგრაცია, რათა შეიქმნას შერეული საზოგადოება.

- სკოლების ინტეგრაცია, რათა შეიქმნას ურთიერთქმედება სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფებთან. ბრიტანულ სკოლებში უფრო მეტად გავრცელებულია სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფები.

- ბავშვების სასკოლო და ოჯახური ცხოვრების ინტეგრაცია.

იცვლება მასწავლებლის როლიც ტრადიციული სკოლისაგან განსხვავებით. მასწავლებელმა პატივი უნდა სცეს მოსწავლეს და უნდა სჯეროდეს, რომ მათ შეუძლიათ პასუხიმგებლობით მოეკიდონ სწავლას. ის ყურადღებით უნდა აკვირდებოდეს ბავშვებს, თავსმოუხვევლად უნდა აძლევდეს მიმართულებას და დახმარებას ყველა სასწავლო მიმართულებით. „ღია გაკვეთილების" კიდევ ერთი ასპექტი - ღიაობა სკოლის გარშემო სამყაროს და ადამიანებისადმი. ეს ნიშნავს იმას, რომ ბავშვები ხშირად დადიან

ექსკურსიებზე პარკში, ტყეში, სხვადასხვა დაწესებულებებში და სხვა მნახველთათვისაც სკოლა ღიაა.

ზემოთ ჩამოთვლილი მიდგომები გვაგონებს მონტესორი სისტემას. აღსანიშნავია, რომ მსგავსი იდეები გამოთქვეს ასევე რეფორმატორული პედაგოგიკის ბევრმა წარმომადგენელმა. მაგ. ო. დეკროლი, ე. კეი, ა. ნილი, ს. ფრენე. ფართოდ არის ცნობილი დალტონ-გეგმა.

ჯ. მორისონი ვარაუდობს, რომ „ღია განათლების" ფესვები ემყარება პესტალოცის, ფრებელის და დიუის იდეებს. მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი გავლენა მასზე მოახდინა მონტესორიმ. აი, რას წერს ის ამაზე: „მონტესორი, ჩემი აზრით, იყო „ღია განათლების" პირველი თანამედროვე წარმომადგენელი იმიტომ, რომ მისი თავისუფლების სისტემა „მომზადებულ გარემოში" უფლებას აძლევს ბავშვებს, დატკბენ თავისუფლებით, ივარჯიშონ გადაწყვეტილების მიღების პროცესში. იგი ხელმძღვანელობდა აგრეთვე ინდივიდუალური ინსტრუქტაჟით და სწავლით მოსწავლისათვის მისაღები ტემპით. ამასთან, ყველაზე მთავარი - მონტესორი მოითხოვდა ყველა ბავშვის პატივისცემას, ყოველთვის საჭიროს „ღია განათლებაში" (29, გვ. 66).

როგორც მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, ისე **რუსეთშიც** მონტესორი-მოძრაობამ გაიარა 3 ეტაპი: პირველი ეტაპი (1910-1930 წწ) ხასიათდება მონტესორის იდეებისადმი ინტერესით და სკოლამდელ აღზრდაში რეალიზების მცდელობით. გაჩნდა პირველი კურსები პედაგოგებისათვის, რადგან სისტემური მონტესორი-განათლების მიღება საზღვარგარეთ ვერავინ შეძლო. ამ ეტაპზე მონტესორის კონცეფციამ ფართო გავრცელება ვერ ჰპოვა. საზოგადოებაში ანტიდემოკრატიული ტენდენციების გაძლიერებამ ამ მიმართულებით ფაქტობრივი აკრძალვა გამოიწვია. მხოლოდ თითო-ოროლა ადამიანი ცდილობდა მის განვითარებას, მათ შორის იყო იულია ფაუსეკი, რომელმაც ადაპტირება მოახდინა და გადაამუშავა მონტესორის ენობრივი მასალა.

მეორე ეტაპს (1940-1980 წწ.) რუსეთში შეიძლება დაერქვას მონტესორი-მოძრაობის ლატენური პერიოდი. დიდი იტალიელი პედაგოგის იდეები პედაგოგიკურ წრეებში

დროებით დავიწყებული იქნა, იხსენებდნენ მხოლოდ ნეგატიურ კონტექსტში. თუმცა ზოგიერთმა იდეამ ჰპოვა გამოყენება და განვითარება.

1980-იანი წლების ბოლოს და 1990 წლის დასაწყისში მონტესორი-მოძრაობაში აღინიშნება მესამე ეტაპი - აღორძინების პერიოდი. ამას ხელი შეუწყო შეცვლილმა პოლიტიკურმა სიტუაციამ, საზღვარგარეთ კოლეგებთან პირდაპირი კავშირების შესაძლებლობამ, რუსი სპეციალისტების მიერ საზღვარგარეთ მიღებულმა პროფესიულმა მომზადებამ და მონტესორი-პედაგოგიკის კურსების შეტანამ უმაღლეს სასწავლებლებსა და კოლეჯებში. 1990 წლიდან დაიწყო მონტესორის მემკვიდრეობის გათავისება, პირველი სამეცნიერო კვლევების და სერიოზული სასწავლო სახელმძღვანელოების შექმნა.

XX ს-ის პირველ ნახევარში რუსეთში მონტესორის იდეებით დაინტერესებულები იყვნენ მ. ვ. ბოგუსლავსკი, ი. ი. დიაჩენკო, მ. ნ. იაკიმოვა. პირველად მონტესორის შესახებ რუსეთში 1910-იან წლებში პრესაში ინფორმაცია გაჩნდა. პირველი საბავშვო ბაღი, რომელშიც ამ იდეების რეალიზება მოხდა, შეიქმნა 1910 წ. სანკტ-პეტერბურგში იულია ფაუსეკის მიერ კომერციულ სასწავლებელში. ის მონტესორი სისტემას ჯერ წიგნებიდან გაეცნო, შემდგომ ამავე მიზნით სასწავლებლის დირექტორის მხარდაჭერით 1914 წელს ჯგუფთან ერთად რომში ინტერნაციონალური კურსები მოინახულა. 1913 წლიდან 1930 წლამდე ი. ფაუსეკი, სოლიდური ასაკის და მძიმე სოციალური პირობების მიუხედავად, მუშაობდა მის მიერ მონტესორის სისტემაზე დაარსებულ საბავშვო ბაღებში. გარდაცვალებამდე (1942) ალყაშემორტყმულ ლენინგრადში პროპაგანდას უწევდა მონტესორის სისტემას. სიკვდილამდე ი. ფაუსეკი ემსახურებოდა დიდი იტალიელი პედაგოგის იდეების პროპაგანდას და განვითარებას. რევოლუციამდე და რევოლუციის შემდგომ რუსეთში შეიქმნა რამდენიმე მონტესორი - საბავშვო დაწესებულება. მათ შორის იყო იასნა პოლიანაში, რომელსაც ხელმძღვანელობდა ლევ ტოლსტოის ქალიშვილი ტატიანა სუხომლინა ტოლსტაია. ქალთა პედინსტიტუტში (ახლანდელი გერცენის სახელობის რუსეთის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტი), სკოლამდელი განათლების ინსტიტუტში, რომელიც დაარსდა ყოფილი ფრებელის კურსებზე. იულია ფაუსეკი კითხულობდა ცალკე ლექციებსაც მ. მონტესორის შესახებ.

გარკვეული პერიოდი მონტესორის კონცეფცია რუსეთში მივიწყებული იყო. მხოლოდ 1960-1980 წლებში შესაძლებელი გახდა მისი ზოგიერთი იდეის და მასალის გამოყენება. ყველაზე პოპულარული გახდა სენსორული აღზრდა მონტესორის მიხედვით, რომელმაც 1960-70 წლებში სათავე დაუდო დღეს ფართოდ ცნობილ სისტემას- სენსორული აღზრდა შემუშავებული ვეგნერის და მისი სკოლის მიერ.

1980-90-იან წლებში მოხდა ქვეყანაში სოციალური ცხოვრების დემოკრატიზაცია, რომელმაც განათლებაზეც იქონია გავლენა. გზა გაუხსნა სხვადასხვა პედაგოგიკურ მიდგომებს, მიმართულებებს, ინოვაციებს.

1991 წლის ზაფხულში პედაგოგის და ჟურნალისტის ე. ხილტუნენის მიერ ჰოლანდიელი კოლეგების მხარდაჭერით კრემლში ჩატარდა ახალი სკოლების საერთაშორისო ფესტივალი, რომელზედაც მოწვეულები იყვნენ მასწავლებელი-ნოვატორები მაშინდელი საბჭოთა კავშირიდან. გადაღებულ იქნა ფილმი, რომელიც აჩვენეს რუსეთის ტელევიზიით. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა ფესტივალისა იყო მონტესორი სისტემის პრეზენტაცია ორი ჰოლანდიელი პედაგოგის - ე. ვან სანტენის და ლ. როოდის მიერ. ამ პერიოდში ხილტუნენმა „მასწავლებლის გაზეთში" გამოაქვეყნა მთელი რიგი სტატიები მონტესორის სისტემაზე. მათ თითქოს ახალი სული შთაბერეს მონტესორის ხელახალ დაბრუნებას რუსეთში.

მოგვიანებით გამოვიდა და დღესაც გამოდის საინტერესო ჟურნალი „Обруч", რომელშიც პერიოდულად ჩნდება ინოვაციები მონტესორი სისტემის, რუსეთში და უცხოეთში მონტესორი-მოძრაობის შესახებ. სტატიები მონტესორის თეორიისა და პრაქტიკული საკითხების შესახებ ქვეყნდება სპეციალურ ჟურნალებში, „სკოლამდელი აღზრდა", „ბავშვი საბავშვო ბაღში" და სხვა.

1992 წელს დ. სოროკოვის, მ. სოროკოვას, კ. სუმნიტელნის და ს. სუმნიტელნას ინიციატივით მოსკოვში შეიქმნა მონტესორი-ცენტრი, რომელიც ეწევა მრავალფეროვან მუშაობას. მისი მთავარი მიზანია რუსეთში მონტესორი პედაგოგიკის ადაპტაცია, გავრცელება და განვითარება. მთავარი ამოცანაა შეიქმნას ორწლიანი დასწრებულ-

დაუსწრებელი მონტესორი-კურსები, რომელზეც მასწავლებლები შეძლებენ მონტესორი სისტემის შესახებ სრულფასოვანი განათლების მიღებას.

ამ ფართომასშტაბიანი საქმიანობის ყველაზე მნიშვნელოვანი შედეგი იყო მრავალი მონტესორი-საბავშვო ბაღის გაჩენა, შეიქმნა მთელი რიგი სამეცნიერო კვლევები, რომლებიც ეხება მონტესორის სისტემის ცალკეულ ასპექტებს. მაგრამ ისინი უფრო ხშირად ატარებენ თეორიულ ხასიათს.

ქართული პედაგოგიკური საზოგადოებისათვის მარია მონტესორის სახელი ცნობილი გახდა, როცა ჟურნალმა „განათლებამ“ 1912 წლის მე-6 ნომერში გამოაქვეყნა საინტერესო წერილი ნ. ბ.-ძის ხელმოწერით. წერილში გადმოცემული იყო მონტესორის წიგნის შინაარსი კომენტარებით და დიდაქტიკური მასალის ფოტოთი. ამ პერიოდში ყალიბდებოდა საქართველოში ფრებელი კავკასიის საზოგადოება და ფრებელი ქალთა უმაღლესი კურსები.

1916 წელს ჟურნალ „განათლების” მე-3 ნომერში გამოქვეყნდა ნ. სირბილაძის სტატია, რომელიც აკრიტიკებს მარია მონტესორის და მის პედაგოგიკურ სისტემას და აღნიშნავს, რომ …სიცრუე იქნება ითქვას, რომ „...მონტესორიმ მართლაც შექმნა რაიმე ახალი სისტემა, მართლა ჩაუყარა საფუძველი ახალ იდეას და ახალ მიმართულებას პედაგოგიკაში.ამგვარ პიროვნებად არ შეიძლება ჩაითვალოს მონტესორი, რადგან მთელი მისი სისტემა ეგრე რომ ვთქვათ, რესტავრაცია არის ძველი სისტემებისა და მეთოდებისა, რომელნიც კარგად დაყენებულ სკოლაში დიდი ხანია რაც შემოღებული არიან”(10, გვ.197).

მონტესორის იდეებით დაინტერესებას საქართველოში ხელი შეუწყო ცნობილმა სკოლამდელი აღზრდის მუშაკმა თ. ერისთავმა. ჯერ კიდევ რევოლუციამდე, 1921 წელს მისი და რ. ნიკოლაძე - პოლიექტოვას ინიციატივით საქართველოში მოწვეულ იქნა მ. მონტესორის სისტემის ცნობილი სპეციალისტი ლოლა კონდულმარი. მან სპეციალურ კურსებზე წაიკითხა ლექციები და იტალიიდან ჩამოტანილი მ.მონტესორის „დიდაქტიკური მასალებით” ჩაატარა პრაქტიკული სამუშაოები. მ.მონტესორის სისტემის მიმართ ინტერესი შემდგომშიც დიდი იყო. იგი სოციალისტური სამყაროს სკოლამდელი აღზრდის სპეციალისტებისათვის შესწავლისა და ანალიზის ობიექტი გახდა.

განსაკუთრებული დაინტერესება გამოიწვია მონტესორის სენსორულმა განვითარებამ. მონტესორის მემკვიდრეობით განსაკუთრებით დაინტერესდნენ ქართული ფსიქოლოგიური სკოლის წარმომადგენლები. უნდა გამოვყოთ პროფესორ ბ. ხაჭაპურიძის გამოკვლევა „დიდაქტიკური მასალები და თამაშობანი სკოლამდელი აღზრდის ამოცანებთან დაკავშირებით” (1939წ.). ამ ნაშრომში სპეციალური თავი მიეძღვნა მ. მონტესორის პედაგოგიკურ მემკვიდრეობას. მონტესორი ავტორის მიერ შეფასებული და გაკრიტიკებულია მარქსისტული ფსიქოლოგიის პოზიციებიდან. პროფ. ბ. ხაჭაპურიძე წერს: „მონტესორის მასალა იმიტომ კი არ არაა ხელოვნური, რომ საგანგებოდ მზადდება განსაზღვრულ მოთხოვნილებათა მიხედვით, არამედ იმიტომ არის ხელოვნური, რომ ბავშვს ისეთივე ამოცანის წინაშე აყენებს, როგორშიც იგი ჩვეულებრივ სიტუაციაში ორიენტაციის დროს დგება” (12, გვ.56).

მეოცე საუკუნის ოციან წლებს ეკუთვნის დიმიტრი უზნაძის შეხედულებები სხვადასხვა სახელმძღვანელოს შესახებ. არქივში დაცულია მისი რეცენზიების ხელნაწერები. მათ შორის საინტერესოა უზნაძის შეხედულებები არითმეტიკის სახელმძღვანელოზე, რომელიც განსახილველად წარმოდგენილი იყო სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე 1923 წლის 22 თებერვალს. წიგნის სახელწოდებაა „მათემატიკა პაწიებისთვის,” რომელიც შეადგინა ცნობილმა პედაგოგმა და სახალხო განათლების მოღვაწემ პროფესორმა რუსუდან ნიკოლაძემ. მან უმაღლესი საუნივერსიტეტო განათლება რუსეთში მიიღო. რუსუდანმა 1913 წელს ბრწყინვალედ ჩააბარა სახელმწიფო გამოცდები, მიიღო დიპლომი და უფლება, ეტარებინა მამაკაცებისათვის განკუთვნილი საუნივერსიტეტო სამკერდე ნიშანი. რუსუდან ნიკოლაძე, სანამ საქართველოში ჩამოვიდოდა, დადიოდა პეტროგრადის სკოლამდელი აღზრდის კურსებზე, რომლის მიზანი იყო, რომ იტალიაში პირველად შემოღებული მონტესორის სწავლების ახალი სისტემა დანერგილიყო რუსეთის საბავშვო ბაღებში. რ. ნიკოლაძე აღნიშნავდა, რომ საქართველოში დაბრუნებულს უწევდა ლექცია - მოხსენებების წაკითხვა მონტესორის სისტემის შესახებ. მას ბევრი მიმდევარი და მომხრე გამოუჩნდა და დაევალაფართოდ გაეშალა მუშაობა სოფლად მონტესორის მეთოდის დასანერგად დაწყებით სკოლებში. მისი

წიგნი „მათემატიკა პაწიებისთვის” მთლიანად ეყრდნობა მონტესორის სისტემას. იგი ეხება ორ საკითხს: ერთი არის ფორმების გაცნობა და მეორე - თვლა-ანგარიშის სწავლება. დიმიტრი უზნაძე შემდეგნაირად ახასიათებს მონტესორის სისტემას: „მონტესორის სისტემის ერთ-ერთ ნიშანდობლივი თავისებურება (წინამდებარე საკითხში), როგორც ცნობილია, მისი კონცეფცია შეადგენს ფორმის ან უკეთ მოყვანილობის პრობლემის ფსიქოლოგიის, რომლის მიხედვითაც, 1. ფორმა, მოყვანილობა უშუალოდ გვეძლევა და 2. ორგანზომილებიანი უფრო ადრე, ვიდრე სამგანზომილებიანი. ფორმის მოყვანილობის პრობლემა ერთ-ერთი აქტუალური პრობლემათაგანია უკანასკნელი ათეული წლების ფსიქოლოგიაში. ვერტმაიერის, კაფკას და მეორე მხრივ, ბიულერის გამოკვლევების შემდეგ მონტესორის აღნიშნული ძირითადი დებულება ფორმის უშუალობის შესახებ თითქმის უდაოდ შეიძლება ჩაითვალოს. ...რა თქმა უნდა, ძნელია იგივე ითქვას მონტესორის შეხედულებათა შესახებ რიცხვთათვის. რაოდენობის ცნების განვითარება ბავშვის ცნობიერებაში ყველაზე უკეთ დღემდე დეკროლისა და დეგანდის გამოკვლევებშია გათვალისწინებული...და უნდა ითქვას, რომ მონტესორის კონცეფციით რიცხვი საგრძნობლად განსხვავდება ამ ავტორთა შეხედულებებისაგან. ყოველ შემთხვევაში მონტესორის ფორმისა და რიცხვის პედაგოგიკა შედარებით უფრო ახლოს დგას ბავშვის ცნობიერების თავისებურებებთან, ვიდრე სხვა ცნობილი ე. წ. ანგარიშის მეთოდიკები. ყოველ შემთხვევაში ის მეთოდიკები ან მეთოდები, რომელთაც ქ. პოლიევქტოვისა უპირისპირებს მონტესორისას, ამიტომ ნიკოლაძე პოლიევქტოვისას წიგნაკი უთუოდ სასარგებლოდ უნდა ჩაითვალოს, რამდენადაც იგი მონტესორის შეხედულებათა სწორ გადმოცემას იძლევა” (3, გვ.121).

დ. უზნაძე თავის რეცენზიაში აკრიტიკებს წიგნის ავტორს, ეს ეხება უპირველესად პრინციპებს ახალი სკოლის შესახებ. ავტორის აზრით, „ახალი სკოლისათვის განსაკუთრებით დამახასიათებლად ის გარემოება უნდა ჩაითვალოს, რომ „სწავლების მთელი დასაყრდენი ღერძი სწავლის ობიექტიდან სუბიექტზე გადმოდის, რაც სრულ გადატრიალებას ახდენს სკოლის საქმეში.” ე.ი. აღზრდა ბავშვის ფსიქოლოგიის მიხედვით უნდა მომდინარეობდეს. მაგრამ თუ ეს ასეა, მაშ როგორ შეიძლება ჩვენი ბავშვისათვის

წინასწარ შეუმოწმებლად მონტესორის არა მარტო პრინციპები, არამედ, ასე ვთქვათ, ასოებიც უებარ პედაგოგიურ მალამოდ ჩაითვალოს. ავტორი ისეთის გატაცებით მოგვითხრობს მონტესორის მათემატიკის შესახებ, რომ შთაბეჭდილება ისეთი რჩება, ერთადერთი გზა ეს ყოფილა და მისი გადახვევა ან შემოწმება დანაშაულია მოზარდი თაობის ბედის წინაშე"((3, გვ.122).

დ. უზნაძეს მიაჩნია, რომ რომელიმე ავტორის მონება სარწმუნოებრივი გამოცხადების მონებას ჰგავს. თვლის, რომ ამ კონკრეტულ სახელმძღვანელოში ბევრი ისეთი რამაა გამოთქმული, რომ, მისი აზრით, შეცდომაა და საეჭვო. მაგალითად, უზნაძის აზრით, საეჭვოა ბავშვის აზროვნების "ტრანსტრუქტიულობა" და ელემენტებიდან მთლიანობის გზით მოძრაობა. მისი აზრით, ბავშვის ცნობიერება სულ სხვა გზით მიემართება. ეს იქედან ჩანს, რომ ფორმაა უშუალო და პირველადი და არა ელემენტები.

უნდა გამოვყოთ ნ. სამხარაძის წიგნი „სკოლამდელთა სენსორული აღზრდა და მისი ორგანიზაცია", სადაც სენსორული აღზრდის პრობლემის მონტესორისეული გაგების კრიტიკასთან ერთად, მისი მეთოდის დადებითი შეფასებაცაა მოცემული.

საქართველოში 2012 წელს დაარსდა მონტესორის უნიკალურ პედაგოგიურ მეთოდზე დაფუძნებული პირველი საბავშვო აკადემია "Kinderville"და ბავშვის განვითარების ცენტრი „მზესუმზირა." ამ საბავშვო დაწესებულებებში შექმნილია სპეციალური განმავითარებელი გარემო, რომელშიც ბავშვი ვითარდება უფროსების ძალდატანების და ჩარევის გარეშე. აქ ბავშვებს ეძლევათ საშუალება, იმოქმედონ თავიანთი სურვილებისა და მოთხოვნების შესაბამისად. მ. მონტესორის სიტყვები - „დამეხმარე, რომ ეს თვითონ გავაკეთო" არის მთავარი პრინციპი, რომლითაც ხელმძღვანელობენ.

§ 2. მ. მონტესორის სისტემა მარქსისტული პედაგოგიკის თვალსაზრისით

მიგვაჩნია, რომ ძალიან საინტერესოა მონტესორის სისტემა დანახული მარქსისტული პედაგოგიკის თვალსაზრისით. მათი ხედვით „თავისუფალი აღზრდა" არ არსებობს,

რადგანაც ყოველ აღზრდას აქვს თავისი გარკვეული მიზანი და მათი განხორციელების მეთოდები. ზედმეტია აგრეთვე ბავშვის „ბუნებრივ თვითგანვითარებაზე" საუბარი. „ბუნებრივი თვითგანვითარება შეუძლებელია. თუ ბავშვს პედაგოგი არ ზრდის, მას ავად თუ კარგად ზრდის ის სოციალური წრე, რომელშიდაც იგი ტრიალებს. მაგრამ ბუნებრივი თვითგანვითარება არც უნდა არსებობდეს. ჩვენ ვერ დავეყრდნობით ბუნების „სიბრძნეს". თანამედროვე ბიოლოგიამ გვიჩვენა, რომ ადამიანის ყველა ინსტინქტი კი არაა სასარგებლო და მიზანშეწონილი. მათ შორის არის აშკარად საზიანო კოლექტივისათვისაც და ინდივიდისათვისაც. ამიტომაც, აუცილებლად საჭიროა განვითარებაში მყოფი ადამიანის ბუნებრივ ალღოთა ხელოვნური პედაგოგიური შერჩევა“ (10, გვ.106-107).

ზოგადად, ნებისმიერი მეცნიერული სისტემა არ არის უსიცოცხლო და უძრავი. ადამიანის პიროვნება დინამიურია და ცვალებადი. მეცნიერულ ცოდნათა ზრდას და განვითარებას საზღვარი არა აქვს. „მონტესორის თვალსაზრისით, მეცნიერული პედაგოგიური სისტემა ერთ-ერთ თავის მიზნად უნდა ისახავდეს ბავშვის ფსიქო-ფიზიკური ენერგიის ეკონომიას, რომლის მარაგი, როგორც ფსიქოპათოლოგია გვასწავლის, ძალიან განსაზღვრულია, მუშაობის პროცესში ილევა და გარკვეულ პირობებს მოითხოვს. მონტესორი ფიქრობს, რომ მეცნიერულმა პედაგოგიურმა სისტემამ უნდა მოსპოს ბიოგენეტიკური ფეტიშიზმის უღელი, მისთვის არაა საჭირო, რომ სკოლის ასაკამდე აღზრდის ბავშვმა ხელოვნურად გაიაროს ველურის საფეხური და ხელოვნურადვე შეჩერებულ იქნას ამ საფეხურზე რამდენიმე ხანს“ (10, გვ.107-108).

გ. ჭანიშვილის აზრით, „მ. მონტესორის პედაგოგიური სისტემა აგებულია სუბიექტურ-იდეალისტური ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის საფუძველზე. ის მეტაფიზიკურად უპირისპირებდა ერთმანეთს სხეულსა და სულს .,როგორც ვიტალისტური ფილოსოფიის მიმდევარი, ადამიანის განვითარებაში აღიარებდა მისტიური „სასიცოცხლო ძალების“ მოქმედებას, აქედან გამომდინარე, იგი ილაშქრებდა ადამიანის ბუნებისა და აღზრდის პროცესის მატერიალისტური გაგების წინააღმდეგ“ (11, გვ.90).

გ. ჭანიშვილს მიაჩნდა, რომ მონტესორის ზოგიერთი მოსაზრება იყო პირდაპირ რეაქციონერული., რადგან ის თვლიდა, რომ „ჩვენ ისევე უსუსურნი ვართ შევქმნათ ადამიანის შინაგანი სამყარო, როგორც მისი გარეგანი ფორმებიო". ყოველივე ამან მონტესორი დააყენა აგნოსტიციზმის პოზიციებზე. ეს მოსაზრება ნათლად მოსჩანს მის სიტყვებში"(11, გვ.90). ვერავინ, ვერც ერთი გამოცდილი ხელმძღვანელი ვერ შეძლებს გაიგოს თითოეული ბავშვის შინაგანი მოთხოვნილებანი. დაადგინოს დრო, რომელიც სჭირდება ბავშვს მისი შინაგანი გაშლისა და განვითარებისთვის.

მარია მონტესორი მომხრე იყო ბავშვთან ინდივიდუალური მუშაობის მეთოდის, რომელიც მისაღები არ იყო მარქსისტული პედაგოგიკისთვის. ისინი თვლიდნენ, რომ ამით მონტესორი მიზნად ისახავდა ინდივიდუალისტის აღზრდას. სწორედ ამ მიდგომით დაუპირისპირდა ის კოლექტივიზმის აღზრდის თეორიას, ანუ „პროლეტარიატის" ინტერესებს. თუმცა იყო ცალკეული მეცადინეობები, მაგალითად მუსიკა, "სიჩუმის" გაკვეთილები, რომელიც კოლექტივის გარეშე არ ტარდებოდა.

მარქსისტული პედაგოგიკა დადებითად აფასებდა მასწავლებლის როლს და განმავითარებელ გარემოს, რომელიც ხელს უწყობდა ინდივიდუალურ აღზრდას. მათ მიაჩნიათ, რომ „ინდივიდუალიზაციის მეცნიერული პრინციპი არ შეიძლება მიღებული არ იყვეს მარქსისტული პედაგოგიკის მიერ. პედაგოგიური წარმოების, როგორც სხვა ყოველი წარმოების, მეცნიერული ორგანიზაცია მოითხოვს, რომ დაწვრილებით შესწავლილი იქნეს იმ მასალის თავისებურებანი, რომელიც დასამუშავებლად შედის ამ წარმოებაში. ჩვენ ვხედავთ, რომ არა თუ ერთი და იმავე კლასის ბავშვებს, არამედ ერთი და იმავე ბავშვებსაც კი ემჩნევათ საკმაოდ თვალსაჩინო ინდივიდუალური თავისებურებანი, პროლეტარულ ბავშვების კლასიკურ თავისებურებათა შესწავლა ერთ-ერთი სასწრაფო ამოცანაა მარქსისტული პედაგოგიკისთვის ამ გარდამავალ ხანაში. მაგრამ, როცა დამყარდება უკლასო, ანუ კლასის გარეშე საზოგადოება, მაშინ ეს სხვაობანი მოისპობა, ხოლო ინდივიდუალური ვარიანტები დარჩება და ყოველთვის მოითხოვენ შესწავლას" (10, გვ.115).

მარქსისტულ პედაგოგიკას აქვს დადებითი მიდგომა მონტესორის დიდაქტიკური მასალისადმი. მათ მიაჩნდათ, რომ „დიდაქტიური მასალა უმუშავებს სკოლამდელი ასაკის ბავშვს სიზუსტეს, მეთოდურობას და სრულყოფას (совершенство) შრომითი პროცესების შესრულებაში. ბავშვი მკვეთრად გამოჰყოფს ცალ-ცალკე აქტებს, შეისწავლის მათ და მეთოდურად ასინთეზებს მათ ერთ მთლიან შრომით პროცესად, რომელსაც აქვს კონკრეტული მიზანდასახულობა. ამას ვერ მისცემს მას ვერც ცხოვრების ჭრელი მორევი, ვერც არაზედმიწევნითი, გამოუზომავი და თვითკონტროლს მოკლებული, ბუნებიდან აღებული მასალა“ (10, გვ119).

მარქსისტული პედაგოგიკა ხელოვნური დიდაქტიური მასალისა და ხელოვნურ ხერხ-საშუალებათა შემოღების მისამართით დადებითად იყო განწყობილი. რადგან მათი აზრით, „რამ აამაღლა ადამიანის შრომა ასეთ თავბრუდამსხმელ სიმაღლემდე, რას უნდა უმადლოდეს კაცობრიობა, რომ იგი ბუნების მეფედ შეიქნა? - ტეხნიკას და ხელოვნურ ხერხ-საშუალებებს. რამ წარმოშვა თანამედროვე სამრეწველო პროლეტარიატი და რამ აქცია იგი ძლიერ და უძლეველ ლაშქრად? - ტეხნიკამ! რამ მიგვიყვანა მარქსიზმის წარმოშობამდე, რამ გადააქცია სოციალიზმი უტოპიიდან მეცნიერებად? -ტეხნიკის არსებობამ. რა შეაძლებინებს მომავალ კომუნიზმს ყველა მშრომელი აზიაროს ნივთიერი და სულიერი კულტურის სიკეთე-მონაპოვარს? - ტეხნიკა! იგი შეიჭრა წარმოების ყველა დარგში, ადამიანი ყველგან იყენებს მას იმ მასალისათვის, რომელსაც დამუშავება ესაჭიროება! ასეთია უკაცობრიობის საზოგადოებაში წარმოების განვითარების კანონშეწონილობა და ვერც პედაგოგიური წარმოება ასცდება ამ ხვედრს. მან უნდა განიცადოს ტეხნიზაცია და განიცდის კიდეც მას მომავალში! მარქსისტული პედაგოგიკა არა თუ არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს ამ ტეხნიზაციას, არამედ უნდა ყოველმხრივ მისცეს მას მხარი“ (10, გვ.120-121).

არსებობდა აზრი, რომ თითქოს მონტესორი მისტიციზმს ზრდიდა ბავშვებში. ”ასეთი აზრი შეიძლება დაებადოს მარტო მას, ვინც სარწმუნოებრივ იდეათა თანდაყოლილობის თვალსაზრისს იზიარებს” (10, გვ.119). ასეთი მოსაზრების მომხრეებს მაგალითად მოჰყავდათ „სიჩუმის” გაკვეთილები. მარქსისტული მიდგომისთვის კი ასეთი შეხედულება

მიუღებელი იყო, რადგან, მათი თვალსაზრისით, ყოველი რეფლექსი წარმოიშვება მარტო მაშინ, თუ სათანადო გამაღიზიანებელნი მოიპოვებიან.

მარქსისტებისთვის მნიშვნელოვანი იყო როგორც ქალაქში, ასევე სოფლად მოსახლეობის გონივრული აღზრდა. მათი აზრით, კომუნიზმს საბოლოოდ რომ გაემარჯვა და განმტკიცებულიყო, საჭირო იყო მასების „ინტელექტუალიზაცია", განსაკუთრებით სოფლად. სწორედ ეს იყო მონტესორის სისტემის მნიშვნელობა.

მარქსისტული პედაგოგიკის მიმდევრები ეთანხმებოდნენ მონტესორის, რომელიც ზღაპრების წინააღმდეგი იყო. „მონტესორის მიხედვით განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, მოვერიდოთ წარმოსახვის გამწვავებას ზღაპრებით, რომელშიაც ანტისოციალური და უაზრო არეულია საშინელ და სასტიკ ელემენტთან. ზღაპარი ძალიან ვნებს სკოლამდელი ასაკის ბავშვს" (10, გვ. 124).

ვ. ტაუბმანის აზრით, მონტესორის სისტემა არაა ინდივიდუალური აღზრდის სისტემა. მონტესორის მასალა მოფიქრებული და განკუთვნილია არა გამოცალკევებული ბავშვისათვის, არამედ ბავშვთა კოლექტივისთვის. მთელი თავისი ღირებულების გამომჟღავნება ამ მასალას მარტო კოლექტივში შეუძლია. იგივე კიდევ უფრო მეტად შეეხება მონტესორის ყველა დანარჩენ სააღმზრდელო მეთოდებს. „მაგრამ უეჭველია ისიც, რომ თუ გვინდა კომუნისტური აღზრდის განხორციელება, საჭიროა კოლექტივიზმის გაბატონება, საჭიროა კოლექტივიზმის მეტი ხაზგასმა, რაც არ არის მონტესორის სისტემაში, როგორც არაა მასში არც საზოგადოებრივ-პოლიტიკური აღზრდა, იმდენად საჭირო ჩვენი საბჭოთა სკოლისათვის. ამავე დროს უეჭვოა, რომ ბავშვი უკვე სკოლამდელი აღზრდის ასაკში არანეიტრალურია კლასიურ კითხვებში და არც უნდა იყოს ნეიტრალური კაცობრიობის არსებობის ამ მთავარ კითხვაში. ამისათვის მარქსისტულმა პედაგოგიკამ უნდა მოაწყოს გამაღიზიანებელთა სისტემა. ამაში უნდა მდგომარეობდეს მისი რევოლუციონური წვლილი, მის მიერ აღზრდის რევოლუციური გარდაქმნა იმ მიზნით, რომ გამოყენებულ იქნას ნორჩ ბავშვობიდანვე წარმოშობილი მექანიზმები. რეალიზმი, კოლექტივიზმი, შრომითი აქტივიზმი და სკოლამდელი ასაკის ბავშვთა ორგანიზაცია, - ყველა ეს თვისება კომუნიზმისათვის საჭირო შინაარსით მარტო იმ შემთხვევაში, თუ

იარსებებს შესაფერისი საზოგადოებრივ-პოლიტიკური აღზრდა და თუ სკოლამდელი ასაკის ბავშვები ჩაბმულ იქნებიან ბავშვთა მოძრაობაში. ამ ნიადაგზე განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა ბავშვთა დაწესებულებებში თვითმართველობის ჩანასახსაც და ბავშვების მიყვანა-მიახლოვებას წარმოებასთან" (10, გვ 127-128.).

მარქსისტული პედაგოგიკის მიმდევრები თვლიდნენ, რომ აუცილებლად უნდა გამოეყენებინათ ყველაფერი ის, რაც მონტესორიმ მოგვცა, იმ მონტესორიმ, რომელიც სამართლიანად ითვლება მარქსისტული პედაგოგიკის რევოლუციურ წინამორბედადო.

„ოცი წელიწადია მას შემდეგ, რაც მონტესორიმ უკუაგდო ე. წ. „ბიოგენეტიური კანონის" უღელი პედაგოგიკაში, მოითხოვა ბავშვის განწყობა რეალობაზე, უკუაგდო წარმოსახვის კულტურა ზღაპრების საშუალებით. ის იბრძოდა სკოლამდელი ასაკის ბავშვთა შრომითი აღზრდისათვის. თავისი ხელოვნური დიდაქტიური მასალით მან მოახდინა პედაგოგიკის ტექნიზაცია, მან მოგვცა ცდა სკოლამდელი ასაკის ბავშვთა შრომითი პროცესების მეცნიერული ორგანიზაციისა. იგი დაბეჯითებით იცავდა გამაღიზიანებელთა ხელოვნურ ორგანიზაციას ბავშვის გარემოცულ შუალში ახალი ადამიანის გამოსაწრთობად. მან დაგვანახა, თუ როგორ შეიძლება ისე მოეწყოს პირადი მცდელობის აღზრდა, რომ არ გაიქელოს კოლექტივიზმი. მან პირველმა შემოიტანა აღზრდის ფაქტორებად შრომა, საზოგადოება და ბუნება. მან გაუკაფა გზა იმ შრომით აქტივიზმსა და დიალექტურ მატერიალიზმს, იმ ორგანიზაციულობასა და იმ შეკავების უნარს, ურომლისოდაც წარმოუდგენელია მომავალი მშენებელი, ორგანიზატორი და კომუნიზმისათვის მებრძოლი.

მონტესორიმ, ამ მორწმუნე ადამიანმა, სრულიად არ შეიტანა თავის აღზრდის სისტემაში მისტიკა. მან თვალსაჩინოდ დაგვანახვა, რომ იმ ხანაში, როცა აწმყომ მომავალი უნდა დაბადოს, როცა „ისტორიის ბებია ქალი - რევოლუცია" უკვე კარიბჭეს მისდგომია, გამოჩენილი ადამიანი არ იმეორებს ისტორიის უკვე განვლილ „მამაო ჩვენო"-ს. იგი ტყვია-წამალს იმზადებს და ხანჯალს ილესავს მომავლისათვის. მონტესორი მარქსისტი არაა და არც მოუცია ის, რის მოცემაც შეუძლია მარქსისტულ პედაგოგიკას სოციალური რევოლუციის ხანაში. მაგრამ იგი წინამორბედია, ამიტომაც, მარქსისტულ პედაგოგიკას

მართებს ყველაფრის გამოყენება, რაც მონტესორიმ მოგვცა, რადგან მარქსისტული პედაგოგიკის მიზანია - ააჩქაროს და გააადვილოს „კაცობრიობის ხტომი აუცილებლობის სამყაროდან თავისუფლების სამყაროში", სადაც „თითოეული თავისუფალი განვითარება აუცილებელი პირობა იქნება ყველა თავისუფალი განვითარებისათვის"(10, გვ. 128-129).

§3. მონტესორის პედაგოგიკური სისტემის შეფასება და მნიშვნელობა თანამედროვე საგანმანათლებლო სისტემისათვის

სპეციალისტებმა გამოყვეს რამდენიმე კრიტიკული ასპექტი მარია მონტესორის სისტემის შეფასებისას:

1. მონტესორის მეთოდიკის კრიტიკოსები თვლიან, რომ მასწავლებელს ამ სისტემაში არა აქვს ისეთი ავტორიტეტი, როგორც ტრადიციულ სკოლებში, სადაც მასწავლებელს უყურებენ, როგორც „ხელმძღვანელს," წინამძღოლს, რომელიც სისტემატურად ახსენებს ბავშვებს, რომ საჭიროა მოსმენა.

2. მონტესორი არ აფასებდა თამაშის როლს განვითარებაში. რადგან თვლიდა, რომ თამაში მოწყვეტილი იყო რეალურ ცხოვრებას და მას ცვლიდა პრაქტიკული ცხოვრების შესწავლით, რომელსაც მიეკუთვნება თვითმომსახურება. თამაში ჰაერივით სჭირდება სკოლამდელი ასაკის ბავშვს და ამიტომ მისი იგნორირება იყო ყველაზე დიდი "დაუდევრობა."

3. მონტესორი არ იყენებდა თავის საქმიანობაში ზღაპრებს. ის თვლიდა, რომ ზღაპარი რეალობიდან წყვეტდა ბავშვს. მაგრამ ეს ხომ ასე არ არის, რადგან, ზღაპრები ხომ უქმნის პირველ წარმოდგენას ბავშვებს ცხოვრებაზე. მათ შორის ადამიანებს შორის ურთიერთდამოკიდებულებაზე, ბოროტისა და კეთილის გარჩევაზე. „ბეტელჰეიმის აზრით, მონტესორი ცდებოდა ჯადოსნურ ზღაპრებთან დაკავშირებით…. ბავშვებმა იციან,

რომ ზღაპრები მოგონილია. ეს თვითონ ზღაპრებშიც არის მითითებული - იყო და არა იყო რა...ბავშვები ინტუიციურად ხვდებიან, რომ ზღაპარი ეხება არა რეალურ მოვლენებს, არამედ ადამიანის შინაგან სამყაროს, მათ სურვილებსა და შიშებს... თვითონ ზღაპრის მოსმენის პროცესი უფრო აქტიურია, ვიდრე მონტესორის ეგონა. ბავშვი, ზღაპრის მოსმენისას, ცდილობს მოსმენილის ინტერპრეტაციას, ავსებს წარმოდგენებით და სცენებით. თუ ზღაპარში იმაზეა საუბარი, რაც ბავშვისთვის მნიშვნელოვანია, მას უნდა მისი კიდევ და კიდევ მოსმენა ისევე, როგორც მონტესორის ბავშვები იმეორებენ მათთვის საინტერესო სავარჯიშო" (6, გვ.50-51).

4. მონტესორი არ უთმობდა ყურადღებას წარმოსახვას და ბავშვთა შემოქმედებითი შესაძლებლობების განვითარებას. ამიტომ ხატვას მის მოღვაწეობაში თითქმის არა აქვს ადგილი. მონტესორიმ იცოდა, რომ ბავშვებს უყვარდათ ხატვა, მაგრამ ის არა აქეზებდა მათ თავისუფალი ხატვისკენ. „ამის ნაცვლად ის ცდილობდა დახმარებოდა ბავშვებს გაერჩიათ ფორმები, ფერები, ისეთი სავარჯიშოების დახმარებით, როგორიცაა -ფერადი ქაღალდების დაჭრა, სხვადასხვა ფორმის ფიგურების გაფერადება. სინამდვილეში მონტესორი არ უკრძალავდა ბავშვებს თავისუფალ ხატვას, მაგრამ მისი მიზანი იყო განევითარებინა ბავშვის დაკვირვებისა და განსხვავების აღმოჩენის უნარი" (6, გვ.50).

5. სპეციალისტები, რომლებიც სწავლობენ მონტესორის შემოქმედებას, თვლიან, რომ მონტესორის ბავშვებს ჰქონდათ ჩამორჩენა სოციალურ ურთიერთობებში. რადგან ბავშვისადმი ინდივიდუალური მიდგომა, რომელიც გამოიყენებოდა მონტესორის სკოლებში, ზღუდავდა ბავშვებს შორის კონტაქტს. საჭიროების შემთხვევაში მათ ეხმარებოდათ მასწავლებელი.

6. სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფები, რომელსაც იყენებდა მონტესორი, ერთი მხრივ კარგია, რადგან უფროსები ეხმარებიან უმცროსებს, მაგრამ ბავშვი ხომ თანატოლს ეძებს. თანაც პედაგოგიური პროცესის მართვა სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფში პრობლემურია.

7. ბავშვებს ახასიათებთ რთული ადაპტაცია ტრადიციულ სწავლებასთან, რადგან მონტესორისთან არ არის საკლასო-საგაკვეთილო სისტემა;

8. საკმაოდ ხანგრძლივია მონტესორი-მასწავლებლების მომზადება;

ამრიგად, მონტესორის სისტემაში ძირითადი ყურადღება გამახვილებულია ინტელექტისა და პრაქტიკული ჩვევების განვითარებაზე; აქ არ გამოიყენება როლური და მოტორული თამაშები; შეიძლება ითქვას, რომ მონტესორი უარს ამბობს შემოქმედებითობაზე.

მაგრამ **დადებითი** ასპექტები ბევრად აღემატება უარყოფითს. **მონტესორის პედაგოგიკა:**

- ქმნის მოტივაციას სწავლისათვის - ბავშვები სწავლობენ განსაკუთრებული ინტერესით;
- სწავლობენ დაგეგმონ და ორგანიზება გაუკეთონ თავიანთ საქმიანობას. უმცროსები იწერენ, თუ რა გააკეთეს მთელი დღის განმავლობაში და ხვალ გასაკეთებელი სამუშაოს ვარაუდებს, ხოლო უფროსები გეგმავენ მთელი კვირის განმავლობაში;
- სწავლობენ საკუთარ ქცევაზე პასუხისმგებლობას;
- სწავლობენ ურთიერთდახმარებას: უფროსი ბავშვები ხდებიან პასუხისმგებლიანები, ხოლო უმცროსები-თავდაჯერებულები;
- ასწავლის, დამოუკიდებლად მოძებნონ პასუხები საკუთარ კითხვებზე;
- ასწავლის, დამოუკიდებლად მოძებნოს და გაასწოროს შეცდომები;
- აცნობს გარემომცველი სამყაროს საფუძვლებს;
- ბავშვებს უვითარებს ლოგიკურ და ანალიტიკურ აზროვნებას;
- უვითარებს ინტელექტს;
- უვითარებს მეტყველებას წვრილი მოტორიკით...

ასეთი თვისებები, ჩადებული ბავშვში ადრეული ასაკიდან, ეხმარება მას ადვილად მოახდინოს სოციუმში ადაპტაცია და ცხოვრებაში იყოს წარმატებული.

თანამედროვე მონტესორი - სკოლაში გამოიყენება:

- დამოუკიდებელი სამუშაო, რომელიც ძირითადი საშუალებაა ბავშვის თვითგანვითარების და თვითსწავლის. ბავშვი თვითონ ირჩევს დავალებებს უახლოესი

განვითარების ზონიდან - არც თუ ისე ადვილს და არც ძალიან რთულს ანუ არა დაუძლეველს. თითოეული ბავშვისთვის მასწავლებელი ქმნის ინდივიდუალურ გეგმას, რომელშიც გათვალისწინებულია მისი შესაძლებლობები და ცოდნის დონე. სწორედ ინდივიდუალური გეგმის საშუალებით მიიღწევა თანმიმდევრულობა სწავლაში და სწავლის ინდივიდუალური ტემპი.

- თავისუფალი მუშაობა მონტესორი დიდაქტიკური მასალით
- პროექტები - სიღრმისეულად შეისწავლიან სხვადასხვა თემას. პროექტის შესასრულებლად მათ ეძლევათ ერთი კვირა. მუშაობას ასრულებენ პრეზენტაციით.
- კომუნიკაციური თამაშები, რომელშიც მონაწილეობას იღებს მთელი ჯგუფი. თამაშის მიზანია ემოციური ინტელექტის განვითარება;
- შემოქმედებითი და კულინარიულ-სადურგლო სახელოსნოები. ბავშვები თავიანთი სურვილით ირჩევენ სამუშაოს;
- სამაგიდო თამაშები, მაგ. ჭადრაკი;
- ექსკურსიები და საინტერესო ადამიანებთან შეხვედრები.

ჩვენ კი მონტესორის ლიტერატურის ანალიზის საფუძველზე მიგვაჩნია შედარებით სერიოზულ პრეტენზიებად მონტესორის მისამართით თამაშის როლის სათანადოდ შეუფასებლობა აღზრდაში; სწავლების არასაკმარისი ეფექტურობა და სისტემატურობა; მასალების არასაკმარისად ფართო არჩევანი, ბავშვების ინტერესის დაქვეითება მათ მიმართ; მეტყველებისა და წარმოსახვების განვითარების მეთოდების არასაკმარისი დამუშავება. თუმცა, თანამედროვე მონტესორი - ბაღებსა და სკოლებში ყველა ეს პრობლემა წარმატებითაა გადაჭრილი მეცნიერთა მიღწევების დახმარებით.

მეოთხე თავის დასკვნები

- მონტესორის იდეების განვითარების და გამოყენების თვალსაზრისით გამოიყოფა მთელი რიგი მიმართულებები (1960-1990 წწ.), რომლებიც იყოფა 3 ჯგუფად: კლასიკური და პოსტკლასიკური მიმართულება; მონტესორი მეთოდის გამოყენება ახალ კონტექსტში, სამედიცინო-სარეაბილიტაციო მიმართულება.

- საზღვარგარეთის ქვეყნებში მონტესორის მეთოდის და მასალის გამოყენება მოხდა შემდეგ ახალ კონცეფციებში: პედაგოგ-რეფორმატორები, ღია განათლება, ამერიკის სკოლამდელების ეროვნული განათლების ასოციაციის ბავშვის განვითარების დონის შესაფერისი „ პრაქტიკა", „თავისუფალი მუშაობის" იდეა და „სოციალური მიდგომა"
- ქართული პედაგოგიკური აზროვნებისათვის მარიამ მონტესორის პედაგოგიკური კონცეფცია ცნობილი გახდა მეოცე საუკუნის 10-20-იან წლებში და მისი იდეების პოპულარიზაციაში დიდი როლი შეასრულეს ქართული საგანმანათლებლო სისტემის ისეთმა წარმომადგენლებმა, როგორებიც იყვნენ: თ. ერისთავი, რ. ნიკოლაძე - პოლიექტოვისა, ნ. სირბილაძე, დ. უზნაძე, ხოლო მეოცე საუკუნის 30-იანი წლებიდან - ბ. ხაჭაპურიძე.
- მარქსისტული პედაგოგიკის წარმომადგენლები მ. მონტესორის პედაგოგიურ მოძღვრებას აფასებდნენ როგორც უარყოფითი, ისე დადებითი თვალსაზრისით:

ა. მარია მონტესორის პედაგოგიური სისტემა აგებულია სუბიექტურ - იდეალისტური ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის საფუძველზე. ის მეტაფიზიკურად უპირისპირებდა ერთმანეთს სხეულსა და სულს, როგორც ვიტალისტური ფილოსოფიის მიმდევარი, ადამიანის განვითარებაში აღიარებდა მისტიური „სასიცოცხლო ძალების" მოქმედებას, აქედან გამომდინარე, იგი ილაშქრებდა ადამიანის ბუნებისა და აღზრდის პროცესის მატერიალისტური გაგების წინააღმდეგ.

ბ. დადებითად აფასებდა მასწავლებლის როლს და განმავითარებელ გარემოს, რომელიც ხელს უწყობდა ინდივიდუალურ აღზრდას. მათ მიაჩნიათ, რომ „ინდივიდუალიზაციის მეცნიერული პრინციპი არ შეიძლება მიღებული არ იყოს მარქსისტული პედაგოგიკის მიერ.

გ. დადებითად აფასებდა მონტესორის მიდგომას დიდაქტიკური მასალისადმი. კერძოდ, დიდაქტიური მასალა უმუშავებს სკოლამდელი ასაკის ბავშვს სიზუსტეს, მეთოდურობას და სრულყოფას შრომითი პროცესების შესრულებაში. ბავშვი მკვეთრად გამოყოფს ცალ-ცალკე აქტებს, შეისწავლის მათ და მეთოდურად ასინთეზებს მათ ერთ მთლიან შრომით პროცესად, რომელსაც აქვს კონკრეტული მიზანდასახულობა. ამას ვერ

მისცემს მას ვერც ცხოვრების ჭრელი მორევი, ვერც არაზედმიწევნითი, გამოუზომავი და თვითკონტროლს მოკლებული ბუნებიდან აღებული მასალა.

- ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევისა და ანალიზის საფუძველზე მიგვაჩნია შედარებით სერიოზულ პრეტენზიებად მონტესორის მისამართით თამაშის როლის სათანადოდ შეუფასებლობა აღზრდაში, სწავლების არასაკმარისი ეფექტურობა და სისტემატურობა; მასალების არასაკმარისად ფართო არჩევანი, ბავშვების ინტერესის დაქვეითება მათ მიმართ; მეტყველებისა და წარმოსახვების განვითარების მეთოდების არასაკმარისი დამუშავება. თუმცა, თანამედროვე მონტესორი - ბაღებსა და სკოლებში ყველა ეს პრობლემა წარმატებითაა გადაჭრილი მეცნიერთა მიღწევების დახმარებით.

ზოგადი დასკვნები

- მრავალწლიანი დაძაბული შემოქმედებითი მოღვაწეობის შედეგად მონტესორიმ შეძლო შეექმნა ჩამოყალიბებული სისტემა, რომელმაც გაუძლო დროს და გამოცდას.
- მონტესორის ფილოსოფიური შეხედულებები დაფუძნებულია „კოსმიურ თეორიაზე“, ამ თეორიის თანახმად, ყველაფერი ამ სამყაროში – მცენარეები, ცხოველები, ადამიანი – არსებობს და მოქმედებს სამყაროს განვითარების კოსმიური გეგმის შესაბამისად.
- დებულება სამყაროს განვითარების „კოსმიურ გეგმაზე“ და ადამიანის „კოსმიურ ამოცანაზე“ წარმოადგენს მონტესორის სისტემის მეთოდოლოგიურ დასაბუთებას. იგი მნიშვნელოვან როლს თამაშობს მონტესორის მიერ ბავშვის განვითარების პროცესების გაგებაში და განსაზღვრავს აღზრდის და მისი შინაარსის მთავარ მიზანს 6–დან 12–წლამდე და 12-დან 18 წლამდე ასაკის ბავშვებისათვის.
- მონტესორის პედაგოგიკური კონცეფცია ეყრდნობა ისეთ პრინციპებს, როგორიცაა: ანთროპოლოგიური პრინციპი, ბავშვის განვითარების თავისუფლების პრინციპი, ყურადღების კონცენტრაციის პრინციპი, საგანგებოდ მომზადებული სასწავლო გარემოს პრინციპი, სენსიტიურობის პრინციპი, შეზღუდვისა და წესრიგის პრინციპი, განათლების

სისტემაში პედაგოგის განსაკუთრებული ადგილის პრინციპი, ინდივიდუალური და დიფერენცირებული მიდგომის პრინციპი. სოციალური აღზრდისა და ინტეგრაციის პრინციპი.

- მონტესორის პედაგოგიკური პრინციპები ეფუძნება შემდეგ მოთხოვნებს: პატივისცემას ბავშვის სულიერი თავისუფლებისადმი, ბავშვის ყურადღების კონცენტრაციას-სააზროვნო საქმიანობას, ბავშვის ფიზიკურ შესაძლებლობებს, დიდაქტიკური მასალების სავარჯიშოებით მიწოდებას, ბავშვის აღქმის ინტენსივობას, ბავშვის განვითარების 6 ძირითად სენსიტიურ პერიოდს: ლაპარაკის განვითარების, სენსორული, აღქმითი და წესრიგის დამყარების სენსიტიური, უმცირესი საგნების მოძრაობების და მოქმედებების ათვისებისა და სოციალური განვითარების, პედაგოგის კეთილგანწყობილებას და მისი, როგორც შუამავლის როლს და ინდივიდუალურ და დიფერენცირებულ მიდგომას.
- მარია მონტესორი ამტკიცებს, რომ ..არსებობს სიცოცხლის ორი ფორმა, ზრდასრულთა ცხოვრება და ბავშვის ცხოვრება. ორივე ძალიან განსხვავებულია, ურთიერთსაწინააღმდეგო და არსებულ განსხვავებას წარმოადგენს 3 ჯგუფად:

1. განსხვავებები განვითარების დონის მიხედვით;
2. განსხვავებები „მუშაობის“ ხასიათში;
3. გონების განსაკუთრებული შესაძლებლობები და კანონები, რომლებიც მიესადაგება მხოლოდ ბავშვს.

- მ. მონტესორთან მგრძნობიარე პერიოდები ემსახურება შემეცნებას, რომ ბავშვს ჰქონდეს შესაძლებლობა, განავითაროს გარკვეული ფუნქციები, რომ შეიძინოს მისთვის აუცილებელი ცოდნა, უნარ-ჩვევები და ქცევა.
- მონტესორის მიხედვით, ძირითად სენსიტიურ პერიოდებს მიეკუთვნება: ენის (მეტყველების) განვითარების მგრძნობიარე პერიოდი (0 - 6 წელი); წესრიგის აღქმის მგრძნობიარე პერიოდი (0 - 3 წელი); სენსორული განვითარების მგრძნობიარე პერიოდი (0 - დაახლოებით 5.5 წლის); პატარა საგნების აღქმის მგრძნობიარე პერიოდი (1.5 - 2.5 წლის);

მოძრაობების და მოქმედებების განვითარების მგრძნობიარე პერიოდი (1 - 4 წელი); სოციალური უნარ-ჩვევების განვითარების მგრძნობიარე პერიოდი (2.5 - 6 წელი).

- მონტესორისთან ბავშვის ასაკობრივი პერიოდიზაციის საფეხურები შემდეგში მდგომარეობს: 0-3 წელი - "შთანმთქავი გონება"- საგნობრივ- გრძნობითი ორიენტირება; 3-6 წელი - "საკუთარი თავის მშენებელი" - მეტყველებისადმი სენსიტიურობა, ენის ათვისება, თვალსაჩინო-ხატოვანი აზროვნება; 6-9 წელი - "გარე სამყაროს მკვლევარი" - აბსტრაქტულ მოქმედებათა ათვისება; 9-12 წელი - "მეცნიერი" სკოლის პირველი საფეხურის (კონცენტრის) დასრულება; 12 -18 წელი - "სოციალური მუშაკი" - საგიმნაზიო და უფროსი საფეხური.
- მონტესორის პედაგოგიკურ სისტემაში მეცადინეობების სამი სახეობაა წარმოდგენილი: ინდივიდუალური, ჯგუფური, საერთო.
- მონტესორი სწავლებისა და აღზრდის პროცესში იყენებს თავისუფალ საქმიანობას, მომზადებულ გარემოს და მის სწავლების მეთოდი შედგება სამი ძირითადი ნაწილისაგან: ბავშვი, განმავითარებელი გარემო, მასწავლებელი.
- მონტესორი განმავითარებელ გარემოს ყოფს ხუთ ზონად: ყოველდღიური ცხოვრების (პრაქტიკული) ზონა, სენსორული ზონა, მათემატიკური ზონა, მშობლიური (ენობრივი) ენის ზონა, კოსმოსის (კოსმიური) ზონა.
- მონტესორის მეთოდიკა ეყრდნობა შემდეგ დებულებებს:

➢ ბავშვი აქტიურია, უფროსის როლი სწავლებაში მეორეხარისხოვანია; ის არის დამხმარე და არა ხელმძღვანელი.

➢ ბავშვი საკუთარი თავის მასწავლებელია; მას აქვს მოქმედებების და არჩევანის სრული თავისუფლება.

➢ ბავშვები სწავლაში ერთმანეთს ეხმარებიან. რადგან ჯგუფებში სხვადასხვა ასაკის ბავშვები მეცადინეობენ, უფროსები ხდებიან უმცროსების მასწავლებლები. ამასთან, ისინი ეჩვევიან სხვაზე ზრუნვას.

➢ ბავშვები იღებენ დამოუკიდებელ გადაწყვეტილებებს.

➢ მეცადინეობები მიმდინარეობს სპეციალურად მომზადებულ გარემოში.

➢ მთავარია ბავშვი დავაინტერესოთ, განვითარებით თვითონ განვითარდება - ეს არის მოქმედებების, აზროვნების, გრძნობების, თავისუფლების შედეგი.

➢ ბავშვი ხდება ისეთი, როგორიც არის ბუნებით, თუ არ მივდივართ ბუნების საწინააღმდეგოდ.

- სწავლების ტრადიციული პედაგოგიკური მეთოდის და მონტესორის სწავლების მეთოდის შედარებითი ანალიზი ცხადყოფს, რომ ტრადიციული მეთოდი ემყარება ბავშვზე დომინირებას, კონტროლს და წესრიგის დამყარებას გარედან. ხოლო მონტესორის მეთოდი -კი დაკვირვებას, გარემოს კონტროლს, წესრიგის გამოწვევას შიგნიდან და ხელშეწყობას, რომელიც დაფუძნებულია გამოცდილებაზე.

- მ. მონტესორის დიდაქტიკური მასალა არის სახლსა და დანარჩენ მსოფლიოს შორის გადებული ხიდი, სამყაროს მცირე მოდელი, რომელიც უმუშავებს ბავშვს სიზუსტეს, მეთოდურობას და სრულყოფას შრომითი პროცესების შესრულებაში. ბავშვი მკვეთრად გამოჰყოფს ცალ-ცალკე ეტაპებს, შეისწავლის მათ და აქცევს მათ ერთ მთლიან შრომით პროცესად, რომელსაც აქვს კონკრეტული მიზანი.

- დიდაქტიკური მასალა, რომელიც გამოიყენება მეთოდის ფარგლებში, ხელს უწყობს შექმნას სასიამოვნო განმავითარებელი გარემო და შემოქმედებითად განაწყოს აღზრდის ობიექტი.

- მონტესორის მრავალფეროვანი დიდაქტიკური მასალა ხელს უწყობს ბავშვების პრაქტიკული შესაძლებლობების განვითარებას, ზრდის მათ შემეცნებით აქტიურობას. ეს არის წარმატებული სწავლის ერთ-ერთი მთავარი პირობა. მასალასთან მუშაობისას თვითკონტროლის შესაძლებლობა ბავშვს თავს აგრძნობინებს თავისუფალ და დამოუკიდებელ პიროვნებად.

- მ. მონტესორის სისტემა ხელს უწყობს ინდივიდუალური გახადოს სწავლებისა და აღზრდის პროცესი. რაც ნიშნავს იმას, რომ უმტკივნეულო ხდება ბავშვის პიროვნების ფორმირება.

- მასწავლებელს მონტესორის სისტემაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. ის არის შუამავალი, რომელიც ქმნის კავშირს ბავშვსა და განმავითარებელ გარემოს შორის;

ხელმძღვანელი - აკვირდება რა ბავშვების საქმიანობას, საჭიროების შემთხვევაში ერთვება და უწევს მათ დახმარებას; ორგანიზატორი, რომელიც ქმნის „მომზადებულ გარემოს," რომელშიც ბავშვი თავისუფლად გადაადგილდება და ირჩევს მისთვის სასურველ მასალას; დამკვირვებელი, რომელიც აკვირდება ბავშვებს, რომ მათ ხელი არ შეუშალონ ერთმანეთს საქმიანობაში. მონტესორი მასწავლებელი ყოველთვის ცდილობს გაუღვიძოს ბავშვებს თვითმოტივაცია.

- ნდობის ატმოსფეროს შექმნა და ბავშვის პიროვნების პატივისცემა წარმოადგენს მონტესორი - მასწავლებლის ძირითად მოთხოვნას. ასეთი ატმოსფერო ბავშვებს ეხმარება მიზანმიმართულად იარონ წინ - თვითგანვითარების პროცესში.

- მონტესორის პედაგოგიური სისტემის მიხედვით მუსიკალური აღზრდა იყოფა სამ ეტაპად: ბავშვის ირგვლივ არსებულ ბგერებზე ყურადღების გამახვილება, მუსიკის რიტმული აღქმის გამოვლენა და განმტკიცება, მელოდიური და ჰარმონიული სმენის ფორმირება

- ბგერებზე ბავშვების ყურადღების ფოკუსირების გასაძლიერებლად მონტესორიმ შემოიტანა განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი სავარჯიშო, რომელიც აღზრდის დღემდე არსებული მეთოდებისაგან განსხვავებით მდგომარეობს იმაში, რომ კი არ აწარმოონ, არამედ რამდენადაც შესაძლებელია, აღმოფხვრან ირგვლივ ყველა ბგერა. ასეთი „სიჩუმის გაკვეთილები" ძალიან ფართოდ გამოიყენებოდა იმ სკოლებშიც კი, სადაც მონტესორის მეთოდის დანარჩენი დეტალები არ სარგებლობდა მხარდაჭერით. ისინი პოპულარული იყო იმის გამო, რომ შეეძლო პრაქტიკული ზეგავლენის მოხდენა ბავშვის დისციპლინაზე.

- სწავლების მაღალი ხარისხი და ეფექტური საქმიანობა მონტესორის სასწავლო - აღმზრდელობითი დაწესებულებების ძირითადი მახასიათებელია.

- მონტესორი ბავშვის პიროვნებად ფორმირებაში განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა მორალურ აღზრდას, რომლის სრულყოფილად წარმართვისათვის საჭირო იყო სწორად ორგანიზებული გარემოს შექმნა, სადაც ცუდი გამოყოფილი იქნებოდა კარგისგან.

- მ.მონტესორის მიაჩნდა, რომ განათლების მისაღებად საკმარისია ისეთი განმავითარებელი გარემოს შექმნა, სადაც დიდაქტიკურ მასალას აირჩევდა არა მასწავლებელი, არამედ თვითონ ბავშვი, რომელიც თვითონვე განსაზღვრავდა ამ მასალასთან მუშაობის დროს და გააკონტროლებდა საკუთარ შეცდომებს.
- დისციპლინა თავისუფლებაში - ეს არის მ. მონტესორის სწავლების მეთოდის მთავარი ლაიტმოტივი. მონტესორის სისტემაში დისციპლინის არსი განსხვავებულია მისი საყოველთაო არსისგან, რადგანაც დისციპლინა ემყარება თავისუფლებას. მონტესორის მიხედვით დისციპლინირებულია ბავშვი, რომელიც ფლობს საკუთარ თავს, შეუძლია საკუთარი ქცევების გააზრება და აუცილებლობის შემთხვევაში იცავს გარკვეულ წესებს.
- მარია მონტესორი აღზრდაში უარყოფდა დასჯის მეთოდს.
- ბავშვის განვითარების პროცესში მარია მონტესორი ხაზგასმით ასკვნის: შინაგანი „სასიცოცხლო იმპულსების", „სენსიტივობის წერტილების", horme, nebule, mneme-ს, ასევე გარემოს ზემოქმედების მნიშვნელობას განვითარების პროცესში. ორივე ფაქტორი საჭიროების მიხედვით უნდა იქნეს გათვალისწინებული აღზრდაში, რადგან ბავშვს გააჩნია განვითარების მოთხოვნილება, რომელიც ობიექტურად ბავშვის ბუნებისთვისაა დამახასიათებელი. ისინი აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ აღზრდის დროს.
- მონტესორის იდეების განვითარების და გამოყენების თვალსაზრისით გამოიყოფა მთელი რიგი მიმართულებები (1960-1990 წწ.), რომლებიც იყოფა 3 ჯგუფად: კლასიკური და პოსტკლასიკური მიმართულება; მონტესორი მეთოდის გამოყენება ახალ კონტექსტში, სამედიცინო-სარეაბილიტაციო მიმართულება.
- საზღვარგარეთის ქვეყნებში მონტესორის მეთოდის და მასალის გამოყენება მოხდა შემდეგ ახალ კონცეფციებში: პედაგოგ-რეფორმატორები, ღია განათლება, ამერიკის სკოლამდელების ეროვნული განათლების ასოციაციის ბავშვის განვითარების დონის შესაფერისი „პრაქტიკა", „თავისუფალი მუშაობის" იდეა და „სოციალური მიდგომა"
- ქართული პედაგოგიკური აზროვნებისათვის მარია მონტესორის პედაგოგიკური კონცეფცია ცნობილი გახდა მეოცე საუკუნის 10-20-იან წლებში და მისი იდეების პოპულარიზაციაში დიდი როლი შეასრულეს ქართული საგანმანათლებლო სისტემის

ისეთმა წარმომადგენლებმა, როგორებიც იყვნენ: თ. ერისთავი, რ. ნიკოლაძე - პოლიექტოვისა, ნ. სირბილაძე, დ. უზნაძე, ხოლო მეოცე საუკუნის 30-იანი წლებიდან -ბ. ხაჭაპურიძე.

- მარქსისტული პედაგოგიკის წარმომადგენლები მ. მონტესორის პედაგოგიურ მოძღვრებას აფასებდნენ როგორც უარყოფითი, ისე დადებითი თვალსაზრისით:

ა. მარია მონტესორის პედაგოგიური სისტემა აგებულია სუბიექტურ - იდეალისტური ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის საფუძველზე. ის მეტაფიზიკურად უპირისპირებდა ერთმანეთს სხეულსა და სულს., როგორც ვიტალისტური ფილოსოფიის მიმდევარი, ადამიანის განვითარებაში აღიარებდა მისტიური „სასიცოცხლო ძალების“ მოქმედებას, აქედან გამომდინარე, იგი ილაშქრებდა ადამიანის ბუნებისა და აღზრდის პროცესის მატერიალისტური გაგების წინააღმდეგ.

ბ. დადებითად აფასებდა მასწავლებლის როლს და განმავითარებელ გარემოს, რომელიც ხელს უწყობდა ინდივიდუალურ აღზრდას. მათ მიაჩნიათ, რომ „ინდივიდუალიზაციის მეცნიერული პრინციპი არ შეიძლება მიღებული არ იყვეს მარქსისტული პედაგოგიკის მიერ.

გ. დადებითად აფასებდა მონტესორის მიდგომას დიდაქტიკური მასალისადმი. კერძოდ, „დიდაქტიური მასალა უმუშავებს სკოლამდელი ასაკის ბავშვს სიზუსტეს, მეთოდურობას და სრულყოფას შრომითი პროცესების შესრულებაში. ბავშვი მკვეთრად გამოყოფს ცალ-ცალკე აქტებს, შეისწავლის მათ და მეთოდურად ასინთეზებს მათ ერთ მთლიან შრომით პროცესად, რომელსაც აქვს კონკრეტული მიზანდასახულობა. ამას ვერ მისცემს მას ვერც ცხოვრების ჭრელი მორევი, ვერც არაზედმიწევნითი, გამოუზომავი და თვითკონტროლს მოკლებული, ბუნებიდან აღებული მასალა.

- ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევისა და ანალიზის საფუძველზე მიგვაჩნია შედარებით სერიოზულ პრეტენზიებად მონტესორის მისამართით თამაშის როლის სათანადოდ შეუფასებლობა აღზრდაში; სწავლების არასაკმარისი ეფექტურობა და სისტემატურობა; მასალების ნაკლებად მრავალფეროვანი არჩევანი, ბავშვების ინტერესის დაქვეითება მათ მიმართ; მეტყველებისა და წარმოსახვების განვითარების მეთოდების

არასაკმარისი დამუშავება. თუმცა, თანამედროვე მონტესორი - ბაღებსა და სკოლებში ყველა ეს პრობლემა წარმატებითაა გადაჭრილი მეცნიერთა მიღწევების დახმარებით.

- დღევანდელ დღეს მ. მონტესორის მეთოდი არა მხოლოდ აქტუალობას ინარჩუნებს მთელ მსოფლიოში, არამედ სრულიად ადეკვატურია თანამედროვე განათლების მიზნების, რომელიც მიმართულია ბავშვის თვითაღზრდასა და თვითგანვითარებაზე.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბასილაძე ი., ჭოხონელიძე ნ., კოსტავა ნ., ქობულაძე ნ., სწავლების მეთოდები, სტრატეგიები, პედაგოგიური ტექნოლოგიები და ცოდნის შემოწმება-შეფასების საკითხები, ქუთაისი, 2016 წ.

2. ბასილაძე ი., ქობულაძე ნ., ბოჭორიშვილი ნ., მარია მონტესორის პედაგოგიური სისტემა,, ჰუმანიტარულ პედაგოგიურ მეცნიერებათა ფონდი, სამეცნიერო ჟურნალი „ენა და კულტურა", #2 , 2009 წ.

3. გურგენიძე დ., საქართველოში საბჭოთა პედაგოგიკური აზრის ისტორიიდან, განათლება, თბ., 1981 წ.

4. გუდსმითი ნ., მონტესორის მეთოდი განათლებაში, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2012 წ.

5. ლორთქიფანიძე დ., დიდაქტიკა, თბილისი, 1983წ.

6. მელიქიშვილი მ., ჯ. დიუის პედაგოგიკური კონცეფცია, მ. მონტესორის პედაგოგიკური კონცეფცია, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, 2013 წ.

7. მონტესორი მ., ჩემი მეთოდი: დაწყებითი განათლება, თარგმანი ლ. კუხიანიძის, საგამომცემლო ცენტრი „ქუთაისი", 2014 წ.

8. სამხარაძე ნ., „სკოლამდელთა სენსორული აღზრდა და ორგანიზაცია" ,თბილისი, 1972 წ.

9. ნ. სირბილაძე, მარიამ მონტესსორი და მისი პედაგოგიური იდეალები, „განათლება" № 3,თბ.,1916 წ.

10. ტაუბმანი ვ., მონტესორის სისტემა მარქსისტული პედაგოგიკის თვალსაზრისით, პედაგოგიური კრებული „სკოლის ასაკამდე აღზრდა",, სახელგამი, 1926 წ.

11. ფაუსეკი ი., მონტესორის სისტემა, „სკოლის ასაკამდე აღზრდა", სახელგამი 1926 წ.

12. ჭანიშვილი გ., მარია მონტესორი და ქართული პედაგოგიური სინამდვილე, „სკოლა და ცხოვრება”, № 3, 1987 წ.

13. ჯინჯიხაძე ჯ., თანამედროვე პედაგოგიური ტექნოლოგიები (ლექციების კურსი), სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2012 წ.

14. ჯანაშია ნ., იმედაძე ნ., გორგოძე ს., განვითარების და სწავლის თეორიები, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი, 2008 წ

15. Афанасьева, К. Е. Сумнительныи, Л. Гребенников, Ю. Б. Дробышевская, «Я люблю Монтессори”, педагогика детства Москва, „Карапус“, 2011 г.

16. Богуславскии М.Б., Цороков Д. Г., Юлия Фаусек: Тридцать лет по методу Монтессори, Москва, 1994г.

17. Вахтерев В. П., О новои педагогике, Избранное, Педагогика детства, Москва, «Карапуз”, 2008 г.

18. Володин С. ,Блонскии П., о М.Монтессори //Дошколъное боспитание,1994, #10

19. Джуринскои А.Н.,Зарубежная школа, Историа и современность

20. Монтессори М., Дом ребенка, метод научнои педагогики, М., Астрель, АЦТ, 2006 г.

21. Монтессори М., Помоги мне сделать ето самому“ ,Москва, 2006 г.

22. Монтессори М., Мой Метод, Руководство детей от 3 до 6 лет, Москва, 2013 г.

23. Монтессори М., Как развить внутреннии потенциал челобека-СПБ; Блоготварительный фонд „Волонтары”,2011г.

24. Монтессори М., „Разум ребенка”, Москва,1997г.

25. Монтессори М., „Сомоваспитание и сомообучение в начальнои школе”, М. 1993г.

26. Монтессори М., „Дети -другие” М. Карапуз; 2004 г.

27. Монтессори М., „Впитывающии разум ребенка”, ЦПБ, „Волонтари,” 2009 г.

28. Монтессори М., Фаусек Ю., – „Математика по методу Монтессори для детеи 5-8 лет”,- Народная книга, 2013 г.

29. Орлова Д., Болъшая книга Монтессори: Система раннего развития, которая потрясла мам - СПБ, 2007 г.

30. Сорокова М. Г.,Система М. Монтессори -Теориа и практика; Москва, Академиа, 2003 г.

31. Специалъная педагогика:Учеб. пособие для студ. высш. пед. учеб. заведении/Л.И.Аксенева; Б.А. Архипов, Л.И. Белякова и др. Под ред. Н.М.Назаровои-Москва, Академиа

32. Сумнителная С.И. Сумнителний К .Е.„Начальная школа Монтессори “Москва 2016 г.

33. Сумнителныи К.Е., Космичесское воспитание, Монтессори в Росий, Новии взгляд, М.1998 г.

34. Стендинг Э.М., Жизнъ и творчество Марии Монтессори, СПБ ”Реноме”, 2013 г.

35. Фаусек Ю. И.,Метод Монтессори в росии, СПб, Время, 2004 г.

36. Фаусек Ю., Детскии сад Монтессори, Составители С. И. Сумнителъная, К.Е. Сумнителънии,М. Карапуз, Дидактика, 2007 г.

37. Фаусек Ю., Педагогика Марии Монтессори, М. Генезис, 2007 г..

38. www.montessory.ru.

39. www.happy-kids.ru.

40. www.montessori-press.ru.

41. www.montessoricity.ru.

42. www.montessori-center.ru.

43. www.rebenok.com

44. www.metodika-montessory.narod.ru.

45. www.vospitateli.ru

46. www.montessori-material.ru

47. montessori-russia.ru

48. 45 montessori-school.ru

49. 47.Montessori M.The Montessori method (th.ed.)Mineola. New York: Dover Publications, Inc.2020

დ ა ნ ა რ თ ი

gettyimages
Popperfoto
79046089

gettyimages
ullstein bild Dtl.
542390833

gettyimages
Umberto Cicconi



gettyimages

gettyimages
Kurt Hutton
3318704

gettyimages

Popperfoto/Archive Photos


Children are human beings to whom respect is due, superior to us by reason of their innocence and of the greater possibilities of their future.
—Maria Montessori



Музыкальные инструменты
Коллекция № 2
Аудиоматериал для детей от 3 до 6 лет

Коллекция № 3

Музыкальные инструменты
Коллекция № 4
Аудиоматериал для детей от 3 до 6 лет

fakopancs.hu

IT'S YOUR WORLD



1 2 3

POM
DROP
Purple
Blue
Green
Yellow
Orange
Red

5
V
6
VI
7
VII
8
VIII
4
IV
III
2
II
1
I
12
XII
11
XI
10
X